# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

---

წელიწადი მეექვსე.

**№№ VII და VIII**

6012

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюля 1882 г.

# ისტორიული სურათები.

(შემდეგი *).

ამავე დროს კახეთის ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდებოდა ჰერეთი, მოქმედებს დინარ დედოფალი. ეს დედა-კაცი მეცადინეობს შეაერთოს ჰერეთი ქართლთან და იმერეთთან. ჰერეთელი ქართველები, მართალია, ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ქრისტეს სჯულს აღიარებდნენ არა ისე, როგორც სხვა ქართველები, არამედ სხვა წესით და სხვა დოღმატებით [1].

---

*) «ივერია» № 6, 1882 წ.

[1]) ჰერეთში ამ დროს ქართველები აღიარებდნენ მანიხეების მწვალებლობას. როცა 227 წელს სპარსეთის ტახტზე ავიდა მეფედ სასსანიდების გვარი, მაშინ აქაურმა მოგვებმა მოიწადინეს აღდგენა ზოროასტრის სარწმუნოებისა იმ სახით, რა სახითაც ის ძველის-ძველადგან ყოფილა. ამ სურვილმა დაჰბადა ორი თარაფი. ერთი ამტკიცებდა, რომ ორმუზდ (ღმერთი კეთილისა) და არიმან (ღმერთი ბოროტისა) ერთს უმაღლესს ზენაარს ემორჩილებიანო, მეორე კი ამბობდა, რომ არის ორი ღმერთი—ღმერთი კეთილისა და ღმერთი ბოროტისაო და ისინი ერთმანერთის მორჩილნი არ არიანო. ამ მეორე თარაფს ეკუთვნოდა მანეხი, რომელმაც გამოიგონა მანიხეების მწვალებლობა. იმან ჯერ ქრისტიანობა მიიღო, მერმე შეუდგა ზოროასტროს სარწმუნოებისა და ქრისტიანობრივი დოღმატური სწავლის შეთანხმებას და შეწყობას. წაქეზებული სპარსელ მეფეების ქომაგობით, იმან დაიწყო დამტკიცება, რომ ზოროასტროს სარწმუნოებრივი სწავლ

ქართველები ძალიან სწუხდენ ამ სარწმუნოებრივს განხეთქილებაზე, რომელიც ჩამოვარდა მათ შუა, მაგრამ ვერას მხრით ვერ მოასერხეს ჭერეთლების სარწმუნოებრივი განცალკევება მოესპოთ დ შემოიერთებინათ. 239 წლის განმავლობაში ისინი ალვიარებდენ მანიეხეების მწვალებლობას. ვიდრე დედა-კაცმა არ მოჰკიდა ხელი ამ შეერთების საქმეს, უოველი მეცადინეობა სულიერთა მამათა და მეფეთა უქმად რჩებოდა. ეს დედა-კაცი იყო დინარ დედოფალი. მამამთილი და ქმარი რომ დაეხოცნენ, დინარმა თვითონ მიიღო სამფლობელოს გამგეობა, რადგან შვილი იშხანიკე ჯერ მცირე წლოვანი იყო. აი ამ თავის გამგეობის დროს ის შეუდგა ჭერეთელ ქართველების მოქცევას მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოებაზე. იმან ჯერ თავისი შვილი მოაქცია, მერმე მთელი ხალხი. ამ სახით ჭერეთლები შეერთდნენ ქართლ-იმერეთის ქართველებთან სარწმუნოებით და მოისპო მათ შორის სარწმუნოებრივი მტრობა.

---

და ქრისტიანული ურთი-ერთის წინააღმდეგნი არ არიანო. ორი ღმერთი არისო, ქადაგებდა ის, ერთი კეთილი, მამა იესოსი, მეორე—ბოროტი. პირველმა მოგვცა «ახალი აღთქმა», მეორემ—«ძველიო.»

ამ გვარის მოაზრებისა გამო ქრისტიანებმა მანეხი განჰკვეთეს ეკლესიისაგან და შეაჩვენეს მისი სწავლა. მაგრამ სპარსეთის მეფე საპორ პირველი გახდა მისი მოსარჩლე; კარგის თვალით უყურებდა მას აგრეთვე მისი მემკვიდრე გორმიზდოცა. ეს წყალობა იყო იმის მიზეზი, რომ 276 წელს მანეხი თუმცა მოკვდა, მაგრამ მის სარწმუნოებრივს სწავლას ამით არა დააკლდა-რა. იგი გაძლიერდა და დამკვიდრდა სპარსეთის ქრისტიანეთა შორის. მეოთხე და მეხუთე საუკუნოებში იგი ისე გაძლიერებული იყო, რომ ქრისტიანეთა ხელმწიფენი იძულებულნი გახდნენ გამოეცათ მანიხეების წინააღმდეგ სასტიკი კანონები. მაგრამ ამ გვარის დევნით მანიხეებს ვერა დააკლეს-რა,—რადგან იმათ ჰშველოდნენ სპარსეთის მეფენი და ეწადათ ქრისტიანი მეფეების ძლიერე-

ამ სარწმუნოებრივს შეერთებაში რა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა სამღვდელოებამ და თავად-აზნაურობამ, ამაზე არა არის-რა მოხსენებული მემატიანეთაგან; მაგრამ უეჭველია, რომ არც უიმათოდ მოხდებოდა ეს შეერთება. ხალხის სურვილი თუ არ ყოფილიყო, მარტო დინარ დედოფალი ვერას გაარიგებდა. სარწმუნოებას ისეთი ძალა აქვს, რომ მთელ ქვეყანას შესძრავს ხოლმე. მისი გამოცვლა ხალხის მიერ ადვილი არ არის. ხალხს შეუძლიან გულ-გრილად მოექცეს მძლავრს, რომელიც მას პოლიტიკურს თავისუფლებას ართმევს, მაგრამ სარწმუნოების წართმევას ვერ მოითმენს უიმისოდ, რომ მჩქეფრად სისხლი არ დაიღვაროს ადამიანისა. ჩვენი მემატიანენი კი არას ამბობენ ხალხის უკმაყოფილებაზე ამ შემთხვევაში. ეტყობა, დინარ დედოფალი ძალიან გონივრულად მოქმედებდა ამ საქმის დასაბოლოვებლად. ეს ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი მშვიდობიანად და ნება-ყოფლობით ჰერეთელ ქართველების შე-

ბის შესუსტება ერთ-მორწმუნე ხალხთა შორის განხეთქილების ჩამოგდებითა. ამ განზრახვით ისინი ყველა მწვალებლებს კეთილის თვალით უყურებდნენ და იწვევდნენ სპარსეთში. მათ მფარველობით სარგებლობდნენ მაგალითად, ნესტორიანები, გნოსტიკები, იაკოვიტები, მანიხეები და სხვანი. ერთის სიტყვით იმათ უნდოდათ ქრისტიან ერთა შორის სარწმუნოების განსხვავებით მტრობა ჩამოეგდოთ. ამ განზრახვით იმათ უბრძანეს სომხებს მიეღოთ იაკოვიტების მწვალებლობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ ყველას გადასახლებას სომხეთიდგან სპარსეთში. ამ მუქარით შეშინებულმა სომხებმა მართლაც მიიღეს იაკოვიტების მწვალებლობა და ამ მიზეზით ქართველთა და სომეხთ შორის დაირღვა სარწმუნოებრივი ერთობა და ჩამოვარდა განხეთქილება. ამავე დროს კახეთში ჰერეთელ ქართველებს, ესე იგი, სიღნაღისა, ზაქათალის და ნუხის მაზრებში მცხოვრებ ხალხს მიაღებინეს მანიხეების მწვალებლობა. ეს ამბავი მოხდა ქასრე ამბარვეზის (ნუშირვანის) დროს. «იუ-

ერთობისა მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან ის იყო, რო მეა-თე საუკუნის დასაწყისამდე გაჰქრა სპარსეთში მანიხეების მწვა-ლებლობა.

რა კი მანესის მწვალებლობა (მანიხეობა) არაბების შე-მოსევის შემდეგ მოისპო სპარსეთში, საქართველოშიაც მან თავი ვეღარ დაიჭირა და ქართველი ხალხი შემოუერთდა დი-ნარ დედოფალის ჩაგონებით მართლ-მადიდებელ ეკლესიას. მაგრამ ერთნაირი სარწმუნოება პოლიტიკურ ერთობას არ ნიშ-ნავს. ქართველები ამ დროს, თუმცა ერთის სარწმუნოებისანი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური ერთობა კი არ ჰქონდათ. სარ-წმუნოებრივს ერთობას არ შეუძლიან პოლიტიკურის ერთობის ჩამოგდება. ამისათვის მოიწადინა დინარ დედოფალმა ჰერეთის პოლიტიკურადაც შეერთება საქართველოსთან. მით უფრო რომ მას აღარც ქმარი ჰყავდა ცოცხალი და აღარც შვილი. ამ გან-ზრახვით მიიწვია იმან ჰერეთში მეფე ბაგრატი, ეს მივიდა

ჰერეთი მწვალებელი ქასრის ჟამიდამოა, ამბობს ვახუშტი. ვახუშტი არ იხსენიებს მიზეზს, რომლისა გამო ქასრე ნუშირვანმა მოიწადინა, რომ ჰერეთის ქართველებს მანიხეების მწვალებლობა მიეღოთ. მაგრამ ეს მი-ზეზი ცხადია. იმას ეწადა ქართველებშიაც სარწმუნოებრივი განხეთქი-ლება ჩამოეგდო. რადგან ჰერეთელი ქართველები ქრისტიანობაზე ხელს არ იღებდნენ, ამან ნება მისცა იმათ ამ სარწმუნოების აღვიარებისა, მაგ-რამ იმ პირობით, რომ მიეღოთ მანიხეების მწვალებლობა; რადგან ამი-სი დოღმატური სწავლა ეთანხმებოდა ზოროასტროს სარწმუნოების სწავლასა.

ამ განზრახვის აღსასრულებლად სპარსეთის მეფემ ურმიზდმა დანიშნა რანისა და მოვაკანის (განჯა და შირვანი) გამგებლად თავი-სი შვილი ქასრე ნუშირვანი, კაცი სახელოვანი ჭკუითა და პოლიტიკუ-რის გამჭრიახობით. იგი გამოელაპარაკა ჰერეთის ერისთავებს, დაჰპირდა მათ დიდს წყალობას, თუ რომ იქნებიან მორჩილნი სპარსეთის მეფისა და

თავის ჯარებით, დაიჭირა ჰერეთი და დააყენა მთავრად თავისი მომხრე აბულალი, და აქვე დასტოვა დინარიცა. მაგრამ ადგილობრივ თავად-აზნაურობას არ ეჭაშნიკა აბულალის გამგეობა და ამისათვის, წავიდა თუ არა მეფე, მაშინვე ის გააგდეს და შეუერთდენ კახეთის მთავარს დავითს. დინარი დარჩა ისევ ჰერეთში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ კიდევ შეჰყარა ჯარები და გაილაშქრა ისევ კახეთის წინააღმდეგ. იმან დაამარცხა ქორეპისკოპოზი კვირიკე, დავითის მოადგილე, დაიჭირა ხელმეორედ ჰერეთი და დააყენა ერისთავებად თავისი სანდო პირები. როცა გაბრუნდა, თან წაიყვანა იმერეთში ტყვედ კვირიკეცა, და თავის სასახლეში ჰყვანდა დამწყვდეული. მან აგრეთვე წაიყვანა დინარ დედოფალიცა, რომელმაც, ვგონებ, თვითონ აღარ ისურვა ჰერეთში დარჩენა და, როგორც ნათესავს, მეფეს თან გაჰყვა.

---

ქართველთ მეფესთან გასწყვეტენ კავშირს. დაუწესა მათ საერისთავო მამულები საშვილიშვილოდ, და დაავალა ხარკის მიცემა სპარსეთის მეფისათვის. ამ გვარის ლაქუცით მიიმხრო ქასრემ ჰერეთის ქართველები (იხ. ქართ. ცხოვრ. 161 და 164).

აი ამ დროს შეადგინეს ჰერეთის ქართველებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური საზოგადოება, და ჰყვანდათ საკუთარი სასულიერო წოდება და ქათალიკოზი მეათე საუკუნემდე, როგორც ამბობს პ. იოსელიანი (იხ. Ист. Груз. Церк. стр. 52).

ამავე დროს ქასრე ნუშირვანმა დააფუძნა კავკასიიში სამი სახანო: თაბასარანისა, დერბენტისა და შირვანისა (იხ. Исторія Грузіи Баратова, тетр. II, стр. 55 და 66). ყველა ეს ცვლილებანი მოახდინა (საქართველოს აღმოსავლეთ მხარის ქართველ ხალხის ცხოვრებაში სახელოვანმა) ნუშირვანმა 485 წლიდგან 531 წლამდე.

მაგრამ ჰერეთი არ იყო ნაწილი შირვანის სახანოსი. ის შეად-

ასე ამ სახით დაგვირგვინდა სარწმუნოებითა და პოლიტიკურად შემოერთება ჰერეთისა საქართველოსთან დინარ დედოფლის გამჭრიახობით. რაც მამა-კაცებმა ვერ მოახერხეს რამდენიმე საუკუნის განმავალობაში, ის ერთმა დედა-კაცმა მოაგვარა, თუმცა კი მის განზრახვას ჰერეთის თავადობა ეწინააღმდეგებოდა (იხ. ქართ. ცხოვ. I ნაწ. გვერ. 197 და 210; II ნაწ. გვ. 97). ასრეთი ძლიერი იყო უწინდელი ქართველი დედა-კაცი; ასეთი მოსურნე იყო ის სამშობლო ქვეყნის დიდებისა და კეთილ-დღეობისა; ასეთი ძლიერი მოწადინენი იყვნენ ქალები ქართველი ხალხის ერთობისა, რომ ერთობით გამტკიცებული ხალხი და მისი სამშობლო ქვეყანა შეურყეველი ყოფილიყო მტრისათვის.

ქართლი, კახეთი, იმერეთი და აფხაზეთი რომ შეერთდენ და ასე ამ სახით საქართველო რომ გაძლიერდა, მაშინ საბერძნეთს ელდა ეცა. იმას არ ეჭაშნიკა ქართველების ერთობა და

---

გენდა თავისუფალს პოლიტიკურს საზოგადოებას. აქ არ იყო ამ დროს დაყენებული მეფე. ნუშირვანმა განათავისუფლა აქაური თავადობა მხოლოდ ქართველთ მეფეთა დამოკიდებულებისაგან და მისცა ყველას ნება, ვისაც როგორც სურს, ისე განაგებდეს თავის წილ-ხდომილ მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხსაო.

მაგრამ 787 წელს, ქართლ-კახეთის მეფე ჯუანშერი რომ მოკვდა, აქაურმა ერისთავთ-ერისთავმა, გვარად ბაგრატიონმა, დაიჭირა სრულიად ჰერეთი და მეფედ დაჯდა. ამის სამეფოს შეადგენდა ოთხი მაზრა: 1) საერისთავო ხორნაბუჯისა, 2) ვეჯინისა, 3) მაჭისა და 4) შტორისა. პირველი შეიცავდა ქიზიყს და გარეთ კახეთს, ალაზანსა და მტკვარს შიგნით; მეორე—ქიზიყის საძლვარს ზეით მიწა-წყალს თურდოს ხევამდე, ალაზნის გაღმა მხრივ, რომელსაც შიგნით კახეთს ეძახიან ველისციხითურთ; მესამეს შეადგენდა მაჭიმჩაის ქვეით (მაჭის წყლის) ალაზნის აღმოსავლეთი მხარე და აგრეთვე შექი (ანუ შაკიხი) და ხუნწახი; მეოთხეს—მიწა-წყალი შტორის ხევიდამ მაჭის წყლამდე, რომელსაც აგრეთვე გაღმა-მხარს ეძახიან და აგრეთვე დიდოეთი ანუ [illegible]ღოდახი ჭიაურითურთ.

კეთილ-დღეობა. ვასილიმ და კონსტანტინემ დაუწყეს საქართვე-
ლოს მტერობა. ასტყდა ბერძნებსა და ქართველთ შორის ბრძო-
ლა. დიდ ხანს ჟლიტეს ერთმანერთი. ბოლოს დაჯდა იმპერა-
ტორად რომანოზ არგირი. იმან დაატყო, რომ ქართველები
არ უთმობენ და გაიყვანა საქართველოდგან თავისი ჯარები.
მაგრამ ეს დროებითი მშვიდობიანობა არ იყო საკმაო. საჭი-
რო იყო მკვიდრი ერთობა ქართველებსა და ბერძნებს შუა.
ამ საქმეს შეუდგა ბაგრატ მეფის დედა მარიამი. «შეიმოსა
სიმხნე და ახოვანება და წარვიდა კონსტანტინეპოლს წინაშე
რომანოზ იმპერატორისა.» აი რას ეუბნება იმას მარიამი:
გთხოვ და გევედრები, ხელმწიფეო, ინებოთ და ბრძანოთ, რომ
აღარ იყოს ბრძოლა ქართველებსა და ბერძნებს შუა. ჩვენც
ქრისტიანები ვართ, მართლ-მადიდებელნი, თქვენც. სჯულის
წინააღმდეგია ჩვენ მიერ ერთმანერთის ხოცვა. რა კეთილი და-
ეყრება ან თქვენს ხალხს, ან ჩვენსას, ჩვენს შორის რომ ბრძო-
ლა იყოს. სჯობია დავამშვიდოთ საბერძნეთი და საქართველო.
ჩვენ ერთი-ერთს შორის ბრძოლით გლახაკთა და დავრდო-
მილთაც ვუშლით მყუდროდ ცხოვრებას. ეს არ არის კარგი:
წინააღმდეგია ჩვენის სჯულისა, რომელიც გვიბრძანებს მივ-
ცეთ გლახაკთა და ღარიბს ხალხს შემწეობა, რომ იცხოვრონ
მშვიდობიანად. დააწყნარეთ, დაამშვიდეთ ორივე სამეფო, რომ
ხალხმა იშრომოს და იცხოვროს ქრისტიანულად. თუ კი წი-
ნათ ქართველთა და ბერძენთ შორის ძმობა და ერთობა იყო,
რატომ ახლა აღარ შეიძლება ეს სასურველი მშვიდობიანობა
ჩვენ შორის? უბოძეთ ჩემს შვილს კურაპალატობა, რო-
გორც ძველად იცოდნენ ხოლმე იმპერატორებმა და ჩამოაგ-
დეთ ერთობა; და რომ ერთობა უფრო მტკიცე იყოს ჩვენ

შორის, გთხოვ აგრეთვე ბაგრატ მეფეს მისცეთ ცოლად ასული ვასილი იმპერატორისა.

იმპერატორს მოეწონა დედოფლის რჩევა და მოხდა შერიგება. ბაგრატს მისცეს კურატ-პალატობა და დანიშნეს ელენეზე, რომელიც ამავე წელს მოვიდა ქუთაისში და 14 წლის მეფეზე ჯვარი დაიწერა; მაგრამ საუბედუროდ მალე მოკვდა. ეს ამბები მოხდა 1032 წელს.

მაგრამ მარიამ დედოფლის მოქმედება ამით არა თავდება. ამის შემდეგაც ის ზრუნავს საქართველოს გაძლიერებისა და დიდებისათვის.

1045 წელს ბერძნებმა მოიწადინეს სომხეთის დაჭერა. იმათ გაიტყუეს კონსტანტინეპოლში სომხების მეფე გაგიკ მეორე და აღარ გამოუშვეს თავის სამეფოში. სომხებმა რომ შეუტყვეს ბერძნებს სურვილი მათი ქვეყნის დაპყრობისა, სამს თარაფად გაიყვნენ. ერთს უნდოდა დავითი უმიწა-წყლოსი გამეფება, მეორეს—აბულ-სევარისა, რომელიც სიძე იყო დავითისა; მესამეს სურდა ბაგრატის მეფობა. უკანასკნელმა გაიმარჯვა. მოვიდნენ საქართველოში ბაგრატთან სომხების ვექილები (депутація). მეფემ მაშინვე გაგზავნა ჯარები და დაიჭირა ანის ქალაქი. აი აქ ჯარებს უკან გაჰყვა მარიამიცა. ამან აუხსნა სომხებს, რომ ბაგრატს უფრო ეკუთვნის სომხების მეფობა, ვიდრე სხვას ვინმეს, ამისათვის რომ ის ნათესავია სომხეთის მეფეებისაო.

სომხეთის საქართველოსთან შემოერთების მიზეზისა გამო კიდევ დაიწყო მტრობა ბერძნებსა და ქართველთ შორის. მაგრამ საბერძნეთი იმოდენად ვერ ავნებდა საქართველოს, როგორც ლიპარიტ ორბელიანი, რომელიც ჩამოემტერა ბაგრატ მეფეს იმ მიზეზით, რომ უკანასკნელმა თათრების ემირს ჯა-

ფარს არ წაართვა თბილისის ქალაქი. ბერძნებს თვითონ რომ არ შეეძლოთ ვნოთ რამე ბაგრატისთვის, ლიპარიტს აქეზებდნენ და ჯარითაც შემწეობას აძლევდნენ, რომ მას ჩამოეგდო სამეფო ტახტიდგან ბაგრატი და გაემეფებინა მისი ძმა დიმიტრი, გიორგის მეორე ცოლისაგან ნაყოლი. ქართველები იბრძოდნენ მათის მეოხებით, მაგრამ ხან ერთი მხარე სძლევდა, ხან მეორე. ამ გვარმა ყოფა-ცხოვრებამ ძალიან შეაწუხა საქართველო, მით უმეტეს რომ ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდა და ბოლო არ ეღებოდა.

რადგან ამ ძმათა ერთი-ერთ შორის ბრძოლაში ბერძნები ძლიერ შველოდნენ ლიპარიტს, ამისათვის 1050 წელს მარიამ დედოფალმა აიყვანა თავისი შვილი ბაგრატი და წავიდა ხელმეორედ კონსტანტინეპოლში. იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ისინი პატივით მიიღო, მაგრამ არც თხოვნა აღუსრულა მათ, აღარც საქართველოში დაბრუნების ნება მისცა სამ წლის განმავლობაში.

საქართველოში მიჰხვდნენ, რომ მეფესა და დედოფალს ბერძნები სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევენ და ლიპარიტის მხარე უჭირავთ. მაშინ ბაგრატის ცოლმა დედოფალმა ბორენამ, მისმა დამ გურანდუხტმა და იმერეთის თავადობამ ლიპარიტი შეირიგეს. იმას მისცეს მეფის შვილი გიორგი და თან გააყოლეს საპატრონებლად და აღსაზრდელად მამიდა გურანდუხტი; მაგრამ მიიყვანეს თუ არა ის ქართლში, ლიპარიტმა აღარც აცივა და აღაც აცხელა საქმე—მაშინვე გიორგი მეფედ აკურთხებინა რუისის საყდარში.

მაგრამ ბაგრატის ცოლისა და დის შერიგება გულითადის სურვილის შედეგი არ იყო. მათ ჰსურდათ დროებით დაემშვიდებინათ ლიპარიტი და მეფე და მისი დედა მარიამი რო-

გორმე დაებრუნებინათ საქართველოში. იმათი წინათვე შეადგინეს ქართლისა და მესხეთის თავადობასთან შეთქმულობა, რომ დაბრუნდეს თუ არა საბერძნეთიდგან მეფე, მაშინვე დაიჭირონ ლიპარიტი და მისი შვილი იოანე და პყრობილი წარუდგინონ მეფესა.

ლიპარიტმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ეს ხაფანგი მისთვის იყო დაგებული. იგი სრულიად დამშვიდებული, კმაყოფილებით სტკებოდა, რომ ბაგრატს მტრობა გაუწია: ჩამოაგდო ქართლის ტახტიდგან და გაამეფა მისი შვილი.

როცა ასე დამშვიდდა ის და დაარხეინდა, მაშინ გურანდუხტმა, რომელიც ქართლში იყო გიორგისთან მის ყურისსაგდებლად, მისწერა მალვით წერილი იმპერატორს კონსტანტინე მონომახს, შევრიგდით ლიპარიტთან და მეფეთაც ქართლში მისი შვილი გიორგი დავსვითო: ახლა გთხოვთ ბაგრატი და მარიამი გამოუშვათო. იმან აღუსრულა წადილი. ბაგრატი განთავისუფლებული იქმნა და მოვიდა იმერეთში თავის დედითურთ.

ამის შემდეგ სულა კალმახელმა და მესხეთის თავად-აზნაურობამ დაიჭირეს ლიპარიტი და მისი შვილი იოანნე. გურანდუხტმა რომ შეიტყო მისი დაჭერა, ბრძანა მისი ახალ-ქალაქში მიყვანა და იქ დამწყვდევა. მერე თითონაც და გიორგიც იქ მივიდნენ და დაიბარეს მეფე ბაგრატი, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა და ჩააბარა ლიპარიტი და იმისი შვილი.

ასრე დაიხსნეს დედა-კაცებმა თავიანთი მეცადინეობით საქართველოს ერთობა ხიფათისაგან; მაგრამ მათი სამსახური სამშობლოს წინაშე უფრო მეტის ყურადღების ღირსად გვეჩვენება, უკეთუ წარმოვიდგენთ რომ, თუ გურანდუხტი არ გაერეულიყო ბაგრატ მეფისა და ლიპარიტის ბრძოლაში, საქარ-

თველო ორად გაიყოფებოდა. ქართლ-კახეთისა და სამცხე-საა-თაბაგოს მეფედ ხდებოდა გიორგი, როგორც ეწადა ლიპა-რიტს, იმერეთ-აფხაზეთისა—ბაგრატი და ასრე დაირღვევოდა კაცებისაგან ის ერთობა ქართველთა ერისა, რომელიც დედა-კა-ცებმა დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ დააგვირგვინეს ბაგრატ მესამის დროს, რომელიც პაპა იყო ამ ბაგრატ მეოთხისა[1]).

ამის შემდეგ საქართველო უფრო და უფრო ძლიერდება. მის სამეფო ტახტზედ ავიდა ახლა ძლიერი დედა-კაცი თა-მარი. ის იყო საქართველოს მთიები და დიდება. მის დროს საქართველოში აენთო ისრეთი ლამპარი განათლებისა, რომ-ლის მსგავსი კავკასიის ერს სხვა დროს არ უნახავს: სამეფო გაძლიერდა პოლიტიკურად, სწავლა-განათლება აღორძინდა და ცხოვრება გაიფურჩქნა ტურფად შემკულ თაიგულივით. მაშინ-დელი წესი და წყობილება, მაშინდელი დიდება საქართველოსი დღესაც სასიქადულო მოსაგონია ჩვენთვის. დღესაც ოხრავს ქართველი კაცი და ქალი მაშინდელი დროისათვის: სწადიან დაიბრუნოს იგი დრო ნეტარი, დრო ქართველთ დიდებისა, თავისუფლებისა, განათლებისა, მაგრამ გაჰქრა ის დრო და სრულიად მოგვიკლა სიცოცხლის ძალა კორთების ქვეშ დაჩაგრულ ბედმა. აღარ ანათებს ქართველთ სამშობლოს ქრისტიანული სწავლა-განათლება ქართულს ენაზე; ყველა ჩა-ნელდა, ჩაჰქრა და მხნეობა ქართველთა ერისა თითქმის და-დუმდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამქრალი და წაშლილი კვალი თამარ დედოფლის დროინდელი ზნისა და მიმართუ-ლებისა. გაღვივებული ცხოვრების ალი, მართალია ჩანელდა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ გამქრალა. წარსულ ცხოვრების

---

1) იხ. ქართ. ცხოვრება, კაბადონები, 221, 226, 227 და 228

დველფში მოიძებნება კიდევ ნაპერწკლები, რომლითაც შეიძლება ისევ აენთოს დიდებულის ცხოვრების ლამპარი. და უკეთუ ბედი ისე დაგვჩაგრავს, რომ შეუძლებელი გახდება ძველებური ქებული მხნეობა და ქველობა კვლავ აღსდგეს ჩვენში, ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ კვლავ თავი იჩინოს, იმას მაინც უნდა ვცდილობდეთ, რომ შევიტყოთ, როგორი იყო ეს ნაქები ცხოვრება ქართველთ ერისა, რა მიმართულება ჰქონდა თამარ დედოფლის დროინდელს საზოგადოებას საქვეყნო საქმეში, ქართველს ქალსა და კაცსა. მართალია, რაც აქამომდე ჩვენ ვთქვით დედა-კაცებზე და, რაც ისტორიული ცნობანი მოვიხსენიეთ, საკმაოდ არ მიგვაჩნია დასახატავათ ქართველის ქალის პოლიტიკურ ცხოვრების სურათისა; მართალია, ამისათვის საჭიროა ფაქტები, რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით საკმაოდ არა გვაქვს; მაგრამ, რაცა გვაქვს, ჩვენ ვგონებთ საკმაოდ გვიჩვენებს დედა-კაცების მიმართულებას, მათს ზნეს, ლტოლვილებას, საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას და მათს გამჭრიახობას.— ხოლო პირველ-ხნობით ესეც უნდა ვიკმაროთ ჩვენის ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

რომ კარგად გავიგოთ თამარის ჭკუის გამჭრიახობა და სახემწიფო ნიჭი, უთუოდ საჭიროა შევიტყოთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო იმ დროს, როცა იმას სამეფო ტახტი გადასცეს. რა იყო მართლაც ამ დროს საქართველო? რა იყო და — ის, რომ ამ ქვეყნის ყოველი კუთხე მოფენილი იყო ეკლესიებითა, ყოველს ხეობას ჰყვანდა თავისი ეპისკოპოზი, ერისთავი. ყოველ კუთხეში იყვნენ მთავრები და მოხელეები. ამ მთავრებს ჰყვანდათ თავისი ჯარი და კარის მღვდელი: აქვნდათ საკუთარი ეკლესია, სასაფლაო, მონასტერი და ფლება ბატონობისა და თავის წილ-ხვედრ სამფლობელოში

მეფის დაუკითხავად საქმის დაჭერისა და გამგეობისა [1]). მეფე იყო ერის მოთავე და ბატონი ბატონთა შორის. მას ემორჩილებოდნენ მთავარნი ისრე, როგორსათაც ევროპაში ვასალები გოროლებს. მეფის სახელი, როგორც ერის მოთავისა, მხოლოდ მაშინ ისმოდა ხმა მაღლა ხალხში, როცა გარეშე მტერი ემუქრებოდა სამეფოს, რომლის ნაწილს შეადგენდა თავადთა დედულ მამულიცა. მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ მთავარნი თავის ჯარებით და ბარგი-ბარხანით (მარქაფით) და უერთდებოდნენ მეფის ჯარებს, რომლის რიცხვიც შეადგენდა სამ-ოც-ათ-ასსა, რომ საზოგადო მტერი აეშორებინათ ხოლმე თავიდგან საშობლო ქვეყნისათვის. [2]) მართალია, ისინი ემორჩილებოდნენ მეფეს და აძლევდნენ ხარჯს, მაგრამ ამის გარეშე ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ თავიანთ სამფლობელოში. მათ ხელში იყო ქვეყნის გამგეობა, სამართალი და ლაშქარნი. ყველა მედიდურობდა და თავისთავს ქვეყნის ბატონათ რაცხდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ უცხო ქვეყნებში მთავრებს მეფის პატივს აძლევდნენ. «ამისათვის, ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, «მრავალნი ისტორიკოსნი ძველნი შესცდეს და ივერიის მამასახლისთა რომელთამე სწერდეს მეფობის სახელით და სხვათა მთავრებად» [3]) ერთის სიტყვით საქართველოში იყო უმაღლესი მაგისტრატურა და მოთავედ ითვლებოდა ის კაცი, რომელსაც ერქო მეფე; მაგრამ ზნეობითი და პოლიტიკური კავშირი მაზრებისა ძალზე ეკიდა. ამის დარღვევას ერთი შებერვის მეტი არა უნდოდა-რა.

---

[1]) იხ. ვახუშ. გეოგრაფია, გვერ. 12.

[2]) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 10, 12 და 14.

[3]) იხ. ისტორ. მისი გვ. 87.

ამ გვარი სამეფო წყობილება იყო იმ დროსაც, როცა თა-
მარი გამეფდა. მთავრებსა დ̃ მეფეთ შუა ისეთი მტერობა იყო
ჩამოვარდნილი, რომ საჭირო იყო ძლიერი მკლავი, რომელ-
საც უნდა აელაგმნა გაბრაზებული თავადობა და არ მიეცა ნე-
ბა მათთვის ერთმანეთის ჟლეტისა და ამასთანავე დაეცვა მე-
ფის სახელი და ღირსებაცა. მეფეს თავგასული თავადობა ეჯავ-
რებოდა დ̃ ემტერებოდა მას, თავადთ კიდევ—მეფეცა და ერთ-
მანეთიც,—ამისათვის რომ მათ შორის ერივნენ მეფის მომხ-
რენიც.

ეს მტერობა დაიწყო მეფე ბაგრატ მესამიდგან. იმან და-
ამცირა რატი ორბელიანი, ქავთარაძე და მრავალნი სხვა ქარ-
თლის თავადნი, და წინ წამოსწია თავის მომხრე მაშურიძე დ̃
მისი ავან-ჩავანი. ამას შეუდგა მეფეთა და თავადთ მტერობა
და გადაეცა შთამომავლობას. გამეფდა ბაგრატ მეოთხე. მოუ-
ვიდათ ჩხუბი ახლა ამას და ლიპარიტ ორბელიანს, რომელს
ბრძოლაშიაც ისევ ორბელიანნი დამარცხდნენ. გამეფდა დავით
მესამე აღმაშენებელი. ისევ დაიწყეს ბრძოლა ორბელიანებმა
და მეფემ. ისევ პირველებმა დასცეს ზურგი მიწას. მოკვდა და-
ვითი და გამეფდა მისი შვილი დიმიტრი. ორბელიანთ არც
ამას მისცეს მოსვენება. იმათ ეწადათ თავისი გაეყვანათ. ას-
ტყდა ისევ გვართა ბრძოლა. დიმიტრი მეფემ გაჟლიტა თავა-
დობა და ორბელიანნი, და თავისი გაიყვანა. მაგრამ ამით კი-
დევ არ გათავდა შფოთი და ცემა-ტყეპა. მოკვდა დიმიტრი,
გამეფდა ამისი შვილი დავითი მეოთხე. მოკვდა ესეც, გამეფ-
და ძმა ამისი გიორგი. აუტეხეს ორბელიანთ ამასაც მტერო-
ბა. მიიმხრეს სხვა თავადობაც და მოინდომეს გიორგისათვის
ტახტის ჩამორთმევა. გიორგიმ ეს იწყინა და მთლად გაწყვი-
ტა ორბელიანნი, გარდა სამი პირისა: ლიპარიტ ორბელიანი-

სა, ქლიგუშისა და იოანესი. ამავე დროს გიორგიმ დაამცირა სხვა გვარეულობაცა, რომელთ შორის ერივნენ ორბელიანთ მეგობარნი მხარ-გრძელნიცა [1]; გარეკა მოღალატე გვარეულთაგან მყოფი მოხელეები და თავისი მომხრე კაცები დანიშნა მინისტრებათ და მოხელეებად. აი რა იყო ამის მიზეზი:

თამარის მამა გიორგი მესამე არ იყო ტახტის მემკვიდრე; მაგრამ მისი ძმა, მეფე დავით მეოთხე რომ კვდებოდა, შვილი დიმიტრი ჯერ სამი-ოთხი წლის ბავშვი იყო. ამისათვის სიკვდილის დღეს, იმან მოიწვია თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და თავისი ძმა გიორგი და უთხრა: ვიდრე ჩემი შვილი გაიზრდებოდეს, სამეფოს გამგეობას, ჩემს სიკვდილის შემდეგ, ვაძლევ ჩემს ძმას გიორგის. მაგრამ როცა ჩემს შვილს შეეძლება მეფობა, მაშინ ბიძამ უნდა დაუთმოს იმას ტახტი. ხოლო სრულს ასაკში მოსვლამდე ჩემს შვილს დიმიტრის ვაბარებ ივანე ორბელიანს: მოუაროს და აღზარდოს სამეფოდ. ამის შემდეგ აიყვანა ყრმა ხელში, აკოცა, გამოეთხოვა დ გარდასცა ორბელიანს.

აი ეს ანდერძი დავით მეფისა შეიქმნა მიზეზად გიორგი მეფისა და თავადების ერთმანერთზე გადაკიდებისა. 1177 წელს ივანე ორბელიანს მიადგნენ კარზე რამდენიმე წარჩინებულნი დ მოაგონეს ფიცი და ანდერძი მეფისა შესახებ ტახტისა. რჩევა მოახდინეს და გადასწყვიტეს: ვიდრე გიორგი შეიტყობდეს მათს განზრახვას, დაიჭირონ იგი და მალ-დატანებით ხელი აეღებინონ ტახტზე. ამ შეთქმულობაში ერივნენ: ორბელიანი, ჯავახიანი, გამრეკელი, ჯაყელი, ამირატიანი, მხარგრძელი და ასათ გრიგოლიძე. მაგრამ გიორგიმ მალე შეიტყო, მოემზადა,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 273.

შეებს, დაამარცხა და ორბელიანთ გვარი გასწყვიტა. დანარჩე-ნები, თუმცა არ დახოცა, მაგრამ არც კეთილი დააყარა. იმათ ჩამოართვა ზოგიერთი მიწა-წყლები და სამსახურისაგანაც გან-დევნა. იმათ მაგიერად წინ წამოსწია ისეთი კაცები, რომელ-თაგან ზოგიერთნი მისივე აღზრდილნი იყვნენ და სწამდა მა-თი ერთგულება. ესენი იყვნენ: 1) ვაზირი და მწიგნობართ-უხუცესი ანტონი, 2) ამირ-სპასალარი ყუბასარ (ყივჩაყელი თათარი), 3) მეჯინიბეთ უხუცესი აფრიდონ (აზნაური) [1], 4) მეჭურჭლეთ-უხუცესი ვარდან, 5) მდივანი ჩუნჩერახი ჭია-ბერი და 6) მსახურთ-უხუცესი იოანე.

აი ასეთი არეულ-დარეულნი და ერთმანერთის წინააღმდეგ ამხედრებულნი თავადნი გადასცა გიორგი მეფემ თავის ქალს, თამარ მეფეს. ესენი ყველანი მზად იყვნენ ერთმანერთს შეჰ-ხეთქებოდენ და დაემსხვრიათ ერთი-ერთისათვის ცხვირ-პირი.

აბა, აი აქ იყო ახლა საჭირო ჭკუა და გონება, რომ სა-მეფო დამშვიდებულიყო. ახლა იყო საჭირო მეფე გენიოსური ჭკუით შეჭურვილი, რომ შეერიგებინა თავადნი, დაეწყო, და-ეწყნარებინა და მიემართნა სრულად ერის ძალ-ღონე ქვეყნის კეთილ-დღეობისა და გარეშე მტრის მოგებისათვის.

სწორედ ამ ნაირ მეფედ აღმოუჩნდა საქართველოს დე-და-კაცი, რომელსაც ერქვა სახელად თამარი და რომელმაც აღუშენა ქართველებს ისტორიულ დიდების ძეგლი.

აღვიდა თუ არა სამეფო ტახტსა ზედა «მზე-იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება, და მზეებრ მაშუქებელი სხივ-კამკამებითა» დიდებული მეფე თამარი, მაშინვე მოახდინა მთა-ვართა, თავადთა და სულიერ მამათა კრება და უთხრა სა[illegible]-

---

[1]) ესენი სამივენი მეფის აღზრდილნი იყვნენ.

ტო სიტყვა, რომელშიაც გამოხატა თავისი სურვილი და უჩ-
ვენა ერს გზა სამეფოს გამგეობისა და საქმეთა წარმოებისა,
რომელსაც ის დაადგება თავის მეფობაში.

«შიშველი გამოველ დედის მუცლიდგან და შიშველსა მე-
გულვების ამ წუთის სოფლიდგან გასვლა.» სთქვა მან სხვათა
შორის: ასე ფიქრობდა თამარი. მე მეფე ვარ, იტყოდა იგი
კვალად, მაგრამ, იცოდეთ, მე დიდების და პატივის-მოყვარე-
ობისათვის არ მიმიღია სამეფო გვირგვინი. ჩემი გულითადი
წადილი არის ერის კეთილ-დღეობა, მე მსურს, ყველას
ცხოვრება იყოს დამტკბარი, ყველა იყოს გამძღარი და ქონე-
ბის პატრონი; არავინ არ იყოს უსამართლოებით დაჩაგრული;
ყველა სიმართლით იყოს დაჯილდოვებული. მეფესაც დ მთა-
ვარსაც, ღარიბსაც და მდიდარსაც, ერსაც და სულიერთ მამა-
თაც დამნაშაობისათვის კანონი ერთ-ნაირად უნდა სჯიდეს.
«თქვენ, წმინდანო მამანო, უთხრა იმან ახლა სულიერ მამათ,
«ყველაზე უფრო უმეტესად ვალდებულნი ხართ ღირსეულად,
კეთილად და სამართლიანად მოქმედებდეთ. ღვთის განჩინებით
თქვენ ხართ მოძღვრად ჩვენდა დადგენილი. თქვენ უნდა პასუ-
ხი გასცეთ საიქიოს გამჩენს, თუ ვინმე ჩვენთაგანი თქვენის
დაუდევრობით სულს წაიწყმედს. თვალ-ყური ადევნეთ კეთილ
საქმეს, გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოის
ყოველი ნაბიჯი. სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა გან-
დევნეთ. ბოროტ-მოქმედნი პირნი არ უნდა დარჩნენ დაუს-
ჯელნი. იწყეთ მართლ-მსაჯულება პირველად თუნდა ჩემზედა,
თუ რომ ვარ დამნაშავე რასმეში. გვირგვინი, რომელიც მე
მადგია თავზე, არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინა-
აღმდეგობისა და უსამართლოებისა. ნუ მიხედავთ ნურც გვარს,
ნურც მთავართ დიდ-კაცობასა: ყველას სიმართლით მოეპყარით,

გლეხსაც და თავადსაც; ვიმოქმედოთ ყველამ ერთად ქვეყნის საერთო კეთილ-დღეობისთვის: თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით, თქვენ დარიგებით, მე აღსრულებინებით და გაწვრთნით, როგორც რიგია და როგორც უნდა. იმოქმედეთ თქვენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე, ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა მოძღვარნი, ხოლო მე ვითარცა აღმასრულებელი თქვენის დარიგებისა. და რომ ყველამ აღასრულოს კანონი, ჩვენ უშიშრად ხელი მივსცეთ ერთმანერთს და თვალ-ყური ვადევნოთ სამართლის აღსრულებას» [1])

კრებას ძლიერ მოეწონა მეფის სურვილი, სულიერ მამათ მაშინვე მოახდინეს სჯა საეკლესიო საქმეებზე, «და ვინმე ეპისკოპოსნი შესცვალეს, და მათ-წილ საღმრთონი კაცნი და მეცნიერნი სჯულისანი დასხნეს და საეკლესიონი წესნი განმართეს.» თამარმა დაამტკიცა კრების განჩინებანი და განათავისუფლა სასულიერო წოდება ხარჯ-ბეგარისაგან; და მერმე შეუდგა სხვა საქმეებს.

საფრანგეთის კოროლებს ჩვეულება ჰქონდათ — ტახტზე ასვლის დროს, ხალხს ოქროსა და ვერცხლს ურიგებდნენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჰქონდათ ქართველთ მეფეთაც. ამით ისარგებლა თამარმა: გახსნა ხაზინა, გამოიტანა «საუნჯენი მამა-პაპისანი» და მისცა ხალხს შეეწეობა. „გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“. «არა დაარჩენს ცარიელსა, არც ყრმასა და არცა ქალსა» [2]) ის არც მოიქცა მარტო ამისათვის კი არა, რომ აესრულებინა მამა-პაპათ ჩვეულება, არამედ — ხალხის გუ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 279 და 280.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 279; გეოგ. ვახუშ. გვ. 22 და ვეფხვის ტყაოსანი, გვ. 9 და 10.

ლის მოსაგებლად. «ერთგულთა და ორგულთა დასხსა წყალობა უხვებით, რათა ჟამთა საქმეთასა ერთგულნი ერთგულობითა მადრიელობდნენ, ხოლო ორგულნი უსიტყველ იყვეს მიგებისათვის უშურველად წყალობათასა.» «უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინც ორგულია.» დიახ! ის კეთილ-გონიერად და პოლიტიკურად მოიქცა. მან ღონიერ ჰქმნა გლახაკნი და ღონიერნი მდიდარ, მისცა ობოლთა და ქვრივთა კმა-საყოფელი მათი» და მით მოიგო მან ყველას გული, გაიერთგულა და შეაყვარა თავი.

ხალხის გრძნობა რაიმ მიმართა თავის ერთგულებაზე, თამარი ახლა შეუდგა სამეფოს გამგეობაში სხვა-და-სხვა ცვლილების მოხდენას. როგორც ახლანდელ მეფეებს ჩვეულება აქვთ თავის გამეფების შემდეგ გამგეობაში ცვლილების მოხდენისა,—სწორედ ამ ნაირად მოიქცა იგიცა. შესდგა ახალი სახელმწიფოს გამგეობა, სამინისტრო: 1) ამირ-სპასალარობა (ყველა ჯარების უფროსობა და სამხედრო მინისტრის თანამდებობა) მისცა სარგის მხარ-გრძელსა; 2) მანდატურთ-უხუცესი იყო ჭიაბერი, 3) მეჭურჭლეთ-უხუცესი (სასაზინო ანუ ქონებათა მინისტრი) იყო კახაბერ ვარდანის-ძე, 4) მსახურთ-უხუცესი ვარდან დიდი დადიანი, 5) ჩუხჩერახი—მარუშის-ძე, 6) ამილახორი — თორელი გამრეკელი. ჭიაბერს მისცა უფლება პორფირის წამოსხმისა, ხელში ოქროს კვერთხის დაჭერისა და სახელმწიფო თათბირში ოქროთ მოჭედილ სელზე ჯდომისა. ოქროს სელზე ჯდომის ნება უკვერთხოდა ჰქონდათ სხვებსაცა, მაგრამ ყველას კი არა. ზოგნი ისხდნენ ძირს მუთაქაზე, მეფის ტახტის მარცხნივ და მარჯვნივ.

ერისთავებად ანუ გუბერნატორებად დასვა: 1) სვანეთში ბარამ ვარდანიძე, 2) რაჭაში კახაბერი კახაბერისძე, 3) აფხა-

ზეთში დოთახოს შარვაშიძე, 4) სამეგრელოში და იმერეთში ბედიანი ამუნელისძე, 5) ქართლში რატი სურამელი, 6) კახეთში ბაკურმა მაგონისძე, 7) ჴერეთში ასათ გრიგოლისძე და 8) სამცხე-კლარჯეთში ბოცო ჯაყელი და ამასვე მისცა აქაური ჯარების სპასალარობაცა.

მეფემ მოინდომა მიქაელ ქათალიკოზის გამოცვლაცა, მაგრამ საეკკლესიო კრებამ ვერას გზით ვერ მოახერხა მის გადაყენება. მისი გამოცვლა ამისათვის ჰწადათ, რომ იმან, მეფე გიორგის დროს, კარის-კაცების შემწეობით ჭყონდიდის ეპისკოპოსი ანტონი გლოანი დაითხოვა და საქათალიკოზო ეპარხიათ აქცია იმ განზრახვით, რომ მწიგნობართ-უხუცესობა უნდა ჩაეგდო ხელში, მაგრამ ეს ეკლესიის წესის წინააღმდეგი იყო, ამისათვის სასულიერო წოდებასაც და ხალხსაც ძალიან სწყინდა ეს საქმე. ჭყონდიდის ეპარხიას წინად მუდამ თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ეპისკოპოსი ჰყვანდა. ამ კათედრაზედ ამწესებდენ იმისთანა კაცს მღვდელ-მთავრად, რომელიც შედარებით ყველა ეპისკოპოსებზე უფრო განათლებული იყო. ასეთი იყო ანტონი. „იგი იყო ბრძენი და გონიერი»; მაგრამ მტერობით, თუ უფლების მოყვარეობით, ჭყონდიდლობა და მწიგნობართ-უხუცესობა მიითვისა მიქაელ ქათალიკოზმა, რომელიც იყო ქართველი და გვარად მირიანისძე[1]). არც მეფე თამარს, არც ხალხს, არც სასულიერო წოდებას ის არ უყვარდათ. ამის-გამო მისი სიკვდილი ყველას გაუხარდა, როცა ის მოკვდა ორ წლის შემდეგ თამარის გამეფებისა. მაშინ მეფემ ისევ აღადგინა ჭყონდიდლის ეპარხია და დანიშნა ეპისკოპოსათ ისევ ანტონი, «კაცი ღირსი ქებისა,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 280

მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე, ტკბილი-მდაბალი და ერთგული მეფისა." ის იყო გიორგი მეფის გაზრდილი და ამ დროს სცხოვრებდა დავით გარესჯის მონასტერში. როგორც წესი იყო ძველადგანვე, ამასვე მისცა მეფემ თანამდებობა მწიგნობართ-უხუცესობისა. ეს თანამდებობა უდრიდა ახლანდელს სასულიერო საქმეთა ანუ განათლების მინისტრის თანამდებობას[1])

ხსენებულ კაცთა გვარნი, რომელნიც მოიწვია თამარმა თანამდებობაზე სამეფოს გამგეობისათვის, საქართველოში თუმცა წარჩინებულნი იყვნენ, მაგრამ ნამდვილია, რომ გვარიშვილობით ამათზე ნაკლებ წარჩინებულნი არ იყვნენ შემდეგნი პირნი, მაგალითად: გრიგოლიძე, აბუზაძე, აბულელი, ადარნასიანი, ასათიძე, ბაკურიძე, ბურსელი, გაგელი, ჯავახიანი, ჯუანშერიანი, დანაური, ირუფაქიძე, კაკასიძე, კარიჩიძე, კოჩიბაძე, ქობულიძე, კორინთელი, ქვენაფლაველი, ნერსიანი, ორბელიანი, სამძივარი და კიდევ სხვანი.

მაგრამ თამარმა გვარეულობას კი არ მიხედა, სახელმწიფო თანამდებობაზე რომ ნიშნავდა ახალს პირებს, არამედ ჭკუას, ცოდნას და გამოცდილებას, თუნდა რომ დაბალი გვარისაც ყოფილიყვნენ ისინი. ასეთი დაბალი გვარისა იყო მაგალითად აზნაური აფრიდონი, რომელსაც თამარმა მსახურთ-უხუცესობა არ ჩამოართვა, მაგრამ თავადებმა შურით ის მაშინვე მოჰკლეს.

რამ გამოიწვია თამარი ამ გვარად მოქმედებაზე? რამ დაატანა იმას მალე, რომ მოეხდინა ცვლილება ადმინისტრაციაში? ნუ თუ ის თავის ჭკუით მიჰხვდა, რომ ქვეყნის საკეთილ-

[1]) იხ. იქვე გვ. 293.

დღეოდ უთუოდ ასე სჯობს მოქცევაო? «ქართლის ცხოვრება» ამბობს, რომ მან გადაავლო თვალი სამეფო საქმეებს და მიხვდა, რა ესაჭიროებოდა სამეფოს, «თავის გონების სივრცით შემოიკრიბა იმან საღმრთო და საერო წესნი და იყო განგებად, ვითარცა—იგი მოჰბერვიდა სული; მიმოიხილა მახვილის ცნობითა გარემოს ყოველი, და მყის შეემეცნა, რა იყო საჭირო, რომ ყველანი ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობასაო.» [1]

ჩვენ უარს არა ვყოფთ თამარის გონიერებას, მის ჭკუის გამჭრიახობას, მის სამეფო ნიჭს, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ თამარის მოქმედება გამოიწვია მაშფოთარმა თავადობამ.

ვიდრე გიორგი მეფე ცოცხალი იყო, დამდაბლებულნი თავადნი შიშით ხმას ვერ იღებდენ; მაგრამ მოკვდა თუ არა, მაშინვე აიხსნეს ალვირი და დაიწყეს მოკლებულ დიდების ძებნა. ჯერ მეფე თამარი დასვეს ტახტზე, მერმე შეიყარნენ და უთხრეს: აღარ დავემორჩილებით ძველთა ხელის-უფალთა (ჩინოვნიკობას), რადგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ განსულ ვართ უგვაროთა და უხამთაგან» [2]. მაგრამ საქმე ამით კიდევ არ დაწყნარდა.

1177 წელს გიორგიმ ღალატობისათვის ძველი მოხელეები რომ გამოცვალა და ამირ-სპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა მისცა თავის გაზრდილს ყუბასარს, აი ეს კაცი თუმცა ჯერ ჭაბუკი იყო, უეცრად ფილენჯათ ჩავარდა; ვეღარ ხმა-

[1]) იხ. გვ. 279.

[2]) იხ. გვერ. 281.

რობდა ვერც ენასა, ვერც ხელსა და ვერც ფეხსა, და ამისა-
თვის ეუბნებოდნენ აჯანყებულნი თავადნი თამარს: გამოართვი,
რაც რამ ქონება აქვს, უძრავი თუ მოძრავი, და ჩვენ მოგვე-
ციო. მეფეს არ უნდა, მაგრამ ძალა-უნებურად ამოქმედებენ
იმას. იმან ჩამოართვა ყუბასარს ლორე-სამთავრო და სათავა-
დო და მისცა სარგის მხარგრძელს; ამასვე მისცა თანამდებო-
ბა ამირ-სპასალარობისაცა.

ამ გვარმა მეფის მოქმედებამ ახლა სხვები აალელვა. ამა-
თი მოთავე იყო ყუთლუ-არსლანი, რომელიც, როგორც ეტ-
ყობა, თათრულს სახელზე, იყო ყუბასარის ან შვილი ან ნათე-
სავი. იმან ჯარის შემწყობით ძალად დაიჭირა ამირ-სპასალა-
რობა და ეწადა ლორეს სამთავროც ჩამოერთვა სარგის მხარ-
გრძელისათვის და გამხდარიყო სომხეთის მეფედ ლორეში და
ვასსალად თამარ მეფისა. ამას და ამის თანამოაზრეთ ეწადათ
სამუდამოთ გახსნა აგრეთვე იმისთანა სასამართლოსი, ანუ კა-
მისიისა, რომლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო გამოეკვლია,
ვის რა მიწა-წყალი ეკუთვნის, ვინ არის უფრო ნამსახური,
ვის რა ჯილდო ერგება, და მერმე ყველა ესეები უნდა დაწე-
რილიყო და წარდგენილიყო თამარ მეფის წინაშე დასამტკი-
ცებლად; ასე რომ ყოველი ამ გვარი საქმე მეფის ხელ-მოწე-
რით უნდა გათავებულიყო. ასე სწადდათ მათ.

როგორც სჩანს მატიანიდამ, ბევრს არ ეჭაშნიკა ესეთი
სურვილი. ეს განზრახვა ეუცხოვა თვით თამარსაც. «ესე ვი-
თარ საწყენიცა იყო და ვითარცა შვენოდა მისსა ხელმწიფება-
სა, და სიბრძნესა და მეცნიერებასა, მგრე ეწყინა და გაიკვირვა»,
სწერია «ქართლის ცხოვრებაში.» თვით მემატიანეც თავის
მხრით ამბობს, რომ ეს წესი არის საქმე გონება-მაღლობისა და

სილაღით ქცევისაო» ¹). ამ გვარი მჴედრულობისა გამო თამარმა მაშინვე მოახდინა სახელმწიფო თათბირი თავის ერთგულ კაცებთან და გადასწყვიტეს უთლუ-არსლანის დატყვევება: ის კიდევაც დაიჭირეს. მაშინ ჯარი აღელდა. მოინდომეს სასახლისათვის გარს შემოდგომა და ძალა-უნებურად განთავისუფლება მოთავისა. ამათ შეჰფიცეს ერთმანერთს კიდეც. მაგრამ წადილი მაინც არ აღუსრულდათ. მშვიდმა და მშვიდობის მეძიებელმა თამარმა გაუგზავნა აჯანყებულებს ორნი სპატიო დედა-კაცნი: ქართლის ერისთავის რატის დედა ხუაშაქ წოქელი, მეორე—კრავაჲ ჯაყელი, რომელიც იყო დედა სამძივრისა, და უბძანა, რომ ფიცით მიენდოთ ისინი და დაერწმუნებინათ, რომ არავის მათგანს არას ავნებს. «ხოლო იხილეს რა ესე განდგომილთა მათ, მაშინვე მოჰყვეს დიდებულნი ბძანებასა პატრონისასა, მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანისცეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან, და მისცეს პირი ერთგულობისა, და ნების-ყოფისა მისისა» ²).

აი ეს ისტორიულნი გარემოებანი და თავადთა უკმაყოფილება იყო იმის მიზეზი, რომ თამარმა ძველებური, თავის მამის დროინდელი, მოხელეები გამოცვალა და ახლები დააყენა; გამოიკვლია თავადთა უკმაყოფილების მიზეზები და ყველა დააკმაყოფილა და დაამშვიდა. მას არ შეეძლო მოძულება უმაღლესი არისტოკრატიული გვარებისა, რადგან მათ ხელში იყო ძალა და იმათ კარგად ყოფნას და კეთილ-დღეობას მოსდევდა ქვეყნის მშვიდობიანობაც. საქართველოს მიწა-წყლის მომეტებული ნაწილი იმათ ხელში იყო, მეფეს და ხაზინას არ

¹) იხ. გვ. 281.

²) იხ. იქვე გვ. 282.

ჰქონდათ იმდენი მიწა, რამდენიც თავადებს ყველას ერთად; ამისათვის ისინი ძლიერ თავ-გასულნი იყვნენ. ისინი მეფესთან ერთად უვლიდნენ და განაგებდნენ ქვეყნის საქმეს; ისინი იცავდნენ სამშობლო ქვეყანას გარეშე მტრისაგან მეფის ერთობილა. უიმათოთ მეფეს არაფერი შეეძლო. ამისათვის ის ერიდება მათთან ჩხუბსა, უკმაყოფილებას და მათს წყენასა. ერთს იმათგანს მიწა-წყლის მფლობელობის უფლებას რომ ჩამოართმევდა, სხვები ამის წინააღმდეგნი ხდებოდნენ, რომ ერთისთვის სამფლობელოს ჩამორთმევით ჩვენზედაც ხიდი არ გაიდოსო, და ამისთვის, რაგინდ დამნაშავენი ყოფილიყვნენ, მეფე არ შეეხებოდა მათს სამიწა-წყლო მფლობელობის უფლებას, მხოლოდ თანამდებობიდგან გადააყენებდა და სხვა ამ გვარ ღონისძიებათა მიჰმართავდა მათ საწინააღმდეგოთ. სხვაფრივ კი თამარი თავაზიანად ეპყრობოდა მათ. მის მამისაგან დამცირებულნი თავადნი ახლა ისევ წინანდელ პატივში და უფლებაში შეჰყავს. ამით იგებს მათს გულს, იერთგულებს და აყვარებს თავს. ამასთანავე მეცადინეობს, შეარიგოს მტრად გადაკიდებულნი თავადნი; უნდა ყველა დააწყნაროს და ჩამოაგდოს მშვიდობიანობა, რადგან მყუდროება ესაჭიროება საქართველოს საერთო კეთილდღეობის საქმეს. ერთის სიტყვით იმას ჰსურს მოსპოს უთანხმოება და მტრობა თავადობაში და გახდეს სვეტად, რომელზედაც შესაძლებელი იქმნას დამყარდეს ბურჯი ქართველთ პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრებისა და ერთობისა.

ზოგიერთნი ჩვენში ამბობენ, რომ თამარს არა გაუკეთებია-რა: იმან ის მომკა, რაც სხვებმა დასთესესო. მაგრამ ეს აზრი უსაბუთო და შემცდარი აზრია. ამ დროს ქართველთ საზოგადოების მიმართულება ისეთი იყო, რომ თუ იმას ძლი-

ერი პატრონი მკლავით, ჭკუით, გამოცდილებით და მხნეობით თავს არ დასდგომოდა, არ შეეძლო მშვიდობიანად, ერთგულობით ეცხოვრნა და ემოქმედნა. თამარის გამეფებამდე ქართველთ საზოგადოება ბედის მოვარველობით ძლიერ თავს გასული იყო. ამაყი სული ქართველი კაცისა იყო გართული სამშობლო ქვეყნის სიმშვენიერითა და წინაპართა ვაჟ-კაცურის ცხოვრებითა. იმათ წინაპართ ისე დაშინებული ჰყვანდათ გარეშე მტერნი, რომ ამ ჟამად ქართველობას «ცა ქუდათ მიაჩნდა, დედა-მიწა ქალამნად.» იმას მოსწონდა თავისი თავი და თაყვანსა სცემდა მამა-პაპის ვაჟ-კაცობას. თავადობა სცხოვრებდა ქალაქებს გარეთ კოშკებში და სცხოვრებდა «არიარალითა», და ახსოვდა მხოლოდ ხმალი, ხანჯალი და ცხენი. ახალ-გაზრდანი გატაცებულნი იყვნენ თავის ოცნებებითა. ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს კარგის ტანისამოსით, მარჯვე ქცევით, აღტაცებულის საუბარით, და ეძებდნენ შემთხვევას, რომ გამოეჩინათ სიმარდე, სიცქვიტე და სიყოჩაღე. ყოველს გასაჭირს შემთხვევაში ამ დროს ქართველი ჭკუას არ ეკითხებოდა. როგორც გული ეტყოდა, ისე მოქმედებდა მისი ჭკუა, ფეხ-მარდობა და მკლავის სიმარჯვე, ჯირითობა და ბურთაობა, კარგი ცხენი და იარაღი, გულოვნება და ვაჟკაცობა, უშიშრობა და მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლა იყო პირველი გულითადი სურვილი ქართველი კაცისა. ყველა ეძებდა შემთხვევას, რომ თავი ესახელებინა და თავი გამოეჩინა თვის ტოლ-ამხანაგობაში, და ღირსი გამხდარიყო ტაშის კვრისა და ქებისა.

ხალხის ამ გვარს მიმართულებას ესაჭიროებოდა გზა-გასავალი. საჭირო იყო ძლიერი ჭკუის პატრონი, რომ ასე თავ-გასული ხალხი ჯერ შეეყარა ერთად, ჩაეგონებინა ყველასთვის სარგებლობა თანხმად ერთად მოქმედებისა, დაერწმუნე-

შისა ყველა, რომ ქვეყნის კეთილ-დღეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ისინი მტკიცედ იმოქმედებენ საყოველთაო ბედნიერებისათვის. მერმე მეომართა ეს შეერთებული ძალა მამაცი ხალხისა სამეფოს გასაძლიერებლად. ასეთი პირი იყო მეფე თამარი. იგი იყო ბურჯი, რომელსაც გარს შემოეხვია ქვეშევრდომთ ერთგულება და სიყვარული. იგი იყო სვეტი, რომელზედაც დამყარდა ბურჯი ქართველ ხალხის ერთობისა. მან ისეთი გავლენა იქონია ხალხზე თავის წყნარის ხასიათით, კაცთ-მოყვარეობით, დამნაშავეთ შეწყნარებით, გულ-კეთილობით, ღარიბ ხალხისთვის შეწევნის მიცემით, ჭკუით და სამართლიანობით, რომ ყველა ერიდებოდა ცუდ-კაცობას, რომ ეს საწყენად არ დარჩენოდა მისგან გაღმერთებულ მეფეს.

აი აქ არის თამარის დიდება, აქა სჩანს მისი ჭკუა და გამჭრიახობა, ის ძალა, რომელმაც აღაყვავა მის დროს საქართველო. მისი გენია მიხვდა, რა ნაირად უნდა მოქცეულიყო, რომ ქართველ ხალხის მიმართულებას ეპოვნა გასავალი გზა, რომ იგი შესდგომოდა სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ეროვნული ცხოვრების აღყვავებას, სამეფოს გაძლიერებას და დიდებას. აი აქ არის მისი გენიოსობა და ის ჯადოქრობა, რომელიც ამოქმედებს ქართველებს ერთად მტრის წინააღმდეგ ქვეყნის საკეთილ-დღეოდ.

ქართველთა სიამაყე უფრო განცხოველდა, როცა აღვიდა მზეთ-უნახავი თამარი სამეფო ტახტზე, როცა ის შეამოსა მეფურის პორფირითა. მისმა მშვიდობიანმა, წყნარმა ხასიათმა, კაცთ-მოყვარეობამ, მშვიდობიანობის და ერთობის მეძიებლობამ და მთვარესავით გაბადრულმა მისმა სახემ ქართველებს თავ-ბრუ დასხვია. იმან შეჰყარა თავის სასახლეში დიდებულთ კაცთ ცოლები, პოეტნი, ეპისკოპოსნი, წარჩინებულნი და დი-

დებულნი კაცნი, და ახალ-გაზრდობას თავზე ხელს უსვამდა. მას ჰყვანდა სასახლეში აგრეთვე მრავალნი თავადნი და აზნაურნი, რომელნიც «დარბაზის ყმად» იწოდებოდნენ [1]). სასახლეში ჰყვანდა აგრეთვე მრავალნი ქალნი, რომელთაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ჭრა-კერვას. ამათი ზედამხედველი იყო «დიასახლისა» [2]).

ეს ახალ-გაზრდობა ქმნიდა შემთხვევას მამაცობა გამოეჩინა, რითმე თავი ესახელებინა და ღირსი გამხდარიყო თამარის ლამაზის ხელებით ტაშის კვრისა და ქებისა. იქნება თვით თამარიც თავის მხრით ქმნიდა ქებას და მადლობას თავის ქვეშევრდომთაგან. მისი ჭკუა-გონება იყო დატვირთული იმ ცოდნითა, სწავლითა, გამოცდილებითა და ზნითა, რაც იყო ამ დროს ქართველობაში. ის იყო მოწამე მამის დროინდელი ცხოვრებისა; და აქ გამოიკვანძა მისი მსჯელობა, რწმუნება, ხასიათი და მიმართულება. ამისათვის ყველასთვის უეჭველი უნდა იყოს, რომ ყოველი მოქმედება, განკარგულება, განჩინება და ცვლილება სამეფოს ცხოვრებაში იყო გამოწვეული საზოგადოების მდგომარეობისა, მიმართულებისა და მოთხოვნილებისაგან.

თამარმა რომ დაამშვიდა საზოგადოება, შეარიგა გადამტერებულნი თავადნი, გაარიგა შინაური საქმეები, შეირიგა და შეარიგა ყველანი და შეაყვარა თავი, ჩაუნერგა ყველას ტახტის ერთგულება და თანხმობით ერთად მოქმედების სურვილი სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა და დიდებისათვის, მაშინ მიაქცია ყურადღება სამეფოს სამძღვრებს და მტერთ შეშინებას და ქართველთადმი პატივის-ცემის ჩაგონებას, მაგრამ აი აქედ-

[1]) იხ, ქართ. ცხოვ. გვ. 288,

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 282.

გან შეუდგა იმას ცხოვრებაში დავიდარაბა და სამეფოში ღალატობა და შფოთი. ის იყო დედა-კაცი და ლაშქრიანობაში ვერ აიტანდა იმდენ ჯაფას, რამდენსაც კაცები. მის ნაზს ბუნებაში იყო გენიოსური ჭკუა, იგი თავის გავლენით ყველას ერთად აკავშირებდა, მაგრამ ბრძოლაში კი მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. ამ მიზეზისა გამო 1189 წელს შეიყარა ჯარი, თავადობა, კარის-კაცნი, მღვდელ-მთავარნი და უთხრეს თამარს: რადგან ჩვენს მეფეთა გვარში შენს მეტი აღარავინ დარჩენილა, და შენცა ჯერ არც ქმარი გყავს და არც სხვა ვინმე მამა-კაცთაგან ნათესავი, რომ ჯარს წინ მიუძღოდეს მტრის დასამარცხებლად, ამისათვის გთხოვთ ქმარი შეირთოთ და მოგვცეთ წინამძღვრად ჩვენდა. ეს მათი განზრახვა მან ძლიერ შორს დაიჭირა და ძლიერ გაუკვირდა. იმან ისეთი გონიერება გამოიჩინა ამ შემთხვევაში, რომ ქართველობაში მისებრი გონიერი ამ დროს არავინა სჩანს. ის ყველასა ჰსჯობია ჭკუით, გონიერებით და ცოდნით. ქართველებს ჯერ სასიძო არ უნახავთ და ეუბნებიან იმას: შეირთე ქმრად რუსთ - ხელმწიფის შვილი გიორგი; მაგრამ ის უპასუხებს: კაცნო! ვითარ ღირს, შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნად. არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა, არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ, ვიდრემდის განვიცადოთ ყოველთა სიკეთე გინა სიდრკე მისი: ამ მშვენიერმა სიტყვებმა იქონიეს გავლენა. შეერყათ სურვილი რუს გიორგის ქმრად მოყვანაზე. მოიწადინეს საბერძნეთის იმპერატორის ძმის-წულის ალექსიზე-ჯავარის დაწერა მისი. ეს პირიც ამ დროს საქართველოში იყო, მაგრამ ეს აზრი ბოლოს უარ-ჰყვეს, ამისათვის რომ იგი ნათესავი იყო თამარისა. ამავე დროს აქ იყვნენ ოვსთა მეფის შვილნიცა. დაუბ-

რუნდნენ ისევ რუს გიორგის, მოიყვანეს ყივჩაყიდგან და ჯვა-
რი გადასწერეს თამარს; — თავისუფალს მეფეს ამ შემთხვევაში
არ შეეძლო თავისუფლად და თავის ნებაზედ მოქცეულიყო;
რადგან ქმრის შერთვას სთხოვდა მთელი ერი. იმას უნდა აეს-
რულებინა ერის სურვილი სამაგალითოდ თვის ქვეშევრდომთა,
რომ მცირენი უფროსთ ემორჩილებოდნენ და შვილნი მამათ
წინააღმდეგნი არ იყვნენ. იმას, მართალია, არც მამა და არც
დედა ახლა ცოცხალი აღარ ჰყვანდა, მაგრამ მათ ნაცვლად იყ-
ვნენ მთელი ერი და ქათალიკოზი. ესენი სთხოვდნენ მორ-
ჩილებას და ისიც, თუმცა არა ჰსურს გიორგი ქმრად, ემორ-
ჩილება ერობით საზოგადო სურვილს; ითრგუნავს საკუთარს
გრძნობას და აღიარებს ერის უფლებას უმაღლესს ხელმწიფებად.
მაგრამ საზოგადოება ტყუოდა წინაშე თავის მეფისა. მალე
დამტკიცდა, რომ იგი საზოგადოება, სცდებოდა, როცა ერის
სურვილს უმორჩილებდა კერძო ადამიანის გრძნობას—სიყვა-
რულს. თამარ «წყნარი, ნარნარი, ცნობიერი და გონიერი» სას-
ტიკად დასჩაგრა საზოგადოების დაყინებულმა თხოვნამ, შე-
ერთო მას ის, ვინც არ ეპრიანებოდა. არ შეიძლებოდა კაცის
მიმართულების შეუტყობლად მასზე ჯვარის დაწერა. ორ წელ-
ნახევრის განმავლობაში რუს გიორგიმ გამოიჩინა თავისი ბუ-
ნების და ჭკუის მიმართულება. იმან დაიწყო მთვრალობა, ბო-
როტ საქმეთა ჩადენა, ჩხუბი და უწესოება და «სოდომურიცა
ქცევა მოიპოვა.» თამარმა ბევრ ხანს უთმინა და მიუჩინა ქა-
თალიკოზი და წარჩინებულნი კაცნი, რომ დაარიგონ და მო-
აქციონ კეთილს გზაზე, მაგრამ ვერას გზით ვერ გააკეთილ-
შობილეს მისი ქცევის გზა-კვალი. ამისათვის ჰრცხვენოდათ
თამარისა იმათ, ვინც მას პირველში ძალა დაატანა გიორგი
რუსის ქმრად შერთვაზე; ერთმანეთს აყვედრიდნენ და ემდუ-

როდნენ, რომ არ გაუგონეს პირველში თამარს. რომელიც კიდევ ითმენდა ავს ქმარს. ბოლოს თამარი, როცა ორი უზრალო კაცი დასაჯა გიორგიმ, მოთმინებიდგან გამოვიდა და განკიცხა ის თავის სახლში და მერმე ასე უთხრა: «თუმცა ვიცი საღმრთო წერილით, რომ ცოლი არ უნდა გაეყაროს ქმარსა, მაგრამ შენ არცხვენ და ჰბილწავ კაცის გვამს, რომელიც არის ტაძარი ღვთისა; და მე არ შემიძლიან მრუდის ხის აჩრდილის გასწორება, და უბრალოდ განვიყრი ტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ». ხალხმა გიორგის მოკვლა მოინდომა, მაგრამ თამარმა დაატუსაღა გარყვნილი ქმარი, მისცა საგზალი, ჩასვა ნავში და ზღვა-ზღვით გაგზავნა საბერძნეთში ტუსაღად (1192 წელს).

თუ მართლაც, როგორც ამბობს ქართლის ცხოვრება, ისრე აღელვებული, გაბრაზებული და გაჯავრებული იყო თავადობა და ერი გიორგიზე, რომ მისი ნაკუწ-ნაკუწად ქცევა უნდოდა, მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მომეტებულმა მისმა ნაწილმა, ჯერ არ იყო გასული ერთი წელიწადიც მას აქეთ, რაც გიორგი გააგდეს, თამარს უღალატა და მოინდომა ისევ რუსის გამეფება, როცა ეს უკანასკნელი, ტყვეობიდამ გამოქცეული, მოვიდა საქართველოს საბერძნეთის ჯარით და ლამობდა დაკარგული ტახტის დაბრუნებასა. რა იყო, ან ვინ იყო ამის მიზეზი? ნუ თუ თამარი სტყუოდა გიორგის წინაშე? რით დაამტკიცა თამარმან, რომ გიორგი მართლაც დამნაშავე იყო? ქართლის ცხოვრება ამბობს: «ვაზირთა და დიდებულთა უგრძნეს ესე» გიორგისო. საიდგან? როგორ? ნუ თუ იმით მიჰხვდნენ გიორგის ცუდად ქცევას, რომ ორ წელ ნახევრის განმავლობაში თამარს შვილი არ გაუჩნდა? სრულიადაც არა. ამაში დამნაშავე თვითონ თამარი იყო. იმან გიორ-

გი არ მიიკარა ახლოს. იმას ეწადა, როგორც სთქვა პირველ-შივე, ჯერ შეეტყო გიორგის მიმართულება, ხასიათი, ჩვეუ-ლება და ზნე და მერმე, თუ მოეწონებოდა, ქმრად ეთვისა. ამის მოწადინე იყო მისი გამზრდელი რუსუდანიცა, მისი მა-მიდა, რომელსაც, ჩემის აზრით, არ ეწადა პირველშივე გიორ-გის მოყვანა თამარის ქმრად. არ უნდოდათ აგრეთვე იმ თა-ვადთაცა, რომელთაც საბერძნეთის პრინცის ალექსის ქმრობა ჰსურდათ. რუსუდანს კი არც ალექსი უნდოდა, არც გიორგი და ეწადა თამარის ქმრად თავისი შვილობილი დავით სოსლა-ნი, გვარად ბაგრატიონივე. რათა? რისთვის? პ ი რ ვ ე ლ ა დ ამი-სათვის, რომ ამ დროს თამარს არავინ არა ჰყვანდა მამა-კაც-თაგან ნათესავი თავის გვარისა და ეს იყო მემკვიდრე საქარ-თველოს ტახტისა, მ ე ო რ ე დ—ის იყო მოყვანილი საქარ-თველოში გიორგი მეფის სურვილით, რომ მეფედ დაესვათ; ამ მიზეზით ამ დროს ოსეთიც საქართველოს სამეფოს შე-მოუერთდა [1]).

---

[1]) «ვეფხვის-ტყაოსანის მეხუთე თავში ნათქვამია:

«ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა, მზისა დარსა,
ქმუნვა ჰქონდათ, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა.
ვაი კრული დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა»
მეფემან ჰსთქვა: «შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა».

«მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა ქმნათად.
და მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად».

აი ეს დავით სოსლანი—ტარიელი უნდოდა რუსუდანს თამარის ქმრად და ამასაც ეს ეწადა, ამისთვის რომ მამა-კაცთაგან ბაგრატიონ

აი ეს დავით სოსლანი ეწადა თამარსა და ამისთვის გიორგი არ მიიკარა ორ წელ ნახევრის განმავლობაში, რისა გამო იმას არც შვილი გაუჩნდა. იმას უნდა ეცადნა სამი წელიწადი, როგორც სწერია ვეფხვის-ტყაოსანში, შეენახა თავისი თავი უმანკოდ, რომ დაუჭკნობელი შეჰყროდა თავის საქმროს—დავითს. ხალხის გადმოცემა ამბობს, რომ ვიდრე თამარი მეორე ქმარს შეირთავდა, ისრეთი წმიდა და უმანკო იყოვო, რომ ლოცვის დროს მიწიდგან ერთ არშინზე მაღლა ჰაერში იდგაო. მისი ქალწულება, ვგონებ, მოჩანს იმის (თამარის) ამ სიტყვებშიაცა: «მოწამე არს ჩემდა ღმერთი, არასოდეს ყოფილა გულსა ჩემსა წადილი ქმროსნობისა და ქორწინებისა. არცა პირველ და არცა აწ. რომ იყოს ვინმე მკვიდრი საყდრისა ამის ჩემისა, რომელი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერმე მშობელთა ჩემთაგან, არც ახლა ვისურვებდი, და კიდევაც ვარ ამისი მოაჯე» ¹).

---

გვარში ეს იყო საქართველოს ცახცის მემკვიდრედ. თვითონ დავითიც ამის მოწადინეა.

«ერთი-ღა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია;
ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
დღესამდი ცახცი უჩემოდ არავის არ მონდომია».

რადგან ასრეთი სურვილი ჰქონდა რუსუდანს, და პირველში არ აღუსრულდა, ამისათვის გიორგის ქორწილში არ დაესწრო, და გიორგი რომ გააგდეს, მერმე ის საიდაღაც მოიყვანეს და სთხოვეს, რომ თამარისათვის დავითი ქმრად შეერთო. ის მაშინვე თანახმა გახდა, ჯვარი დასწერა თამარს თავის გაზრდილზე, ქორწილი გადახადეს დიდუბეში, და მასპინძლად იყო თვით რუსუდანი, რომელმაც პირველ ქორწილში მონაწილეობა არ მიიღო. (იხ. ქართ. ცხოვ. გვერდ. 285, 286, 291, 292 და 293).

¹) იხ. გვერდ. 292.

ერთის სიტყვით თამარი რომ მართალი ყოფილიყო იმაში, რაშიაც გიორგის ამტყუნებდა, მაშინ თავად-აზნაურობა მას არ უღალატებდა. მართალია, გიორგი იქნება მართლაც ითვრებოდა, როგორც რუსი კაცი, იქნება სასტიკიც იყო, იქნება უწესოთაც იქცეოდა, მაგრამ, ვგონებ ამის მიზეზი თვითონ თამარი იყო. გიორგი არ უყვარდა იმას და ამისათვის, როგორც უბედურ კაცმა დაიწყო მთვრალობა და უწესოება. გიორგი რომ სრულიად მტყუანი არ იყო, ამას ამტკიცებს თავად-აზნაურობის ღალატობა. ჯერ ერთი წელიწადი არ იყო გასული, რაც თამარმა დავითზე ჯვარი დაიწერა, შავ-ბედით გიორგის აღმოუჩნდნენ მომხრენი. ის რომ სრულიად მტყუანი ყოფილ-იყო, იმის დაბრუნებას და გამეფებას არ მოიწადინებდნენ: იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, შავშეთი და კლარჯეთი. ეტყობა მთლად არ იყო მართალი თამარიცა. მართალია, მოთავე ამ საქმისა იყო გუზანი, აბულასანის შვილი, იმ აბულ-ასანისა, რომელმაც პირველად ურჩია ქართველებს გიორგის თამარისთვის ქმრად მოყვანება ყიფჩაყეთიდგან და იქნება თავდებადაც დაუდგა, რომ არას გავნება რაო, ოღონდ კი მოდი თამარზე ჯვარი დაიწერეო, და ახლა, ის რომ გააგდეს, — წაესარჩლა, მაგრამ მაინც არ არის დასაჯერებელი, რომ თვალი დაეხუჭა ქართველობას და ისრე მიმხროდა გუზანს ყოველის ფრით გარყვნილი კაცის გასამეფებლად. ეტყობა გიორგისაც ჰქონია რამე სიმართლე და სიკეთე. თამარის მოღალატეთა ის მოიყვანეს იმერეთში და გეგუთში სამეფო ტახტზე დასვეს.

რუსის პარტიას შეადგენდნენ გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, ბოცო ჯაყელი, რომელსაც სამცხის სპასალარობა ჰქონდა, მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი, ორ-

ბელიანნი, პატრონი ორბეთისა და კაენისა, სვანეთის ერისთავი ბარამ ვარდანის ძე, რაჭის ერისთავი კახაბერი კახაბერის ძე, აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე და აგრეთვე იმერეთი.

გუზანი, აბულ-ასანის შვილი, ვსთქვათ, როგორც ყიფჩაყელი თათარი, მიემხრო გიორგის ამისათვის, რომ ისინი ორივენი ერთის მხრის კაცები იყვნენ და გიორგის საქართველოში მოსვლაც მისის მამის აბულ-ასანის რჩევით მოხდა [1]). მაგრამ რა მიზეზით უღალატეს თამარს ქართველებმა? რაში ამტყუნებდნენ თამარს? ისინი თამარისაგან დიდ ამაღლებულნი და დასაჩუქრებულნი იყვნენ მიწა-წყლითა, და ამ მხრით არ შეეძლოთ იმათ სამდურავი ეთქვათ. რაღაცა სხვა მიზეზი უნდა ყოფილ-იყო ამ ღალატობისა; მაგრამ ამაზე ლაპარაკს ვსწყვეტ ახლა და გადავდივარ იმ კითხვაზე: როგორ მოიქცა თამარი ამ გასაჭირს დროსა?

თამარმა რომ შეუტყო ღალატობა, არ დაჰკარგა ჭკუა-გონება, ის არ შეშინდა და არ გაიქცა მთებში. ის მხნედ და უშიშრად დაუდგა წინ განსაცდელს. დაიწყო აჯანყებულთ დამშვიდების ღონის ძიება. გულ დამშვიდებით, აუჩქარებლად იმან შემოიკრიბა ჭკუა-გონება და შეუდგა აჯანყების მიზეზების გამოკვლევას. «სიტყვითა ოქრო-ნექტარითა მართლად იკითხედა მიზეზსა,» ამბობს «ქართ. ცხოვრება». ის უგზავნიდა მაშფოთრებს ხან თევდორე ქათალიქოზს, ხან ანტონ ჭყთათელს და ჰკითხავდა იმათ ღალატობის მიზეზს; გზავნიდა აგრეთვე სხვა ეპისკოპოსებს, თავის ვაზირს ეჯიბს (ადიუტანტს) და მესტუმრეს (церемоніймейстеръ); მაგრამ მოღალატენი არავითარს მიზეზს არ ამბობდნენ.

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 284, 286, 294 და 297.

ამის შემდეგ თამარი შეუდგა აჯანყებულების დამშვიდების საქმეს ხმლის ძალითა. იმან უბრძანა ამირ-სპასალარს გამრეკელს საჩქაროდ შეეყარა ერთგული ჯარები. ასეთივე ბრძანება გაუგზავნა ოთხთავე ძმათა მხარ-გრძელებს, თორელებს და კიდევ სხვებს, ვინც თავის ერთგულად მიაჩნდა. ამავე დროს თამარის ქმარმა, დავით-სოსლანმა, საჩქაროდ შეადგინა თავისთვის ლაშქარი კახეთისა და ჰერეთის თავად-აზნაურთაგან; ამათში ერივნენ ყივჩაყელნი თათარნიც, რომელნიც შეჰყარა ქართლის თავადობამ და აგრეთვე იყო დიდი გუნდი მთელი კავკასიის მთიურ ხალხებისა. ჯარები ჯერ შეგროვდნენ ჯავახეთში, საიდგანაც, თამარის ბრძანებით, უნდა შეეტყოთ წინააღმდეგთა ძალა, მერმე მოვიდნენ და დადგნენ ბორჯომის ხეობაში ერთის მტკვარზე გადებულის ხიდის ყურზე, სადაც ხეობა თავდება და ქართლი იწყობა. ხიდის ერთი მხარე დაიჭირეს თამარის ჯარებმა, მეორე—მისმა მოღალატეებმა. აქ მოუხდათ ომი, მაგრამ იმ დღეს ღამემ მოუსწროთ «და წყალისა შუა-ყოფამან» გააშველა. იმ ღამეს მოღალატეთ ითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ თამარის დამარცხება არ შეგვიძლიანო და ამისათვის უკან უნდა დავიხიოთ, დავიჭიროთ კარგი მაგარი ადგილები და მერმე როგორმე ღალატობით დავამარცხოთ მისი ჯარებიო. მაგრამ დილით თამარის ჯარებმა რომ ნახეს მტრის უკან დაწევა, გაიარეს ხიდი, გაუდგნენ უკან და თმოგვსა და ერუშეთს შუა ნიალის ველზე შეიქმნა კიდევ ომი. დაალყარეს ერთმანერთს ისრები, წაუშინეს ხმლები და ახეთქეს ჭოროლები. თუმცა ორივე მხარე თავ-განწირულად და გაბრაზებით იბრძოდა, მაგრამ მხნე გამრეკელმა და მხარ-გრძელებმა, რომელთაგან ივანე დაიჭრა, დაამარცხეს მეფის მოღალატენი,

და მრავალი მათგანი დაატყვევეს; მაგრამ თამარმა «არა-რაი ავნო, არცა სიკვდილითა და არცა დაკოდითა.»

თვითონ თამარი ამ დროს, როცა ესენი იბრძოდნენ, თავის ქმრის დავითისაგან ქართველებისა, კახელებისა, ჰერეთლებისა, ყივჩაყელებისა და კავკასიის მთიურ ხალხებისაგან შედგენილ რაზმით, სადღაც მახლობლად იდგა. აი აქ მოაჭენა ცხენი სარგის ვარდანისძემ და ახარა თამარს მოწინააღმდეგეთა დამარცხება და სრულიად გაბნევა მათის ჯარებისა. მეფე დიდს აღტაცებაში მოიყვანა ამ ამბავმა და «მიმცემელმან ღვთისა ჯვროვანისა მადლობისამან, ნახნა თვისნი მოყმენი პირითა ბრწყინვალითა და გულითა სახიერითა და თვალითა ტკბილითა.» მაგრამ დიდ ხანს არ გასტანა სიხარულმა. თურმე ნუ იტყვით, იმ რაზმს, რომელიც თამარს გარს ეხვია მცველად, განზრახვა ჰქონდა, თუ გიორგი გაიმარჯვებდა, აეკლოთ მთლად ქართლი და თამარი და დავითიც გაეტაცნათ კავკასიის მთებში. პირველად თამარმა ეს ვერ შეატყო იმათ, და სიხარულით არც ყურადღება მიუქცევია ჯერ-ჯერობით იმათთვის, მაგრამ მერმე რომ შეჰხედა იმათ და ნახა, რა მწუხარება იხატებოდა მათ პირის სახეზედ, ძლიერ შეწუხდა, ჩაჰკიდა თავი, აღარა უთხრა-რა, დ დაითხოვა ეს ძნელად მისანდობელი გუნდი კავკასიის მთიურ ხალხებისა და სხვათა ახალთა მოღალატეთა [1]).

თამარისაგან მოღალატე ჯარების დამარცხებას ახლა სხვა ცუდი საქმეები მოჰყვა. მოღალატეთ ერთმანერთს დააბრალეს შეცდენა, მოუვიდათ ჩხუბი: ზოგმა თავისი ღვიძლი ბიძა მოჰკლა, ზოგმა დასტოვა თავისი მამულ-დედული და ციხე-სიმაგრეები და გადიხვეწა უცხო ქვეყანაში; ზოგმა სჯულზე ხელი

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 296.

ხილო და გადაიკარგა სამშობლო ქვეყნიდგან, ზოგნი ყელზე საბელ მობმულნი მოვიდნენ და შეურიგდნენ მეფე თამარს [1]).

ნურავინ იფიქრებს, ვითომც თამარი სასტიკი ყოფილა, არა ჰქონია დედობრივი გულ-შემატკივარი გრძნობანი, უწყალოდ უტანჯნია თავისი მოღალატენი და ამისათვის, ვითომც ისინი ეხვეწებოდნენ იმას და ეაჯებოდნენ შებრალებას. სრულიადაც არა. «ქართლის ცხოვრება» ამბობს, რომ თამარის დროს «არცა-ვინ დასჯილა სიკვდილის ღირსთაგანი, არცა-ვის, სამშობლოდგან განდევნის ღირსთა, ჩამორთმევიათ ღირსებანი, (?) არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკვეთილ იქმნა, არცა სიბრმითა დაისაჯა, ამისათვის რომ ის ვერაგობით არ განაგებდა სამეფოს, არამედ სიბრძნისა წინამძღომითა, სიმართლითა და უმანკოებითა, იაკობის სიმშვიდითა და აბრაამის სიუხვითა, მოწყალებითა იესო ღვთისა მსგავსითა, და სამართალისა მისისა მობაძვითა» [2]).

თამარის ასრეთის ტკბილს და კაცთ-მოყვარე ხასიათს ამტკიცებს თვით მოპყრობაც მოღალატეებისადმი. მე არ მახსოვს კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მეფე, რომ თამარზე უფრო სულგრძელი ყოფილიყოს. გასაკვირველია, მაგალითად, რომ თამარმა დაიჭირა გიორგი რუსი, მაგრამ არაფერი ცუდი არ შეამთხვია და დიდის დიდებით გაისტუმრა ისევ სამეფოდგან. აგრეთვე არავითარი ვნება არ მისცა იმერეთს, აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭას, გურიას, რომელთაც თამარს უღალატეს, გიორგი რომ დამარცხდა. ამ მაზრების მცხოვრებნი მოვიდნენ და შეურიგდნენ თამარს, ისეთი ჭკვიანი და გო-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 296.

[2]) იხ. იქვე გვ. 324.

ნიჟრის ძლევა-მოსილი თამარი, რომ ამ შერიგებას ის თვითონვე სთხოვს დამარცხებულს მოღალატეთ. ის მოდის გორის მაზრაში, ნაჭარმაგევს, რომელიც ძველადგანვე მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო და ახლა სოფელია და სახელად ჰქვიან კარალეთი [1]). აქ მოდიან მასთან მოღალატე თავადთაგან კაცნი და სთხოვენ შერიგებას. შუაში შემოდიან დედოფალი რუსუდანი, თამარის გამზრდელი, ქათალიკოზი, ჭიაბერი მანდატურთ-უხუცესი და «სხვა ეპისკოპოსნი.» ესენი თავდებად უდგებიან მოღალატეთ, რომ არა გავნებათ რა და ისინი მოდიან ნაჭარმაგევს და ურიგდებიან სულს-გრძელს, მშვიდობის მოყვარეს და სამშობლო ქვეყნის ბედნიერების მსურველს მეფე თამარს. «შეიქმნა მშვიდობა, და ერთობა და სიხარული, რომელი არასოდეს ვის უხილავს» [2]).

მაგრამ ერთად ერთი კაცი კიდევ არ ისვენებდა და არღვევდა მშვიდობიანობას და ამწარებდა თამარს. ეს კაცი იყო გუზანი, რომლის მამასაც თამარმა, როცა გამეფდა, მისცა ქართლისა და თბილისის ამირობა [3]). ამ კაცმა, თუმცა თამარმა დიდი სიკეთე უყო: «ძველთა მეფეთა და ტაოელთა დიდებულთა ადგილთა დაადგინა», მაინც კიდევ უღალატა. ის თუმცა მოინათლა, გული მაინც თათრისა ჰქონდა. მას რადაცაზე გული ეთანაღრებოდა: «განდგა, და გაიტანა ტაოს-კარი, ვაშლოვანი და სხვანი ციხენი მრავალნი და წარვიდა (მცირე აზიაშია) ქვეყანასა შაერმანისასა.» შაერმანმა გუზანი პატივით მი-

---

[1]) იხ. ვახუშტის გეოგ. გვ. 250.

[2]) იხ. გვ. 297.

[3]) იხ. გვ. 284.

იღო, რადგან იმას ეწადა ტაო-კლარჯეთის გადაქცევა თურქების სავასალო სამფლობელოდ. ამის თანახმა იყო სვე-უბედური გუზანიცა. შაჰრმანმა გამოგზავნა კიდეც თათრის ჯარები კლარჯეთის ციხეებში ჩასაყენებლად. მაგრამ თამარ ფხიზელმა არ მოითმინა ეს საქმე. გაგზავნა იქ მაშინვე სარგის თმოგველი ჯარებით, რომ მან არ შემოუშვას თათრები. ამან დაამარცხა მცირედის რაზმით შაჰრმანის ჯარები და გუზანის ცოლ-შვილიც დაატყვევა. ამის გამო ასტყდა მცირე აზიის თურქებისა და თამარს შუა მტერობა, და რით გათავდა ის, ამას მერმე მოვიხსენებთ, ახლა კი დავასრულებ გუზანის ამბავს. ამან თავისი წადილი ვერ აისრულა და ცოლ-შვილიც წაართვეს, და დაიწყო «კოლას სადამე მთათა შინა ავაზაკობა მალვით». ერთხელ იმას მოასწრეს ბალახის მთიბავებმა, დაიჭირეს და მოიყვანეს დავით-სოსლანთან. რადგან ამან იცოდა თამარის დიდი შებრალება და მოწყალება, ამისათვის აღარ დაეკითხა იმას და თვალები დასთხარა, და ამით დასრულდა მისი ისტორიული მნიშვნელობა [1]).

ამ კაცის ისტორიულ ასპარეზიდამ ჩამოცლის შემდეგ, თამარს შინაური მტერი აღარა ჰყავს. საქართველო დამშვიდდა. ყველამ გაიგო და იცნო მეფის ძალ-ღონე და სიძლიერე. მართლაც რომ გასაკვირველია ამ დედა-კაცის საქმე. აღვიდა სამეფო ტახტზე თუ არა, მაშინვე თან აჰყვა მას უბედურება. მან ნახა მრავალჯერ ღალატობა. მას არ აკლდა ოჯახშიაც, როგორც უკვე ვნახეთ, უბედურება, სიმწარე და უსიამოვნება. რა ძალა, რა ზნე, რა მიმართულება და ხასიათი ჰქონდა ისეთი, რომ მან ყველა აიტანა, გული არ გაუტყდა, არ დაიჩაგრა და

---

[1]) იხ. გვ. 324.

ბოლოს ყოველს ბრძოლიდგან ძლევა-მოსილი გამოვიდა. ის იყო ობოლი. იმას ახლო აღარ ჰყვანდა არც მამა, არც დედა, არც ძმა, არც ბიძა და არც არავინ სხვა თავის გვარის კაცი — ნათესავი, გარდა მოხუცებული რუსუდან დედოფლისა, რომელმაც გაზარდა და ასლა დედობას უწევდა. არის კიდევ ერთი ვიღაცა დედა-კაცი სასისაგან ნაყოლი და «რეცა სახელ-დებული შვილად მეფისა», მაგრამ რა არის თამარისა, არა სჩანს. მხოლოდ იმ დროს, როცა თამარს ლაშა-გიორგი გაუჩნდა, მაშინ ვიღაცა ქალმა ძღვენი მოართვა რუსუდან დედოფალთან ერთად და აი აქ არის ის წოდებული უსახელოდ თამარის დათ [1]. მაგრამ ჰშველოდნენ თუ არა კსენი იმას სახელმწიფო საქმეებში, არა სჩანს. მართალია, პირველში რუსუდანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქმეებში, მაგრამ, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ის მოხუცებაში შედის და აღარა სჩანს ისტორიულს ასპარეზზედ. რჩება მარტო თამარი და ის თავის ღონიერის ჭკუითა და მხნეობით იცავს სახელმწიფოს ერთობას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ «დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელა ხარი ვერ აჯობებსო.» არამც თუ «ცხრა უღელა ხარმა», არამედ მთელმა სახელმწიფოებმა და შინაურმა მოღალატეებმა თამარი ვერ დაამარცხეს და გული ვერ გაუტეხეს. იგი დიდის ჭკუითა და კეთილ-გონიერებით, დარიგებითა და შენდობით ებრძოლა შინაურს მტერს, დაამარცხა, შეარიგა ყველანი და ჩამოაგდო ერთობა და ძმობა. არასოდეს, არცერთ მეფის დროს არ ყოფილა იმდენი შინაური ღალატი, აღრეულობა და შფოთი, რამდენიც იყო თამარის დროს. ამასთანავე შეთქმულობა და ღალატი, რომელიც მის დროს მოხ-

[1] იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 290 და 298.

და, განირჩევა წინანდელსა და შემდგომს ამ გვარს შემთხვევათაგან მით, რომ იგი შეთქმულობა და ღალატი, დიდის წინდახედულობით იყო შემდგარი. ამას წინაც და მერმეთაც, მართალია, თითო-ოროლა თავადიშვილი ტურასავით გამოვარდებოდა და ამღვრევდა საზოგადო ცხოვრებას და არც საშიში იყო ხოლმე, ხოლო მაშინდელ ღალატობაში მონაწილეობას იღებენ მცირე-აზიის თურქთა სულთნები და საქართველოს წარჩინებულნი და სახელოვანი პირნი, როგორნიც იყვნენ მაგალითად: დადიანი ვარდან, სპასალარი ბოცოს ძე ბოცო ჯაყელი, გუზანი, ერისთავი კლარჯეთისა და ტაოსი [1]. მაგრამ თამარს მაინც ვერაფერი დააკლეს აჯანყების მომხრეებმა. იმან ყოველიფერი აიტანა, არ დაუთმო არავის ტახტი, არ მისცა ნება საქართველოს ერთობის დარღვევისა; ყველა მაგრა მობღუჯა მეფურის უფლებით შეჭურვილ და შემოსილ მკლავის სიძლიერითა.

აბა ვინ იტყვის, ამაების ჩამდენს დედა-კაცზე, რომ იგი არ იყო ძლიერი, დიდი და სახელოვანი მეფე; რომ მას თვითონ არაფერი გაუკეთებია: იმან მოიმკა მხოლოდ ის, რაც მისმა წინა-პრებმა დათესესო. ამის თქმა ცოდვაც იქნება და უსამართლობაც. მას გადმოსცეს არა კეთილად გაწყობილი სამეფო, არამედ დომხალივით არეულ-დარეული წყობილება სამეფოსი, სადაც ერთი ალმა ჰხნავდა, მეორე—დალმა, ერთი—წალმა, მეორე—უკუღმა. მაგრამ თამარის ღვაწლი და დიდება ჯერ კიდევ სად არის სრულად მოხსენებული. როცა შინაური ცხოვრება დააწყნარა, ჩამოაგდო ქართველობაში ერთობა, მშო-

---

[1]) იხ. გვ. 312.

ზა და სიყვარული, მაშინ მან მიაქცია თავისი გამჭრიახი გონება სამეფოს კეთილ-დღეობას და გაძლიერებას, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, მიაქცია ყურადღება სამეფოს სამძღვრებს და გარეშე მტრებს.

შლ. დიმ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

# არაგვს.

მშვიდობა შენდა, არაგვო!
მიიღე ჩემი სალამი!...
პირველად გხედავ და მსწრაფლად
აღიძრა ჩემი კალამი.

თითქო მცნეს: ამბორს მიყოფენ
შენი ბუჩქები, ტყე-ველი,
მეცნობა შენი დუდუნი,
მისთვის რომ მე ვარ ქართველი.

მე ქართველი ვარ: შენს ნაპირს
მჯდომსა ბევრ შხამსა მაგონებ:
ისეც დამწვარ გულს, არაგვო,
კიდევ მწარ ფიქრებს ამონებ.

მე მესმის შენი ბუტბუტი,
ხმა ტკბილი—სიტყვა მწარია.
შენ ამბობ: «ქართველს ჩემს ნაპირს
რად არ გდის ცრემლთა ღვარია?...

«მაგრამ ნორჩი ხარ—არ იცი
რამდენ სიმწრის ვარ მნახველი...

ჩემს ნაპირებზედ ებრძოდა
მოსისხლე მტერებს ქართველი.

«ხელს ბასრი ხმალი ეჭირა—
ოცს ერთი ხოცდა მტერებსა!
მაგრამ მილიონს ათასი,
მითხარ, ვით მოიგერებსა?...

«თავისუფლებას იცავდა:
არ აკლო, ჰქონდა რაც ძალა,
მაგრამ მამაცი ქართველი
ბოლოს მტრის რიცხვმა დასძალა.

«დაიქცა სისხლი ქართველთა—
შეღებეს ჩემი ზვირთები:
აი მოწამე კლდეები,
გარშემო მწვანე ეგ მთები...

«ვინ მოსთვლის, რამდენ ქართველის
სისხლს შეუღებავს ნაპირი,
მაგ ადგილს, სადაც შენ ზიხარ!...
ამის მომგონე არ სტირი?...»

კმარა, არაგვო! ხომ ხედავ
ჩემს თვალებს ცრემლით ავსებულს?
კმარა მეტს ნუღარ მაგონებ,
ნუ მიკლავ მეტად გლახსა გულს...

მშვიდობით! შენთან ბასსი
აროდეს დამავიწყდება...
გვლავცა თავს დავდებთ ქართველნი,
რომ დავიბრუნოთ დიდება!

სილოვან.

არაგვის ნაპირს.
1881 წ. 15 ივნისს.

# ციხე შიგნიდამ გატეხილი.

(შემდეგი.*)

## ნაწილი მესამე.

### თავი პირველი.

#### თათბირი მონტევიდეოში.

გთხოვთ მკითხველო, წამოგვყვეთ ლაპლატის ჩრდილოეთის ნაპირზედ, სადაც მიდის ჩვენი რომანის ერთი თავი და თავი გმირთაგანი.

ეს იყო ივლისის ბოლონდელს რიცხვებში.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა ლაპლატს და მთვარეც თავის ვერცხლის ფერის სხივებით ანათებდა ისპანიის მდინარის ტალღებს. ორასამდის გემი დასცურაობდა ზღვის ნავთ-საყუდარში.

შორს, ცის დასავლისკენ მოჩანდა მდინარის ტალღებზე მოთამაშე ხომალდი. ეს ხომალდი მიდიოდა ბუენოს-აირესიდამ მონტევიდეოში. ამ ხომალდში ოთხი კაცი იჯდა. ერთი ამათგანი, გახვეული დაუსველებელს მანტიაში, იცქირებოდა ქალაქისკენ, რომელიც განათებული იყო მთვარის სხივებით.

---

*) «ივერია» № 6, 1882 წ.

მართლაც ქალაქი მშვენიერი დასანახავი იყო, მაგრამ ჩვენი მოგზაურის თვალს იმის სიმშვენიერე არ იზიდავდა; 1840 წელს ქალაქი მონტევიდეო იყო ტაძარი თავისუფლებისა და განათლებისა, სადაც ბუენოს-აირესიდამ გაქცეული განდევნილები აფარებდნენ თავს და აქედამ მოქმედობდნენ როზასის წინაამდეგ.

— «აქაური მცხოვრებლები სრულის თავისუფლებით არიან დამტკბარნი. აქ კაცს არ ჰკითხავენ სადაურია, არამედ ჰკითხავენ რა იცის და რის ნიჭი აქვს. სადაურიც უნდა იყოს აქ მოსული კაცი, მართებლობა მასაც ისე მფარველობს, როგორც თავის საკუთარს ქვეშევრდომებს, რისათვისაც იგი გამდიდრდა და გაძლიერდა. არგენტინის* დიქტატორი ცდილობს დაურღვიოს მას მყუდრო ცხოვრება და თავისუფლება — და ამისთვისაც ყველა ისინი შეერთდნენ ერთად და უსათუოდ შელეწენ როზასის დიქტატორობას.» ამ ფიქრის დროს ყმაწვილი კაცის ცოცხალი თვალები იცქირებოდნენ ქალაქისაკენ, რომელიც ეხლა შორს აღარ იყო.

— როგორ ჰფიქრობთ, დუგლას, ქალაქი კიდევ შორს არის? ჰკითხა ყმაწვილმა პასსაჟირმა და გასინჯა საათი, რომელიც ღამის მეათე საათის ნახევარს აჩვენებდა.

— არა, ბატონო დონ-დანიელ, ახლოს არის, მიუგო ანგლიურის კილოთი იმ კაცმა, რომელსაც ჰკითხავდა დანიელი, — ჩვენ მალე ამ სიმაგრის მარჯვნივ გავუხვევთ და მივალთ.

— ეს რა სიმაგრეა?

— სან-ხოზეს ციხეა.

— განა ნავთ-სადგური ახლო არის?

— დიაღ ახლო არის.

ხუთი წამის შემდეგ დანიელ წყლის ნაპირას იდგა და

ისწორებდა ტანისამოსს. მერე გაჰყვა უკან დუგლასს, რომელმაც, მისცა რა ჯეროვანი განკარგულება თავის ქვემევრდომებს, უთხრა დანიელს.

— აქ ამ სახლში, ბატონო.

— კარგი, შენ ტრაქტირში მომიცადე, — რა ჰქვიან იმ ტრაქტირს?

— «გემების» ტრაქტირი.

— დიდ, იქ. ჩემთვის ოთახი დაიჭირე; იქნება ღამე აქ მოგვიხდეს დარჩომა.

— მაგრამ როგორ წახვალთ? ქუჩები არ გეცოდინებათ...

— აქედამ წამომყვება გზის მაჩვენებელი.

— გინდათ პირველად მე ვიკითხო, შინ არის ის კაცი, რომლის ნახვაც გინდათ, თუ არა?

— საჭირო არ არის; თუ შინ არ იქნება, მოვუცდი. თქვენ თქვენთვის წადით.

დუგლასი წავიდა. დანიელმა დააკაკუნა კარები და კარების გამღებს მოსამსახურეს ჰკითხა:

— შინ არის ბატონი ბიუშე-დე-მარტინი?

— შინ გახლავს, ბატონო, და დაათვალიერა დანიელი თავით ფეხამდის.

— მაშ გაისარჯეთ და ეს ამ წამშივე გადაეცით, უთხრა დანიელმა და მისცა მოსამსახურეს ვიზიტის კარტოჩკის ნაჭერი, რომელიც ნიშანი იყო მათის ნახვისა.

ცოტა ხნის უკან მოსამსახურე დაბრუნდა და სთხოვა დანიელს შინ შესულიყო.

დანიელმა დასტოვა პერედნაში მანტია, პალტო და დამბაჩები, გაისწორა თმა და შევიდა ზალაში, სადაც ბატონი მარტინი იჯდა და კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს.

საფრანგეთის აგენტი, ჯერ ისევ უმაწვილი კაცი, არ აშორებდა თვალს დანიელის გამომეტყველს სახეს.

დანიელმა ღიმილით დაუწყო ფრანცუზულად ლაპარაკი:

— თქვენ იქნება გიკვირთ, რომ მე, თქვენი ძველი კორესპონდენტი ჯერ ისევ ასე უმაწვილი ვარ, უთხრა დანიელმა.

— დიახ, მაგრამ ისე ეგ არ მაკვირვებს, როგორც თქვენი შორს-მხედველობა, ბატონო... უკაცრავად, რომ სახელს არ გეძახით: თქვენი სახელი ჩემთვის ჯერ ხომ საიდუმლოა.

— რომელიც თქვენთვის ეხლავე გამოცხადდება, ბატონო; წერილებში ჩემი სახელის გამოცხადება არ შეიძლებოდა, ეხლა კი, როდესაც პირის-პირ გხედავთ, ჩემის სახელის გამოცხადებისა არ მეშინიან: მე მქვიან დანიელ ბელო.

ბატონმა მარტინიმ ზრდილობიანად დაუკრა თავი და სთხოვა დამჯდარიყო.

— მე თქვენ მოუთმენლად მოგელოდით, ბატონო ბელო, შემდეგ თქვენის წერილისა, რომელიც 21 ივლისს მივიღე.

— ოცს ივლისს წერილი მოგწერეთ და გთხოვდით ერთად მოლაპარაკებას 23 ივლისს და დღესაც სწორედ 23 ივლისია, ბატონო მარტინი.

— თქვენ დანიშნულს პირობას არ გადასცდებით ხოლმე.

— პოლიტიკური საქმეები თხოულობენ ვადაზედ პირობის შესრულებას, ბატონო. მე დაგპირდით ოც-და-სამს მონტევიდეოში მოსვლას,— და აი აქა ვარ; მე უკანვე უნდა წავიდე ბუენოს-აირესში და მივიდე ოც-და-ხუთს ამ თვისას ღამის მეთორმეტე საათზედ და სწორედ ასეც იქნება.

— სხვა, ახალი ამბავი რა იცი, ბატონო ბელო.

— სასიამოვნო არაფერი, ბატონო მარტინი, ბრძოლა წაუგიათ.

— არა, სულაც არა.

— არა გჯერათ? ჰკითხა დანიელმა გაკვირვებით.

— მართალია, ოფიციალურად ჯერ არაფერი ვიცი, მაგრამ როგორც კერძო წყაროებიდამ ვიცი, არა მგონია თუ ბრძოლა წაეგოთ.

— მაშ თქვენა გგონიათ, რომ გამარჯვება გენერალს ლავალეს დარჩა?

— არა, ეგ არა მგონია; მაგრამ ის კი ვიცი, რომ მებრძოლთ ტყუილ-უბრალოდ დაუღვრიათ სისხლი.

— სცდებით, ბატონო, მიუგო დანიელმა ისეთის დაჯეშმარიტებით, რომ მარტინის გაუკვირდა.

— მაგრამ თქვენ იმ ცნობების მეტი ხომ არა იცით-რა, რომელნიც ბუენოს-აირესში გქონებათ შეკრებილი და რომელნიც როზასის სასარგებლოდ ვრცელდებიან.

— თქვენ გავიწყდებათ, ბატონო მარტინი, რომ აგერ ერთის წლის განმავლობაში მე გაგებინებდით თქვენ ბუენოს-აირესის მდგომარეობას და როზასის კაბინეტის საიდუმლოებას. თქვენა სცდებით, ბატონო, თუ ჰფიქრობთ, რომ მე იმისთანა მძიმე საქმეს, როგორც ბრძოლის წაგებას, ვამყარებდე მხოლოდ ქუჩებში გავრცელებულს ხმებზედ. როზასის გენერალის ეჩაღუეს მოხსენება, რომელიც ეხლა თან წამოვიღე სრულიად ამტკიცებს ჩემს აზრს.

— ეხლა აქა გაქვთ ის მოხსენება, ბატონო? ჰკითხა მარტინმა გაკვირვებით.

— აი, ბატონო, უთხრა დანიელმა და მისცა საფრანგეთის აგენტს ქაღალდი, რომელიც მან აუჩქარებლად გაშალა და წაიკითხა.

გაუმარჯოს ფედერაციას!
სარდალი არგენტინის კონფედერაციის მომქმედის ჯარისა

მთავარი ბანაკი საუსე-გრანდეში, ივლისის 16-სა 1840 წ.,—თავისუფლების 31 წელიწადს, 26—ფედერაციისას, 25 დამოუკიდებლობისას და 11-ს არგენტინის კონფედერაციისას.

მისს მაღალ აღმატებულებას, ბატონს გუბერნატორს, გენერალ-კაპიტანს ბუენოს-აირესის პროვინციისას, უწარჩინებულესს აღმადგინებელს კანონებისას, ბრიგადის გენერალს დონ-ხუან-მანუელ დე-როზასს რესპუბლიკის, უმაღლესის მთავრობის წარმომადგენელს.

«ჩვენ მეორე ჯერ დავიპყარით ბრძოლის ველი შემდეგ ორი საათის ბრძოლისა, როდესაც ეროვნების მამაცთა შეარცხვინეს უცხო ქვეყნის ოქროს მონები, ამისათვის მოვულოცავ თქვენს მაღალ აღმატებულესობას ამ დიდებულს გამარჯვებას.

«გუშინ მტერს არ შეუწყვეტნია ჩვენთვის უჩიანო ზარბაზნების სროლა, რომელსაც ჩვენი ზარბაზნებიც პასუხს აძლევდნენ, ბოლოს, დღეს მეორე საათზედ, იერიშით მოვიდნენ ჩვენზედ. ამის შესასრულებლად მტრის ცხენოსანი ჯარი მოაწვა ჩვენს მარჯვენა მხარის ჯარს, ხოლო არტილლერიას გაუწყვეტლად ესროდა ზარბაზნებს დანარჩენს ჩვენს ჯარს. გამარჯვება ბოლოს ჩვენ დაგვრჩა: მტერს ექვსას კაცზედ მეტი მოვუკალით, მათ შორის ორი პოლკოვნიკია და ბევრი ოფიცრები; ოც-და-ექვსი კაცი ერთის კაპიტანით დავატყვევეთ, დანარჩენი ჯარი ზოგი ჩრდილოეთისკენ გაიფანტა, ზოგი სხვა

მხრისკენ გაიქცნენ. კავალერია უკან გამოუდგა და რაც შეეძლოთ ხოცავდნენ გაქცეულს მტრის ჯარს.

«ჩვენი ზარალი დიდი არ არის და, როგორც ვფიქრობ, სამოც კაცს არ აღემატება მკვდრებით და დაჭრილებით. ვალად ვრაცხ შევატყობინო თქვენს მაღალ აღმატებულესობას, რომ გენერლებმა, ჯარის უფროსებმა, აფიცრებმა და ყველა სალდათებმა გასაკვირველი გმირობა გამოიჩინეს და იმედი მაქვს მალე ამოვწყვიტო მტრის დანარჩენი ჯარი და მერე გთხოვოთ ღირსეულთა დაჯილდოება.

«მრავალს წელს დაიცვას ღმერთმან თქვენი მაღალი აღმატებულესობა.

«პასკუალ ეჩაგუე.»

«დამატება. ამ ბრძოლაში მტერს უცხო ქვეყნების ჯარი შველოდა, რომელიც, როგორც მტერი, ისე ისინიც ურცხვად გაიქცნენ.

«ეჩაგუე.»

«სამხედრო სეკრეტარი: ხოზე-ფრანცისკო ბენიტესი.»

— ამ მოხსენებაში, უთხრა დანიელმა, როდესაც მარტინიმ ქაღალდის კითხვა გაათავა,—რასაკვირველია, ბევრი კვეხნა და თავის-თავის ქებაა, მაგრამ ის კი ჭეშმარიტია, რომ ლავალეს ბრძოლა წაუგია.

— კერძო წერილი კი...

— უკაცრავად, ბატონო, მე ბუენოს-აირესიდამ მონტევიდეოში იმისთვის კი არ მოვსულვარ, რომ ამ ქაღალდის სინამდვილეზედ გესაუბროთ, რადგანაც დარწმუნებული ვარ რომ ჩვენს ჯარს ბრძოლა წაუგია. მე აქ იმისთვის მოვსულვარ, რომ მოგელაპარაკოთ, თუ ამას იქით რა უნდა ვქნათ.

— თქვენის აზრით ამას იქით რა უნდა ვქნათ, ბატონო

ბელო? ჰკითხა ბატონმა მარტინიმ, რაკი დარწმუნდა, რომ ბრძოლა შეიძლებოდა წაგებულიყო.

— რა უნდა ვქნათ?.. ბატონი ბრძანდებით მოგახსენებთ, მხოლოდ წინადვე გატყობინებთ, რომ ყველა ეს მოსაზრებანი დაიბადნენ არა გამოუცდელი უმაწვილი კაცის თავში, არამედ გამომდინარეობენ ფაქტებიდამ.

— ბძანეთ, ბატონო, ბძანეთ, უთხრა საფრანგეთის აგენტმა, გაკვირვებულმა დანიელ ბელოს მტკიცე ლაპარაკით.

— თქვენ უკვე მოგეხსენებათ ჩვენი მაზრების მდგომარეობა: მომეტებული მათგანი ჩვენსკენ გადმოვიდნენ. აღმოსავლეთის რესპუბლიკაც გადაუდგა როზასს. საფრანგეთსაც ხომ არგენტინის რესპუბლიკის ნავთ-სადგურები ხელთ უჭირავს. ახლა როგორ ფიქრობთ, წაგებულნი ვართ, თუ მოგებულნი? შიგნითა მაზრებში აჯანყება წინ არ მიდის, პირიქით უფრო-უკან იწევს. ამ გამარჯვების შემდეგ ზოგიერთა ჩვენსკენ გადმოსული მაზრებიც ისევ ამათკენ გადავლენ. ყველა ეს იმისთვის მოხდა, რომ მთელი ჩვენი ძალა ბუენოს-აირესზედ არ იყო მიმართული: იქ, ბატონო მარტინი, იქ არის მტარვალის ძლიერების ბუდე. ჩვენ თუმცა ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ჯარი კიდევ გვყავს. თუ გენერალი ლავალე პირდაპირ ბუენოს-აირესზედ წამოვა და ანაზდეულად დაეცემა თავს; თუ სხვა ჯარებიც მიეშველება ლავალეს, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ მაშინ როზასი ან უნდა გაიქცეს და ან უნდა ტყვედ მოექცეს ჩვენს ჯარს.

— კარგი, ბატონო; თქვენ ძლიერ საფუძვლიანად ლაპარაკობთ და მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ შესახებ ბუენოს-აირესზედ თავზედ დაცემისა, გენერალი ლავალეც თანახმა არის.

— როდის აქეთ?

— ამ უკანასკნელ ბრძოლის წინადაც მაგ აზრისა იყო.

დანიელს გაეხარდა.

ბატონი მარტინი მივიდა სტოლთან, ამოიღო ქაღალდი და უთხრა დანიელს:

— აი, ბატონო, გთხოვთ წაიკითხოთ ეს წერილი, საიდამაც გაიგებთ საქმის გარემოებას.

«გენერალი ცუდს მდგომარეობაშია. მტრის ჯარი ძლიერ ერთგულია როზასი. იტანს ყოველსავე ნაკლულევანებას და მაშასადამე არ უნდა გვქონდეს მათი ჩვენსკენ გადმოსვლის იმედი. გენერალი ეჩაგუეს ჯარი წინ უდგას ლავალეს, ერთი ჯარიც მზადდება, რომელმაც უკანიდამ უნდა მოუაროს გენერალს ლავალეს და ამის ჯარი ორ-ცეცხლს-შუა ჩააყენოს, ამისათვის იმას უნდა გაიგოს შეიძლება თუ არა იმის ჯარის გაყვანა წყლის მეორე ნაპირზედ.»

— თუ გენერალი ლავალე აგრე ფიქრობდა ბრძოლის დაწყებამდის, შემდეგ ამისა უფრო დარწმუნდება ჩემს განზრახვაში. მხოლოდ გთხოვთ შემატყობინოთ ადვილია იმ პლანის ასრულება, რომელიც უკვე შეგატყობინეთ?

— ჩემის აზრით, არამც თუ ადვილია, არამედ შეუძლებელია.

— ვითომ?

— დიაღ, ბატონო, სრულიად შეუძლებელია. ლავალეს აზრი, რომელიც ეხლა თქვენ წაიკითხეთ, ყველამ გაიგეს და აქაური რივერის მომხრეები ავრცელებენ ხმას, რომ ლავალე მოღალატეაო. ჩვენ ყველას ხომ როზასის გადაგდება გვინდა, მაგრამ გენერალი რივერა კი, რომელსაც როზასის გადაგდება

არ უნდა, არა თანხმდება ლავალესთან ერთად იმოქმედოს მტრის წინააღმდეგ.

— ეგ ხომ სრული უჭკუობაა, ბატონო.

ბატონმა მარტინმა მხრები აიწია.

— უჭკუონი ხომ არ არიან ისინი!.. განაგრძო დანიელმა, ნუ თუ რივერამ არ იცის, რომ იმის სამშობლო უფრო განსაცდელშია, სინამ ჩვენი რესპუბლიკა.

— ძალიან კარგადაც იცის.

— მაშ რაღა უნდა.

— გენერალ რივერას ეგ უფრო მცირე საქმედ მიაჩნია, სინამ ლავალეს გამარჯვება როზასზედ. დიაღ, ბატონო, აქაური არგენტინის ემიგრანტები და რივერას მომხრეები ერთმანერთის მტრები არიან. ეს მეგობრები სარგებლობენ რივერას სუსტის ხასიათით და აღელვებენ ლავალეს წინააღმდეგ. აქ როზასის მოწინააღმდეგენი არამც თუ შეკავშირებულნი, არამედ გადამტერებულნი არიან ერთმანერთზედ. საფრანგეთსაც უნდა ამ საქმიდამ თავი დაახწიოს, რადგანაც იმის ყურადღება აღმოსავლეთის საქმეზედ არის მიქცეული. ამისათვის საფრანგეთისაგან ბევრს ნურაფერს მოელით.

დანიელი გადაფიქრდა.

— აქ, მონტევიდეოში, ვინ განაგებს საქმეებს, ბატონო?

— რივერა.

— მეც ვიცი, რომ რივერა თავსმჯდომარეა, მაგრამ ის ხომ ომში იმყოფება, და მაშასადამე აქ უნდა იყოს მთავრობა, რომელიც საქმეებს განაგებდეს...

— არა, აქ მაინც რივერა მბრძანებლობს.

— პალატა რაღას აკეთებს?

— აქ არაფერი პალატა არ არის.

— მაშ ხალხი მაინც რას შვრება.

— არც ხალხია. ამ ქალაქში ხალხი ჯერ-ჯერობით მაინც მუნჯად არის. აქ ყველას რიგერა განაგებს, — მხოლოდ რიგერა და სხვა არავინ. გენერალს ორი-სამი ნიჭიერი კაცი ჰყავს, როგორც ვასკესი, მუნოსი და სხვ., დანარჩენები კი უნიჭონი არიან და ეწინააღმდეგებიან პირველებს, როგორც არგენტინელების მეგობრებს.

ამ ამბით დანიელი ძრიელ შესწუხდა. იმას იდეალად ჰქონდა პოლიტიკური ერთობა, რომ ემოქმედნა როზასის წინააღმდეგ და აქ კი, ამ თავისუფლების ტაძარში, როგორც დანიელი ფიქრობდა, ერთი და იმავე აზრის კაცნი ერთმანერთს მტრობდნენ. ყოველივე ოცნებას დანიელისა გაჰქრა, ვითა კვამლი, და ეხლა მხოლოდ ერთად-ერთი ლავალეს ჯარის იმედიღა ჰქონდა, რომელთაც ან დიდებული სიცოცხლე ელოდათ და ან დიდებული სიკვდილი.

— კარგი, ბატონო, უთხრა დანიელმა, — მე არ მიყვარს დიდხანს ლაპარაკი იმაზედ, რაც ნამდვილია. მომისმინეთ: გენერალ-რიგერას ლავალესთან ერთად არ უნდა იმოქმედოს; ერთს დროს ბუენოს-აირესზედ თავს დასხმა არ შეიძლება; თავისუფლების დამცველთ წააგეს ბრძოლა; გენერალი ლავალე იმ აზრისაა, რომ ბუენოს-აირესის მაზრაში უნდა მოვიდეს. ასე არ არის ბატონო?

— სწორედ ეგრე გახლავს.

— ეხლა გენერალი ლავალე უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენს მაზრაში მოსვლა აუცილებლად საჭიროა; მერე გენერალი პირ-და-პირ ქალაქზედ უნდა წამოვიდეს. საჭიროა ფიცხელი იერიშით მისვლა ქალაქზედ, რითაც მტრები აირევიან, და მე პირველი ჩემის მეგობრებით გამოვალ ქუჩაში, რომ გზა გაუ-

ხსნა ჩვენს ჯარს.

— თქვენ პატიოსანი და გულადი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბელო. უთხრა ბატონმა მარტინიმ, მაგრამ მაინც საჭიროა თქვენი აზრის ყოველის მხრით გაშინჯა. მე მოველაპარაკები ზოგიერთა არგენტინის კამმისიის წევრებს და თუ-რაც უკვე მჯერა-ბრძოლა წაგებულია და ლავალესაც განუზრახავს ბუენოს-აირესის მაზრაში შემოსვლა, მაშინ მე თქვენს აზრსაც ვეტყვი და დავარწმუნებ იმის სიკეთეში.

— დიაღ, ბატონო, ამ აზრის შესრულებაზედ არის დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება. როზასი ბუენოს-აირესში იმყოფება, იქ არის იმისი ძალა. თუ ჩვენ ბუენოს-აირესის ხელში ჩავიგდეთ, მაშინ როზასი დამარცხებული იქნება.

მარტინის უნდოდა პასუხი მიეგო, მაგრამ ამ დროს მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა:

— აგუერო და ვარელა არიან.

— სთხოვე შემოვიდნენ, უთხრა მარტინიმ.

— მე კი ნება მიბოძეთ წავიდე, უთხრა დანიელმა.

— პირიქით, გთხოვთ დარჩეთ.

— მაშ ჯერ ერთი ეს შემატყობინეთ...

— რა, ბატონო.

— მაგ ბატონებს პირად. არ ვიცნობ, გაგონებით კი გამიგონია, რომ განათლებულნი კაცნი არიან, მაგრამ შეუძლიანთ საიდუმლოება დაიცვან?

— მაგაში პასუხის მგებელი მე ვიქნები.

— რახან ეგრე პირდაპირ გამიცანით, ამისთვის რომ თქვენი თავდებობა ჩემთვის საკმარია, უთხრა დანიელმა.

## თავი მეორე.

### არგენტინის განდევნილები.

მთელს თავის სიცოცხლეში დანიელი მესამედ შეკრთა, დაჰკარგა თავის თავისადმი იმედი, როდესაც მარტინის ზალაში შემოვიდნენ ორი ახალი სტუმარი, რომელთა სახელიც განთქმული იყო ყველგან: პირველის სახელი იხსენებოდა ყოველთვის, როდესაც შესანიშნავი რამ ხდებოდა, მეორეს კი სახელი ხალხის აჯანყებით გაითქვა. პირველი მოქმედობდა როგორც სახელმწიფო კაცი, მეორე კი, როგორც წარჩინებული მწერალი.

ცნობილია, რომ ხალხს უყვარს გაზვიადება, როგორც მომქმედის პირებისა, ისე თვით საქმისა, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ამ ორივე ახლად მისულს კაცებს ისეთი დიდი ხმა ჰქონდათ გავარდნილი თვით განათლებულს ყმაწვილს კაცობაში, რომ ბევრი მათგანი შურით უყურებდნენ მათ.

თუმცა დანიელი არავის ბრმად თაყვანის-მცემელი არ იყო, მაგრამ მაინც ცოტა არ იყო შეკრთა, როდესაც შემოვიდნენ ეს ორი სახელ-განთქმული კაცი — აღუერო, რომელსაც მინისტრის თანამდებობა ეჭირა და ვარელო, რომელიც იყო ძმა ამავე გვარის სახელოვანის პოეტისა, და თვითონაც განთქმული იყო თავის მწერლობით. დანიელმა ორივენი თავით ფეხამდის დაათვალიერა.

— ბატონებო, უთხრა ბატონმა მარტინიმ ახლად მოსულებს, — ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩვენი დიდი ხნის მეგობარი, რომელიც არც ერთს თქვენგანს არ უნახავს.

ალუერომ და ვარელამ დანიელს შეხედეს.

— თქვენებურია, ბატონებო, უთხრა მარტინიმ.

დანიელმა და ახლად მოსულებმა ერთმანერთს თავი დაუკრეს. ალუერო გულ-ცივად იყო, მაგრამ ვარელა კი ღიმილით მიესალმა დანიელს და სთქვა:

— საწყენი ხომ არ იქნება, გკითხო ამ ყმაწვილი კაცის სახელი?

— ეგ თქვენთვის საჭირო არ არის, უთხრა მარტინიმ, — თქვენ ეს შემატყობინეთ გაცნობათ ეს ხელით-ნაწერი თუ არა? ასე უფრო ყველაფერს კარგად გავიგებთ.

ბატონმა მარტინიმ ამოიღო პორტფელიდამ წერილი, რომელიც მიუტანა ვარელს.

— მაშ ეს ის არის... და ბატონმა ვარელმა დაუწყო ცქერა დანიელს.

— დიაღ, ბატონებო, ეს ჩვენი სამუდამო კორესპონდენტია, რომლის გაცნობაც დიდი ხანია გვინდოდა, რომ ჩვენი გულითადი პატივის-ცემა გამოგვეცხადებინა, სთქვა ბატონმა მარტინიმ.

ბატონმა ვარელმა წერილი დასდო და ჩაიკრა დანიელი გულში. დიდ ხანს იყვნენ ასე გადახვეულნი დ თვალები ცრემლებით აევსოთ: ორივეს ასე ეგონათ, თავიანთ სამშობლოს იკრავდნენ გულში.

— თქვენც გამოგდევნეს? ჰკითხა დანიელს ბატონმა ვარელმა.

— საბედნიეროდ ჯერ არა და, ამას იქით ხომ უფრო შიში აღარა მაქვს.

— მაშ თქვენ გამოდევნილი არა ხართ? ჰკითხავდა ვარელა დანიელს.

— მოგახსენებთ, რომ გამოძევნილი არა ვარ; მე მოვედი მონტევიდეოში მხოლოდ რამდენიმე საათით.

— და მერე ისევ უკან დაბრუნდები?

— დიახ, ხვალ უსათუოდ.

ბატონმა კარელმა შეხედა მარტინის, რომელიც მიხვდა რასაც მოასწავებდა ეს შეხედვა და უთხრა:

— თქვენ როგორადაც გიკვირთ, ბატონო კარელო. მე თქვენ გეტყვით საქმე რაშია. ამ სამი დღის წინად ამ ბატონმა წერილით შემატყობინა, რომ ის მოდის მონტევიდეოში ჩემთან მოსალაპარაკებლად, რის შემდეგაც უკანვე უნდა დაბრუნებულიყო. ამ ბატონმა ნამდვილად აასრულა თავის სიტყვა. აგერ ერთი საათია, რაც ერთადა ვართ, ხვალ კი უკანვე მიდის. აი რაში მდგომარეობს საქმე. როდესაც თქვენ მოხვედით, მე საჭიროდ არ დავინახე ამ ამბის დამალვა, ამისათვის რომ თქვენ სიფრთხილით იქცევით, მაშ გთხოვთ ამას იქით იცოდეთ, რომ ამ ჩვენ მეგობარს ჰქვიან დანიელ ბელო. ამ დღის შემდეგ ეს სახელი დროებამდის უნდა დავივიწყოთ.

— ბატონო ბელო, უთხრა კარელმა,—დიდი ხანია გვინდოდა თქვენი ნახვა, რომ გამოგვეცხადებინა თქვენთვის ჩვენი გულითადი მადლობა. თქვენ დიდად დაავალეთ თქვენი სამშობლო, ხშირად გვაცნობებდით ნამდვილს საჭირო ცნობებს და ყველა ეს თქვენ განსაცდელში გაგდებთ, უკეთუ ბუენოს-აირესში დაბრუნდებით.

დანიელმა ისეთი სახე მიიღო, რომ კარელმა იმის სახეზედ ეს ამოიკითხა:

— ჩემს თავზე მე არა ვზრუნავ და თქვენ რა გაწუხებთო.

— სხვა ახალი ამბავი რა იცი? ვინ იცის, რამდენსა სტანჯავენ? ხომ კიდევ არავინ დაუხოცნიათ? ჰკითხავდა კარელი.

— დიაღ, ბატონო, მიუგო დანიელმა.

ბატონმა აღუერომ შეხედა დანიელს და მერე ისევ მი-იხედა.

— ვინ და ვინ დაიჭირეს, ბატონო ბელო?

— გთხოვთ წაიკითხოთ ეს სია, უთხრა დანიელმა და მის-ცა ვარელს ქაღალდი.

იმან წაიკითხა სია წარსულ კვირაში დატუსაღებულებისა.

— რა იყო მიზეზი მათის დატყვევებისა? რას ლაპარაკო-ბენ ამაზედ? ჰკითხა ბატონმა აღუერომ, როდესაც ვარელმა გაათავა სიის კითხვა.

— დატუსაღების მიზეზი საკმაოდ ცხადადა მაქვს აწერილი ჩემს მაისის კორესპონდენციაში. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ისე განძვინებული არსადა ყოფილა როზასი, როგორც ახლა.

— მაშ როგორც ეტყობა ძლიერ ეშინიან, უთხრა ვარელმა.

ბატონმა აღუერომ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. ეს შენიშნა დანიელმა და სთქვა:

— თვენი გაზეთები წარმომადგენელნი თქვენის აზრებისა— ამტკიცებენ, რომ ვითომც როზასი რამდენიც გაჭირვებაში ვარ-დება, იმდენი უფრო მძვინვარე და დაუნდობელი ხდება. ამაში ძლიერს სცდებით ბატონებო...

— ბატონმა აღუერომ შეხედა დანიელს. სიტყვა სცდებით არ მოეწონა ძველს პატრიოტს. ბატონს მარტინისაც უფრო-და-უფრო უკვირდა დანიელის ჭკუა-დამჯდარი და საფუძვლიანი ლაპარაკი.

— გამარჯვება ხომ უფრო არ გაამძვინვარებს კაცსა, უთ-ხრა ვარელმა.

— თანახმა ვარ, მაგრამ თუ როზას გამარჯვება არ აბრა-ზებს, არც მცირე გაუმარჯვებლობა გააბრაზებს: გაბრაზება იმან

არ იცის, ბატონო ვარქლა. იგი დინჯად და სისტემატიურად მოქმედებს. ყველა ნაბიჯი აწონილი აქვს. როზასისთვის საჭირო არ არის, რომ ერთი ვინმე კაცი უსათუოდ მოკლულ იქმნას; ის ცდილობს მხოლოდ, რომ, თუ საჭირო იქნება, სისხლის რუებმა იდინოს და მაშინ ვინც უნდა მოკლან იმისთვის სულ ერთია.

— ვგონებ, ბატონო ბელო, ნამდვილად ეგრე არ არის, როგორც თქვენა ლაპარაკობთ, უთხრა ვალერამ ღიმილით.

— როგორ? ჰკითხა დანიელმა.

— როზასი ატყუებს პატიოსანთ მოქალაქეთ, როზასი მოხუცებულებსაც კი არ ინდობს მას აქეთ, რაც იმის ჯარი დამარცხდა!...

ძლიერ თავს იქნევდა. იმის აზრით დანიელი უფრო დამარცხდა ვალერისაგან.

— მაშ შენა გგონია, რომ როზასი ასე მოქმედობდა იმისთვის რომ ბრძოლა წააგო?

— დიახ, მაგას რაღა ეჭვი უნდა, მიუგო ვარქლამ.

— მაშ მომისმინეთ: როზასმა გასცა ბრძანება, დაეჭირათ შენიშნულნი მოქალაქენი ღამე, 19 ამ თვისას, ესე იგი ექვსი საათის შემდეგ, როცა მოუვიდა ამბავი, რომ მისმა ჯარმა გაიმარჯვაო.

— აი კიდეც მაგაში სცდებით, ბრძოლას როზასისა ჯარმა კი არ მოიგო, წააგო.

— წაგიკითხავს მოხსენება, ბატონო ვარქლა? ჰკითხა მარტინიმ.

— ის, რაც როზასმა გამოაცხადა?

— დიახ.

— ჩვენ სწორედ ამ მოხსენების თაობაზედ მოსალაპარაკებლად მოვედით. ის ამ სამი საათის წინად მივიღეთ.

— გაქვსთ რამე საფუძველი, რომ როზასის განცხადებას ამტყუნებდენ?

— წაუკითხე, წაუკითხე, მაგათ, — სთქვა ბატონმა ალუერომ და მობრუნდა ვარელისკენ.

ვარელმა ამოიღო უბიდამ ქაღალდი, მისცა მარტინის და უთხრა:

— იცით შინაარსი ამ მოხსენებისა?

— ვიცი; ეს-ეს არის წავიკითხე.

— მაშ ყური დაუგდე რა ნაირი სიცრუვით და სისულელით არის სავსე როზასის განცხადება: ყველა ეს გარემოება გარკვეულია აი ამ სტატიაში, რომელიც ხვალ დაიბეჭდება.

დანიელი და მარტინი სმენად გადაიქცნენ.

ვარელმა დაიწყო კითხვა:

— «ბრძოლის ველი ჩვენ დავინარჩუნეთ» ასე იტყვიან მაშინ, როდესაც ბრძოლა გაშლილს მინდორზედ მოხდება, და არა მაშინ, როდესაც ერთ-ერთს მეომარს თავის ბანაკშივე დაესხმიან თავს, როგორც ეხლა ეჩაგუეს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, რომ ციხის კომენდანტმა, რომელსაც თავს დაესხნენ, სთქვას, რომ მან, კომენდანტმა, თვითონვე დაინარჩუნა ბრძოლის ველი.

«იმან გაიმარჯვა, მაგრამ ამის შემდეგაც იგი არ ანებებს თავს თავის ბანაკს. მართლაც იგი არსად არ ახსენებს, რომ მისდევდა გაქცეულს ჯარს, რაც მოხდება ხოლმე მტრის დამარცხების შემდეგ. იმას მხოლოდ იმედი აქვს მტრის დანარჩენი ჯარის ამოწყვეტისა. ეს რადა? ვიღა უნდა ამოწყვიტოს

თუ მართალს ამბობს, რომ ექვსასი კაცი მოკლეს და დანარჩენები კი გაიქცნენ.

«ჟურნალი ამბობს, რომ მტრის ჯარისა ასი თოფი დაგვრჩაო. როგორ დარჩა, თუ კი, ამის მოხსენებისამებრ, ქვეითა ჯარს არ უბრძოლია? თუ ეს ასეა, მაშინ კავალერიის თოფები ბევრი უნდა დარჩენოდათ, ექვსასი თოფი მაინც, დახოცილების რიცხვისამებრ, რატომ კავალერიის თოფებზედ, ხმლებზედ და სხ. არას ამბობს?»

ვერ წარმოიდგენთ რა ცუდი გავლენა მოახდინეს დანიელზედ ამ ორმა სახელოვანმა კაცმა, რომელნიც რაც შეეძლოთ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ლავალეს ბრძოლა არ წაუგია, მაშინ როდესაც დანიელმა ნამდვილად იცოდა, რომ ლავალე დამარცხებულიყო. ამ ბატონებს, ფიქრობდა დანიელი, ფაქტები მიდებ-მოდებით უნდათ დაარღვიონ.

— ახლა ხომ დარწმუნდი, ბატონო დანიელ, რომ ლავალეს ბრძოლა არ წაუგია, უთხრა ვარელმა.

— არა, ბატონებო, ლავალემ ბრძოლა წააგო, სთქვა დანიელმა და გადახედა მოსაუბრეს მშვიდის, მაგრამ ბრწყინვალე თვალებით; ლოღიკით ფაქტების დარღვევა არ შეიძლება. საუბედუროდ, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქმე ისე არა ყოფილა, როგორც თქვენა ფიქრობთ. მაგრამ თუ გნებავთ მეც თქვენთან ერთად ვიფიქრებ, რომ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა: ეს უფრო კარგი... მაგრამ თქვენც დამეთანხმებით, რომ გენერალი ლავალე პირდაპირ ბუენოს-აირესზედ უნდა წამოვიდეს? თუ თქვენც ასე ფიქრობთ, მაშინ ჩვენ ყველანი ამ აზრს უნდა ვემსახუროთ. უკაცრავად ბატონებო, რომ თავს გაწყენთ: დამერწმუნეთ, რომ მხოლოდ ერთი სიყვარული მამულისადმი მაბედნიერებს წარმოვსთქვა თქვენს წინაშე ჩემი აზრი.

ვარლა აღტაცებული იყო დანიელის საფუძვლიანის ლაპარაკით. მარტინიც კმაყოფილი იყო. აღუერომაც ორჯელ-სამჯერ აიხედა მაღლა და შეხედა დანიელს, რომელიც ასე გაბედვით ლაპარაკობდა და უხატავდა მოქმედების პლანს.

— ბატონო ბელო, გერენალი ლავალე მხოლოდ თავის საკუთარის პლანებით ხელმძღვანელობს, ჩვენ რაღას ვიზამთ?

— ბატონებო, საუკეთესო სამხედრო პლანები კაბინეტში სდგებოდა იმისთანა კაცებისაგან, რომელთაც ხელში კალმის მეტი არა სჭერიათ რა.

დანიელი მიხვდა, რომ ვარლის პასუხში რაღაც საიდუმლოება იმალებოდა და არც მოსტყუვდა.

ვარლამაც ვეღარ მოითმინა და გაამჟღავნა საიდუმლოება.

— მართალია, ჩემო მეგობარო, მართალია, მაგრამ გერენალი ლავალე თავისთვის მოქმედობს, მხოლოდ თავისთვის ცდილობს.

დანიელმა რამდენჯერმე მოიფშვნიტა თვალები.

ვარლა კარგად მიხვდა, რაცა ხდებოდა ყმაწვილი კაცის გულში და ამისათვის საჩქაროდ მიატანა:

— როგორიც უნდა იყვეს ბრძოლის პლანი, რომლითაც იგი იხელმძღვანელებს ბუენოს-აირესში, მაინც გამარჯვება ლალეს დარჩება. იგი ძლიერს ძალას არსად შეხვდება, ამისთვის რომ ყველა იმის დროშის ქვეშ დადგება. გამარჯვება ჩვენსკენ არის, — ამას ეჭვი აღარ უნდა. შეიძლება რომ ხალხმა გაიგოს ჩვენი ჯარის მიახლოვება და არ დაგვეხმაროს როზასის უფლების შემუსვრაში?

— არა მგონია, უთხრა დანიელმა დამშვიდებით.

აღუერომ აიღო თავი და შეხედა დანიელს.

მარტინიმ ისე შეხედა კარელას, რომ თითქოს ეუბნებოდა პასუხი მიუგეო.

— მაგრამ ყველა, რასაც თქვენ ამბობთ, ბატონო ბელო, უთხრა კარელმა, ხომ არ შეეხამება ჩვენი ხალხის პატრიოტობას და იმ საშინელს მდგომარეობას, რომელშიაც იგი იყოფა და რომლისაგანაც განთავისუფლება უნდა.

— ბატონო კარელა, მე გიტოვებთ თქვენ უსიამოვნო მოგონებას ჩემს შესახებ, მაგრამ ეს უბედურება მირჩევნიან, სინამ ქარაფშუტული მოქცევა ამ დიდს საქმეში: ნებას მიბოძებთ სიმართლე მოგახსენოთ, თუმცა კი იქნება იმან თქვენი საუკეთესო იმედები დაარღვიოს?..

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ბატონო ბელო.

— მე გიცხადებთ, რომ ჩვენს ბუენოს-აირესში იქამდის ხელსაც არ გასძრამენ, სინამ პატრიოტების იარაღი მათ კარებს არ დაუმტვრევს, ანუ სინამ რამდენიმე გამბედავი ყმაწვილი კაცი, რომელნიც ჯერ ისევ ქალაქში არიან, არ შეუცვივდებიან სახლებში და არ გამოათრევენ მოქალაქეთ, რომ დაიცვან თავეთი თავი და სამშობლო.

— ეგ შეუძლებელია ბატონო, მიუგო კარელამ.

— იქნება შეუძლებელი იყოს, მაგრამ სიმართლეს კი მოგახსენებთ, განაგრძო დანიელმა, — მაგრამ არ გეგონოთ კი, რომ ჩვენს ხალხს სრულიად დაეკარგოს მამაპაპური გულადობა, არის ერთი რამ, რომელიც მათ დიქტატორის უღელს ქვეშ ამყოფებს და ართმევს ძალას თავისუფლების მოპოებისას. იცით რა არის ესა, ბატონო კარელა?

— განაგრძე, ბატონო.

— ეს გახლავთ ცალკ-ცალკეობა, ერთობის უქონლობა, უპირობა. აი ეს არის მიზეზი ჩვენის უბედურობისა. გხედამ ალუ-

ორს ღიმილსა; მაგრამ ჩემი აზრის სინაამდვილეში ისე დარწმუნებული ვარ, რომ ადვილად ავიტან ალუერსას გამკიცხავს ღიმილს.

— სცდებით, ბატონო, ეს ღიმილი გამკიცხავა ღიმილი არ არის, უთხრა ალუერამ.

— გმადლობთ, ბატონო ალუერ.

— განაგრძე, განაგრძე, უთხრა ვარელამ.

— ცალ-ცალკეობა—აი მიზეზი ჩვენის დაუძლურებისა. როზასის ყოვლება იმისთვის დამკვიდრდა, რომ მას არა ჰქონია საქმე მთელს ხალხთან, არამედ ჰქონდა თვითო თვითო პირთან. ამით იმან დაჰბადა ურწმუნობა და უნდობლობა არამც თუ მთელს ხალხში, არამედ სახლობაშიაც. ბუენოს-აირესის მოქმლაქე ყველას ეჭვიანის თვალით უყურებს, არ ენდობა, ამისთვის რომ არავინ არის სანდო და თუ ეს მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა, მალე დადგება დრო, როდესაც მმას მმის ეშინება და ქმარს ცოლისა.

ბატონმა ვარელამ შუბლზედ ხელი ჯადისო.

— გაწუხებთ განა, ბატონო, ასეთი მდგომარეობა? განაგრძო დანიელმა, შემდეგ ცოტახნის მდუმარებისა, — თქვენც გეტანჯებათ გული, როგორც ნამდვილ მამულიშ შვილს, მაგრამ გულს ნუ აყვებით და საქმე დამჯდარის ჭკუით გაშინჯეთ. მაშ ახა შემატყობინეთ, რითი ვართ დარწმუნებული, რომ ბუენოს-აირესის მცხოვრებლები დაგვეხმარებიან, როცა ღერენალი ლავალე შემოვა ჩვენს მაზრაში? ამის შესახებ ბატონ მარტინისთვის ჩემი აზრი უკვე მამიხსენებია.

— თუ შეიძლება ჩვენც შეგვატყობინე, უთხრა ვარელმა.

— მოკლედ გეტყვით: თუ ღენერალმა ლავალემ ჩვენს მაზრაში შემოსვლისა თანავე ყოყმანობა დაიწყო, მაშინ გა-

მარჯვების იმედი ნუღარ გვქონებს. ხოლო თუ პირდაპირ ბუენოს-აირესისკენ წამოვა, თუ ის თავ-გამეტებით მივა იერიშით და დაუწყობს როზას მომაკვდინებელს ბრძოლას, მაშინ კი გამარჯვების იმედი ამისკენ იქნება; პირველად იმისთვის, რომ როზასს ქალაქში მომქმედი ჯარი აღარა ჰყავს, მეორედ იმისთვის, რომ უეცარი თავს დასხმა გაამხნევებს ხალხს, გაიგებს, რომ ლავალე ნამდვილად შემოვიდა მაზეზღარობის ჯერ შეეშინდება. აი ჩემი აზრი, ბატონო, აი ამისთვის წამოვედი აქა, რომ დავიხსნათ ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა, გავფანტო თქვენი კეთილშობილური, მაგრამ აუსრულებელი იმედები და მათ მაგივრად შეგატყობინოთ ნამდვილი ფაქტები, რომლებზედაც არის დამყარებული ჩვენი გამარჯვება. ეხლა მე ისევ ბუენოს-აირესში მივდივარ, იქ ჩემის მეგობრებით ისე ვიმოქმედებ, როგორც გარემოება დაგვანახვებს. იქნება თქვენი ნახვა აღარ მომიხდეს... ვინ იცის! თუ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაშინ, ბატონო ვარელა, პირველად მე გადგეხვევი ძმურის სიყვარულით, მაგრამ თუ ბედმა გვიღალატა და ჩვენი შრომა ამაოდ ჩაატარა, მაშინ... მაშინ, ჩვენ, იქნება, იქ, ზეცაში შევხვდეთ, სთქვა დანიელმა ღიმილით, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ამ ღიმილში მწუხარებაც იყო.

ბატონი ვარელა ძლიერ შესწუხდა.

ბატონი აღუერო ჩაფიქრდა.

მარტინი წამოდგა ზეზედ, დაადო დანიელს მხარზე ხელები და უთხრა:

— თუ განგებას საუკუნოდ არ მოუშორებია თვალი შენი მშვენიერის სამშობლოსათვის, შენ უმაწვილო კაცო, კიდევ დიდ ხანს იცოცხლებ, ამისთვის რომ შენი თავი საჭიროა იმისთვის.

— მე კი მეშინიან, რომ როზასმა ამ ჩემს თავამდინაც არ მოაღწიოს, სთქვა ღიმილით დანიელმა და ჩამოართვა ხელი მარტინის, რადგანაც წასვლას ემზადებოდა.

— ხვალ ხომ კიდევ გნახავთ ერთმანერთს? ჰკითხა ბატონ-მა ვარელამ და ჩამოართვა დანიელს ხელი.

— არა, არა, აქ ჩვენ ერთმანერთს ვეღარა გნახავთ, მე იმე-დი მაქვს, რომ ჩვენი საქმისათვის ჯერ კიდევ სასარგებლო ვიქნები და ამისათვის ვუფრთხილდები ჩემს თავს. ხვალ დილით რვა საათზედ ერთი კაცის ნახვა მინდა, რის შემდეგაც საჩქა-როთ გავალ მონტევიდეოდამ. ჩვენ ბუენოს-აირესში გნახავთ ერთმანერთს.

— დიახ, დიახ, ბუენოს-აირესში, სთქვა ვარელამ და მხურ-ვალედ გადეხვია დანიელს.

ვარელამ კარგად გაიგო ყმაწვილი კაცის აზრები, თანა-უგრძნობდა მას და ამ გადახვევნით მათ თითქოს გამოაცხა-დეს სურვილი საუკუნოდ დაკავშირებისა.

— მშვიდობით, დანიელ, უთხრა ვარელამ, კორესპონდენ-ციებს ხომ კიდევ მოიწერები?

— უსათუოდ. მშვიდობით, ბატონო აგუერო, ანუ უკედ გსთქვათ, ბუენოს-აირესში ნახვამდის.

— დიახ, ბატონო ბელი, ბუენოს-აირესში ნახვამდის, სთქვა შეჭმუხვნილმა მოხუცმა აგუერომ და მხურვალედ ჩამო-ართვა დანიელს ხელი. ამის შემდეგ დანიელი გავიდა კარებ-ში, რომელსაც თან მარტო მარტინი გაჰყვა.

— ჩვენ ხომ კიდევ გნახავთ ერთმანერთს? უთხრა მასპინ-ძელმა დანიელს, რომელსაც ამან აიღო პალტო, დაუსვენებელი მანტია და დამბაჩები.

— სამწუხაროდ ვეღარ, პატივ-ცემულო ბატონო. თქვენ ჩემ

იცით ყველაფერი, რაც კი შეეხება ბუენოს-აირესის მდგომარეობას, დანარჩენი თქვენ იცით, ამას იქით უფრო ხშირ-ხშირად მოგწერთ კორესპონდენციებს.

— დიად, დიად, მოიწერეთ ყოველ-დღე, თუ კი შეიძლებოდეს.

— ვეცდები. გთხოვთ კიდევ გამომაყოლოთ, რომ «გემების» სასტუმროში მიმიყვანოს და ნება მიბოძეთ გარდავგზავნოთ ნიშნად ჩემი თქვენდამი პატივის-ცემისა. გმადლობთ ბატონო ამისთანა ჩინებული მასპინძლობისათვის.

— რას ბრძანებთ, ბატონო.

— მშვიდობით, მშვიდობით, ბატონო მარტინი.

დანიელი წავიდა ქუჩაში, სადაც საფრანგეთის აგენტმა უბრძანა თავის მოსამსახურეს გაეცილებინა ჭაბუკი სტუმარი «გემების» სასტუმრომდის, თვითონ კი უკანვე დაბრუნდა და შევიდა ზალაში, სადაც ალფერო და ვარელა ელოდნენ.

## თავი მესამე.

### მონოლოგი ზღვაში.

ათი საათზედ დილისას სრული ხომალდი ისეთის სისწრაფით მისცურავდა წყლის ზვირთებზედ, როგორც ზღვის მფრინველი: მეათე საათზედ მონტევიდეოს ნაპირები გაჰქრა ლაჟვარდის სივრცეში. მანტიაში გახვეული დანიელი ხან მთვარის სხივებით განათებულს წყლის ზვირთებს დასცქეროდა, ხან ცის დასავლისაკენ იცქირებოდა. იგი ფიქრობდა მონტევიდეოში ყოფნაზედ.

— დროს ანგარიში მივცე ჩემს თავს, სთქვა დანიელმა.

— იმედი მქონდა, რომ მონტევიდეოში პოლიტიკური ინტერესები მტკიცედ იქნებოდენ შეკავშირებულნი. მაგრამ ამის ნაცვლად იქაც უპირობა და ცალ-ცალკეობა ვნახე.

— მე მეგონა, რომ ხალხი აქ კერძო პირების განვლენის ქვეშ არ იქნებოდა, მაგრამ აქაც ვხედავთ, რომ ყველას ერთი კაცი ბრძანებლობს, რომელიც მართალია ისეთი მოსისხლე არ არის, როგორც როზასი, მაგრამ იმას კი აკეთებს, რაც თავის ქეიფია და რაც ხალხს არ მოსწონს.

— მე მეგონა, რომ აქაური მოწინავე უნიტარები იქნებოდნენ გამოცდილი კაცები, რომელნიც დამჯდარის ჭკუით შეხედავდნენ საქმეს და ყველას ფაქტებზედ დაამყარებდნენ, მაგრამ პირიქით, ესენი უფრო ოცნებობენ, სინამ ჩვენ.

— მე მეგონა, რომ გენერალი ლავალე და არღენტინის კამპანია ერთად მოქმედებდენ, ის კი არა თუ ყველა მათგანი ცალ-ცალკე მოქმედობს და ზოგი აქეთ მიდის და ზოგი იქით.

— საძაგლობაა!.. სული მიწუხს ამის მნახველს.

— ახლა ყველა მომქმედი პირი სათითაოდ გავშინჯოთ:

— ფრანცუზი მარტინი—ნიჭიერი და პატიოსანი კაცია, სრულიად თანაუგრძნობს ჩვენს საქმეს, მაგრამ მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს თავის მართებლობის ინსტრუქციებით.

— ბატონი აღუერო თუმცა არას ლაპარაკობდა, მაგრამ გავიგე კი რა კაციც არის: ეს კაცი ძლიერ მოუხეშავი კაცია სამშობლოდამ განდევნას უმოქმედნია მასზედ და გაქვავებია გული, ნეტარნი დღენი ძლიერ ადრე წარსულან მისთვის და ეხლა აღარა ხედავს, რომ თოთხმეტს წელიწადში, პრეზიდენტობის გაუქმების შემდეგ, ჩვენში სრულიად ახალი თაობა დაიბადა.

— ბატონი ვაროლა ნაყოფიერი და მომქმედი ჭკუის პატრონია, გულიც წმინდა აქვს. უნდა ვეცადოთ, რომ ის ჩვენი დასისკენ გადმოვიდეს, ამისათვის რომ დიდი [illegible] იქნება ჩვენთვის.

— დონ-სანტიაგო ვასკესი, კეთილშობილი მოქალაქე და დიდი ჭკუის პატრონი. იმას უნდა აღმოსავლეთის და არჟენტინის რესპუბლიკების შეერთება, — მაგრამ მტრები უცრიან ხელს და არ ურევენ საქმეში იმისთვის, რომ ის არგენტინელების მომხრეა. იმის აზრი ლავალეზედ ჩემთვის სრულიად ახალია. იმის სიტყვით, ლავალე რაინდია, უანგარო, მაგრამ მოქმედების მოთავეობა კი არ შეუძლიან, რადგანაც ამისთვის საჭირო ღირსებები არა აქვს. იგი მტკიცე ხასიათისა არ არის, რისთვისაც მალე გამოდის მოთმინებიდამ, როდესაც აძლევენ მას მეგობრულს რჩევას; იმას ასე ჰგონია, რომ იმის უფლების შემოზღუდვა უნდათ და მაშინ ის ისე მოქმედობს, როგორც თავის საკუთარი ჭკუა უჭრის.

— კარგი, ეს ანგარიში ხომ მივეცი ჩემს თავს — ახლა ამის შემდეგი რა არის? მოვიგებ თუ წავაგებ მონტევიდეოში წამოსვლით? რასაკვირველია მოვიგე. მე ბევრი ახალი ამბავი გავიგე, ბევრში დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. მე მათ შევატყობინე როზასის მდგომარეობა, იმათ შემატყობინეს იმის მტრების მდგომარეობა. ახლა ზეცას ვთხოვ შემწეობას, თორემ კაცები საიმედონი არა ყოფილან...

— ჰმ, ზეცა!.. სთქვა მან და აღაპყრა თვალნი ზეცისადმი, სადაც დიდებულად დასცურაობდა მთვარე ურიცხ ვარსკვლავებთა შორის. დანიელ დაებჯინა მოაჯირზედ და შესცქეროდა ბრწყინვალე ცის კამარას, მერე დაიწყო:

— საუკუნოვ, საუკუნოვ, შენ მოესწრობი ამ აღრეულობის

დამშვიდებას, შენ ნახავ ჩემი სიზმრების აღსრულებას! დიაღ, მე მრწამს დიდებული მომავალი ამერიკისა, თუ ასე არ იქნება, მაშ ბუნებამ რისთვის შეამკო ჩემი ტურფა სამშობლო:

— ამ თვალ-გაუწვდენელის წყლის ნაპირებით, სადაც იბადებიან ათას ნაირი ყვავილები ერთი ნამის დაცემით...

— ამ მღელვარეს ზღვებით, რომლებიც გარს არტყია ამერიკას და ანოყიერებს იმის ნიადაგს, რომლის გულშიაც ბევრი სიმდიდრე მოიპოვება

— ამ გაუვალის ტყეებით, სადაც ათას ნაირს მფრინველებთ და ცხოველთ გააქვთ ჟივილ-ხივილი...

— ამ სურნელებით, ამ ჰაერით, ამ სიცოცხლით სავსე ბუნებით... რას ნიშნავს ყველა ეს, რისთვის არის აქა?...

— დიაღ, მრწამს, რომ ამ ქვეყანას ბრწყინვალე მომავალი მოელის.

— ხალხის თაობანი იცვლებიან, როგორც ამ წყლის ზვირთები.

— ჟამთა-ვითარებას ყველაფერი თან მიაქვს: თაობა, იდეები, სიავე და სიკეთე, დიდი და პატარა და ჰსნთქავს საუკუნოების უფსკრულში.

— მაგრამ ბუნება კი — ეს უძლეველი ძალა, მარადის ცოცხალი და მოქმედი, ებრძვის ჟამთა ვითარებას და აცხოველებს ყველაფერს, რასაც ჟამთა-ვითარებისთვის ბოლო მოუღია.

— ჟამთა-ვითარება წალეკავს ჩემის ქვეყნიდამ ამ ვაგლახს თაობას, სისხლში და ტალახში ამოსვრილს და მის მაგივრად ბუნება სხვა ახალ-თაობას დაჰბადებს...

— ყველას თავისი წესი აქვს.

— ყველა ხალხს აქვს თავის დრო, თავის ბედი, თავის ეპოქა დიდებისა; და ამ ახალს თაობასაც ექნება თავის დიდების დრო.

— დიაღ, მე მრწამს ჩემი ქვეყნის მომავალი. მაგრამ ჯერ-ჯერობით საჭიროა, რომ ჟამთა-ვითარებამ ეხლანდელი მცხოვრებნი მიწასთან გაასწოროს.

— დიაღ, მე მრწამს, მაგრამ ეს მომავალი ჯერ კიდევ შორს არის, ძლიერ შორს. სამშობლოვ, სამშობლოვ! რა ნაირ დამცირებული ხარ შენი ეხლანდელი შვილთა წყალობით!...

— შენ, მხოლოდ შენ, ჩემო ძვირფასო ოლორიკენსიავ, მარიგებ ცხოვრებასთან, შენ აკავშირებ ჩემს ბედს ჩემ უბედურ სამშობლოს ბედთან! და თუ საიქიოს შეხვედრა არ არის ოცნება მწუხარებისგან გალეწილის კაცისა, — მაშინ მე ვინატრი მხოლოდ შენთან ფრენას ცის სივრცეში, რომ იქიდამ გადმოვსცქეროდეთ ამ ქვეყანას, მოწამეს ჩვენის სიყვარულისას და იმედების გაცუდებისას, მოწამეს კაცის ღვთისგვემულის უფლებისას, მდუღარე ცრემლებისას და ბოროტებისას.

## თავი მეოთხე.

### დონია მარია-ხოზეფა ესკურრა.

ჩვენ მკითხველს თავი დავანებებინეთ ჩვენი მოთხრობის გაცნობილ პირებს და აუწერეთ მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და იმ დროს მომქმედი პირები, თავის ნაკლულევანებით და ღირსებით. ეხლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას და ვთხოვთ მკითხველს გამოგვყვეს იმ სახლში, რომელიც ალმადგინებელის ქუჩაზედ იყო და სადაც წინადაც ვიყავით.

დონია მარია-ხოზეფა დღეს მთხოვნელებს იღებდა, რის-

თვისაც სახლი სავსე იყო სხვა-და-სხვა ჯურის ხალხით, რომელთაც იმისთვის ზოგს რა საჩუქარი მოეტანა და ზოგს რა. როდესაც მთხოვნელები გაისტუმრა მარია-ხოზეფამ დაჯდა დივანზედ და დაიწყო ჩაის სმა, რომელიც მოართვა ზანგის ყმაწვილმა ქალმა.

— შემოდი, ჩვენებურო, და ჩამოჯექ სკამზედ, უთხრა მარია-ხოზეფამ მაუდის ქუდიან კაცს, რომელიც დივნის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— ჩაის არ მიირთმევ, ჩემო კარგო?

— როგორც თქვენი ნება იყოს.

— შენ, ჩემო მეგობარო, ნუ მორცხობ, თავისუფლად მოიქეცი. ახლა ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ. უნიტრების დრო გათავდა, როდესაც საწყალი კაცი დაჩაგრული იყო. ახლა ყველანი თანასწორნი ვართ, ამისთვის რომ ყველა ფედერალები ვართ. შენ მსახურებ სადმე, მეგობარო?

— არა ქალბატონო აგერ ხუთი წელიწადია, რაც ღერენალმა პინედომ გამათავისუფლა ჯარის სამსახურიდამ, და მას აქეთ კუჩრათა ვარ.

— შენ პინედოსთან მსახურებდი?

— დიახ, ბატონო, დაჭრილობისათვის დამითხოვა.

— შენ იცი, რომ ხუან-მანუელი ყველას სომრად იწვევს?

— დიახ, გავიგე, ქალბატონო.

— ამბობენ ლავალე თავის ჯარით ჩვენსკენ მოდისო და ყველა მოქალაქენი მზად უნდა ვიყვნეთ იმ დღისთვის, ამისთვის რომ ყველანი ფედერაციის შვილები ვართ. ხუან-მანუელი პირველად გავა ბრძოლის ველზედ, იმისთვის რომ ის მამა არის ყველა ფედერაციის ერთგულებისა. მაგრამ ყველას კი არ წაიყვანენ ომში, უსამართლობაც იქნებოდა, რომ ისინიც წაე-

ყვანათ ომში, რომელნიც ფედერაციისთვის სხვაფრივ იქნებოდნენ სასარგებლონი.

— მართალსა ბრძანებთ.

— აი ამ სიაში ორმოც-და-ათი კაცი მეტია ჩაწერილი, რომელნიც ომში არ წავლენ, ამისთვის რომ ისინი სხვა სამსახურისათვის უფრო სასარგებლონი იქნებიან. უნდა იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ ფედერაციის ნამდვილნი დამცველნი ისინი არიან, რომელნიც აქ, ქალაქში, გამოაჩენენ უნიტრების მავნებელ საზოგადოებას, ასე არ არის?

— სწორედ აგრეა, ქალ-ბატონო, მეც ეგრე გავიგე, სთქვა მოკრძალებით განთავისუფლებულმა სალდათმა და დაუბრუნა ჩაის სტაქანი ზანგის ქალს.

— ოჰ, რანი არიან ეს უნიტარები! იმათის წყალობით ჩვენ მშვიდობიანად ვერა ვცხოვრობთ, კაცი თავის ცოლ-შვილშიაც დამშვიდებული არ არის, რისთვისაც ძლიერ ცდილობს ხუან-მანუელი, აი აქ გამოჩნდება, ვინც ფედერაციის ერთგულია, ასე არ არის?

— სწორედ აგრეა, ქალ-ბატონო.

— ხომ კარგია ისეთი დრო, როდესაც ომში წასვლა არავის დასჭირდება?

— კარგია, ქალ-ტონო.

— და ყველანიც თანასწორნი იქნებიან, რომ მდიდარი და ღარიბი არ გაირჩეოდნენ: აი ფედერაციის სურვილი, მართალი არ არის?

— მართალია, ქალ-ბატონო.

— აი კიდეც ეგ არ უნდათ იმ ბრიყვ უნიტარებს, და ყველა, ვინც იმათ სისაძაგლეს შეგვატყობინებს, იქნებიან ნამდვილი ფედერალები; ჩვენი სახლის კარები ამისთანა კაცისათვის

ლის იქნება. იმას შეუძლიან ჩვენთან მოსვლა და თხოვნა, რაც კი უნდა, ხუან-მანუელი არაფერს დაუშლის იმას, ვინც ერთ-გულად ემსახურება სამშობლოს, ეს იყო ფედერაციის—გაიგე თუ არა?

— გაიგე, ქალ-ბატონო, მე ყოველთვის ერთგული ფედერალი ვარ.

— ვიცი, ვიცი, ხუან-მანუელმაც კარგად იცის ეგა, და სწორედ ამისთვის დაგიბარე, რომ ვიცი არაფერს დამიმალავ, რაც კი იცი უნიტარების შესახებ.

— რა უნდა ვიცოდე, ქალ-ბატონო, რომ მე ყოველთვის ფედერალებში ვცხოვრობდი?..

— ვინ იცის, იქნება ფედერალები არ იყვნენ!.. თქვენ, პა-ტიოსანი ქალები, ადვილად სტყუვდებით. აბა მითხარი, ვისთან მსახურებდი ამ ბოლოს დროს?

— ეხლა ერთს ინგლისელთანა ვარ კუხარად.

— მა ვიცი, მაგრამ მაგის წინად ვისთან მსახურებდი?

— ერთს მდიდარ ქვრივ ქალთან.

— რომელსაც ამალია ჰქვიან, არა?

— დიახ, ბატონო.

— ჩვენთვის არაფერია დაფარული, ძვირფასო მეგობარო, მხეცია ის, ვინცა ფიქრობს ხუან მანუელის მოტყუებას! სთქვა დონია მარია-ხოზეფამ და დასცქერდა თვალთმაქცის თვალებით საცოდავს კუხარს, რომელიც ისე იყვა, თითქოს ეკალზედ ზისო.

— მართალსა ბძანებთ, მიუგო მან.

— როდის დადექ ქვრივთან მოსამსახურედ?

— წარსული წლის ნოემბერში.

— როდის გამოხვედი?

— ამ წლის მარტში.

— მაისში, განა?

— დიახ, ქალ-ბატონო.

— არ იცი რომელს რიცხვში?

— ხუთს მაისს, ქალ-ბატონო.

— ხუთს მაისსა, ამბობთ?... სთქვა ბებერმა თავის ქან-ქარით.

— დიახ, სწორედ ხუთ მაისს, ქალ-ბატონო.

— დიახ, აგრეა, აგრე... სწორედ ხუთს მაისს... რისთვის გამოხველი იქიდამ?

— ქალ-ბატონმა ბძანა ხარჯი უნდა შევიმოკლოვო და ამი-სათვის მე და ერთი მზარეული დაგვითხოვა. გამოსვლის წინად ქალ-ბატონმა ოქროები გვაჩუქა და გვითხრა, რომ იქნება ბო-ლოს კიდევ დაგიჭიროთო.

— რა კეთილი გულის ქალია! ხარჯის შემოკლებას და ბი-ჭებისთვის ოქროების ჩუქებას! სთქვა მარია-ხოზეფამ ცბიერე-ბით.

— დიახ, ქალ-ბატონო, დონია ამალია ძლიერ კეთილის გულის ქალია; სანთლით რომ ეძებოთ ამისთანა ქალს ვერ იპოვნით...

დონია მარია-ხოზეფას არ გაუგია ეს ამალიას ქება; იგი რაღაც ფიქრებში წავიდა.

— მითხარ, ჩემო მეგობარო, რომელს საათზედ დაგითხო-ვა დონია ამალიამ?

— დილის შვიდი ან რვა საათი იქნებოდა.

— განა ის ყოველთვის ასე ადრე დგებოდა?

— არა, ქალ-ბატონო, ჩვეულებრივ, ის ძლიერ გვიანა დგე-ბოდა.

— ხედამ!

— დიახ, ქალ-ბატონო.

— სახლში ხომ საყურადღებო არა შეგინიშნავსთ-რა?

— არა, არაფერი, ქალ-ბატონო.

— ღამე ალიაქოთი არა მომხდარა-რა?

— არ გამიგონია, ქალ-ბატონო.

— თქვენ რომ დაგითხოვათ, იმასთან მოსამსახურეთ ვი-ღანი დარჩნენ?

— დარჩა დონ პედრო.

— რა კაცია ეგ პედრო?

— ძველი სალდათია, უწინდელს ომებში ნამყოფი; ამალია იმის ხელშია გაზდილი.

— სხვა ვიღანი დარჩნენ?

— ერთი ყმაწვილი მოახლე, რომელიც ქალ-ბატონმა ტუ-კუმანიდამ მოიყვანა, და ორიც ზანგი.

— კარგი: ჯერ აქამდის მართალს ლაპარაკობ; მაგრამ იცო-დე კი, რომ ის, რასაც ეხლა მე შენა გკითხავ, — ძლიერ სა-ჭიროა ფედერაციისა და ხუან-მანუელისთვის, გაიგე თუ არა?

— მე სიცრუვე თავის დღეშიაც არ მილაპარაკნია, უთხრა მოხუცმა.

— აი ვნახავთ: ამალიასთან ხუთი თვის განმავლობაში, რო-დესაც შენ იმასთან იყავი, ვინ დაიარებოდა ღამ-ღამობით?

— არავინ, ქალ-ბატონო.

— როგორ თუ არავინ?

— დიახ, არავინ. იმ ხანებში, რაც მე იმასთან ვიყავი, ღა-მე-მოსული არავინ მინახავს.

— შენ ღამ-ღამობით ყოველთვის შინ კი იყავ?

— არ იქნებოდა რომ არ ვყოფილიყავ, ამისთვის, რომ,

თუ მთვარიანი ღამე იქნებოდა, ქალ-ბატონი მაშინვე ეკიპაჟის შებმას მიბძანებდა ხოლმე გასასეირნებლად.

— გასასეირნებლად! რა ნაირად ჰყვარებია ღამე სეირნი და!..

— დიაღ, ქალ-ბატონო, სასეირნოდ რომ მიდიოდა მოახლე ლუიზასაც თან მიჰყავდა.

— მაშ ძლიერ განებივრებული ყოლებია დონიას ლუიზა!

— დიაღ, ქალ-ბატონო, დასავით უყვარს.

— იქნება ლუიზა ნათესავიც არის, ჰა?

— არა, ქალ-ბატონო.

— ჰმ... ზოგნი კი ამბობენ, რომ ის ამალიას ქალიაო.

— ღმერთო ჩემო, მაგას რას ბძანებთ ქალ ბატონო? დონიას ამალია ჯერ ისევ უმაწვილია და გოგო კი აგერ ცამეტი წლისა სრულდება.

— მაშ ამალია უმაწვილია, ჰა? რამდენი წლისა იქნება?

— ვგონებ ოც-და-ოთხისა მეტი არ იქნება, ან იქნება ესეც არ იყოს.

— საწყალი!... ღამე ვისთან დასეირნობდა?

— აკი მოგახსენეთ, მოახლესთან.

— მარტო იმასთან? გზაზე არავინ დახვდებოდა ხოლმე?

— არავინ, ქალ-ბატონო.

— იმ ღამეს, როდესაც სასეირნოდ აღარ მიდიოდა, სახლში სტუმრები მოსდიოდნენ?

— არა, ქალ-ბატონო, არ მოსდიოდნენ.

— მაშ რას აკეთებდა, ლოცულობდა?

— მაგისი კი რა მოგახსენოთ, ქალ-ბატონო, მაგრამ სახლში კი არავის იღებდა, მიუგო დათხოვნილმა ამალიას გუზერმა, რომელიც მიხვდა, რასაც მოასწავებდა მარია-ხოზეფას ლაპარაკი და გულში ჯავრობდა.

დონია მარია-ხოზეფა ჩაფიქრდა.

— თავ-ბედისა აღარა გამეგება-რა, სთქვა მარია-ხოზეფამ თავის გულში.

— ახლა ეს მითხარ, სთქვა მარია-ხოზეფამ,—დღეც არავინ დაიარებოდა იმასთან?

— ათასში ერთხელ ქალები მოდიოდნენ.

— მე შენ კაცებზედ გკითხავ.

— ქალ-ბატონის ბიძა-შვილი დონ-დანიელი მოდიოდა.

— ყოველ დღე?

— არა, ქალ-ბატონო, კვირაში ორჯელ-სამჯერ; მეტჯერ არა.

— მას აქეთ, რაც დაგითხოვეს, აღარა ყოფილხარ ქალ-ბატონთან?

— ორჯელ თუ სამჯერ ვიყავ.

— მაშ გამიგონე: როცა შენ იქ მიდიოდი, ქალ-ბატონის მეტი სხვა არავინ გინახავს?

— არა, არავინ მინახავს.

— მაშ არავინ, არა?

— არა, ქალ-ბატონო, არავინ მინახავს.

— სახლში ავათ-მყოფი არავინ ყოფილა?

— არა, ქალ-ბატონო, მადლობა ღმერთს, ყველანი კარგად იყვნენ.

დონია მარია-ხოზეფა კიდევ ჩაფიქრდა.

— ხუან-მანუელს ცუდი ამბები შემოესმა ამალიას სახლზედ, მე შევატყობინებ ყველაფერს, რაც მითხარი და თუ მართალი გითქვამს—კარგი სიკეთე გიქნია ამალიასთვის, მაგრამ თუ დაგიმალავს რამე, მაშინ ხომ იცი ხუან-მანუელს არ უყვარს, ვინც ფედერაციას არაფრად აგდებს.

— მე ფედერალი გახლავართ, ქალ-ბატონო, და ყოველთვის მართალს ვლაპარაკობ.

— შენთვის უფრო კარგი, ახლა კი შეგიძლიან წახვიდე.

როდესაც ამალიას დათხოვნილი კუჩერი გადიოდა კარებ-ში, დონია მარია-ხოზეფამ დაუძახა თავის მოახლეს და ჩუ-მად ჰკითხა:

— აქ არის ის გოგო, გუშინ რომ მოვიდა ამალიას უბ-ნიდამ.

— აქ გახლავს, ქალ-ბატონო.

— უთხარ შემოვიდეს.

ერთი წამის შემდეგ მარია-ხოზეფასთან შემოვიდა თვრა-მეტისა ან ოცის წლის ზანგის გოგო.

— შენ მე მომატყუე: იმ ქალის სახლში, რომელზედაც ამ-ბავი მომიტანე, ავად-მყოფი კაცი არავინა ყოფილა.

— გეფიცებით, ქალ-ბატონო, მართალი მოგახსენეთ. ეხლა მე იმ დუქანში ვარ, რომელიც იმ ქალის სახლის პირდაპირ არის და ბევრჯელ დამინახავს ყმაწვილი კაცი, რომელსაც ფე-დერაციის ნიშანი არა აქვს და ბაღშიაც ყვავილებს კრეფავს უსათუოდ იმ ქალისათვის. ის ქალი და კაციც დამინახავს ბაღ-ში მოსიარულენი, მერე ერთი ხის ქვეშ დასხდებიან ხოლმე და სვამენ ყავას.

— ყველა ეგ საიდამ დაინახე?

— დუქნის ეზოდამ, რომელიც იმათ სახლს გადაჰყურებს, ბევრჯელ მივპარულვარ და ყური დამიგდია მათთვის. ვერ წარ-მოიდგენთ რა ნაირ მეჯავრებიან.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ უნიტარები არიან.

— შენ რა იცი მერე?

— როცა დონია ამალია გაივლის ხოლმე ჩვენი დუქნის წინ, ერთხელ არ დაუკრავს თავს არც ჩემს ბატონს, არც იმის ცოლს და არც მე; იმის მოსამსახურეები ჩვენი დუქნიდამ არაფერს ყიდულობენ, რადგან იციან, რომ ფედერალები ვართ. როდესაც ამას წინად მარინო ორის სალდათით იმის სახლს გარშემო უვლიდა, ძლიერ გამეხარდა, და როდესაც ისინი ჩვენს დუქანში მოვიდნენ ცნობების შესაკრებად მე ყველაფერი უამბე, რაც კი ვიცოდი.

— სხვა რაღა იცი ისეთი, რომ იმ ქალის უნიტარობას ამტკიცებდეს.

— რა ვიცი?

— დიაღ, სხვა კიდევ რა იცი?

— აი მოგახსენებთ: ერთს ჩემს ნაცნობს ქალს გაეგო, რომ ამალიას მოსარეცხე დედა-კაცი უნდოდა და წასულიყო იმასთან, მაგრამ იმას გამოეგდო და სარეცხი სხვა დედა-კაცისთვის მიეცა.

— რა ჰქვიან იმ დედა-კაცს?

— არ ვიცი, ქალ-ბატონო, მაგრამ თუ გნებავთ გავიგებ.

— აბა მაშ ერთი გაიგე.

— ამასთანავე გაცნობებთ კიდევ, რომ ქალ-ბატონი ამალია, როგორც ჩემის ყურით გავიგონე მღეროდა დ უკრავდა ფორტეპიანოს.

— ეგ დიდი ცოდვა არ არის.

— საქმე ის არის, რომ უნიტარების ლექსსა მღეროდა ლავალეზედ.

— შენ რა იცი, მერე?

— მადლობა ღმერთს, ყრუ არა ვარ.

— არ შეგიძლიან იმის სახლის ეზოში შეიპარო და ყური დაუგდო რასა მღერის?

— ვეცდები, ბატონო.

— აი კარგი მაშინ იქნებოდა, შენ რომ როგორმე სახლში შეიპარო და გათენებამდის იქ დარჩე...

— იქ რა გავაკეთო ქალ-ბატონო?

— ტუტუცო! შენ თვითონ არ ამბობ, რომ იქ ყმაწვილი კაცია...

— ჰო, ჰო, ჰო, მესმის, ქალ-ბატონო, მესმის...

— ხომ მიხვდი?

— მივხვდი, რა ნაირად დავიჭერ იმ ორივე მტრედებს...

— გაფთხილდი კი... სხვა რაღა ხდებოდა იმ სახლში?

— მე გუშინ ყველაფერი მოგახსენეთ, რაც ვიცოდი. იქ თითქმის ყოველ-დღე მოდის ვიღაც ყმაწვილი კაცი, როგორც შევიტყე, იმ ქალის ბიძა-შვილი, ამ ბოლო დროს ექიმი ალ-კორტაც მოვიდა რამდენჯერმე, და აი ამისთვის მოგახსენეთ, რომ იმ სახლში ავად-მყოფია ვინმე.

— ხომ გახსოვს, რაც გუშინ მითხარი.

— ჰო, დიაღ, დიაღ უკაცრავად, ქალ-ბატონო, — მე მოგახსენეთ, რომ ავად-მყოფი უსათუოდ ის ყმაწვილი კაცი უნდა იყოს, ყვავილებს რომ გლეჯავდა, რადგანაც ის წინად ერთის ფეხით კოჭლობდა..

— როგორ თუ წინად? რამდენი ხანი იქნება მას აქეთ?

— ასე ორი თვე იქნება ქალ-ბატონო. ეხლა ის აღარა კოჭლობს და აღარც ექიმი დადის. ეხლა ის ყმაწვილი დასეირნობს ამალიასთან და ისეთი კარგად არის...

— მაშ აღარა კოჭლობს? ჰკითხა მარია-ხოზეფამ.

— აღარა, ქალ-ბატონო.

— მაშ გამიგონე: თვალ-ყური ადევნე ყველაფერს, რაცა ხდება იმ სასლში და დაწვრილებით შემატყობინე, ამით დიდად დაავალებ მთავრობას, რომელიც იცავს ღარიბებს, ამისთვის რომ ფედერაცია ცდილობს გაათანასწოროს სხვებთან ღარიბებიც და ზანგებიც.

— ეგ ჩვენც გვესმის, ქალ-ბატონო, და ამისთვისაც ერთგულად ვემსახურები ფედერაციას; რასაც კი გავიგებ, ყველაფერს მაშინვე შეგატყობინებთ.

— მაშ კარგი, ეხლა შეგიძლიან წახვიდე.

ზანგის ქალი გამოვიდა სრულიად კმაყოფილი იმით, რომ მარია-ხოზეფასთან ილაპარაკა და დიდი ღვაწლი დასდო ფედერაციას.

ამის შემდეგ მარია-ხოზეფასთან შემოვიდნენ მოახლეები, რომელთაც ყველაფერი შეატყობინეს თუ რა ყოფა-ქცევისანი იყვნენ მათი ბატონები.

მერე შემოვიდნენ კაცები, რომელთაც სათხოვარი რამ ჰქონდათ მთავრობასთან და ბევრმა მათგანმა მოუტანა საჩუქარი მარია ხოზეფას. ისიც ყველას იმედს აძლევდა და ეუბნებოდა: მე ვთხოვ ხუან მანუელს და რაც კი შეიძლება ყველაფერს ამისრულებს.

ესრედ ამ თავისუფლების მტერს კაცს—როზას, თავის სახლობაშივე ჰყვანდნენ ისეთივე პირები, რომელნიც იმისთვის ძვირფასნი იყვნენ. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა დონა მარია-ხოზეფა ესკურრას.

## თავი მეოთხე.

### პროლოგი დრამისა.

24 მაისის ღამის შემდეგ, რითაც დავაბოლოვეთ ჩვენი ნამდვილი მოთხრობის მეორე ნაწილი, კერძო და საზოგადო მდგომარეობა მომქმედის პირებისა შეიცვალა ივნისის ბოლო რიცხვებამდის, როგორც შეიცვალა თვით გარემოებაც.

დროთა-ვითარებამ განდევნა ამალიას პოეტურის სახლი-დამ შიში და მრწოლა და გადააქცია იგი სამოთხედ ორი შეყვარებულის სულისათვის, რომელნიც ოცნებობდნენ თავეთ მომავალს ბედნიერებაზედ.

ამ მყუდრო და დამატკბობელს ცხოვრებაში ედუარდომ და ამალიამ დაივიწყეს ქვეყანა და ხალხი, სცხოვრობდნენ აწმყოთი და ხარბად ეწაფებოდნენ ტრფიალების და ნეტარების წყაროს.

ქალ-ბატონი დიუპასკე და იმისი ქალი სტუმრად მოინადირა ამალიამ, მაგრამ იმ წლის დიდი ზამთარი ნებას არ აძლევდენ მათ მალ-მალე სწვევოდნენ ამალიას. დანიელი კი, რომელსაც ვერც ბუნება და ვერც ხალხი ვერ აბრკოლებდა, თითქმის ყოველ-დღე მიდიოდა ამალიას და ედუარდოს სანახავად და ართობდა მათ თავის მარილიანის ლაპარაკით და ხუმრობით.

ბოლო ხანებში, ქალ-ბატონი ავგუსტინა როზას-დე-მანსილია ოთხჯერ მოვიდა ამალიასთან, თუმცა ამალიამ კი არც ერთი ამ ვიზიტთაგანი არ გადაუხადა. ამალიას წინად გული არ მისწევდა ავგუსტინასთან, მაგრამ ბოლოს კი დარწმუნდა,

რომის უწყინარი და უშიშარი არსება იყო და მოდიოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ესიამოვნა ამალიას მშვენიერებით და ენახა იმის მართლა და ძვირფასი ნივთეულობა და ტანისამოსი.

რაც შეეხება პოლიტიკურს მდგომარეობას, იგი ისევ იმ მდგომარეობაში იყო, რა მდგომარეობაშიაც დავტოვეთ.

ამავე დროს დანიელს ჩაუვარდა საუკეთესო იმედები; 15 ივნისს, როდესაც მეორედ უნდა შეკრებილიყვნენ ახალ-გაზდა პატრიოტები დონია მარსელინას სახლში, კრებაზედ შვიდის უმაწვილის მეტი აღარ მოვიდა. ნახევარი მათგანი აღარ იყვნენ ბუენოს-აირესში—ზოგი მონტევიდეოში გაქცეულიყვნენ და ზოგიც ლავალიეს ჯარში შესულიყვნენ.

დანიელი ძლიერ სწუხდა, რომ ამხანაგებმა მარტო დასტოვეს; მაგრამ ამ მარტოობაშიაც იმან არავის წინ არ მოიხარა თავი, იმის ძლიერი სული არ მიეცა სასოწარკვეთილებას. პირიქით, იმას თითქო უფრო, ძალა და ენერგია ემატებოდა მოქმედებისათვის.

ესეთი მდგომარეობა იყო, როდესაც როგორც უკვე ვაციით, დანიელი მონტევიდეოში წავიდა. იმის უკან დაბრუნებამდის არც ედუარდომ და არც ამალიამ არ იცოდნენ ეს ამბავი. მხოლოდ იცოდა მარტო ფლორენსიამ, რომელმაც ცრემლებით გაისტუმრა თავის ტრფიალი კაცი სამშობლოს გულისათვის

ერთს საღამოს ამალია და ედუარდო ანთებულის ბუხრის წინ ისხდნენ და კითხულობდენ ბაირონის თხზულებას. ამალია ედუარდოს დაყრდნობოდა მხარზედ და ისე უგდებდა ყურს. იგინი ისე იყვნენ გართულნი ნეტარებით, რომ ქვეყანაზედ თავიანთ მეტი აღარავინ ეგონათ. ვინც იმათ ტრფიალებით აღტაცებულს სახეს შეხედავდა, იფიქრებდა, რომ თვით

მწუხარებაც კი ვერ გაზუდავდა ამ ორი არსების ხელის-ხლებას, რომელთაც არავისთვის ბოროტი არ უქმნიათ და რომელთა წმინდა სიყვარულიც თვით მტერსაც კი დაავიწყებდა მათდამი ბოროტ-განზრახვას.

ამ დროს ამალიას სახლის წინ ეკიპაჟი დადგა და ერთი წამის შემდეგ ზალაში შემოვიდნენ ქალ-ბატონი დიუპასკე თავის ქალით და დანიელი.

რადგანაც ამალიამ და ედუარდომ ფანჯრიდამვე იცნეს მოსული სტუმრები, ამისთვის ედუარდო აღარ დაიმალა და დარჩა ამალიას გვერდით.

დანიელი, ჩვეულებრივ, მხიარულს გუნებაზედ იყო, ამისთვის რომ, როდესაც ფლორენსიას ან ამალიას გვერდით იყო, გული მისი ივიწყებდა სოფლის ამბოხებას და ლტოლვილებას და სულით და გულით ეძლეოდა მხიარულებას.

— ყავა, ამალია, ყავა, თორემ სიცივისგან გავფიჩხდით, უთხრა მან. — ჩვენ სწორედ ყავისთვის მოვედით შენთან; ესეც ჩემი ბრალი იყო, თორემ არც დედა და არც ქალი არ მოდიოდნენ.

— ძლიერ ძვირად აფასებ შენს აქ მოსვლას და არა მგონია რამე სასყიდლის ღირსი იყო, მიუგო ამალიამ, როდესაც ყველა სტუმრებს მიესალმა და დაჰკოცნა.

— ნუ დაუჯერებ დანიელს, ამალია, მე თვითონ მოვინდომე აქ წამოსვლა, თორემ ეს ზარმაცი გათენებამდის ბუხრის წინ იჯდებოდა, უთხრა ფლორენსიას დედამ, რომელიც ორმოცის წლისა მეტი არ იქნებოდა, მაგრამ სახეზედ კი მწუხარება ეტყობოდა, როგორც ყველა უნიტარების დედათ, რომელნიც მუდამ სახლში ისხდენ და შიშობდენ თავეთ შვილების და ნათესაობის ბედზედ.

— დაე აგრე იყოს, მაგრამ მე მაინც პარასკეობით უთუოდ არ უნდა დამაგდოთ.

— მოუტანე, გეთაყვა ამალია, ყავა, თორემ მთელს საღამოს სულ მაგაზედ ილაპარაკებს, უთხრა ფლორენსიას დედამ.

— ჰო, საყვარელო, ამალია, მოუტანე ყავა, რამდენიც უნდოდეს, ოღონდ კი გაჩუმდეს, უთხრა ფლორენსიამ, რომელსაც ედუარდო ბაირონის თხზულების სურათებს აჩვენებდა.

— ეგ რა წიგნია, ედუარდო, ჰკითხა დანიელმა.

— ბაირონის თხზულებაა, ჩემო მეგობარო, რომელიც შენი გემოვნებისა იყო, უთხრა ედუარდომ.

— მაგ ლორდს ყავა არ უყვარდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნაპოლეონსაც უყვარდა, მაგრამ უნდა გითხრა კი, ამალია, რომ ბაირონს ნაპოლეონი არა სძულდა, არამედ შურდა იმის დიდება, რადგანაც არ უნდოდა, რომ იარაღით დიდებული კაცი ჭკუით დიდებულს კაცზედ მეტი ყოფილიყო. ქალა ხომ ცუდი არა ვსთქვი-რა?

— ძლივს რიგიანად არა ლაპარაკობ, შენიშნა ფლორენსიამ.

— ამას გარდა ხსენებულს პოეტს, რომ თავის ცოლი ჰყვარებოდა, მაშინ ის მწუხარებით და ვალალებით აღარ გაატარებდა თავის სიცოცხლეს.

— მე ეგ არ მესმის, რას ამბობ, უთხრა ფლორენსიამ.

— მე იმას ვამბობ, განაგრძო დანიელმა და გადაწვა კრესლაში, — რომ ჩემმა ცოლმა რომ სიგიჟე დამწამოს იმისთვის, რომ პოეტურის აღტაცების დროს ჭაათი ბუხარში შევაგდო და თუ ის ამისთვის გამეყრებოდა და წავიდოდა, მაშინ ბირონასავით გრძნობიან ლექსებს კი აღარ დავუწერდი, არამედ ჯგლებდი და...

— რა, რა? მიატანა ფლორენსიამ.

— მე ისე მოვიქცეოდი, როგორც ისპანიის ნამდვილი შვილი. შენ რაღას იქმოდი, ედუარდო, ამისთანა დროს?

— მე?...

— დიაღ, შენ. წარმოიდგინე, რომ შენი ცოლი, რომელიც გაგიჟებით გიყვარს, ბაირონის ცოლისავით მოგექცა.

— მე რას ვიზამდი? იმას, რაც ბაირონმა, — მივწერდი და დავარწმუნებდი, რომ ისევ დამდგარიყო სწორე გზაზედ, რომლისაგანაც გადაუხვია.

— მაგითი, ძმაო, შორს ვერ წახვიდოდი.

— მაშ შენ რაღას იზამდი?

— მე? დავიწყობდი სიარულს და გულ-დამშვიდებული მივიდოდი იმ სახლში, სადაც ჩემი ცოლი იქნებოდა, ვსთხოვდი დაბრუნებას და ვეტყოდი დამსწრეებს: გზა დაგვილოცეთ ცოლ-ქმარსა მეთქი.

— რომ არ წამოგყოლოდა? უთხრა ფლორენსიამ.

— მაშინ რაღა გაეწყობოდა, მეც იქ დავრჩებოდი, სადაც ჩემი ცოლი იქნებოდა. მხოლოდ დაბრკოლება იმაში იქნებოდა, რომ ვაი თუ სახლის პატრონებს გადმოვეგდე ფანჯრიდამ...

დანიელს ზალის კარების რახუნმა გააწყვეტინა ლაპარაკი. ყველა შეძრწუნდენ და კაბინეთის შუშის კარებიდამ დაინახეს ორი ქალი—დონია ავგუსტინა როზას-დე-მანსილია და დონია მარია-ხოზეფა ესკურრა. ედუარდომ დამალვა ველარ მოასწრო.

## თავი მეხუთე.

### დრამის პირველი აქტი.

ამალიას მეტი, ყველანი იცნობდენ დონია მარია-ხოზეფა ესკურრას; მაგრამ როდესაც დაინახა ეს ჩამომხმარი, საზიზღარი სახის დედა-კაცი, ამალია უნებურად შეკრთა, რის გამოც მოკრთალებით ჩამოართვა ხელი ბებერს დედა-კაცს.

— მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ქალ-ბატონი დონია მარია-ხოზეფა ესკურრა! სთქვა ავგუსტინამ—და ამ სიტყვებზედ ყრუანტელმა დაუარა ამალიას ტანში, რისთვისაც, თავის უნებურად, თვალით დაუწყო ედუარდოს ძებნა.

— თქვენ არ მომელოდით ამისთანა ავდრიან დღეში, განა? უთხრა ავგუსტინამ ამალიას, როდესაც ყველანი ბუხარს მოუსხდნენ.

განზრახ თუ შემთხვევით დონია მარია-ხოზეფა ედუარდოს მარცხენა მხარით მოუჯდა. რასაკვირველია, ამალიამ არ გააცნო ედუარდო ბებერს დედა-კაცს, დანარჩენები კი, მათ შორის ავგუსტინაც, იცნობდენ ერთი-ერთმანერთს.

— გმადლობთ ამ ძვირფასი სტუმრის მოყვანისათვის, უთხრა ამალიამ ქალ-ბატონ მანსილიას.

— მარია-ხოზეფამ გასეირნება მოინდომა, და რადგანაც იცოდა, რომ მე აქ დავიარები, ამისთვის უბძანა კუჩერს, რომ აქეთ წამოსულიყო.

დანიელმა მოიქექა თავი და დაუწყო ცეცხლს ცქერა.

— მაგრამ მარტო ჩვენ არ მოვდივართ თქვენთან, განაგრძო ავგუსტინამ,—აქა გხედავ ქალ-ბატონს დიუპასკესაც, რო-

მელიც აგერ ერთი წელიწადია აღარ დაიარება ჩემთან, და უმადლო ფლორენსიას, თავის განძურელის ბელოთი. ამალიასთანავე ვხედავ ბატონს ბელგრანოს, რომელიც არსად არ დაიარება, დასძინა ავგუსტინამ, ბუენოს-აირესის ყველა ახალ-გაზრდა კაცების მცნობმა. დონია მარია-ხოზეფამ ედუარდო თავიდამ ფეხებამდის ჩაათვალიერა.

— დღეს ეს როგორღაც მოხდა, თორემ არც ჩემი ნაცნობები დაიარებიან ჩემთან ხშირად.

— თუ მე არა, ავგუსტინა, ჩემი ქალი ხომ ხშირად მოდის თქვენთან, უთხრა ქალ-ბატონმა დიუპასკემ.

— ბალის შემდეგ ორჯელის მეტად არ მოსულა ჩვენსა.

— თქვენ ისეთს მშვენიერს მიყუდროებულს ადგილას სცხოვრებთ, რომ, სწორედ გითხრათ შესაშურია, უთხრა დონია მარია-ხოზეფამ ამალიას.

— დიახ, მე განმარტოებული ვცხოვრობ, ქალ-ბატონო.

— მშვენიერი სადგომი ადგილია აქა, განსაკუთრებით სიმრთელისათვის, უთხრა ბებერმა.

მერე კვალად მიუბრუნდა ამალიას და უთხრა ედუარდოზედ:

— ეს ბატონი, ვგონებ თან-და-თან რჩება.

ამალია აენთო.

— მე სრულიად კარგად გახლავარ, ქალ-ბატონო, უთხრა ედუარდომ.

— უკაცრავად, გეთაყვა. მაშ ფერი რათა გაქვსთ წასული?

— ეს ჩემი ბუნებითი ფერია.

— ამასთანავე ფედერაციის უნიშნოდ დაუყველსახველოდ რომ დაგინახეთ ამისთანა სიცივეში, ასე მეგონა შინაური ბძანდებოდით.

— რაც შეეხება სიცივეს, ქალ-ბატონო, იგი ყველაზედ ერთ-ნაირად არ მოქმედობს, მიუგო დანიელმა, რომ ედუარდოს ან მეტის-მეტი სიცრუე არ ეთქვა და ან ნამდვილი პასუხი არ მიეცა, — მაგალითად შოტლანდიელები ცივს ბუნებაში სცხოვრობენ, მაგრამ ფეხ-შიშველები კი დადიან.

— ზღვის იქით მცხოვრებნი რას არ მოიგონებენ, მაგრამ ჩვენ ხომ ბუენოს-აირესში ვცხოვრობთ, შენიშნა დონია მარია-ხოზეფამ.

— სადაც წრეულ ასეთი დიდი ზამთარია, დაუმატა ქალ-ბატონმა დიუპასკემ.

— თქვენ ხომ დაიწყეთ ბუხრის ანთება ქალ-ბატონო? ჰკითხა ფლორენსიამ მარია-ხოზეფას, რომელიც, როგორც ყველანი, ცდილობდა, რომ ამ წყეულს ბებერს მოეშორებინა ედუარდოსთვის თვალი.

— მე ისედაც იმოდენი საქმე მაქვს, რომ ბუხარზედ ფიქრისთვის არა მცალიან. აი როდესაც უნიტარები აღარ იქნებიან, რომელნიც მოსვენებას არ გვაძლევენ, მაშინ ვიფიქრებ მაგეებზედ.

— მე კი ყველა ოთახებში არ ვანთებ ბუხარს, სთქვა ავგუსტინამ, — ამისთვის რომ მანსილია ცივდება, როგორც კი მოშორდება ცეცხლს.

— როგორ! განა გენერალი ავად არის? ჰკითხა ამალიამ.

— არა, ავად არ არის, მაგრამ ძლიერ გახარებული კი არის, შენიშნა ბებერმა. — განა არ იცით, რომ აგერ სამი დღეა ვდღესასწაულობთ უნიტარების დამარცხებას? ეს ყველა ერთ-გულმა ფედერალმა იცის.

— თქვენს მოსვლამდის სწორედ გზაზედ ვლაპარაკობდით, მიუგო დანიელმა, — დიდი ბრძოლა ყოფილა.

— სადაც უნიტარები ძლიერ დაამარცხეს.

— მჯერა კი, რომ აგრე იქნებოდა! უთხრა დანიელმა.

— მეცა, დაუმატა ედუარდომ, რომელიც ამ დროს ოთხს მაისის ღამეზედ ფიქრობდა. — თუ ბნელი ღამე არ შეხვედროდათ...

— რა ღამე?.. ბრძოლა დღე იყო, ბატონო ბელგრანო, შენიშნა დონია მარია-ხოზეფამ.

— რასაკვირველია, დღე იყო, მაგრამ ჩემს მეგობარს იმის თქმა უნდოდა, რომ თუ ბრძოლა ღამე ყოფილიყო, აღარც ერთი არ გადარჩებოდაო.

— რასაკვირველია, არ გადარჩებოდა! არც ერთს დღესასწაულზედ არ დასწრებიხართ, ბატონო ბელგრანო.

— ჩვენ ორივემ ვისეირნეთ ქუჩებში და დავსტკბით ბაირაღების ცქერით, უთხრა დანიელმა, რომ ედუარდოს კიდევ უშესაბამო პასუხი არ მისცა.

— რა მშვენიერი ბაირაღებია! საიდამა შოულობენ, ქალ-ბატონო? ჰკითხა ფლორენსიამ მარია-ხოზეფას.

— ზოგი ყიდულობს და ზოგიც თავის ხელით ჰკერავს, ცქრიალა ქალო, ვისაც კი ფედერაცია უყვარს.

— ფედერაცია მეც ძლიერ მიყვარს, სთქვა ავგუსტინამ, მაგრამ ბაირაღებს მაინც ჩემის ხელით არ შევკერამ. მე მანდევილს ვსთხოვე ბაირაღები და აქამდისინ ვხმარობ. შენა, ამალია, შენცა გაქვს ბაირაღები?

— არა, ავგუსტინა, რადგანაც ქალაქზედ მოშორებით ვცხოვრობ.

— ძალიან კარგსაცა შვრები. ამ რაღაც ბაირაღების წყალობით კინაღამ ბავშვი არ გადამივარდა მოაჯირიდამ, როდესაც ბაირაღს წაატანა ხელი.

— არც აგრე შორს არის ეს სახლი ქალაქზედ, შენიშნა მარია-ხოზეფამ.

— თეატრი ხომ შიგ შუა ქალაქშია: ბრძანებულხართ იქა, მარია-ხოზეფა, თუ არა?

— არა, ფლორენსია, მე თეატრში არ დავდივარ, მაგრამ გავიგე კი, რომ იქ ჩვენი ჯარის გამარჯვება აღტაცებით მიუღიათ: თქვენც ხომ იქ არა ბძანდებოდით, ბატონო ბელგრანო?

— ამას იქით, როდესაც წავალ თეატრში, ძალად წაგიყვანთ, თუ ნებით არ წამობძანდებით.

— ტყუილად თავს ნუ შეიწუხებ, ფლორენსია, მე თეატრებისთვის არა მცალიან, უთხრა გულიანმა ბებერმა გაჯავრებით; რაკი შეატყო, რომ განგებ არ უშვებდენ ედუარდოსთან სალაპარაკოდ.

— თეატრი ერთი საუკეთესო ადგილთაგანია, სადაც შეუძლიან კაცს პატრიოტული გრძნობა გამოაცხადოს, უთხრა დანიელმა.

— მაგრამ ერთი ეს კია, რომ იმდენს ხალხის ყვირილში მუზიკა აღარ ისმის, შენიშნა ავგუსტინამ.

— კიდეც ის ყვირილია საუკეთესო მუზიკა ჩვენი წმინდა საქმის სადიდებლად, მიუგო დანიელმა აუჩქარებლად.

— აი ეგ ჭკვიანი სიტყვაა, მოუწონა ბებერმა.

— ფლორენსია, ფორტეპიანოზედ დაუკარი რამე.

— ეგ კარგი მოიგონე, ამალია, მართლა, ფლორენსია, რატომ არაფერს უკრავ.

— დიდის სიამოვნებით. რა უფრო მოგწონთ, დონია ხოზეფა?

— რაც თქვენი ნება იყოს.

— მაშ აქ წამობძანდით. მე თუმცა ცუდად ვმღერი, მაგრამ რაც შემიძლიან ვეცდები კარგად ვიმღერო ჩემი საყვარელი რომანსი, დაწერილი აღმადგინებელის დაბადების დღესასწაულის გამო. წამობძანდით, გაუმეორა ფლორენსიამ და მოუდგა მარია-ხოზეფას გვერდით.

— ოჰ, მე ცელქო, შენა, რადა დროს ჩემი შეწუხებაა.

— არა გიშავთ-რა, წამობძანდით...

— მოდი რას იზამ ამისთანა ცელქთან! მოვდივარ, მოვდივარ, კა, კაი, დედა, — უკაცრავად ბატონო ბელგრანო, ჩემს მოხუცებულებას მოუტევეთ, — და ამ სიტყვებით რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაებჯინა ედუარდოს მარცხენა ფეხის მუხლზედ. ედუარდომ საშინელი მტკივნეულობა იგრძნო ფეხში, ვეღარ მოითმინა და დაიკვნესა: «კაი, კაი, ქალ-ბატონო!» რის შემდეგაც გაუვითლდა და წაუვიდა კრესლოში გული.

დანიელი ედუარდოს აეფარა წინ, რომ ამ კუდიან ბებერს არ დაენახა ამის შეწუხება.

აგვუსტინას გარდა ყველანი მიხვდნენ, რომ მარია-ხოზეფას საქციელში ბოროტი განზრახვა იმალებოდა; ყველანი აღელდნენ და შეწუხდნენ.

— უკაცრავად, ბატონო, ვგონებ ძლიერ დაგაწყენით, არა? არ ვიცოდი, თუ ფეხი აგრე გტკიოდათ, თორემ მე თვითონ გიშველიდით აღგომის დროს. აი რა არის სიბერე! კიდევ უკაცრავად, ბატონო, ცუდის სიტყვით ნუ მომიხსენიებთ. მერე ბებერი დაჯდა ფორტეპიანოს გვერდით.

ამალია მაშინვე გაიქცა და მოიტანა ოდეკოლონი, რომლითაც დაასველა ხელსახოცი და მისცა ედუარდოს, ედუარდო თან-და-თან მობრუნდა: მერე ამალიამ მიდგა სკამი და დაჯდა ედუარდოს გვერდით.

ფლორენსია უკრავდა და მღეროდა.

დონია მარია-ხოზეფა უცქეროდა ედუარდოს და ამალიას და აქნევდა თავს.

დანიელი იდგა ბუხართან და ყველას თვალ-ყურს ადევ-ნებდა.

— არა მიშავს-რა, გადამიარა, წასჩურჩულა ედუარდომ ამა-ლიას.

— ეს რა კუდიანი დედა-კაცია! რაც მოსულა, მას აქეთია სუყველასა გვტანჯავს, სთქვა ამალიამ, რომელსაც ედუარდო უალერსებდა.

— აქ, ბუხართან, უფრო თბილა,—სთქვა დანიელმა და შე-ხედა ამალიას.

— დიახ, სთქვა დიუშასკემ,—მაგრამ...

— ვსწუხვარ, ქალ-ბატონო, რომ მეთერთმეტე საათს იქით ვეღარ დავრჩებით აქა, გააწყვეტინა დანიელმა, რაკი შენიშნა, რომ დიუშასკეს შინ წასვლა უნდოდა. ამასთანავე დანიელმა შე-ხედა იმას, რომელიც მაშინვე მიხვდა რასაც ნიშნავდა ეს.

— მეც თვითონ ეგ მინდოდა მეთქვა, გაისწორა ფლორენ-სიას დედამ,—რადგანაც ამალიასთან გვიან-გვიან მოვდივარ, ამისთვის ამაღამაც მაინც კარგა ხანს დავრჩეთ აქა და დრო გავატაროთ.

— მადლობელი გახლავარ, ქალ-ბატონო, უთხრა ამალიამ.

— თქვენ მართალს ბძანებთ, სთქვა ავგუსტინამ,—მეც თვი-თონ დიდ ხანს დავრჩებოდი აქა, თუ ერთს ალაგას კიდევ არ ვიყვე შესასვლელი.

— ძლიერა ვსწუხვარ, მაგრამ ძალის დატანება კი არ შე-მიძლიან, უთხრა ამალიამ.

— აბა, როგორ მოგწონთ ჩემი სიმღერა? ჰკითხა ფლორენსიამ მარია-ხოზეფას, როდესაც ადგა.

— მშვენივრად მღერით! როგორა გაქვსთ ფეხი ბატონო ბელგრანო,—ხომ აღარა გტკივათ.

— არა, ქალ-ბატონო, მიუგო ამალიამ.

— ცუდი სიტყვით ნუ მომიხსენიებ ბატონო.

— რათა, ქალ-ბატონო, რისთვის, მიუგო ედუარდომ ვითომ დამშვიდებულის სახით.

— მეც ჩემის მხრით პირობას გაძლევ, რომ არავის ვეტყვი შენი მარცხენა ფეხის ტკივილს, განსაკუთრებით ყმაწვილს ქალებს.

— რატომ არ დაბძანდებით, ქალ-ბატონო, უთხრა ამალიამ და მიარითვა სკამი.

— არა, არა, ახლა კი დროა ჩვენის წასვლისა, სთქვა ავგუსტინამ,—მე ერთს ადგილას კიდევ მინდა შევიდე და იქიდამ შინ უნდა წავიდე ცხრა საათამდის. ამის შემდეგ ლამაზი მანსილია წამოდგა ზეზედ და დაიხურა შლიაპა.

ამალია ამაოდ ცდილობდა არ შეეტყობინებინა მარია-ხოზეფასთვის თავის უკმაყოფილება, მაგრამ წასვლისას მაინც ცივად ჩამოართვა მას ხელი და მადლობის გადუხდელად გაისტუმრა სახლიდამ.

ავგუსტინამ ჩამოართვა დანიელს ხელი, რომელმაც ორივენი ეკიპაჟამდის მიაცილა. ზალის კარებიდამ მარია-ხოზეფამ კიდევ რამდენჯერმე მოხედა ედუარდოს და უთხრა:

— ცუდის სიტყვით არ მომიხსენიო, ბატონო. ოდეკოლონი აღარ დაიდოთ ფეხზედ, თორემ ცუდი იქნება. მშვიდობით!

ავგუსტინას ეკიპაჟი გაქანებული მირბოდა, მაგრამ ამალიას სახლში კი სიჩუმე იყო.

პირველად ამალიამ დაარღვია ეს სიჩუმე, ჩამოათვალიერა ყველანი და იკითხა გაკვირვებით:

— ეს რა წყეული დედა-კაცი იყო!

— სწორედ რომ წყეულია, მიუგო ქალ-ბატონმა დიუპასკემ.

— განა მაგას ისეთი რა ვუყავით, რომ ჩვენს დასატანჯად მოვიდა, როდესაც არც მე და არც ედუარდოს არ გვიცნობს?!

— ცუდად მოხდა, ცუდად, ამალია! უთხრა დანიელმა დალონებით, — ჩვენმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. ეს დედა-კაცი სამეგობროდ არ მოვიდა აქა. ვისმეს დაბეზღებამ მოიყვანა იგი ჩვენს სახლში და საუბედუროდ ყველაფერი გაიგო.

— რა, რა გაიგო?

— ყველაფერი, ამალია, ყველაფერი. შენა გგონია, ის განგებ არ დააწვა ედუარდოს მარცხენა ფეხზედ?

— ჰო, ჰო, ჰო, შეჰყვირა ამალიამ, — მაშ გაუგია ედუარდოს დაჭრილობა.

შეშინებულმა ქალებმა შეხედეს ედუარდოს.

დანიელმა განაგრძო დამშვიდებულის ხმით.

— მართალია, დაჭრილობა არის ერთად-ერთი ნიშანი იმ კაცისა, რომელიც 4 მაისს გადარჩა. ის უმიზეზოდ აქ არ მოვიდოდა. შემოვიდა თუ არა ედუარდო თავიდამ ფეხამდის დაათვალიერა. იმას სულ ედუარდოსთან უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ როდესაც შენიშნა, რომ ჩვენ ვაწყვეტინებდით მასთან ლაპარაკს, მაშინ იმან ეს საშუალება მოიგონა: ედუარდოს დააჭირა ნატკენს ფეხზედ ხელი, რისა გამოც მას გული წაუვიდა.

— ვინ ეტყოდა მერე მაგას?

— ახლა მაგაზედ ლაპარაკი აღარა ღირს, საწყალო ამალია. მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი ახლა განსაცდელის უფსკრულის პირზედ ვდგევართ. ჩვენ ერთი რამ უნდა მოვასწროთ ახლავე.

— რა? ჰკითხეს ყველა ქალებმა დანიელს.

— მე და ედუარდო ახლავე უნდა წავიდეთ ამ სახლიდამ.

— არა, ეგ არ შეიძლება, სთქვა ედუარდომ, მეც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბებერი დედა-კაცი კარგს არას მიქადის, მაგრამ მე მაინც აქ უნდა დავრჩე.

— არც ერთს წამს, უთხრა დანიელმა მტკიცედ.

— ამალია მერე, დანიელ? ჰკითხა აღელვებულმა ედუარდომ.

— იმას შენი დახსნა არ შეუძლიან.

— ვიცი, მაგრამ მე ხომ შემიძლიან იმის დახსნა მტარვალების შეურაცხყოფისაგან.

— ეგ თავ-განწირულება ორივეს დაგვღუპავთ.

— არა, მარტო მე დავიღუპები.

— ამალიაზედ ნუ სწუხარ, მე ვიცი და მაგან.

— ნუ თუ მტარვალები მართლა მოვლენ აქა? ჰკითხა ამალიამ დანიელს.

— დიაღ, ორი ან ერთი საათის უკან.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. ედუარდო, თქვენ უნდა ახლავე წახვიდეთ, მე გთხოვს, უთხრა ამალიამ და მივიდა მასთან.

— ჰო, ედუარდო, ერთად წავიდეთ, ეხვეწებოდა ფლორენსიაც.

— ჩემი სახლის კარები თქვენთვის ღია არის, უთხრა ქალბატონმა დიუპასკემ.

— არა, არა, არ შეიძლება. პატიოსნება ყველაზედ მაღლა

სდგას და ეს პატიოსნება მეუბნება, რომ ამალიასთან დავრჩე.

— მე ვერ გეტყვი, რომ ამაღამვე მოხდება რამე, მაგრამ სიფთხილე კი გვმართებს? თუ უბედურება რამ მოხდება, ამალია მარტო არ იქნება, ერთი საათის უკან მეც თვითონ აქ დავბრუნდები.

— ამალიაც ჩვენთან წამოვიდეს, სთქვა ფლორენსიამ.

— არა, მე და ამალია აქ უნდა დავრჩეთ, მიუგო დანიელმა, — თუ ამაღამ ღმერთმა კარგად გაიარა, ხვალ მეც შევეუდგები მუშაობას ისე, როგორც მარია-ხოზეფამ დღეს იმუშავა. აბა დროს ნუღარ დავკარგავთ. აიღე, ედუარდო შლიაპა და მანტია, დრო არის.

— თავი დამანებე!..

— ედუარდო! ამისრულე ეს თხოვნა! ამაღამ დანიელს ჩააბარე შენი თავი; ხვალ... ხვალ კი ერთმანერთსა ვნახავთ.

ამალიამ შეხედა ედუარდოს ცრემლიანის თვალებით, რისგამოც ის დარბილდა და სთქვა:

— კარგი, თანახმა ვარ.

ფლორენსიამ შემოჰკრა ტაში და შეირბინა კაბინეტში შლიაპისა და შალის ასაღებად; მერე დაბრუნდა უკან და დაიძახა:

— ჩვენთან წამოდი, ედუარდო, ჩვენთან?

— არა, ჩემო წმინდა ქერაბიმო, არც შენთან და არც თვითონ ედუარდოს სახლში წასვლა არ შეიძლება. ედუარდო სხვა ადგილას წავა: ეგ ჩემი საქმეა.

ფლორენსია დაღონდა.

— კარგი, სთქვა ედუარდომ, მაგრამ ერთი საათის უკან ნამდვილად კი მოხვალ ამალიასთან?

— დიაღ, ერთი საათის უკან.

— ამალია, ამას შენის გულისათვის ვჩადი; თორემ, გეფიცები დედი ჩემის საფლავს, რომ ამას თავის დღეში არ ვიზამდი.

— გმადლობ, ედუარდო, გმადლობ! ვინ არ იცის, რომ შენს გულში შიშს ალაგი არა აქვს. ამასთანავე თუ ჩემს დასაცველად საჭირო იქნება ვინმე, დანიელი ყოველთვის მზად არის.

რამდენიმე წამის შემდეგ, ამალიას სახლის კარებები მაგრად ჩაკეტეს; ერთგული პედრო, რომელსაც დანიელმა რამდენიმე დარიგება მისცა, დიდის სიფრთხილით ჰყარაულობდა სახლსა.

ედუარდოს მოსამსახურეც იჯდა გზის კარებში, რომელსაც დანიელისაგან ნაბრძანები ჰქონდა იმის მოსვლამდის კარები არავისთვის გაეღო.

## თავი მეექვსე

### უნიტარების მანქანება.

თუმცა ძლიერ ჩქარობდა დანიელი, მაგრამ ერთი საათის უკან ამალიასთან მისვლა არ შეიძლებოდა, რადგანაც იმას ჯერ ქალ-ბატონი დიუმასკე და იმის ქალი ფლორენსია უნდა მიეყვანა სახლში, მერე იქიდამ ედუარდო ფეხით უნდა წაეყვანა, რომ კუჩერს არა სცოდნოდა ედუარდოს დასამალი სახლი; ამის შემდეგ დანიელი თავის სახლში უნდა წასულიყო, რომ თავის მოსამსახურესთვის ზოგი რამ ბრძანება მიეცა, შემდეგ შეეკაზმა ცხენი და წასულიყო ამალიასთან.

მეცხრე საათის ნახევარი იყო, როდესაც დანიელი ამალიასკენ მიდიოდა ჩაფიქრებული.

— ედუარდოს დაღუპვა უნდა, ჰფიქრობდა დანიელი, — როზასს, ამისთვის რომ პირველად ედუარდომ აიგდო სასაცილოდ მტარვალის გადაწყვეტილებას.

— მარია-ხოზეფასაც უნდა, რადგანაც ის როზასის ერთგულია დ̃ ელტვის ბოროტებას, როდესაც დაბრკოლებას ხვდება, ბრაზდება და აღარ იცის რა ქმნას.

— კუიტინოსაც ხომ უნდა და უნდა ედუარდოს დაღუპვა, რადგანაც ამით ვაჟ-კაცობას და ერთგულებას დაამტკიცებს.

— ამ ნაირად, ყველანი ედუარდოს დაღუპვას ცდილობენ, რომელთანაც თავეთი ვაჟ-კაცობა და ვერაგობა ვერ გაიყვანეს.

— მაგრამ ამ ედუარდოს ხომ მომხრეებიც ჰყავსნან.

— ეს მომხრეები არიან — ამალია, ხალხი, რომელიც მას ახვევია; მე და, იქნება ქალ-ბატონი დიუპასკეც და იმის ქალი ფლორენსიაც.

ძლიერო ღმერთო, როგორ ავიცდინოთ ეს საშინელი განსაცდელი!.. შეღაღადა დანიელმა და მთელს თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო შიში, რაკი ხედავდა, რომ ყველა იმის გულის საყვარელნი განსაცდელის უფსკრულში უნდა შთაცვივნულიყვნენ.

საკვირველი თვისებისანი არიან დიდი ხასიათის კაცები: იგინი უშფოთველად და უდრტვინველად იტანდენ განსაცდელს, როდესაც ეს განსაცდელი პირადათ მათ შეეხება. მაგრამ, როდესაც ესევე განსაცდელი შეეხება იმათ გულის საყვარლებს, მაშინ ისინი მშიშარანი დ̃ სულით მოკლენი ხდებიან. ამ ნაირს მდგომარეობაში იყო ჩვენი დანიელიც, რომელიც შიშობდა და სწუხდა იმათზედ, რომელთაც სიცოცხლეც ბეწვზედ ეკიდა.

— მაგრამ მოვუცდი გარემოებას, რა იქნება. მათ დაკვრაზედ მე ნაპერწკლებს გავყრი, ამისთვის რომ თუ ისინი ფეოდლები არიან, მე ტალი ვარ, ფიქრობდა დანიელი და მიაჭენებდა ცხენს ამალიასკენ. ღამე ბნელი და ცივი იყო.

უეცრად დანიელმა ექვსი ცხენოსანი დაინახა, რომელნიც იქითკე მიდიოდნენ, საითაც დანიელი.

ამ ცივსა და ბნელს ღამეში ცხენოსნები და დანიელი ერთს გზაზედ მიდიოდნენ, ხანდისხან ცა გაიელავდა და უნათებდა მათ გზას. დანიელს გულმა უგრძნო, რომ ცხენოსნები უსაქმოდ არ მიდიოდნენ ამალიასკენ, ისიც აედევნა მათ უკან. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს ეს ყმაწვილი კაცი, რომელიც დამბაჩებით შეიარაღებული, მიისწრაფოდა, რომ გამოეგლიჯა მტარვალის ხელიდამ განწირული მსხვერპლი.

— მაშ არ მოვტყუებულვარ, სთქვა თავის-თავად დანიელმა, როდესაც დაინახა, რომ ცხენოსნები ამალიას სახლის წინ შედგნენ და დაუწყეს კარებს კაკუნი.

ჯერ კარები არ გაღებულიყო, რომ დანიელი მივიდა მათთან და ჰკითხა:

— ვინა გნებავთ, ბატონებო?

— შენ რაში გეკითხება? შენ ვინა ხარ?

— თუ გეკითხებით, ბატონებო, მაშასადამე უფლება მაქვს ამისა. სამსახურის გამო ხომ არ მოსულხართ?..

— დიახ, ბატონო, სწორედ სამსახურის გამო, მიუგო ერთმა მათგანმა, რომელიც მიუახლოვდა დანიელს და თავით-ფეხამდის ჩაათვალიერა, როდესაც ყმაწვილი კაცი გადმოხტა ცხენიდამ და ზახიანის ხმით დაიძახა:

— პეტრო, გააღე კარები.

კარები მაშინვე გააღო, დანიელ წინ წავიდა და დაუძახა სხვებსაც:

— შემომყევით ბატონებო.

ყველანი უკან გაჰყვნენ.

როდესაც ზალის კარები გაიღო, ამალია გაყვითლებული იდგა რგვალ სტოლთან, მაგრამ როგორც კი დაინახა დაუპატიჟებელი სტუმრები, სიბრაზით აენთო, მაგრამ დანიელმა თვალით ანიშნა რომ დამშვიდებულიყო.

დანიელმა ჰკითხა ცხენოსნებს:

— ვინ არის თქვენი უფროსი?

— მე, მიუგო ერთმა მათგანმა და მივიდა დანიელთან.

— აფიცერი ხარ?

— დიაღ, კაპიტანი, კუიტინოს აფიცერი.

— თქვენ ამ სახლში კაცის დასაჭერად მოსულხართ, არა?

— დიაღ, ბატონო, ჩვენ ეს სახლი უნდა გავჩხრიკოთ და კაციც დავიჭიროთ.

— კარგი, მაშ ჯერ ეს წაიკითხეთ, უთხრა დანიელმა კუიტინოს აფიცერს და მისცა ქაღალდი.

იმან გაშალა ქაღალდი და როდესაც ბოლომდე ბეჭდები დაინახა, გადასცა ერთს სალდათს და უთხრა:

— აბა, წაიკითხე, რა სწერია.

სალდათმა ჩათვლით წაიკითხა ქაღალდი.

«გაუმარჯოს ფედერაციას!

«გაუმარჯოს ღირსეულს აღმადგინებელს კანონებისას!

«სიკვდილი უნიტარებს!

«სიკვდილი მოღალატე რივერს და ფრანცუზებს!»

ხალხის საზოგადოება.

«ამის წარმომადგენელი, დონ დანიელ ბელო, მსახურობს

ხალხის საზოგადოებაში, და რასაც კი ჩაიდენს, ყველას წმი-და ფედერაციის საქმისათვის. ამისთვის რომ ხსენებული ბელო ფედერაციის ერთი საუკეთესო დამცველთაგანია.

ბუენოს-აირესი, ივნისის 10 დღეს 1840 წელსა.

თავსმჯდომარე: ხულიან-ღონზალეც სოლომანი.

სეკრეტარი: ბონეო.»

— ეხლა თქვენ ეს მიბძანეთ, ბატონებო, უთხრა დანიელ-მა,— რა კაცს ეძებთ ამ სახლში, რომელიც თითქმის მე მე-კუთვნის და რომელშიაც უნიტარები თავის დღეში არა ყოფი-ლან.

კუიტინოს აფიცერს უნდოდა პასუხი მიეცა, მაგრამ ამ დროს ყველას ყურადღება კიდევ ცხენების თქარა-თქურმა მი-ზიდა, რომელნიც ამალიას ეზოში შემოვიდნენ. ექვსი კაცი კიდევ შემოვიდა ამალიას სახლში ხმლების ჩხრიალით და დე-ზების წკრიალით.

ამალია ედუარდოს მიეჭრა და პატარა ლუიზამაც თავის ქალ-ბატონს ჩასჭიდა ხელი.

— ცოცხალი ან მკვდარი, უყვიროდა მოწინავე კაცი, რომე-ლსაც ზალაში შემოვიდა.

— არც მკვდარი და არც ცოცხალი, კაპიტანო კუიტინო, უთხრა დანიელმა.

— იქნება კიდევ გაიქცა?

— არა, ბატონო, კუიტინო, ჩვენგან მხოლოდ უნიტარები გარბიან, რომელთაც არა აქვსთ გამბედაობა ჩვენთან პირის-პირ შეხვედრისა და მხოლოდ ხმარობენ ყოველსავე მანქანებას, რომ ჩვენ ფედერალები ერთმანერთს წაგვჩხუბონ. იმათის ვერაგო-ბის წყალობით, რომელსაც ფრანცუზებისაგან სწავლობენ, ჩვენ ფედერალებიც აღარა ვართ მოსვენებულნი ჩვენს სახლში; ამ

ნაირად ხომ შეიძლება ხვალ აღმადგინებელს მიუტანონ. ამბავი, რომ კუიტინოს სახლში, რომელიც ფედერაციის ერთი უმგთესი დამცველთაგანია, უნიტარები იმალებიანო. ეს სახლი ჩემი სახლია, კაპიტანო, და ეს ქალიც — ჩემი ბიძა-შვილია. ვგონებ ფიცი საჭირო არ იყოს, რომ სადაც მე ვიმყოფები, იქ უნიტარებს დამალვა არ შეუძლიანთ. პედრო, უჩვენე ამ ბატონებს ყველა ოთახები, დაე გაშინჯონ, როგორც უნდოდეთ.

— არავინ ადგილიდამ არ დაიძრათ! დაიყვირა კუიტინომ, როდესაც შენიშნა, რომ იმის ხელ-ქვეითები ოთახებში შესვლას აპირობდნენ, — ფედერალის სახლის გაჩხრეკა არ შეიძლება, თქვენც ისეთივე ფედერალი ხართ, ბატონო ბელო, როგორიც მე. მაგრამ ერთი ეს მითხარით დონია მარია-ხოზეფამ როგორ მომატყუა?

— დონია მარია-ხოზეფამ?! უთხრა დანიელმა, თითქოს ვერ გაიგონაო.

— დიაღ, დიაღ, დონია მარია-ხოზეფამ.

— მერე იმან რა გითხრათ კაპიტანო?

— მითხრა, რომ ამ სახლში ის უნიტარი იმალება, რომელიც ოთხს მაისის ღამეს გაგვექცა, რომ ის თვითონ იმას უნახავს აქა და რომ იმას ედუარდო ბელგრანო ჰქვიან.

— ბელგრანო!!

— მართალია დღეს საღამოზედ აქ იყო ედუარდო ბელგრანო, რომელიც ძლიერ იშვიათად იარება ამ სახლში, მაგრამ მე ბარგად ვიცნობ იმ ყმაწვილ-კაცს და ამას წინადაც ვნახე ქალაქში დადიოდა. თქვენის ხელიდამ გაქცეული კაცი მგონია თუ დაუკოჭლებლად დაიჩხებოდა, უთხრა დანიელმა კუტინოს სასიამოვნო ღიმილით.

— ეს რა კუდიანი დედა-კაცია? ბავშვი ხომ არა ვარ, რომ ასე მათამაშებს.

— ეს სულ უნიტარების ბრალია, კაპიტანო, ისინი ჩვენ ფე-დერალებს, გვასულელებენ, და უსათუოდ დაუჯერებელი რამ ამ-ბავი მოიტანეს დონია მარია-ხოზეფასს, რადგანაც ქალები ისე კარგად ვერ იცნობენ უნიტარებს, როგორც ჩვენა. თქვენ მაინც მოისმენდით ის ყმაწვილი კაცი, რომელიც რატუშის ქუჩაზედ ცხოვრობს და თუ ეს იქმნა, რომელიც ოთხს მაისს გაგექცათ, რასაკვირველია, იცნობთ. მეც, ჩემის მხრით ვნახავ მარია-ხოზეფას და დონ ხუან-მანუელს და ვეტყვი, რომ ერთმან-ერთის სახლების გაჩხრეკისაგან კარგი არაფერი გამოვა.

— არა, დონ დანიელ, უბრალოდ თავს ნუ შეიწუხებთ; ეს სულ უნიტარების ბრალია, როგორც თქვენცა სთქვით, — უთხრა კუიტინომ, რომელიც დანიელს როზასთან დაახლოვებულს კაცად რაცხავდა.

— რით გიმასპინძლოთ, კაპიტანო?

— გმადლობთ, დანიელ. მე გთხოვთ რომ ეგ ქალი არ გა-მიწყრეს: ჩვენ რა ვიცოდით ეს სახლი ვისი იყო.

ამალიამ ოდნავ თავი დაუკრა.

— მაშ მიბძანდებით, კაპიტანო?

— დიახ, დრო არის დანიელ, და არც საჭიროა, რომ ყვე-ლა ეს დონია მარია-ხოზეფას შევატყობინო.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, კაპიტანო: ჩვენ ქალების აყოლა რას გვარგებს...

— მშვიდობით ბძანდებოდეთ, ქალ-ბატონო, — უთხრა კუიტინომ და გავიდა გარეთ თავის ამალით, რომელთაც დანიე-ლი თან გაჰყვა.

## თავი მეშვიდე

### კვალად მარინო.

ამალია ისევ სტოლთან იდგა, როდესაც დანიელმა კუი-ტინო გააცილა და სიცილით შემობრუნდა ზალაში.

— უკაცრავად, ამალია, თითქმის ყოველ-დღე მიხდება ამ ნაირის მანქანებით მოქცევა. თუ ისინი ძალით მოქმედობენ, მე ჭკუით ვმოქმედობ. ეხლა იმათ სრულიად ერიათ გზა და კვალი.

— ეგ კარგი, მაგრამ ედუარდო სად არის?

— ის სრულიად უშიშარს ადგილას არის.

— ეგენი ხომ იმის სასლში არ წავლენ?..

— იქნება წავიდნენ.

— ქაღალდები ხომ არა აქვს-რა.

— არაფერი.

— ჩვენ როგორღა მდგომარეობაში ვართ?

— ძლიერ საძაგელში.

— ოხ, ღმერთო ჩემო!..

— ჩვენი საქმე დღეს საღამოდგანვე ცუდად წავიდა. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ვერაფრის გარიგება შეგვიძლიან, მხოლოდ დროთა-ვითარებას უნდა მოვუცადოთ.

— ედუარდოს როდისღა მაჩვენებ?

— რამდენიმე დღის შემდეგ.

— ოხ, ღმერთო, რამდენიმე დღის შემდეგ! ჩვენ ხომ პი-რობა დავსდეთ, რომ ხვალ ვნახავდით ერთმანერთს.

— ჰო, მაგრამ მაშინ კუიტინოს მოსვლას როდი მოველო-დით.

— შენ რაც გინდა სთქვი, მაგრამ თუ ედუარდო არ მოვა ჩემთან, მე წავალ იმასთან, სადაც უნდა იყოს.

— ნუ ჩქარობ, გეთაყვა. მე არცარაფრის დაპირება შემიძლიან და არც არაფრის უარის თქმა. არ გეგონოს კი, რომ ჟუ-იტინოს გასტუმრებით გადავრჩეთ; ამით ის კუდიანი ბებერი, რომელიც დღეს შენთან იყო, უფრო გაბრაზდება და ვინ იცის რას არა იქმს. მაგრამ მე ერთი გარემოების იმედი მაქვს.

— რა გარემოებისა, დანიელ?

— იმისა, რომ ეხლა როზასს და იმის მონებს უჩვენოდაც ბევრი საქმე აქვსთ.

— რა მოხდა? მითხარ დროით, თუ ღმერთი გწამს!..

— ბევრი არაფერი, ტურფა ამალია, უთხრა დანიელმა და ალერსიანად გაუსწორა თმები.

— მითხარ, რაში მდგომარეობს საქმე!

— კარგი ბეტუკი. ჯერ ერთი, ლუიზა, ედუარდოს მოსამსახურეს უთხარი, რომ თავის ბატონის მაგივრად მე მომიტანოს ერთი სტაქანი ჩაი.

— ღმერთმანი, ცუდი რამა ხარ, დანიელ, უთხრა ამალიამ, როდესაც ლუიზა ოთახიდამ გავიდა.

— მაშ გამიგონე, ბეტუკი; პირველად ის მიხარიან, რომ ედუარდო საიმედო ადგილას არის დამალული და მეორედ ისა, რომ ლავალე ჩვენს პროვინციაში შემოვიდა.

— მართლა? უთხრა სიხარულით აღტაცებულმა ამალიამ.

— ნამდვილად. ლავალეს ჯარი სულ ოც-და-ათს მილზედ არის ჩვენზედ და მე მგონია, რომ ეს გარემოება როზასს ჩვენთვის არ მოაცლის.

— მაშ ჩვენ თავისუფლები ვიქნებით, ბეჟურება, თავისუფლები! გულ-მხურვალედ უბნებოდა ამალია.

— ჯერ კიდევ ვინ იცის, ჩემო კარგო! სულ იმაზედ არის დამოკიდებული, თუ ლავალე როგორ მოიქცევა.

— ღმერთო ძლიერო! სამი დღის შემდეგ ედუარდო სუევე-ლა განსაცდელს გადარჩება. მართალი არ არის, დანიელ, რომ სამი დღის შემდეგ ლავალე ძლევა-მოსილი შემოვა ბუენოს-აირესში?

— არა, ეგრე მალეც არ იქნება, მაგრამ ექვს-შვიდ დღეზედ კი იქნება შემოვიდეს. და იქნება სულაც არ შემოვიდეს, ვინ იცის.

— არა, არა, ეგ არ შეიძლება.

— რატომ, ჩემო ანგელოზო, რატომ. თუ ლავალემ იხერხა და პირდაპირ ბუენოს-აირესზედ წამოვიდა გამარჯვება იმისკენ იქნება, თუ არა და ძნელად რომ გაიმარჯვოს.

— არა, დანიელ, ლავალე უსათუოდ გაიმარჯვებს.

— ღმერთმა ქმნას...

— მერე საიდამ იცი ეს ამბავი?

— წერილი მომივიდა იმ სახლში, სადაც ეხლა ედუარდოა.

— ეგ რა სახლია აგეთი?

— ჩინოვნიკის სახლია, სხვა არაფერი.

— ღმერთო ჩემო! როზასის ჩინოვნიკის სახლში დამალე ედუარდო?

— კიდევ ეგ არის, ჩემო ამალია, რომ ის როზასის ჩინოვნიკი კი არა — ჩემი არის.

— შენი?

— დიალ, მაგრამ სსუ... ვიღასიც ცხენი დადგა ჩვენი სახლის წინ. პედრო! დაუძახა დანიელმა, რომელსაც ტალანში გაჯიდა.

— რას მიბძანებთ, ბატონო, ხმა მოსცა პედრომ.

— ვგონებ ვიღაც მოვიდა.

— მიბძანებთ კარები გავუღო, ბატონო.

— ჰო, გაუღე, აგერ კიდეც არახუნებს. — დანიელი დაბრუნდა ზალაში და მოუჯდა ამალიას გვერდით.

ამალია გაფითრდა. დანიელი კი დამშვიდებული მოელოდა ახალს შემთხვევას.

პედრო შემოვიდა ზალაში და შემოიტანა წერილი.

— ვიღაც სალდათმა მოუტანა ქალ-ბატონს ეს წერილი, სთქვა იმან.

— მარტო ერთი სალდათის?

— ერთის.

— გზისკენ ხომ გაიხედე?

— გავიხედე, არავინა სჩანს.

— კარგი, შენს ადგილას წადი.

— გახსენ, გეთაყვა, უთხრა ამალიამ და მისცა დანიელს წერილი.

— ოჰო, ჰო, ჰო! დაიძახა დანიელმა, როდესაც წერილი გახსნა. აი ნახე: ერთი შენი ნაცნობი დიდი კაცი გწერს.

— მარინო!... შეჰყვირა ამალიამ და გაწითლდა.

— დიაღ, სწორედ ის; წავიკითხო?

— წაიკითხე.

დანიელმა წაიკითხა შემდეგი:

«ქალ-ბატონო, ჩემდა სამწუხაროდ გავიგე, რომ თქვენ ერთს საშინელს საქმეში ხართ გახვეული. პოლიციას შეატყობინეს, რომ ვითომც თქვენ თქვენს სახლში ერთს პოლიტიკურს დამნაშავეს მალავდეთ.

«ეჭვი არ არის, რომ ამისთანა საშიშარს მდგომარეობაში თქვენ დამფარველი გეჭირვებათ, და რადგანაც მე გავლე-

ნილი ნაცნობი კაცები მყავსან, ამისთვის გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი სამსახური, რომელიც გადაგარჩენთ თქვენ ურველიგე განსაცდელს; მხოლოდ საჭიროა შემატყობინოთ დრო თქვენთან მოსვლისა, რომ ამ საქმის შესახებ მოგელაპარაკოთ. გულითა გთხოვთ არ გაამჟღავნოთ ეს წერილი, არც ხვალინდელი ვიზიტი და არც სხვა რამ ამ საქმის შესახები...

— კმარა, კმარა, შეჰყვირა ამალიამ და ცდილობდა დანიელის ხელიდამ წიგნის გამოგლეჯას.

— არა, მოიცა; აქ კიდევ სხვაცა სწერია. დანიელმა დაიწყო კვალად კითხვა:

«ზოგიერთა საყურადღებო მიზეზები, რომლებსაც თქვენც მიხვდებით, მაიძულებენ მე გავხდე თქვენი მფარველი, თუმცა, საუბედუროდ, ჯერ აქნობამდის ამისთანა შემთხვევა არ მომცემია. გთხოვთ დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ საუკუნოდ თქვენი მფარველი და დამცველი გიქნები თქვენი უმორჩილესი მონა და მეგობარი

«ნიკოლოზ მარინო.»

— სულ ეს არის, სთქვა დანიელმა და დაუწყო ამალიას ცქერა მომღიმარის თვალებით.

— მგონი კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ის ბრიყვი კაცი ყოფილა.

— იქნება. მაგრამ, რადგანაც ყოველი წერილი პასუხს თხოულობს, მინდა ვიცოდე, ამალია, რას მისწერდი ამ წერილის მომწერს.

— რას მივწერდი? აი, მომეცი აქა ეგ წერილი.

— არა, არ მოგცემ.

— თუ ღმერთი გწამს მომეცი.

— რად გინდა მერე?

— პასუხის მაგიერად მინდა დავფხრიწო და გადავყარო!...

— ოჰ, რა ნაირა ჯავრობ.

— ეგ შეურაცხყოფა და მაკლდა! მე მიბედავს საიდუმლოდ ნახვას და საიდუმლო წერილებსაც მიწერ-მოწერას!... ამალიამ დაიფარა პირზედ თავის მშვენიერი ხელები.

ამ დროს დანიელი ადგა და კაბინეთში გავიდა, რამდენიმე წამის შემდეგ დაბრუნდა და უთხრა ამალიას:

— აი ჩვენ რა უნდა მივწეროთ; გამიგონე:

«ბატონო, ჩემმა ბიძა-შვილმა დონნა ამალია სანჩეს დელოსბარრიეტამ, მომანდო მე პასუხი მოგწეროთ თქვენს წერილზედ; ვალად ვრაცხ გაუწყოთ, რომ ჩემი ბიძა-შვილი არასფერს საშიშარს განსაცდელში არ იმყოფება და მცირედაც არ შეეხება მას თქვენგან ხსენებული საქმე, ამასთანავე მისი უმაღლესობის ბატონის გუბერნატორის მართლ-მსაჯულების იმედი აქვს, რომლის წინაშეც წარვსდგები ხვალ და მოვახსენებ ყველაფერს, რაც ამალიას მოხდა, თუ რომ თქვენს ქერქში არ დაწყნარდებით.

«თქვენი და სხვ. და სხვ.

— მაგ წერილის შემდეგ ის ხომ უფრო...

— ეს წერილი იმას მთელს ღამეს შიშით არ დააძინებს და რომ როზასის ბრჭყალებში არ ჩავარდეს, ხვალვე ეცდება, რომ ეს საქმე გააქარწყლოს.

— ეგ რა კარგი მოიფიქრე! ეხლავე გაუგზავნე ეგ წერილი.

დანიელმა დაბეჭდა წერილი და მისცა სალდათს, რომელიც კარებში იცდიდა.

## თავი მერვე.

### მანდევილლი დიპლომატიურს საქმეებს არ აკეთებს.

აგვისტოს ექვს, დილით, დიქტატორის როზასის სახლი სავსე იყო სამხედრო კაცებით, რომელნიც იმის ბრძანებით წამ და უწუმ იცვლებოდნენ.

როზასი მოწყენილი იყო, რადგანაც უიმედო ქაღალდები მოსდიოდა თავის მოხელეებისაგან. იგინი სწერდნენ, თუ როგორ მიეკვება ხალხი ლავალეს, როგორ ყველანი აძლევდენ ცხენებს და სხვ. შიშისაგან თავ-ზარ დაცემული იყო როზასი და ყველა თავის მოხელეებს ეჭვიანის თვალით უყურებდა.

იმის საწყალი ქალი, რომელსაც ძილი არ მოსდიოდა, მალ-მალ იხედებოდა კაბინეთში, რომ მამის სახეზედ შეეტყო საქმის ავ-კარგიანობა.

როზასი და იმის გადამწერლები გართულნი იყვნენ სხვა-და-სხვა ქაღალდების წერაში, როდესაც კორვალანი შემოვიდა და მოახსენა მას:

— მანდევილლი გიახლათ, მიიღებთ?

— უთხარ შემოვიდეს.

რამდენიმე წამის შემდეგ ბრიტანიის რეზიდენტი მანდევილლი შემოვიდა და რავდენჯერმე დაუკრა როზასს თავი, რომელსაც ყურადღებაც არ მიაქცია იმის თავის დაკვრას, მხოლოდ წამოდგა გზაზედ და უთხრა:

— გთხოვთ საწოლ ოთახში წამობძანდეთ.

როზასი კრაოტზედ ჩამოჯდა და მანდევილლი კი სკამზედ.

— სუყველანი ხომ მშვიდობით ბძანდებით? ჰკითხა მან-დევილმა.

— მე მშვიდობისათვის არა მცხელა, ბატონო მანდევილ.

— თავი-და-თავიც ეგ არის, მიუგო ბრიტანელმა.

— არა, ბატონო მანდევილ, თავი-და-თავი ის არის, რომ მთავრობა და მათი წარმომადგენელი დაპირებებით არ მათა-მაშებდნენ.

— რასაკვირველია.

— მეთანხმებით?.. მაშ თქვენი მთავრობა და თვითონ თქვენც რად მატყუებდით და ვნებას რად ამლევდით ჩემს საქმეს.

— ეჰ დიდებულო ბატონო, ეგ მეტის-მეტია!

— მე რა ვქნა, თუ თქვენ ამისთანა სატყუების ღირსნი ხართ.

— მე?

— დიახ, თქვენ, ბატონო. თქვენ აგერ წელიწად ნახევა-რია მატყუებთ, რომ შუამავალი შენ გახდებოდი ამ წყეულს საფრანგეთის საქმეში... მაგრამ მაინც მომატყუეთ თქვენცა და თქვენმა მთავრობამაც.

— დიდებულო ბატონო, აკი გარწმუნეთ ჩემი მთავრობის ინ-სტრუქციები.

— მაშ შენს მთავრობას მოვუტყუებივარ. ახში მაინც ის გამოდის, რომ ჩემმა საქმემ თქვენის წყალობით წინ არ წაი-წია და ლავალეც ფრანცუზების წყალობით კარზედ მომდგო-მია.

— ფრანცუზები ძლიერ ცუდად იქცევიან.

— თუ ღმერთი გწამს თავს ნუ იკატუნებ! ფრანცუზები იმას აკეთებენ, რაც უნდა გააკეთონ, ამისთვის რომ ცხადად მეო-მებიან. თქვენ ინგლისელები კი უსირცხვილოდ მღალატობთ.

და რისთვის რაცხავთ თქვენს თავს ფრანცუზების მტრებად, არ ვიცი? რისთვის მოიყვანეთ ამდენი გემები და ან რისთვის დახარჯეთ მაგდენი ფულები, თუ ფრანცუზებისა შეგეშინდებოდათ.

— ეს შიშის საქმე კი არ არის, ბატონო, ეგ იმის საქმეა, რომ ევროპის მშვიდობიანობისა და სამზღვრების დარღვევა არ უნდათ.

— ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, თქვენ მე მღალატობთ ძ ის არის. იქნება თქვენც ისეთივე უნიტარები იყოთ, როგორც ფრანცუზები...

— სულაც არა, ბატონო, მე სულით და გულით თანაუგრძნობ თქვენს საქმეს.

— საიდამ სჩანს ეგა?

— იქიდამა, რომ მე მზადა ვარ დაგეხმაროთ, როდესაც კი საჭირო ვიქნები.

— აბა რას იზამდი მე რომ დალუპვა მომელოდეს?

— მე მაშინვე მოვაყენებდი ქალაქს ჩემი კორვეტის გემებს და გადაგიყვანდით უვნებელს ადგილას.

— შენ როგორა გგონია, განა იმ ოცს ან ორმოცს ინგლისელს კი არ მოჰკლავს აჯანყებული ხალხი, როდესაც ისინი ნაპირას გამოვლენ ჩემს გადასარჩენად?

— თუ იმათაც ხელს ახლებენ, მაშინ ძლიერ ცუდი საქმე მოუვათ.

— გმადლობთ, ბატონო, — მე აქ დამხვრიტონ და მერე ინგლისელებმა ქალაქს ზარბაზნები დაუშინონ... არა, ბატონო, მანდევილლ, მეგობრებს ეგრე არა შველიან.

— მაგრამ...

— მაგრამ მე რომ ბრიტანიის რეზიდენტი ვიყო, მე რომ

მანდევილი ვიყო და თქვენ — ხუან მანუელ როზასი, ერთი გუ-ში ყოველთვის მზად მექნებოდა, რომელშიაც ჩემი მეგობარი როზასი ჩაჯდებოდა და განსაცდელს გადარჩებოდა.

— მართალსა ბძანებთ, მეც მაგისათვის ყოველს ღონისძიებას მოვიხმარებ.

— მაგას თქვენ არავინა გთხოვთ. მე თქვენი არაფერი მინდა, სრულიად არაფერი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, თუ როგორ მოვიქცეოდი შენს ადგილას რომ ვყოფილიყავ.

— რომელი თქვენგანი მეგობარი არ გასწირავს თქვენის უვნებლობისათვის თავს, როდესაც თქვენც მთელის ხალხის ბედნიერებაზედ ზრუნავთ. პროვინციებიდამ ახალი ამბები ხომ არა მოგსვლიათ-რა?

— რაში მესიამოვნება პროვინციების ამბები, ბატონო მანდევილ.

— იმათში ისეთი ამბები ხდება...

— მე ის ამბები ჩალადაც არ მიმაჩნია! თქვენა გგონიათ, რომ რაკი ლავალეს დავამარცხებ უნიტარები კიდევ შემაშინებენ?

— არა, ბატონო, მაგას ვინ მოგახსენებთ: თქვენს გულში შიში რა უნდა, მაგრამ ომი კი გაგრძელდება!...

— აი კიდეც მგ იქნება ჩემი გამარჯვების იმედი, ბატონო მანდევილ. უველაზედ საშიში ჩემთვის ის არის, როდესაც ჩემს პიროვნებას ეხებიან. თორემ სხვა რაც უნდათ ქნან: მე ვერ შემაშინებენ.

— თქვენო დიდებულებავ, ნამდვილი გენიოსი ბძანდებით.

— თქვენს ევროპიულს დიპლომატებზედ კარგა მოვურიგდები ამ ხალხის არეულობას. ვაგლახი იქნებოდა ის ფედერაცია, თუ იმის დამცველებად ისეთი კაცები იქნებოდნენ, რო-

გორც თქვენ ევროპიელო ინდოურებო. იცი უნიტარები რის-თვისაც არ იმარჯვებენ!

— ვგონებ, ვიცი.

— არა, ბატონო, თქვენ ეს არ გეცოდინებათ.

— იქნება ვცდებოდე.

— სწორედ ეგრე იქნება. ისინი იმიტომ ვერ იმარჯვებენ, რომ იმათ ჯარში მომეტებული ფრანცუზები და ინგლისელები არიან.

— არა, ბატონო, ადგილობრივი ჯარები გახლავს.

— არა, თქვენები არიან.

— არა, ამერიკელები.

— არა, არგენტინელები.

— თქვენი ნებაა; არგენტინელები არიან

— აი ამათთვის სწორედ ჩემისთანა კაცები არიან საჭი-რონი.

— მაგას რაღა ეჭვი უნდა.

— თუ მე აქ ლავალე დავამარცხე, დანარჩენები ბუზადაც არ მიმაჩნიან.

— შეტყობილი გაქვსთ, რომ გენერალი პასი კორრიენტეს-ზედ წამოსულა?

— აი, ხედავ?... ხედავ რა უტვინოები არიან ეს უნიტა-რები!

— მართალი გახლავსთ, გენერალი პასი ვერაფერს გაარი-გებს.

— არამც თუ ვერაფერს გაარიგებს, პირიქით ბევრსაც გა-არიგებს. სხვაფრივ არიან ისინი უტვინოები. იმით არიან უტ-ვინოები, რომ ერთი აქეთ მიდის, მეორე იქით. იმის მაგივ-რად რომ ყველანი ერთად შეერთდენ და ლავალესავით პირ-

დაპირ ჩემსკენ წამოვიდნენ, — ისინი ცალ-ცალკე მოქმედობენ.

— თვით განგებას გშველით, თქვენო დიდებულებავ.

— თუ ქმმაკი: თქვენ პროვინციის შესახებ რაღაც უნდა გეთქვათ.

— დიაღ, ბატონო.

— სთქვით, ყურს გიგდებთ.

— არა ღირს, რომ ამაზედ დრო დავკარგოთ.

— რაზედ ეგ, ბატონო მანდევილლ.

— ხომ არაფერი ცნობები მიგიღიათ ლა-მადრიდაზედ, ან ბრისუელზედ.

— მივიღე, მაგრამ დიდი ხნის.

— მონტევიდეოდამ სრულიად ახალი ამბები მივიღე.

— როდის?

— წარსულს ღამეს.

— და ეხლა დღის თორმეტს საათზედ მოდიხართ ჩემთან?

— არა, ბატონო, ეხლა ათი საათია.

— თუ გინდ ათზედ.

— მე ყოველთვის ზარმაცი ვარ, როდესაც საქმე თქვენს, სასარგებლოდ არ არის.

— მაშ კარგი ამბები არ იქნება?

— უნიტარების კვეხნა და ტრაბახი არის.

— მითხარ, რა მომხდარა: მითხარ დროით, უთხრა ცოტა არ იყოს შეშინებულმა როზასმა.

— აი ამ წერილებით მატყობინებენ ახალს ამბებს, უთხრა მანდევილლმა და ამოიღო უბიდამ ქაღალდები, — გნებავთ წაიკითხოთ?

— თქვენ თვითონ წამიკითხეთ, თქვენ თვითონ.

მანდევილმა წაიკითხა:

«გენერალი და-მადრიდა სამას ორმოც-და-ათის კაცით და ათის ზარბაზნით მოდის.

«პოლკოვნიკს ახლაც ოთხმოცი აჯანყებული კაცი ჰყავს.

«პოლკოვნიკს კაზანოვასაც მილიცია მოჰყავს.»

— აი სუყველა, რასაც ამ წერილებით მატყობინებენ.

— ეგ ცოტა არის. მხოლოდ საქმე ეს არის, რომ ისინი ჩემზედ შორს არიან, უთხრა როზასმა, რომელსაც მართლაც პროვინციებში ხალხის მოძრაობა არ აშინებდა, რადგანაც ქალაქის კედელთან უფრო დიდი მტრის მალა ედგა.

— სხვა კიდევ რასა გწერენ?

— მწერენ რომ აჯანყებულების გენერლებში უთანხმობა არისო, სუყველანი ცალ-ცალკე მოქმედებენ და ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგნი არიანო.

— ეგ მეც ვიცი, ევროპიდამ რაღას-და გწერენ?

— ევროპიდამ?

— სწორედ ევროპიდამ, ვგონებ ხმა მაღლა გელაპარაკები.

— მე მგონია რომ აღმოსავლეთის საქმე ეხლა უფრო აწეწილ-დაწეწილია. ჩემი მთავრობა ცდილობს ამ საქმის გარიგებას, რომელიც ფრანცუზებმა აწეწეს.

— ეგ ხომ ამ ერთი წლის წინადაც მითხარი.

— ეხლა ნამდვილი საბუთები მიჭირავს ხელში.

— როგორც ყოველთვის, ბატონო.

— აღმოსავლეთის კითხვა...

— გეთაყვა მაგაზედ ნულარაფერს მეტყვი, ბატონო მანდევილ.

— როგორც გნებავთ, ბატონო.

— რომ ჯანდაბას წავიდნენ ყველანი, — აი რა მნებავს.

— პოლიტიკის გორიზონტს შავი ღრუბლები გადაეფარა.

— კმარა, კმარა, სხვა აღარაფერი იცი?

— ჯერ მეტი არაფერი, ბატონო. ქაღალდებს კი მალე მოვმლი.

— მაშ უკაცრავად, ბევრი საქმეები მაქვს.

— მე მინდა, ბატონო, რომ თქვენ არც ერთი წამი უბრალოდ არ დაჰკარგოთ.

— დიაღ, ბატონო მანდევილ, ბევრი, ძლიერ ბევრი საქმეები მაქვს, ამისთვის რომ არც ჩემი მეგობრები მშველიან აგრე რიგად.

ამის შემდეგ როზასი ოთახიდამ გამოვიდა და მანდევილიც ისეთის მოკრძალებით მოსდევდა უკან, რომ არავინ იფიქრებდა თუ ეს ძლიერი სამეფოს ელჩი იყო და არა როზასის მონა.

როზასი ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ინგლისის დიპლომატი, თავის უნებურად, იმ ოთახში გაიყვანა, სადაც მანუელა ადგა მზარეულს თავს და სიმინდს ანაყვინებდა. როზასმა ანიშნა თავის ქალს, რომ გამოერთმია მზარეულისთვის ამანდასტა და თვითონ დაენაყა. ქალმაც შეასრულა მამის სურვილი.

— იცით, ბატონო მანდევილ, ჩემი ქალი რისთვის ნაყავს სიმინდს?

— არა, ბატონო, არ ვიცი, უთხრა მანდევილმა.

— ქაშისათვის.

— ჰო!

— დილას აქეთია ჩემი ქალი მაგას ნაყავს, მაგრამ მაინც ვერ დაუნაყია. აი, თქვენო კურთხევავ, ჰილდუა, შენ უშველე მანუელას, თორემ ბატონი მანდევილი ხომ არ უშველის.

— პირიქით, დიდის კმაყოფილებით მივეშველები მანუელას, სთქვა მანდევილმა, გამოართვა ქალს ამანდასტა და თვითონ დაუწყო სიმინდს ნაყვა, რაზედაც როზასს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა.

— აი აგრე, აი აგრე, ვინ იტყვის, რომ თქვენ ინგლისელი ხართ და ამასთანავე ელჩიც. აი ასე უნდა ნაყვა — ხედავ, მანუელა ყურე და ისწავლე, ამბობდა როზასი და გულში კი ძლივს იმაგრებდა სიცილს.

— ეს ძლიერ მძიმე სამუშაოა! სთქვა მანდევილმა და თანაც გულ-მოდგინედ ნაყავდა, ვიღუა კი გვერდზედ უჯდა და გადმოცვინულს მარცვლებს ჰკრეფავდა.

— დაჰკარით, ბატონო მანდევილო, ძლიერ დაჰკარით. თუ სიმინდი კარგად არ იქნება დანაყილი კარგი ქაში არ მოიხარშება.

მისი დიდებულების ინგლისის კოროლევას ელჩი რაც ძალა და ღონე ჰქონდა ნაყავდა სიმინდს.

— მამა!

როზასმა ანიშნა ქალს გაჩუმებულიყო.

— თუ დაიღალეთ, — თავი დაანებეთ.

— არა, ბატონო, გუბერნატორო, არა! მიუგო როზასმა და ნაყავდა გამალებული.

— აბა ვნახოთ, იქნება დაინაყა, უთხრა როზასმა და გაშინჯა ამანდასტაში სიმინდი. — კმარა, დანაყილა.

ამ დროს იმავე ოთახში შემოვიდა დონია მარია-ხოზეფა ესკურრა.

— მაშ კარგად არის დანაყილი, ბატონო გუბერნატორო? ჰკითხა მანდევილმა და გაისწორა ტანისამოსი.

— ძლიერ კარგად, ბატონო რეზიდენტო, ძლიერ კარგად.

მანუელა გაეცილე ბატონი მანდევილი, ანუ თუ უნდა ზალაში შეიყვანე. მაშ მშვიდობით ჩემო მეგობარო. ძლიერ ბევრი საქმე მაქვს, ძლიერ, რომ მეტი აღარ შეიძლება... მაგრამ ეს მაინც არ დაგიშლით ჩემთან მეგობრობას.

— დიდად დავალებული ვარ თქვენგან, ბატონო გუბერნატორო, დიდად. მეც მზად გახლავართ თქვენი სამსახურისათვის, თუ საჭირო ვიქნები, უთხრა მანდევილმა და გადაუკრა სიტყვა გემბზედ, რომლებსაც როზასი უნდა გადაერჩინათ გაჭირვების დროს.

— რაც გნებავდეთ ის გააკეთეთ. ახლა კი მშვიდობით.

როზასი კაბინეთში შევიდა და თან მარია ხოზეფა ესკურრა შეჰყვა, მანდევილმა კი ჩამოართვა მანუელას ხელი და წავიდა.

— მე კარგი ამბები ვიცი, უთხრა როზას დონია მარია-ხოზეფამ, როდესაც კაბინეთში შევიდნენ.

— რის შესახებ?

— სულ ისევ იმ ოთხ მაისის შემთხვევაზედ, როდესაც ერთი უნიტარი გაგვექცა.

— რა, განა დაიჭირეს? ჰკითხა როზასმა და დააჭყიტა თვალები.

— ჯერ კიდევ არა.

— არა?!

— მაგრამ მალე კი დავიჭერთ, კუიტინო უხეიროა, თორემ აქამდინაც დაჭერილი იქნებოდა.

— სად იმალება ის გაქცეული.

— ჯერ ერთი წავიდეთ სხვა ოთახში დავჯდეთ. ორივენი კაბინეთიდამ საწოლს ოთახში გავიდნენ.

(შემდეგი იქნება)

# ჩანჩქარი.

მთაში ნაშობი სპეტაკი, კლდიდგან გადმოჰქუხს ჩანჩქარი,
ცვივა დ ცვივა სპეკალი, ზვირთი ზვირთს მოსდევს ჩქარ-ჩქარი!
ზღვა წვიმად გამალებული, ქუხს და ბუქი დგას თქორისა
შიგა ჰბუქნავენ, ცელქობენ სხივები მზისა შორისა!...
დაბლა ქაფი დუღს, შრიალებს, ჰბანს და ჰრეცხს სალსა კლდო-
ვანსა,
აქ ცისარტყელაც აშვენებს ტყეს და ველს ყვავილოვანსა;

თ. რაფ. ერისთავი.

# წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ*).

თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, იმ მნიშვნელობით სავსე მოვლენას, რომ ყოველ განათლებულ ხალხის ლიტერატურა ბეჯითად იღვწის ამ უკანასკნელს დროს ეკონომიურ წყობილობის და ვითარების გამოკვლევისა და გამორკვევისათვის. აგრეთვე თუ აკვირდებოდით ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურს ცხოვრებას, შენიშნავდით, რომ პარტიებს შორის ბრძოლა განცხოველდა და გაცხარდა იმიტომ რომ ეს ბრძოლა თითქმის სრულიად გამოწვეულია ამ პარტიების აზრების სხვა და სხვაობით ეკონომიურს საგნებზე. მე არ ავხირდები და არ ვიტყვი, რომ მრავალი სხვა და სხვა გვარი აზრი და საქმე არ გამხდარა საგნად გაცხარებულის ბაასისა პარტიებს შორის, მაგრამ მთავარს ძარღვს ამ ბაასისას ყველგან მაინც ეკონომიური საგნები შეადგენდა, ის ეკონომიური საგნები, რომელსაც აქამომდე ასე უყურადღებოდ სტოვებდენ.

მართლაც, შესედეთ რა ხდებოდა ამ მოკლე დროში და რა ხდება დღესაც სამს დიად განათლებულს ევროპის ქვეყნებში, რომელნიც მეთაურებად ითვლებიან ევროპიულის საზოგადოობრივის მოძრაობისა და აზრისა, ე. ი. ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში.

---

*) რედაქცია საჭიროდ სთვლის ამ დიად საყურადღებო სტატიის შესახებ ცალკე წერილში ვრცლად მოილაპარაკოს. რედ.

ინგლისში უმთავრესს საგნად, მთავარს საზოგადოობრივ მოვლენად ითვლება დიაღ ცნობილი ირლანდიის საქმე. ეს საქმე გამხდარა ყოველ-დღიურ მასალად ჟურნალ-გაზეთობისა, მასზედ არის მიქცეული ყურადღება მთავრობისა, მისი ზრუნვა და ზომიერებანი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, უთუოდ ამ საქმის ისტორია; მოგეხსენებათ აგრეთვე რომ ეს მწვავე საგანი გახდა მიზეზი ბიკონსფილდის კონსერვატიული სამინისტროს დაცემისა, რომლის მაგიერ შესდგა ლიბერალური სამინისტრო გლადსტონის თავსმჯდომარეობით. ამისათვის საჭიროდ არარა ვსთვლი მოგითხრათ კერძოობითნი დაწვრილებანი ამ საგნის შესახებ, თუმცა მათაც ღრმა საზოგადოობრივი მნიშვნელობა და ინტერესი აქვთ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მომეტებულად მას, რაც ამ საგანს სარჩულად დასდებია, რაც შეადგენს მის საფუძველს, მის სულსა და გულს. რისთვის და რა საწადელისთვის სწარმოვობს დღეს გაცხარებული ბრძოლა ირლანდიაში? როგორია ხასიათი და მიმართულება ირლანდიელთ მოძრაობისა. პოლიტიკური მოძრაობაა ეს მოძრაობა, თუ რომელიმე სხვა გვარი? —

ირლანდია ინგლისის ბატონობასა და დამოკიდებულებაშია; მას არა აქვს თავისი დამოუკიდებელი პარლამენტი; იგი შევიწროებულია და მოკლებული ბევრს გვარს თავის ეროვნულს უფლებას და სრულიად დამოკიდებულია თავის ბედნიერი ბატონების და გამარჯვებულ ინგლისელების ნება-ყოფლობაზე. ადვილად წარმოსადგენია, იფიქროს კაცმა, რომ ამ გვარს მდგომარეობაში, ირლანდიის მოძრაობის მიზეზი პოლიტიკური ხასიათისა უნდა იყვეს უსათუოდ. მართლაც რომელი სურვილი და წადილია უფრო კანონიერი, უფრო ბუნებრივი ისე, როგორც სურვილი ხალხისა, რომ იგი იყვეს თავისუფალი,

დამოკიდებელი უცხო მფლობელობისა და ბატონობისაგან, რომ მას ჰმართავდეს და განაგებდეს საკუთარი მართებლობა, ჰქონდეს საკუთარი ცხოვრება თავის საკუთარის მოთხოვნილებისამებრ და არა მოწერილობისამებრ უცხო ხალხის მმართებლობისა და ხელმწიფებისა! თუმც ეს ასეა, მაგრამ მაინცა და მაინც არა სურვილი ეროვნული დამოკიდებლობისა შეადგენს მთავარს სალტოლველოს ირლანდიელთ მოძრაობისას, არამედ ხალხის ეკონომიურ ურთიერთობის გადაკეთება და აწინდელის მის წყობილების შეცვლა შეადგენს მთავარს ძარღვს ირლანდელთ მოძრაობის პროგრამისას. შეცვლა სამიწა-წყლო ურთიერთობისა, გადაცემა მიწა-წყლისა ლენდ-ლორდების მიერ მიწად მომქმედთ ხელში, — აი საწადელი და სალტოლველო ირლანდიის ხალხისა. მე სრულიად არ უარ-ვყოფ, რომ ირლანდიელთ ეროვნულის განთავისუფლების სურვილიც აქვთ, მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო სხვილის ასოებით ის უეჭველი ფაქტი, რომ ეკონომიურმა შეწუხებამ გამოიყვანა ხალხი გაბრუებისაგან, აღამხედრა საბრძოლველად და მისცა ფერი და სიცხოველე მთლად მოძრაობას. სამამულო ლიგა, აგრარული ხასიათის მკვლელობანი, აგრარული ანუ სამამულო კავშირი, მებატონეები და მიწა, მიწა და მებატონეები — აი რა შეადგენს განუწყვეტელს და დაუშრომელს თემას ირლანდიის მოძრაობის მოთავეთათვის, აი რა შეადგენს ამ საგნის სიღრმესა და სიგანეს. უეჭველია, რომ ბრძოლის სიცხარე, მედგრობა წარმოსდგება იმისაგანაც, რომ იგი შედეგია დიდი-ხნის სიმძულვარისა ირლანდიელთა ინგლისელთა მიმართ, დაჩაგრულთა დამჩაგვრელთა მიმართ, დამლეულთა გამარჯვებულთა მიმართ. მაგრამ ბოლოს მაინც არა ეროვნულმა სიმძულვარემ, არა ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ ააშფოთა ხალხი და ააჯანყა იგი. ამ სახით მოთავე-

ნი ირლანდიის მოძრაობისა, თუმცა სრულიადაც გულ-გრილად არ უცქერიან ეროვნულს თავისუფლებას, მაინც მათ ყველაზე უწინარესს გამოჰფინეს დროშა ეკონომიური, როგორც ნიშანი ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებათა. მაშინ როდესაც სხვაგან, ეროვნულ მოძრაობის დროს, მაგ. იტალიაში, დავიწყებული იქმნა ხალხის ყოველი არსებითი ინტერესები, თვინიერ ეროვნული დამოუკიდებლობისა. ჩვეულებრივ, მოღვაწენი და მოასპარეზენი ნაციონალური ბრძოლისა იყვნენ ხოლმე ყოვლად-პატიოსანნი კაცნი, ხალხის მოყვარენი და მის ინტერესების დამცველნი, მაგრამ, რაკი ხედავდნენ თავის ქვეყნის პოლიტიკურს დაჩაგრულობას, ივიწყებდნენ ყოველისფერს, თვინიერ ამ შევიწროებულის მდგომარეობისა. ამ დაჩაგრულობით შემსჭვალულნი, იკვლევდნენ იგინი სამოქმედო პროგრამას, რომლის ქვა-კუთხედს შეადგენდა ხოლმე დაცემული ვინაობის კვლავ აღდგენა. ამ მხოლოობითი საგნით გატაცებულნი ივიწყებდნენ ხალხის ეკონომიურს მდგომარეობას და სტოვებდნენ მას უწინდებურს არა სანატრელს მდგომარეობაში, ან არა ოდნავ სცვლიდნენ საკეთილოდ. ანუ სხვაფრივ რომ ვთქვათ: იგინი არ იკვლევდნენ ცხადათ საზოგადოობრივ მოვლენათა მნიშვნელობას და სცდებოდნენ. პატრიოტები, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ხედავდნენ მხოლოდ ეროვნულ მონობის უმზგავსოებას და რადგან ვერ მიხვედრილიყვნენ, სად ბუდობს უმზგავსოების ფესვი და მთავარი მიზეზი, ემლეოდნენ აღშფოთებულს თავის გრძნობას, ჰგონებდნენ მას შეგინებულად და ამ სახით ხალხის ინტერესების შეგნება ხდებოდა მათთვის შეუძლებელი. ამ გვარი მოქმედების შედეგი ის იყო ხოლმე რომ უცხო მმართებლობა განიდევნებოდა და მის ნაცვლად საკუთარი ეროვნული მმართებლობა იქნებოდა ხოლმე დაყენებული;

უცხო მოხელენი და ჩინოვნიკობა ნელ-ნელა ეთხოვებოდნენ თავიანთ სამსახურს, რომელსაც უტოვებდნენ ადგილობრივ, «პატრიოტულ» ხელის უფალთა, ჩინოვნიკობას; სახელმწიფოს ცხოვრება კი ამით არ იცვლებოდა, ძველებურადვე მიტრიალებდა და ყოველის თავის სიმძიმით ტვირთად აწვებოდა იმავე ხალხს, რომელიც წუთის წინად ისე გაცხარებული იბრძოდა და მამაცურად სისხლსა ჰღვრიდა თავისუფლების მოპოვებისათვის. სახტად დარჩენილი ხალხი პირველ ხანებში, შემდეგ მწარე გამოცდილებით რწმუნდებოდა, რომ ცვლილება ცხოვრებისა მარტო ოდენ გარეგან პირობათა, გადაძრობა მარტო ოდენ პოლიტიკურის სამოსელისა გარეშე ღრმა ეკონომიურ ცვლილებათა, ცხოვრების დედა-ბურჯთა შეუცვლელად, თავის დღეში ვერ მოსწევს ხალხს სასურველს თავისუფლებას და აი ხალხის გონება და აზრი კვალად წუხილით ილეწოდა და ჭირნახულობდა; ხალხის ცნობიერება კვალად ორ-კეცის ძალით იღვიძებდა; კვალად იწყობოდა დაუსრულებელი ძებნა თავისუფლებისა, ვიდრე უკეთესნი წარმომადგენელნი ხალხისა მტკიცედ არ დაასკვნიდნენ, რომ მხოლოდ ღრმა ეკონომიური ცვლილებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიურის წეს-წყობილობის დამყარება ეროვნულს დამოკიდებულობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტს თავისუფლებას.

ამ აზრის საუკეთესო საბუთად ჩაითვლება ეხლანდელი მდგომარეობა იტალიისა. ყველამ იცის რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც არის იტალიის ხალხი, იცის რა სიღატაკით სცხოვრობს იგი და რა უილაჯობით, ათას გვარ სენით და ავათმყოფობით არის სავსე მისი ხვე-ბედური არსებობა. ყველას

გააგონება, რომ ეს გაჭირვება ატანს ძალას ხალხს და ატოვებინებს მშვენიერებით სავსე თავის ტურფა ქვეყანას, რომელიც მან თავის სისხლით დაიცვა და უცხო მტარვალთ ხელიდამ გამოჰგლიჯა. მის მაგიერ იგი მიდის, მიემგზავრება და ასახლებს ჭაობიან და თითქმის გაუტკეპნელის ტყით დაბურულს ველებს სამხრეთ-ამერიკისას. დიად საყურადღებოა და საგულისხმიერო ამ მხრივ პასუხი ლომბარდიის მცხოვრებელთა, რომელიც მათ მოახსენეს შინაგან-საქმეთა მინისტრს, როცა იგი ყოველის ღონის-ძიებით სცდილობდა დაეყოლია ხალხი, რომ არ გადასახლებულიყო და არ დაეტოვებინა თავის ძვირფასი სამშობლო.—

— როგორ გგონიათ, თქვენ, ბ. მინისტრო, რა არის ერი! — ჰკითხავდენ იგინი მინისტრს. „ბრბო საწყალთა და გაბეჩავებულთა?!“ — თუ ასეა, მაშინ სწორედ ჩვენც ერი ვართ. შემოგვხედეთ, რა გამხდარნი ვართ და რა ფერი გვადევს სახეზედ, როგორ დასნეულებული და დაუძლურებულია ჩვენი ჯანი უჯიათი შრომით და უჭმელ-უსმელობით. ჩვენ ვთესავთ და ვმკით ჭინახულსა, მაგრამ ვერა ვჭამთ კი თეთრს პურს; ჩვენ შევიმუშავებთ ხოლმე ვენახებს, მაგრამ ღვინოს კი ვერა ვსვამთ; ჩვენი მოშენებულია საქონელი, მაგრამ ხორცს კი ვერა ვჭამთ ჩვენის შეუძლებლობით და ხელ-მოკლეობით, დაბრანძულნი დავდივართ და ვსცხოვრებთ ნაგვიან და ბინძურ სადგომებში; ზამთრით გვაწუხებს სიცივე, ზაფხულით — სიმშილი. ერთად ერთი საჭმელი ჩვენი იტალიაში სიმინდია, მაგრამ ესეც ყოვლითვის საკმარისად და მაძღრისად არა გვაქვს, რადგანაც ძლიერ ძვირათ ჰღირს დიდის სახელმწიფო გადასახადისა და ხარჯისა გამო. ჩვენ მრავლად, თითქო ბუზები ვიყვნეთ, გვწყვეტს ციებ-ცხელება და სახადები. ბოლოს მოგვხსენებათ ყველა ამაებისა: უდროვო სი-

გვდილი ჩვენი საავათ-მყოფოში, ან და ჩვენ საცოდავ ქოხებში. და თქვენ, ბ. მინისტრო, ყოველივე ამის მცოდნე და შემმეცნებელი, გვირჩევ ნუ დავანებებთ თავს ჩვენს სამშობლოს! მაგრამ განა დაერქმევა სამშობლო იმ ქვეყანას, სადაც არ შეიძლება იცხოვრო შრომით, თუნდ წელებზე იყეს იდგამდე?

ასეთის შედეგები იქ, სადაც გულ-გრილად უყურებენ და შესაბამ ყურადღებას არ აქცევენ ეკონომიურს საგნებს, ეკონომიურს ტკივილებს და გატაცებულნი არიან მხოლოდ ეროვნულ დამოუკიდებლობით. ამ გვარსავე რიგისა და კატეგორიის მოვლენათ ემზგავსება ახლად განთავისუფლებულ ბოლგარიის ცხოვრებიდამ დასახელებული ფაქტები; ამავე მიზეზითვე აიხსნება და ეფოვება თავი და ბოლო ხალხის დრტვინვას და უკმაყოფილებას სერბიის სამთავროში. კაცს ეგონება, რომ ეს ხალხნი ეხლა უნდა იყვნენ ლხინში და განცხრომაში, ეხლა უნდა დღესასწაულობდნენ თავიანთ განთავისუფლების პირველს ტკბილს ხანას, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის. ნამდვილად კი ხალხის დრტვინვა არ შემწყდარა, ეკონომიური არეულ-დარეულობა ისევე აწევს ხალხს მძიმე ტვირთად, რომელიც ცოტად აცხადებს თავის კმაყოფილებას ეროვნულ დამოუკიდებლობის გარეგან ბრწყინვა-ცისკროვანებისათვის და ახალის, სამეფო ხარჯის მომატებისათვის. სამწუხაროდ, აქ არც დრო მაქვს, არც ადგილი, რომ საკმარისის დაწვლილებით შევჩერდე ამ გვარ ფაქტების გამორკვევაზე, თუმცა კი ამ გამორკვევას დიდი ღრმა, საგულის-ხმიერო აზრი ექმნებოდა ჩვენთვის, ქართველთათვის. ეს ფაქტები და სხვანი მრავალნი ესევე გვარნი დაურღვეველის ცხადით ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტნი, ძალუმი მოყვარენი თავის სამშობლოსი, თავისსავე საკუთარის ხელით

უთხრიან ორმოს ძვირფასს თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყებენ ხალხის ეკონომიურს ინტერესებს და აძლევენ უაღრეს მნიშვნელობას გარეგან პირობებს და ვითარებას ხალხის ცხოვრებისას, უკეთუ გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულს იდეებს და ტრადიციებს.

საბედნიეროდ, ირლანდიელ პატრიოტებმა აიცილეს თავიდამ ეს შეცდომა და თავის პროგრამაში უაღრესი მნიშვნელობა მისცეს ეკონომიურს წყობილებას, რაც უფრო შეესაბამება თვით ხალხის ცხოვრებასაც, რომლის მთავარს ძარღვსაც შეადგენს ეკონომიური მოვლენანი (ამ შემთხვევაში სამიწა-წყლო ურთი-ერთობა). მხოლოდ ამ მოვლენათა შემდეგ შეიძლება მიაქციოს საზოგადო მოღვაწეთა დასმა ყურადღება ცხოვრების პოლიტიკურ და ეროვნულ მოვლენათა, რადგან ეს უკანასკნელნი პირ-და-პირს შედეგს წარმოადგენენ ეკონომიურს მოვლენათა. მხოლოდ ამ გვარის რიგიანის შეგნებით საქმისა აიხსნება ის გასაოცარი ძალა და სიცოცხლე, რომელიც მიეცა ირლანდიელთაგან დაწყებულს საქმეს, ის ვრცელი ხასიათი, რომელიც მწარედ აფიქრებს ინგლისელებს. აბა ბრძოლა ყოფილიყო მხოლოდ პოლიტიკური, აბა ირლანდიელთა საქმე არ შეჰხებოდა ეკონომიურს ინტერესებს ინგლისელ მდიდრებისას, თუ თქვენ შენიშნავდით იმ გაცოფებულს წინააღმდეგობას ირლანდიელთა მიმართ, იმ გაბრაზებას და საერთო გამწარებულს მითქმა-მოთქმას ინგლისის საზოგადოებისას და თვით პარლამენტისას, რომელსაც ეხლა ჩვენ ვხედავთ და ვაკვირდებით ამ ქვეყანაში. ინგლისელი მუშა კაცი კი, პირ-იქით, სულ სხვაფრივ უყურებს ამ საქმეს. იგი არ იზიარებს არც ინგლისის მმართველთა გაბრაზებას, არც მათ მუქარას ირლანდიელთა მიმართ. მწარედ გაჰყვირიან და იმუქრებიან არა ინგ-

ლისელი მუშები, რომელთა ჯიბეს არაფერი დააკლდება ირლანდიის განთავისუფლებით, — არამედ ჭყვირიან და ჭგოდებენ ინგლისის მიწად-მფლობელნი, რომელთ ჯიბე გრძნობს შევიწროებას ირლანდიის მოძრაობისა გამო. ხოლო საინტერესო და საგულის-ხმიერო აი რა არის: როცა მეტის უფლებით შეჭურვილთა ნივთიერი ინტერესი რაიმე საშიშროებაშია, მაშინ მათ შორის ყოველი პარტიობა ისპობა და ყველანი: ლიბერალნიც, კონსერვატორნიც ერთ-ხმად ჭყვირიან და ღაღადებენ: «დასჯილ იქმნას ირლანდია»! თვით ის ინგლისის სტამბა, რომელიც თავის უხუცესის წარმომადგენლის პირით (Times), ჭქადაგებდა იტალიის ხალხის მოძრაობის დროს: «დროა დაჩაგრულ ერთ შეიგნონ, რომ თავისუფალს ხალხს არ შეუძლიან არ თანაუგრძნოს მათ, ვინც ჭკვნესის, მონების ჯაჭვით შებორკილიო, რომ თავისუფლება ისეთი უხუმარი თამაშობაა, რომლის დროსაც, ძველი ბერძნების თქმით, უნდა მოქმედობდნენ ხანჯლითა და ცულითა და არა სალიზღობელი და მახვილი ეპიგრამმებითა, ან პეტიციებითაო», — დღეს იგივე სტამბა შვებით იხარებს და ვაშას დასძახის მთავრობას ირლანდიის მოძრაობის ბელადთა და მოთავეთა დატუსაღებისათვის· ყოველივე თავისუფლება და მისი მოთხოვნილებანი, ყოველი პოლიტიკურად მონიჭებულნი უფლებანი და პოლიტიკური თავაზიანობაც დავიწყებულ და უკუ-ტყორცილ იქმნებიან ხოლმე თვით თავისუფლების მომხრეთა და მოყვარეთა მიერ, როდესაც საასპარეზოდ გამოდის სცენაზე ეკონომიური და არა პოლიტიკური საგანი და ამით კიდევ კვალად სიმტკიცე ეძლევა იმ აზრს, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ეკონომიური მონობა—დაჩაგრულობა ადვილად თავსდებიან ერთად ერთსა და იმავე ქვეყანაში. ეს კიდევ ცოტაა: მოისურვებს თუ არა ხალხი ეკო-

ნომიურ დაჩაგრულობას თავი დააღწიოს, მაშინვე ყოველსავე პოლიტიკურს თავისუფლებას შორს ისვრიან, როგორც მტერს, ისინივე, ვინც გუშინ და გუშინ წინ მაღლა აფრიალებდა პოლიტიკურ თავისუფლების დროშას. პოლიტიკური თავისუფლება, თუ შეძენილი და მინიჭებია ხალხს, პირობით მინიჭებია, რომ მან საზღვარს არ გადაცილოს, ე. ი. იგი თავისუფლება ბოროტად არ მოიხმაროს მეტის უფლებით შეჭურვილთა წინააღმდეგ. კარგიც ეს არის და პატიოსანიც! ასე გამოდის: თუ სასარგებლოა შენთვის, ჰქადაგობ თავისუფლებას, თუ იგი შეეხო საზიანოდ შენს სარგებლობას — სდევნე იგი, დასჭრე და ისწრაფოდე აღმოფხვრად მისსა. თავისუფლება უსაჭიროესი საგანია, მაგრამ ამ საგნით სარგებლობა ეთავაზება ეკონომიურად ძლიერს თავის ინტერესების დასაცველად. ასეთი გახლავთ ეს ქებული პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიისა! ასეთია მისი სიღრმე და სიგანე, მისი სატება.

საფრანგეთში მკვიდრად და საბოლოოდ დამყარდა რესპუბლიკა. არა ძნელი საჭიროდ მოვიყვანოთ მრავალი საბუთი და ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნივთიერი მდგომარეობა ხალხისა მაინც ერთი ბეწვათაც არ შეცვლილა და არ განკარგებულა, თუ კიდევაც არ გაუარესებულა ფრთეთა ქვეშ რესპუბლიკანურ დაწესებულებათა. მართალია, ჩვენ ვიცით და გაზეთებშიც ვკითხულობთ, რომ ეროვნულ სიმდიდრემ საფრანგეთში დიდათ იმატა რესპუბლიკის მკვიდრად დამყარების შემდეგ. მაგრამ სრული უმეცარი უნდა იყვეს კაცი ეკონომიურ საგნებისა და მოვლენათა, ან და გაზეთში მბლაჯნელებზედ მეტი არა უნდა იცოდეს რა კაცმა, იმ მბლაჯნელებზე, რომელნიც ბჭობენ ათას გვარ მათთვის სრულიად გაუგებარს საგნებზე, რომ გააერთიანოს, ერთ ცნებად მიიღოს კაცმა ერო-

ვნული სიმდიდრე და ხალხის დოვლათი. აღუვავება წარმოებისა და მრეწველობისა და მშრომელი ხალხის მდგომარეობის განკარგება. აჲ ყველასათვის, ვინც ჩაფიქრებით უღრმავდება და ბჭობს ამ საგნებზე, ცხადი და დიდი-ხნის დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, მტკიცედ აღიარებული ეკონომიურის მეცნიერების მიერ, რომ ეროვნულის სიმდიდრის ზრდა, მშობლიურის მრეწველობის აღორძინება აწინდელ ხალხთა ეკონომიურ ცხოვრების ვითარების მეოხებით, ჰნიშნავს მეტის უფლების მქონეთა გამდიდრებას და ხალხის გაღარიბებას, ანუ სხვაფერივ რომ ვსთქვათ: ეროვნული სიმდიდრე და ხალხის სიმდიდრე ბუნებრივნი მტერნი არიან; პირველი აღნიშნავს ხარისხს ბურჟუაზიის დოვლათისას და საზოგადოდ მეტის უფლების მქონეთა კეთილ-დღეობას, ხოლო მეორე — ხარისხს ხალხის კეთილ-დღეობისას. ვინ დაიწყებს სჯას რომელიმე აზიის მფლობელის ბრილიანტების მიხედვით მის ქვეშევრდომ ხალხის კეთილ-დღეობაზე; პირ-იქით, ყოველმა შემეცნებულმა და გავებულმა კაცმა იცის, რომ ეს ბრილიანტები შეძენილია ხალხის გაღატაკებით და გაბედოვლათებით. სწორედ ამ გვარადვე, ბატონ-ყმობის დროს, არავინ არ განსჯიდა ყმის კეთილ-დღეობაზე ბატონის სიმდიდრის მიხედვით. რაც კაცთა ჯგუფი და წრე, ხალხის შრომით მცხოვრები, უფრო მდიდარია და უზრუნველი ნივთიერად, მით უფრო ცუდია და არა სანეტარო მდგომარეობა ხალხისა, — აი ჭეშმარიტება, შემუშავებული მეცნიერებისაგან, როგორც საქმის ფაქტიურის გამოკვლევით, ისე თეორეტიკულ და ანალიტიკურ მოსაზრებათა შემწეობით. ამისათვის ჩვენ ვერ შეგვარყევს და გზას ვერ შეგვიშლის საცოდავი გადაცემ-გადმოცემა არა ჩვეულებრივს აღორძინებაზე რესპუბლიკანურ საფრანგეთის მრეწველობისა და წარმოებისა.

ჩვენ ვიცით ჭეშმარიტი აზრი ამ ფაქტისა, ჩვენ ვიცით, რა ფასით არის ნასყიდი იგი მრეწველობის აღორძინება და ამისათვის არ შევხარით მას.

აი აქ უნდა მოიძებნოს გამოცნობა იმ პირველ-შეხედვით გაუგებარის მოვლენისა, რომ, თუმცა სრულიად აღუსრულდათ ფრანცუზებს თავიანთი უგულითადესი სურვილი თავისუფალ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებათა დამყარებისა, მაინც ბუწრიველ რესპუბლიკელთა შორის სდგება პარტიები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თავიანთ ქვეყნის მდგომარეობითა და ფიცხელნი მოსურნენი ცვლილებისა. თვით ფაქტი ამ გვარ პარტიების არსებობისა და მათ აღორძინებისა თანა-მედროვე საფრანგეთში, ცხადად გვაჩვენებს, რომ ხალხი დრტვინავს თავის მდგომარეობაზე და უკმაყოფილობს. მაშინ როდესაც ყოველნი, ბურჟუაზიულის გულის-თქმით აღტყინებულნი, ერთდებიან თავიანთ საერთო ინტერესების დასაცველად ერთს დიდს რესპუბლიკანურ პარტიად გამბეტას წინამძღომლობით, ამ ბურჟუაზიის ქადაგისა და ქურუმისა, — ნამდვილნი წარმომადგენელნი ხალხის ჭეშმარიტის ინტერესებისა, განზიდულნი და განდევნილნი მათგან, ერთ პარტიად იკრიფებიან და სცდილობენ იბრძოლონ სასიკვდილოდ და სასიცოცხლოდ რესპუბლიკელ პარტიის ბურჟუაზულ უმრავლესობის წინააღმდეგ. პოლიტიკური სურვილი რესპუბლიკელ პარტიისა და აგრეთვე თვით ხალხისაც სრულიად დაკმაყოფილებულია ახლა და ამ მხრივ არაფერი დიდი სადავიდარაბო საგანი აღარ არსებობს. ახლა პროგრესიულ პარტიის გამოსაცდელად წამოყენებულია ეკონომიური წყობილება და ის საგანი, თუ როგორ ეკიდება იგი პარტია ხალხის ნივთიერ ინტერესებს. და არას ოდეს ბრძოლა მარტო პოლიტიკურის პრინციპებისათვის არა ყოფილა ისეთი

მედგარი და შეურიგებელი, როგორც ბრძოლა ეკონომიურ ინტერესებისათვის. თავისუფალ პოლიტიკურ დაწესებულებათა მქონე ქვეყანაში, წვრიმალი გარჩევანი პოლიტიკურს რწმენათა რესპუბლიკანელ პარტიის სხვა და სხვა ფრაქციათა შორის, ჰქრება და ნელდება სრულიად; მებრძოლთა პარტიებად ჰყოფს ამ შემთხვევაში ეკონომიური საგნები, რომელთაც აქვთ ცხოველი და არსობითი მნიშვნელობა ხალხისათვის. აი ამასა ვხედავთ ახლა ჩვენ ნიშან-დობლივ საფრანგეთში. ახლა აღარ არიან იქ მონარხიელნი ანუ ერთ-მთავრობის მომხრენი და რესპუბლიკელნი, კონსერვატორნი და ლიბერალნი, ზომიერნი და შეურიგებელნი, — ახლა იქ იბრძვიან მომხრენი ბურჟუაზიისა და მოყვარე-მოკეთენი ხალხისა. პირველნი — ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესებისათვის, მეორენი — ხალხის ნივთიერ კეთილ-დღეობისათვის.

---

გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების განცხოველება და კერძოდ არჩევანების ბრძოლის დროს არა-ჩვეულებრივი გაცხარება რომ პირდაპირი შედეგია მებრძოლთა პარტიების ეკონომიური პროგრამისა — ეს ყველასათვის ცხადია. თავად ბისმარკმა ძალიან კარგად შეიგნო, რომ სოციალური საქმე შეადგენს ქვა-კუთხედს თანამედროვე ცხოვრებისას, რომ იგი ბატონობს სხვათა საქმეთა-შორის და რომ მარტო მას აქვს მერმისი და მომავალი. ადვილი მისახვედრია ამ სახით, რად ჩაბღუჯა მან ამ საქმესაც ხელი, ისე როგორც სხვა ყოველგვარს საქმესაც სახელმწიფოში მოხვია მაგრად თავისი მკლავები; მან თვით მოიწადინა ამ საქმის გადაწყვეტა თავისებურად, თავის სურვილისამებრ და ამით განზრახვა აქვს აცილოს თავიდამ ეს საქმე სოციალისტებს, რომელთ წინააღმდეგ მან უკვე

გამართა ჯერ-ჯერობით «მცირე გარშემორტყმითი ომი» — (Малая осадная война). იგი ჰფიქრობს შეჰქმნას და გააჩინოს სახელმწიფო ანუ მმართებლობის სოციალიზმი, რომ ამით მოჰკლოს მომხიბლველი ძალა და გავლენა სოციალისტების პარტიას და თანაგრძნობა აღძრას მუშა ხალხში მთავრობის ეკონომიურ ზომიერებისა და განკარგულებისადმი. ამ გვარის საქმის მოწყობით მან საშინლად გააბოროტა ყოველგვარის მიმართულების ლიბერალურნი წარმომადგენელნი ბურჟუაზიისა, რადგან მართებლობის სოციალიზმის განხორციელებისათვის იგი სხვათა შორის სთვლიდა საჭიროდ, როგორც ცნობილია, რომ მარტო მთავრობას ეკისრნა თუთუნისა და თამბაქოს წარმოება და გასაღება და კიდევ, რომ მთავრობისვე მეცადინეობით მუშების უზრუნველ-ყოფა დ დაზღვევება (Страхованіе рабочихъ и табачная монополія) დაწესებულიყო. ცხადია, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს არ ეპიტნავებოდათ ეს განზრახვა ბისმარკისა, რადგან მის ასრულებით ბურჟუაზიის ჯიბეს საგრძნობელი სისუსტე დაეტყობოდა. ბურჟუაზიას ხუმრობა აღარ ეგონა ეს ეკონომიური ჩხირ-კედელაობა გუშინ მისგანვე სათაყვანებელის კანცლერისა, შეშინდა და ერთხმად აყაყუავდა: „გვძარცვავენ, გვარბევენ! გვიშველეთ!" ლიბერალნი მას განზე გაუდგნენ, და არც თვით მუშები იქმნენ მოხიბლულნი ბისმარკის ფაფუი და არა-ძვირი დაპირებით და ფეშქაშებით. მათ არა სწამდათ არც ძალა და არც მნიშვნელობა ზომიერებისა, არა სწამდათ, რომ სოციალური საგნის გადაწყვეტა შეიძლებოდეს ზე-მომავალი გზით. იგინი ფიქრობენ, რომ თამბაქოს წარმოების მონოპოლია გაამდიდრებს ხაზინას და არა ვითარს სარგებლობას არ მოუტანს მუშა ხალხს, როგორც ცდილობს ბისმარკი დაარწმუნოს იგი; პირ-იქით სახე-

წიფო შემოსავლის გაძლიერება გადააქცევს მას დამოუკიდებელად და უარესს მტარვალად; რადგან ფული საკმაოდ ექმნება, მისთვის საჭირო აღარ იქმნება რეიგსტაგი, რომლის თანხმობით შეიძლება მხოლოდ დამტკიცდეს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის სია (ბიუჯეტი). აი ამისათვის შეწუხდა ბისმარკი, რომ არჩევანის დროს გამართულს ბრძოლას მოჰყვა მისთვის არა სასურველი შედეგი.

სოციალურს საქმეს, როგორც მიუცილებელს და საჭირო საგანს, რომელსაც უსათუოდ უნდა ადგილი ჰქონდეს ყველან-დელს პარტიების პოლიტიკურს პროგრამაში, კეთილ-ინებეს და მიაქციეს თავიანთი ყურადღება გერმანიის თვით კლერიკალურ პარტიებმაც: კათოლიკებისამაც და პროტესტანტებისამაც. ერთნიც და მეორენიც ჰკიცხავენ აწინდელს წეს-წყობილებას, რომლის მიზეზით შეუბრალებლად იჩაგრება მუშა კაცი უფრო ბედნიერ ბურჟუას მიერ, რომლის წყალობით დღითი-დღე უფრო მატულობს სხვა და სხვაობა და გარჩევა წოდებათა შორის, და ამისათვის ერთნიც და მეორენიც სთვლიან საჭიროდ მიემხრონ დაჩაგრულს მხარეს, სალხს და ჰქადაგობენ სიმართლეს და კაცთ-მოყვარეობას უკანასკნელის მიმართ. იგინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობას ყოველთვის დაჩაგრულთა და გაძარცვნილთა მხარე სჭერია, რომ იგი ჰგმობს ომს ყოველთა და ყოველთადმი და მოიწვევს საზოგადოების სხვა და სხვა წრეთა და წოდებათა თანხმობისა და ძმობისათვის ურთიერთ დათმობით და თავაზით. რეაქციონელი სოციალისტები, როგორც მათ ზოგიერთანი ეძახიან, თავიანთ აზრების პრაქტიკულად გავრცელებისათვის მუშა ხალხთან ურთიერთობას და დამოკიდებულებას სცდილობენ, აფუძნებენ მუშების საზოგადოებას, ხაქველ-მოქმედო დაწესებულებათა და თავიანთ გაზე-

თებსაც სცემენ. ერთს ამ გაზეთთაგანს ჰქვიან «სახელმწიფო სოციალისტი» (Staats Socialist).

ყველა ეს ფაქტები საკმაოდ ცხადათ ამტკიცებენ იმ ჩემს აზრს, რომ ევროპის აწინდელი პოლიტიკური განცხოველება პირდაპირი შედეგია ეკონომიურის საგნებისა, რომელნიც ცხოვრებამ ყველა საგნებზე წინ წამოსწია. შემეძლო მრავალი სხვა მოსაზრება კიდევ მომეყვანა ჩემის აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს აზრი ისე ცხადია, ისე სათვალ-ჩინოა, რომ კაცი ან უნდა ბრმა იყვეს, ან განზრახ თვალთ იბრმავებდეს, რომ ვერ დაინახოს და ვერ შეიგნოს მოვლენათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ეს ლაქუცი მუშა-ხალხის წინაშე, ეს თვალნი, მშრომელთადმი მიპყრობილნი, ეს სახელმწიფო ზომანი, მიღებულნი იმ ანგარიშით, რომ მათი თანაგრძნობა და სიმპატია მიიზიდონ, — სუყველა ეს განა ცხადათ არ ამტკიცებს, რომ ევროპიულ საზოგადოების და სახელმწიფოების ცნობიერება გამორკვეულა და დამდგარა იმ აზრზედ, რომ ეკონომიური წეს-წყობილება, ვითარება უპირატესი საგანია და საფუძველი არის სრულიად სახალხო და სახელმწიფო ცხოვრებისა.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის სხვათა შორის მეცნიერებას და ლიტერატურას. მოწინავე წარმომადგენელნი, როგორც ერთის, ისე მეორისა დაუღალავად შეასმინებდნენ საზოგადოებას და სახელმწიფო კაცებს, რომ ასეთ თუ ისეთ გვარს ეკონომიურს წეს-წყობილებაზეა დამოკიდებული მსვლელობა ქვეყნის ცხოვრებისა, მისი მეხანიზმი. ეს აზრი უკვე დამყარდა და მტკიცედ დაისადგურა მან იმ მეცნიერთა და ლიტერატორთა გონებაში, რომელნიც ყველაზე მომეტებულად თავისუფლად მოაზრეობდნენ და ყველაზე ნაკლებ იყვნენ მოცულნი ცრუ-მორ-

წმუნეობით. აი სხვათა შორის რით აიხსნება სიმრავლე სტატიებისა და ტრაქტატებისა ეკონომიურს საგნებზე ამ უკანასკნელს დროს. ყოველი დარბაისელი და შეგნებული ჟურნალი, თუ კი ჰსურს რომ გავლენა და ხმა მოიპოვოს, ვრცელს ალაგს უწილადებს მათ გარჩევას; ყოველი ახალი გაზეთი ისწრაფვის აუწყოს მკითხველს წინდა წინვე, რომ იგი მომეტებულს ყურადღებას მიაქცევს „დღიურის ვარამისა და ტკივილის“ ახსნას, ე. ი. იმავე ეკონომიურს საგნებს. თავის მხრით მეცნიერნი და მსწავლულნი თავიანთ თხზულებათა საგნად ჰხდიან ხალხის ეკონომიურს ცხოვრებას. დისერტაციებიც კი, რომელნიც იწერებიან მეცნიერების ხარისხის მოსაპოვებლად და ჩვეულებრივ არ შეეხებიან დღიურ საჭიროებათა, მხარს ვერ უქცევენ ამ დაწვრილილს ეკონომიურს საგნებს. ასეთია საზოგადო ცნობიერება, ასეთია საზოგადო ატმოსფერა.

—

ასეთს მდგომარეობაშივე საქმე სხვათა შორის რუსეთშიაც, სადაც ყოველი ძალა და ღონე საზოგადოობრივ მოღვაწეთა ამ მხრივ მიიმართება. თქვენ არ შეგიძლიათ არ შეგენიშნათ, რომ საუკეთესო რუსული ჟურნალები ჰსდგანან მათ გარკვევისა და გადაწყვეტის საქმეს, როგორც პუბლიცისტიკურ თხზულებების შეწყობით, ისე სამხატვრო და ბელლეტრისტულ აწარმოებების მოხმობით. თქვენ მოგეხსენებათ, რა შეუშურველი და არა სანეტარო მდგომარეობაა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ რუსეთის ხალხი შთავარდნილია უკიდურეს გაჭირებაში და სილატაკეში, რომ მას არ შეუძლიან თავის საჭიროებას გასწვდეს, რადგან მას მცირეზედ მცირე საგლეხო ნადელები აქვს და ეს უმცირე ნადელებისა წელს უშლის მას დამოუკიდებელი მეურ-

ნეობა ჰქონდეს. რუსის გლეხი წელშია მოხრილი და ძლივს-ღა ჰსუნთქავს სახემწიფო გადასახადების ტვირთ ქვეშე. იგი მუშაობს, წელებზედ ფეხს იდგამს თითქმის და მაინც უილა-ჯოა მეტის-მეტი სამძიმო ეკონომიურ და სახემწიფო ცხოვ-რების ვითარების გამო. შრომა მისი უდოვლათო და უნაყო-ფოა, რის ვაი-ვაგლახით შეძენილი მიწა 19 თებერვლის დე-ბულებისამებრ არ აძლევს მას იმოდენა შემოსავალს, რომ სა-ხემწიფო ხარჯი გაისტუმროს და თავის მეურნეობის საჭი-როებასაც გასწვდეს; სხვაგან სიარულიც სამუშაოდ ვერ ჰშველის მის გაჭირვებულს მდგომარეობას. სახემწიფო შენობა, სახემ-წიფო წეს-წყობილების აგებულება შეირყა და დაინძრა ხალხის ესე გვარ მდგომარეობისა გამო, იმ ხალხის, რომლის მხრებ-ზედაც სრულიად სახემწიფო დამყარებულია. საზოგადოების მაღალმა წრეებმა იგრძნეს ეს უეცარი ნძრევა, შეშინდნენ და შეშფოთდნენ. პირველ საქმედ იგინი ძირს ჩამოეშვნენ დაბალ ხალხთან და მოუსვენრობით ცდილობდენ შეეტყოთ ამ ნძრევის მიზეზი. შემდეგ მმართებლობის მიერ სხვა და სხვა გვარი კომისიები ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსაძიებლად. ერობამ, ანუ უკეთ ვსთქვათ თემობამაც, მიაქცია თავის მხრი-თაც ყურადღება ამ საშურო საქმეს. გაჩაღდა გაცხარებული მუ-შაობა. თემობის გამგეობასთან ერთად დაარსდნენ სტატისტი-კური განყოფილებანი, რომელთა სრული მოღვაწეობა მიქ-ცეულ იქმნა იმ ეკონომიურ პირობების გამოკვლევაზე, რომელ-შიაც სცხოვრობს რუსის ხალხი. თვით მეცნიერული საზოგა-დოებანი ძლიერ იქმნენ დროთა-ვითარებისაგან, დაემორჩილნენ საჭიროებას და ამ მხრივ მიმართეს თავისი მუშაობა. «თავის-უფალ ეკონომიურ საზოგადოებამ» საგნად დაიდო ყოველ-მხრივი შესწავლა რუსეთში გავრცელებულის ერთ-გვარის მიწად

მფლობელობისა, რომელსაც საერთო მიწად მფლობელობა ჰქვიან, რუსული «ობშჩინისა». ამისათვის მან გამოსცა კითხვებად დალაგებული პროგრამა ამ საგანზე ცნობათა შესაკრებად და უკვე დაბეჭდა კიდეც თვით ცნობათა კრებულის პირველი ტომი. ყოველივე ამ მეცადინეობის შედეგი, როგორც მთავრობის მხრით, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ, იყო გამოქვეყნება აუარებელის და ძვირფასის მასალისა გლეხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ-მხრივი შესწავლისათვის.

ამ მხრივ იყო მამართული აგრეთვე თანხმობითი მოღვაწეობა კერძო პირთა და მშრომელთა; მათ თავის გამოკვლევით და ძიებით მოჰფინეს ნათელი ხალხის ცხოვრების ისეთ მხარეთა, გაიცნეს და გამოაქვეყნეს ისეთი უცნაური და საოცარი ფაქტები ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებიდამ, რომელთ არსებობა წარმოსადგენი არც კი იყო წინად. დღეს ამ ფაქტების ძალით თან-და-თან იძულებულნი გახდნენ ახირებული ოპტიმისტები, ეს ცრუ დამცველნი თავიანთის ქვეყნის «დიდებისა და ბრწყინვალებისა», ეს პატრიოტები თავიანთის ქვეყნისა და სამშობლოსი, როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახიან, — იძულებულნი გახდნენ, ვამბობთ, შედრკენ, უკან დაიხიონ და მწუხარებით გადაავლ-გადმოავლონ ჭაღარა შერთული და გამოცდილებით დამარაგებული თავნი თვისნი. მართალია, განზრახვა და საწადელი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და კერძო პირნი ეკონომიურ გამოკვლევასა და ძიების დროს — იყო სხვა-და-სხვა, მრავალ-გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგიც, მაგრამ მაინცა და მაინც გამოკვლევათა შედეგი არავითარს ეჭვს აღარა ჰბადავს მასზედ, რომ ხალხის მდგომარეობა დიდად გაჭირვებული და სასო-წარკვეთილი მდგომარეობაა.

ნუ თუ, მართლა, ხალხის უკიდურესი მდგომარეობა პირ და პირი შედეგია საგლეხო რეფორმისა, რომელიც 18 თებერვალს 1861 წელს იქმნა გამოცხადებული? ებადება ყველას თავში ეს მწარედ დამაფიქრებელი კითხვა. რა გვარად უნდა შესდგომოდა ამ გვარი ბოლო რეფორმას, რომლის საგნად იყო გლეხთა კეთილ-დღეობა, მათი მოქალაქობრივი განთავისუფლება, გონებითი და ზნეობითი განვითარება. სად არის ეს შავ-ბედითი წინააღმდეგობა. — კვალად იქვნებულობენ ამ საგანზედ ისინი, ვინც გატაცებულნი იყვნენ გარეგნობით და საქმეს ღრმად არ უფიქრდებოდნენ. — წინააღმდეგობა უნდა აიხსნას ჩვენის არა-შესაწყნარებელის და დამღუპველის გაუგებრობით საზოგადოებრივ მოვლენათა ჭეშმარიტის აზრისა, — იძლევიან პასუხს ისინი, ვინც პირ და პირ, ცნობიერად და არა პირ-მოფერებით უცქერის ხალხის ცხოვრების მოვლენათა.

ისინი უჩვენებენ იმ მოვლენას, რომ საგლეხო რეფორმამ ორგვარი ხასიათი მიიღო და რომ ამ ორგვარობამ შესძინა რუსეთს ფრიად გაჭირვებული მდგომარეობა გლეხისა. ისინი დაურღვეველად ამტკიცებენ იმ მტკიცედ აღიარებულს ფაქტს, რომ რეფორმის მოღვაწენი გატაცებულ იქმნენ ევროპიულ ქვეყნების წარმოებისა და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ მარტო განთავისუფლება ხალხისა ბატონ-ყმობისაგან, არა თუ მხოლოდ წაქეზება და წახალისება გლეხის შრომისა, არამედ ამ საგნებთან ერთად მათ ისიც დაიდვეს საგნად, რომ მფარველობა აღმოეჩინათ და წაეხალისებინათ შინაური და მშობლიური მრეწველობა (Отечественная промышленность). ამით ეს მოქმედნი რეფორმისა დიდათ შესცდენ და თვისის გულ-უბრყვილობითა ჰგონებდნენ, რომ ამ გვარად ისინი აღაყვავებენ და განავითარებენ ქვეყანას ეკონომიუ-

რად. ამ ცრუ იმედით დაიწყო ძალით მოსილთა მიერ შეწევნა და ყოველ-გვარი წახალისება კაპიტალისტებისა და ფულის პატრონებისა, რომელთაგან ელოდნენ ყოველ-გვარს წყალობას ქვეყნისათვის. გაჩაღდა გახელებული სარკინი-გზო მოღვაწეობა, დაარსდა ბანკები, აქციონერული და საკრედიტო დაწესებულებანი: დაიხარჯა დიდ-ძალი ფული და შეძლება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლიდამ რკინის გზების გაყვანისა და მართვა-გამგეობისათვის, უცხო ქვეყნებთან აღებისა კი არა მიცემობის ვაჭრობის (вывозная торговля) გაძლიერებისა და წახალისებისათვის. სრულიად საეკონომიო და საფინანსო პოლიტიკა რეფორმის შემდეგის დროს განმამავლობაში იმით სულდგმულობდა, რომ შეექმნა და გაეძლიერებინა კაპიტალისტების წოდება და მომრეწველთ და მოვაჭრეთ წრე იმ ხალხისაგან, რომელსაც ამ გვარსავე საქმეს ადგა წინადვე მცირედ. ამ დაწყობილობათა საწადელად ის იყო მიღებული, რომ ძლიერს მომრეწველთ წრეს და წოდებას ეკისრნა ორგანოვანობა სახალხო და სახელმწიფო მეურნეობისა, რომ ამ სახით დაახლოვებოდა რუსეთი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა ტიპს.

---

ამის გარდა, რეფორმაციულის ღვაწლის ხსენებულ ორგვარობისა და ორ-ნაირობისა გამო, არაფერი არ გარიგდა და არ გაკეთდა რეფორმის უმთავრესის მიზნის მისაღწევად — სოფლის ყოფა-ცხოვრების განკეთილებისათვის გლეხობას მიეცა ძალიან მცირე ნადელები და მათი გამოსასყიდი ფასი ისე დიდი დაიდო, რომ სრულიად მოუხერხებელი შეიქმნა მისთვის ფიქრი და ზრუნვა დამოუკიდებელ მეურნეობისათვის. საგლეხო რეფორმის მოწალმართენი კი დარწმუნებულნი იყვნენ და ფიქრობდენ წინ-დაუხედავად, თუმცა კი გულ-წრფელად გა-

ტაცებულნი, ოღონდ კი განთავისუფლდეს ხალხი ბატონ-ყმობიდგან, ოღონდ კი დაიმსხვრეს საუკუნოებით ნაჭედნი ბორკილნიო, რომელიც რკინის ბეჭედივით გარს შემოჰხვევია ხალხის ცხოვრებასაო და მერე ხალხი ნეტარად და უზრუნველად იცხოვრებსო. მაგრამ ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ხალხის მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, არანაირად არ გაუკეთესებულა; რომ ხალხს ერთის ველურის და გამხეცებულის ბატონის მაგივრად, მეორეც მოახვიეს თავზედ. ეს მეორე გახლავთ უფრო ლიბერალი და ენა-მეტყველი მუზმუზელა ვაჭარი, რომელიც დღეს არა,—ხვალ გადიქცევა ნამდვილ კაპიტალისტად და რომელსაც უკვე ყოველი ღონე და კულტურული სახსრები ხელთ ექმნება ხალხის სრულის და სისტემატიურის ცარცვა-ყვლეფისათვის.

მაშინვე, საგლეხო რეფორმის დროსვე, იყვნენ კაცნი, რომელნიც აფთხილებდნენ რეფორმის მოღვაწეთ. ისინი ეუბნებოდნენ მათ, რომ საგანი ისე არ არის დადგენილი, როგორც უნდა იყვესო; რომ მისი გარდაწყვეტა სასურველი გარდაწყვეტა არ იქმნებაო, რადგან ეგ სასურველი გარდაწყვეტა იმაზედ არის დამოკიდებული, რა გვარს საეკონომიო შეხედულებასა და ეკონომიურს პრინციპებს დაუდებსა სარჩულად განზრახულს რეფორმასაო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უკეთუ ეკონომიური მხარე რეფორმისა არ იქნება რიგიანად შემუშავებული და გამორკვეული, თუ რეფორმატორები შეშინდებიან ან მოერიდებიან მას, რომ გადასაწყვეტი საქმე საძნელოა და რთული და არ გადაწყვეტავენ მას რადიკალურად და ერთბაშად ეხლავე, მაშინ რეფორმა გადიქცევა არარად. მაშინ მოსალოდნელ სიკეთისა და ნეტარების მაგიერ, ხელთ დაგვრჩება ხალხის უარესი შეწუხება, მოვესწრებით მის უარესს გაღარიბებას. მაგრამ საუბედუ-

როდ რეფორმატორებმა ვერ გამოიჩინეს საკმარისი სულის სიძლიერე. მათ არ მიიღეს გონივრული რჩევა ეკონომიურის ლიტერატურის წარმომადგენელთა, რომელთაც იგინი უმასხუხებდნენ, რომ საჭიროა შეთანხმდეს და შეწყობილ იქმნას ინტერესები სხვა-და-სხვა წოდებათა, რომ ამ საქმეში მონაწილე წოდებანი თანაბრად უნდა იყვნენ დაკმაყოფილებულნიო. გადასაწყვეტი საგანი ჭრთული კი არ უნდა გახადოთ, არამედ შეძლებისამებრ უნდა გამარტივდეს და ისე გადასწყდეს; ჯერ ხალხი განთავისუფლდეს პოლიტიკურად, მოქალაქობრივი უფლებანი მიენიჭოს და მერე შეიძლება დამატებითი ზომიერებანი იქმნეს მიღებული რეფორმის ეკონომიურის ნაწილის გადასაწყვეტადაო. ამ სახით საგანი «გამარტივებულ იქმნა», რჩევანი «გამოუცდელ და ახირებულ» იდეალისტებისა უარ-ყოფილნი და უყურადღებოდ დატოვებულნი შეიქმნენ. რეფორმა მოხდა, ხორც-შესხმულ ფაქტად გადაიქცა და აი რუსეთი დღეს გაბეჩავებული ეზიდება მძიმე ტვირთს ამ გვარად საგნის «გამარტივებისას» და ცხოვრება ამართლებს იმ იდეალისტებს და «გამოუცდელ» ეკონომისტებს, რომელნიც წინასწარვე გრძნობდნენ, რა გამწარებული ცხოვრებაც მოჰყვებოდა მარტივად საგნის გადაწყვეტას.

მეორეს მხრით, ჩვენ ვიცით რა ხასიათისა და მიმართულებისანიც არიან «დამატებითი ზომიერებანი», რომელთაც უნდა შეემთავრებინათ და დაეგვირგვინებინათ გლეხთა რეფორმის საქმე. ვიცით, საითაც აქვთ მათ თავი მიმართული, ვის ინტერესების დამცველადაც გამოცხადებულან და ამის გამო უფრო მეტის სიმტკიცით ვაღიარებთ ჩვენს აზრს ამ გვარის «ფრთა-მოკვეცილ რეფორმისა და მის გამარტივების» წინააღმდეგ.

ახლა, მრავალ გამოკვლევათა და გამოძიებათა შემდეგ, შემდეგ ბეჯითი შესწავლისა და შემეცნებისა იმ კანონთა და წესთა, რომელთაც ექვემდებარება საზოგადოობრივი ცხოვრება, რუსნი, მწარედ გამოცდილნი და თავის ქვეყნის ბედ-კრულობის მომსწრენი, თან-და-თან რწმუნდებიან, რომ ეკონომიურ ცხოვრების უყურადღებოდ დატოვება ძვირად უჯდება ქვეყანას, მისთვის მხარის აქცევა დამღუპველს და ძნელად გასასწორებელს შეცდომას წარმოადგენს, და რომ გარეგანი სახე საზოგადოობრივის ცხოვრებისა მტკიცედ შეესაბამება მატერიალურ ცხოვრების პირობათა და ვითარებასა. ყოველი რეფორმა, ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩება უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულს პრინციპებზედ არ არის დამყარებული.

აი როგორ გამოსთქვამს მოკლედ თავის შეხედულობას ამ საგანზე ერთი უდიდესი და ღრმესად შემეცნებული კაცი ჩვენის დრო და საუკუნისა. კაცი ისეთი, რომლის სრულიადმა და მტკიცე-მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე (міросозерцаніе) ჰქმნა დიდი ძლევა. «პირველი საგანი, რომელსაც მე მივმართე ჩემი ეჭვების გასაფანტველად, — მოგვითხრობს იგი თავის გამოკვლევათა მსვლელობაზე, — იყო კრიტიკულად განხილვა ჰეგელის სწავლა-მოძღვრებისა «უფლების» ფილოსოფიაზე (Гегелевская философія права). ამ გარჩევის და განხილვის შემწეობით მე დავასკვენი, რომ უფლებრივი ურთი-ერთობანი *) და აგრეთვე პოლიტიკური

*) ყოველს კაცს აქვს უფლება მაგ. ჰქონდეს საკუთრება. მაგრამ ამასთანავე ყოველივე ვალდებულია სხვის საკუთრებას არ შეეხოს. აქედამ წარმოსდგება კაცთა შორის ერთ-გვარი ურთი-ერთობა, რომელსაც ჩვენ ვეძახით უფლებრივს ურთი-ერთობას. უკეთესი ტერმინი, გვგონებთ, ძნელად მოიძებნება და ამიტომ ვტოვებთ მას ტექსტში. რედ.

ფორმები არ წარმოიშობება, არ მომდინარეობს იურიდიკულს და პოლიტიკურს საფუძველთაგან და არც შეიძლება მათზედ იყვეს დამყარებული. უფრო არ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ იგი უფლებრივი ურთი-ერთობანი წარმოსდგნენ და მომდინარეობენ ესრედ-წოდებულ კაცობრიობის სულის ზოგად განვითარებისაგან. მათი საფუძველი და დასაბამი არის მატერიალური, ქონებრივი, თვით რეალურის ცხოვრების ურთი-ერთობანი, რომელთაც ერთად თავ-მოკრეფით ჰეგელი «მოქალაქობრივს საზოგადოებას» ეძახის, მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ და ფრანციელ მწერალთა მისდევლობით; ხოლო ანატომიას მოქალაქობრივის საზოგადოებისას წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომია. ასე შეიძლება გამოიხატოს მოკლედ ის აზრები, რომელნიც მე დავასკვენი მის (პოლიტიკურის ეკონომიის) შესწავლის შემდეგ: მატერიალურის წარმოების დროს კაცთა შორის არსდება ერთ-გვარი ურთი-ერთობა, წარმოებრივი ურთი-ერთობა (производственныя отношенія) ეს უკანასკნელი მუდამ და ყოველთვის შეესაბამება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ფარდს წარმოადგენს შრომის იმ ნაყოფიერებისას, შემოქმედობისას, რომელიც დღეს კაცის ეკონომიურ ძალთა განვითარების წყალობით არსებობს. სულ ერთად, თავ-მოკრეფით აღებული წარმოებრივი ურთი-ერთობანი შეადგენენ ეკონომიურს სტრუქტურას საზოგადოებისას, რეალურს სამირკველს, რომელზედაც აგებულია პოლიტიკური დ ეკონომიური შენობა დ რომელსაც შეეფარდება დ შეესაბამება რომელნიმე ცნობილნი ფორმები საზოგადოებრივის ცნობიერობისა. ამ სახით წარმოებრივს წესზედ დამოკიდებულია სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესები ცხოვრებისა. ამ უკანასკნელთ არსებობს არამც თუ არ ჰკიდია კაცის ცნობიერობაზედ, არამედ

პარიჟით თვით იგი ცნობიერება მათგან არის დამოკიდებული. შრომის ნაყოფიერობისა და შემოქმედობის რომელსამე ცნობილს ხარისხზედ მისი ძალანი შეებრძოლებიან ხოლმე კაცთა შორის დამყარებულს წარმოებრივს ურთი-ერთობას. ამისათვის იგინი სრულიად და მძლავრად ეწინააღმდეგებიან მასაც, რაც შეადგენს იურიდიკულს სახეს, იურიდიკულს გამოხატულებას, ანუ ფორმებს წარმოებრივის ურთი-ერთობისას, ესე იგი ეწინააღმდეგებიან ქონებრივს წესებს. ამ დროს წარმოებრივი ურთი-ერთობანი კაცთა შორის აღარ შეესაბამებიან შრომის ნაყოფიერობას, შემოქმედობას და ავიწროვებენ მას. აქედამ წარმოსდგება და აქ ეძლევა დასაბამი ხალხთა ამბოხებას და აღრეულობას. ცვლილებისათანავე ეკონომიურის საძირკვლისა, იცვლება ნელ-ნელა ანუ სიჩქარით თვით დიადი შენობა მასზედ აგებული და დამყარებული. ამ ამბოხებათა შესწავლის დროს მუდამ საჭიროა მტკიცედ განისაზღვროს ის ცვლილება, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა შესახებ და მტკიცედ-მეცნიერულად აღიარებულ უნდა იქმნას. ეს ერთის მხრით. და მეორეს მხრით ესევე განსაზღვრული და მეცნიერულად აღიარებული უნდა იქმნას ის ცვლილებაც, რომელიც მოხდა იურიდიკულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ესთეტიკურ, ფილოსოფიურ, ერთის სიტყვით — იდეოლოგიურს ფორმების შესახებ, იმ იდეოლოგიურ ფორმებისა, რომლებშიად გამოხვეული აზრი შებრძოლებისა, რომელთ შემწეობით ამ აზრს გზა გაუკვლევია კაცობრიულ ცნობიერებამდე და რომლებშიაც ფარულად ჰსწარმოობს ბრძოლა იმ ხსენებულის მატერიალურ შეჯახების გულისათვის. თვითეულ კაცზე იმის მიხედვით კი არა ვჰსჯით, რასაც ის თავის-თავზედ ჰფიქრობს; აგრეთვე არ შეიძლება განვსაჯოთ აღრეულობათა ეპოქაზე მის

(ეპოქის) საკუთარის თვით ცნობით. პირიქით თავათ ეგ თვით ცნობა უნდა იქმნას ახსნილი მატერიალურ ცხოვრების წინააღმდეგობათაგან, უნდა იქმნას შეგნებული იმ შებრძოლების შემეცნებით, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა და შრომის ნაყოფიერობის ვითარებასა შორის. საზოგადოებრივი ფორმაცია არას დროს არ გაჰქრება და არ გადაშენდება, ვიდრე არ განვითარებულა შრომის ნაყოფიერობის ძალა, რომელსაც იგი აძლევს საკმარისს ალაგს და თავისუფლებას განმტკიცებისათვის. ახალი წარმოებრივი ურთი-ერთობანი არ გაჩნდებიან ძველ ურთი-ერთობათა სამაგიეროდ, ვიდრე მატერიალური პირობანი მათის არსებობისა არ შემუშავებულან და არ გაჩენილან ძველის საზოგადოების მიერ. აი რისათვის დაიდებს ხოლმე წინ კაცობრიობა გადასაწყვეტად მხოლოდ ადვილად შესასრულებელს საქმეს, განხორციელებისათვის მხოლოდ ადვილად მოსახერხებელს საგანს. ბეჯითი დაკვირვება გვამცნებს და გვიმტკიცებს, რომ გადასაწყვეტად საგანი გაჩენილა და წამოყენებულა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მატერიალური პირობანი მის გადაწყვეტისათვის ან უკვე მზად ყოფილან, ან ცხოვრების მიერ მზადდებიან და აზრის მიერ შესაძლებელია შემეცნებულ იქმნენ ამ დამზადების დროს.»

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისე როგორც იტყვის და განმარტავს ამ ღრმა მოაზრეს ერთი კომმენტატორთაგანი, ასე გამოვა: «ცვლილება იმ ურთი-ერთობისა კაცსა და ბუნების შორის, რომელიც შეადგენს მთავარს შინაარსს და დაუშრომელს წყაროს შრომის ნაყოფიერობისას და შემოქმედობისას, გამოიწვევს ცვლილებას კაცთა შორის ეკონომიურს ურთიერთობისას; ხოლო ეს ცვლილება თავის მხრით გამოიწვევს ცვლილე-

ბას იურიდიკულ, პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრებითს ურთიერთობისას მათთა შორისვე.»

ამ სახით, როდესაც ხალხთა წოდებათა შორის ეკონომიურად დაჩაგვრა ძლიერდება, როდესაც ძლიერდება მათი ქონებათა უთანასწორობა, მათთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური დაჩაგვრაც. ეკონომიური ცხოვრების უსწორ-მასწოროდ მიმდინარეობა ხალხს აგრძნობინებს, თუმცა წინად ბუნდად, რომ მის ცხოვრების პირობანი არ არიან ნორმალურნი. შემდეგ ამას თან-და-თან უფრო ცხადათ გრძნობს ხალხი და ებადება სურვილი შესცვალოს, დაამსხვრიოს ეკონომიური ბორკილები, რომელნიც უშლიან იმის შრომის ნაყოფიერობას წესიერად მიმდინარეობდეს. ვისი ინტერესებიც ამ ნაირად ეკონომიურის ცხოვრების შეცვლით, საშიშროებაში ჩავარდება, ისინი საზარლად მრწუნდებიან და ღელდებიან. და რადგანაც იურიდიული და პოლიტიკური ფორმები სრულიად შეეხამებიან და შეესაბამებიან მატერიალურს ცხოვრების სამირკველს, ე. ი. რადგანაც იურიდიული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულნი გუშაგნი აწმყო ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელსაც იგინი ფხიზლად და ერთგულად ჰყარაულობენ,—ამისთვის რა წამსაც კი შენიშნავენ ხალხს ეკონომიურის ცხოვრების შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშაგნი სცემენ ნაღარას, ისხამენ აბჯარს და გამოდიან მიმდინარე ეკონომიურის ცხოვრების დასაცველად.

—

ესეც შინაგანი გუშაგნი, რომელთაც გამოუცდელი თვალი ვერ შენიშნავს, იცავენ განწყობილებას გამარჯვებულ და დამონავებულ ქვეყნების და ნაციების შორის. მე არ ვამბობ (არც ხალხთა შორის დამოკიდებულებაზედ—ეს სულ სხვა არის). თუ

ერთხელაც არსებობს დამოკიდებულება ერთის ქვეყნისა მეორეზედ, მაშინ, რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება ერთ-ერთ მათგანისათვის არის უსათუოდ სასარგებლო; თუ რომ ასე არ იყოს, და ორივე ქვეყანა ამ დამოკიდებულებაში ხედავდეს თავისთვის ზარალს, მაშინ ეს დამოკიდებულება მოისპობოდა და მათ შორის საქმე მშვიდობით გათავდებოდა. ზოგჯერ კაცს ჰგონია, რომ უმარჯვებული ქვეყანა თავის დამონავებულ ქვეყნებიდამ არავითარს სარგებლობას არა ხედავდეს, პირიქით ვითომ მასზედ თავის საკუთრებასაც ხარჯავდეს. ეს ხომ სიგიჟე იქნება. არა განა? ან იქნება ეს იმიტომ მოსდიოდეს რომელსამე დიდ-სულოვნობით გატაცებულს ერს, რომ ჰსურდეს შეეწიოს თავის უძლურს მეზობელს? იქნება ასედაც ხდებოდეს — მე ეს არ ვიცი, მაგრამ პირუთვნელი ისტორია და საუკუნოების გამოცდილებანი კი სრულიად სხვას გვასწავლებენ; ისინი გვეუბნებიან, რომ წინანდელს ზარალს გამარჯვებულის ერისას შემდეგში მოგება ასჯერ და ათასჯერ სჭარბობს. აი ამ მოსაზრებით ერთი ქვეყანა, ვითომ დიდ-სულოვნობით, ხარჯავს ფულს «ველურის ხალხის» გასანათლებლად და გასავითარებლად. ესევე სწადის ანგარიშიანი ვაჭარი, რომ მოიპოვოს ნდობა თავის მუშტრების წინაშე, ჰყიდის საქონელს ძლიერ იაფად, თითქმის ზარალით. იმ იმედით, რომ შემდეგში ერთი-ორად აიყვანებს მათგან თავის ზარალს.

აქედამ ცხადათა სჩანს, რომ იმ მიზეზებს, რისთვისაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანაზედ უფლობს, ეკონომიური თვისება აქვს, თუმცა შეიძლება სხვა პოლიტიკური მიზეზებიც ჰქონდეს; მხოლოდ და მარტო მატერიალურს სარგებლობისათვის, რომელსაც ან ამ თავითვე იღებს და ან მომავალში მოელის გამარჯვებული ერი, არ ერიდება იგი არავითარს უსია-

მოგნებას, სხვაზედ გაბატონების დროს. მართალია ამავე დროს მთელი ქვეყანა იჩაგრება, სუყველა მცხოვრებნი დამორჩილებულნი არიან, მაგრამ ეს დაჩაგვრა და დამონავება ისე ძლიერ არავის აწვება კისერზედ, როგორც ისევ იმავ მრავალ-ტანჯულს და დიდ-სულოვან უბრალო ხალხს. ყოველი ქვეყანა, რომელიც ბედისაგან ასე სასტიკად არის დასჯილი თავის ისტორიულის შეცდომებისა გამო და უნდა ნათლად გამოიკვლიოს თავის დამოკიდებულება, თავისი სამწუხარო მდგომარეობა, უნდა უსათუოდ დაადგეს ერთად-ერთს სწორე გზას, ეკონომიურის წყობილების და თავის ცხოვრების მატერიალურის ვითარების გაგებისას. მოწინავე და გონიერთ ქვეყნის წინამძღოლთ, რომელთაც უყვართ თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, უნდა დაუახლოვდნენ ამ ხალხს, გულ-მოდგინედ გაუშინჯონ ბედისაგან დასმული იარები, გამოიკვლიონ მისი სამწუხარო მდგომარეობა და ნამდვილ მეცნიერულად გაიგონ: რა გავლენა ჰქონდა დამოკიდებულებას ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაზედ, რა ცვლილებანი მოახდინა მან იმის ყოფა-ცხოვრებაზედ და ეკონომიურს ურთი-ერთობაზედ წარსულ დროსთან შედარებით. ანუ უფრო მეცნიერულად რომ ვსთქვათ: შესცვალა თუ არა ახალმა დამოკიდებულმა მდგომარეობამ დაჩაგრული ქვეყნის წარმოების პირობანი და თუ შესცვალა რა გზით? თან მოჰყვება თუ არა ამ მატერიალურ პირობების შეცვლას შესაფერი ცვლილება ხალხისათვის მძიმე და აუტანელის შენობისა, რომელიც ამართულია და აგებული ხალხის ცხოვრების მატერიალურს საძირკველზე, ზემო-მოყვანილის მოაზრეს თქმისა არ იყვეს რომ ჩემს სიტყვას ცრუ მნიშვნელობა არ მისცენ, აქვე ვიტყვი, რომ მე უარს არა ვყოფ, რომ პოლიტიკურს დ ეკონომიურს ცხოვრების ფორმებს აქვსთ

ერთი-ერთმანერთზედ გავლენა. მართალია, რომ ეკონომიურ წყობილებას აქვს გავლენა პოლიტიკურს წყობილებაზედ და ეს გავლენა მასში სჩანს, რომ პირველი მეორეს მოაწყობს თავის მოთხოვნილებათა დაგვარად, მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკური დაწესებულებანიც, თავის მხრით, როგორც მცველნი ეკონომიურის ცხოვრების სამირკვლისა, ცდილობენ ასე თუ ისე იმოქმედონ მასზედ და დაუმორჩილონ პოლიტიკურს ცხოვრებას. ესეც სწორედ ისეა, როგორც იმ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც მატერიალური უსწორმასწორობა აგებინებს კაცს, რომ მატერიალურის წარმოების საშუალებანი უვარგისნი არიან, მაშინ თვითონ კაციც ამ გამორკვეული აზრის გავლენის ქვეშ იმყოფება და ცდილობს რამე ზედ-მოქმედება იქონიოს უსწორ-მასწორობის მოსპობაზე.

აი ამისთვისაც ყოველი პოლიტიკური ანუ ნაციონალური ამბოხება იღებს დასაწყისს იმ ეკონომიურის წყობილებათაგან, რომელნიც ხალხში მოქმედობენ. საზოგადოების წინამძღოლნი, გატაცებულნი პოლიტიკურის ან ნაციონალურის საქმით, ისე ინთქვებიან პოლიტიკურის ბრძოლის მორევში, რომ თვითონაც ვეღარა გრძნობენ, თუ საიდგან იძენენ მოქმედების ძალას, რა პირობათა ძალით დაიბადა ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიაც ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ. საჭიროა მხოლოდ გაცუდდეს და გაუვარგისდეს საშუალებანი მატერიალურის წარმოებისა, რომ იმავ წამსვე დაიწყოს და გაძლიერდეს პოლიტიკური ამბოხებაც, და რაც უფრო ეკონომიური წყობილება გაუვარგისდება, მით უფრო აურესად გაძლიერდება პოლიტიკური მოძრაობა, რასაკვირველია, პოლიტიკურ მოქმედ პირთ ჰგონიათ, (ეს ცოტა არ

არის აკმაყოფილებს იმათ თავ-მოყვარეობას), რომ პოლიტიკური მოძრაობა და ამბოხება იმათის მოქმედების წყალობით ხდება, მაგრამ ის კი არ იციან, რომ თვითონ ისინი არიან წარმოშობილნი პოლიტიკურის მოძრაობისაგან, რომლის ფესვი და ძირი იმალება ეკონომიურის ცხოვრების გაუკარგისებაში და მატერიალურის წარმოების შევიწროებაში.

მე ამით არ ვამტკიცებ, რომ საზოგადოების ბელადთა პოლიტიკურს მოქმედებას არა აქვს არავითარი გავლენა პოლიტიკურს მოძრაობაზედ და ფორმებზედ. პირიქით, მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მათის წყალობით პოლიტიკური მოძრაობა თავდაპირველადვე ჯერ იგებს, თუ ნამდვილად საიდგან წარმოსდგა და ამისთვისაც ლობე-ყორეს ედება ხოლმე, სინამ, მრავალთა შეცდომათა შემდეგ, არ მიხვდება, რომ დაამყაროს თავის პროგრამა ეკონომიურს პრინციპებზედ, რომელნიც გვასწავლიან ხალხის მატერიალურ ყოფა-ცხოვრების განვითარების კანონებს. ყოველს მოძრაობას პირველად პოლიტიკური ან ნაციონალური ხასიათი აქვს და ეხება ცხოვრების გარეგანს ფორმებს, რადგანაც ეს მოძრაობა იწყობა მცხოვრებლების განვითარებულ პირთაგან, რომელნიც საზოგადო ცხოვრების კითხვების ახსნას მხოლოდ თავიანთ გარეშემო ეძებენ. ბევრი, ძლიერ ბევრი ისტორიული შეცდომებია საჭირო, რომ მოძრაობის მოთავენი მიხვდნენ ნამდვილს მიზეზს თავეთა მამულის საქმეების მოუწყობლობისას, ხალხის ეკონომიურს წყობილობის დიდს მნიშვნელობას.

მეორეს მხრით ყელამდის საქმით სავსე ხალხი, რომელიც წელებზედ ფეხს იდგამს და ისე მოუვლობს თავის სახლობისთვის ერთს ლუკმა პურს, თავის დღეში არ მიიღებდა და არც მიიღებს მონაწილეობას საზოგადო მოძრაობაში, თუ

რომ ზოგჯერ ინსტიკტიურად და ზოგჯერ მოძრაობის ბელადთა ჩაგონებით, არა გრძნობდეს, რომ დაწყობილს მოძრაობას საგნად აქვს იმის ცხოვრების გაუმჯობესება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მართალია, ის ამაში ბევრჯელ სტყუვდება, მაგრამ საჭიროა დიდი ხნის ისტორიული გამოცდილება რომ იგი დარწმუნდეს, რომ მოძრაობას, დაწყობილს ხალხის ინტერესებისათვის, თან მოსდევს უარესად ხალხის დაჩაგვრა და შებორკილება ზოგჯერ იმ ბელადთაგანვე, რომელნიც ამ მოძრაობით უსვინიდისოდ სარგებლობენ თავის ინტერესებისათვის და ზოგჯერ კიდევ იმ ბელადთაგან, რომელნიც თუმცა ნამდვილად თანა-უგრძნობენ ხალხის ინტერესებს, მაგრამ საქმეს კი წინადვე ნამდვილს გზაზედ არ აყენებენ. არც ერთს საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს; ხალხი აძლევს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეკონომიურ საგნებს, რომელნიც შეეხებიან იმის ტანჯულს ცხოვრებას, უჭირავთ უპირატესი ადგილი მოძრაობაში, რისთვისაც იგი იწყობს ბრძოლას, მაგრამ, საუბედუროდ, უფრო ხშირად ბრუნდება შინ მოტყუებული და გაბრაზებული იმ პირებზედ, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მოთაობა და წინამძღოლობა მისი.

ასეთ ისტორიულს გამოცდილებათ, ასეთ ძვირად დამჯდარს შეცდომილებათ, რომელთაც არავინ არ უნდა შეეხნენ, თუ თავის ხალხი უყვართ, სანამ საქმე კარგად და გონივრულად არ შეისწავლონ, ბევრჯელ ჩაუგდიათ სინანულში ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი, როცა ნამდვილად უგრძვნიათ ათ თავეთი დანაშაული ხალხის წინაშე; მაშინ ისინი დარწმუნებულან, რომ მხოლოდ ხალხის ეკონომიურის ინტერესების

დაცვით შეიძლება დააკმაყოფილოს სამშობლო ქვეყნის საჭიროება და მოთხოვნილებანი, რომ მოძრაობის დროს პირველად ხალხის ეკონომიური ინტერესები უნდა ვიქონიოთ სახეში და მერე სხვა ინტერესებიც, რომელთაც ხალხი აგრეთვე თანაუგრძნობს,—პოლიტიკური და ნაციონალური.

ჭეშმარიტია, რომ ეკონომიურ იდეალთან ერთად ხალხს პოლიტიკური იდეალიც აქვს სახეში, რასაკვირველია, ეს იდეალი არა ჰგავს მზა-მზარეულ პოლიტიკურს პროექტებს, შედგენილთ ხალხის ბელადთაგან, რომლებშიაც გამოკვლეულია ფორმები პოლიტიკურის მოწყობილობისა და წინდაწინვე ნაჩვენებია ყოველივე დაწვრილებითნი კერძოობანი, მაგრამ იგი იდეალი მაინც საკმაოდ ცხადია და გამორკვეული, საჭიროა მხოლოდ მისი ლოღიკურად შემუშავება.

ხალხი თუმცა არ არდგენს თეორიულად ვრცელს პროექტებს, სადაც შემდგენელთ არაფერი არ ავიწყდებათ, გარდა თვითონ ხალხისა, მაგრამ მაინც ყოველთვის იცავს მარტივს და არა ჭრიულს საფუძვლით საზოგადოების მოსაწყობად. ხალხი, როგორც გამოცდილი ჭკუის პატრონი, რომლის გონებაც სხოლასტიკურის სწავლით არ არის დამახინჯებული, მსჯელობის დროს იწყობს მარტივიდამ და გადადის რთულზედ, კერძოდამ გადადის საზოგადოზედ. თავის მსჯელობის საფუძვლად პირველად იგი ღებულობს ცოცხალს პირს, კაცსა; მერე რამდენსამე პირთა კომბინაციას ოჯახობაში, მეურნეობაში და კომლობაში. ოჯახობა და კომლობა ერთად შეადგენე ერთს საზოგადოებას, თემობას, რომელიც, როცა სხვა თავის მაგვარს საზოგადოებას შეუერთდება, შეადგენს ერთ დიდს საზოგადოებრივ სხეულს. ამაზე შორს ხალხის გონებ ალარ მიდის და უთმობს ბურთს და მოედანს ბელადთ, ჭკვია

ხალხთ, რომელნიც შეიარაღებულნი არიან მეცნიერებით და ისტორიულის გამოცდილებით. ხალხი მხოლოდ გვიჩვენებს გზას, გვაძლევს ხელში საფუძველს, გვიჩვენებს მეთოდებს, რომ გამოვიკვლიოთ იმისთანა გარეგანი ფორმები, რომელნიც შეეფერებიან ხალხის ცხოვრებას. როგორც ჰხედავთ, ხალხის მეთოდა სხვა არის და განვითარებულის კაცებისა სხვა; ეს უკანასკნელნი იწყობენ საქმეს ზოგადობიდამ, გარეგნობიდამ და ცდილობენ გადავიდნენ კერძოზედ, მაგრამ თავის დღეში კი სურვილი ვერ უსრულდებათ. საზოგადოების მოწინავე ბელადნი, შემდეგ უგზო-უკვლოდ სიარულისა და მიხვევ-მოხვევისა, მისულან იმ დასკვნამდის, რომ შესწავლა და განვითარება ხალხის ცნობიერების მიერ გამოკვლეულ გონივრულ საფუძველთა საზოგადოებრივის ცხოვრების მოსაწყობად არის ნამდვილი წყარო საზოგადოებრივ საგნების ასახსნელად. მათი გალია მხოლოდ გამოიკვლიონ და შექმნან პირობანი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ხალხის იდეალს, ეკონომიურის, საზოგადოებრივის და პოლიტიკურის მხრით. ესრედ პოლიტიკური ფორმები ექვემდებარებიან ეკონომიურს ფორმებს: პოლიტიკური პროექტები მეტის უფლების მქონეთა და განათლებულთა სრულიად შეესაბამებიან მათ მიერ სასურველ ეკონომიურს წყობილებას; ხოლო საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალი ხალხისა კი სრულიად შეესაბამება ხალხისავე სურვილს და ლტოლვილებას ეკონომიურის მხრით. აქ ეკონომიურს მოტივებს პირველი ადგილი უჭირავთ.

რომ პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა ხელიხელს გადასვეულნი მიმდინარეობენ, ამის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითი ავიღოთ თუნდა ჩვენის ნაციონალურის ალორძინების ისტორიიდამ, რომელიც ამ უკა-

ნასვნელს დროს დაიწყო, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ ბატონებო... ეს ცოტა არ არის მეხამუხებას იქნება თქვენ ჩემი აზრი არა თვალთ-მაქცურ გულის-წყრომით კრიტიკულ აზრად ჩასთვალოთ, მაგრამ გთხოვთ, ბატონებო, მრავალ-ტანჯულს და წამებულს სამშობლოსადმი საერთო სიყვარულის სახელით, იმ სიყვარულისა, რომელიც ჩვენცა და თქვენც გვასულდგმულებს, მოგვეპყრათ საქმეს, ისე კი არა, როგორც ეპყრობიან გონება-დაბნელებულნი, ამპარტავნობით და ცრუ თავ-მოყვარეობით გატაცებულნი, არამედ როგორც მიუდგომელნი და გულ-აუწყრებელნი. ასე უნდა მოვიქცეთ, უკეთუ გვსურს ერთმანერთისათვის გაუგებარნი არ დავრჩეთ.

აი რაში მდგომარეობს ჩემი აზრი: დიდი ხანია ვხედავთ ჩვენს სამშობლოს გაჩუმებულსა, გაყინულსა, რომელსაც არავითარი სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა, თითქოს იგი დავარდნილიყოს, გამოფიტულიყოს, თითქო აღხოცოდეს მას კაცები, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ მოთავეობა, გახდნენ ბელადნი მოძრაობისა, რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან, რომელსაც მიეცა ისტორიულის წამებისა და ტანჯვის შემდეგ. მხოლოდ 1860 წლიდამ სჩანან მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიძინარებულის ქვეყნისა, რომელიც არ «მომკვდარა, მხოლოდ სძინავს.» იგი ნელ-ნელა იდგამს ფეხს, იფშვნეტავს თვალებს, შეშინებული იყურება აქეთ-იქით. გუშინდელი მკვდარი, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არა სწამს თავის აღდგენა, უეცრივ მოვლინებული ბედნიერება, იჭვიანად სცდის თავის მკლავებს, რომელნიც, ჰგონია, დამდუმებიანო და ჰხედავს, რომ მკლავები მოძრაობაში მოდიან; იშინჯავს თავს, ფიქრობს, მაგრამ მაბია მხრებზედ თუ არაო, აგრეთვე სცდის გონებას, ტვინს, ხომ არ დამჩლუნგებიაო, ხომ არ გადაჩვე-

ულა მუშაობასთა და ჰხედავს, რომ თავიც და ტვინიც თავის რიგზედ არის. მკვდარი მოდის მოძრაობაში, დგება ფეხზედ; უყურებს ქვეყანას და ალთქმას სდებს იმუშაოს დღე-და-ღამე, რომ დაეწიოს დაკარგულს დროს. სულის შემხუთავი ჭაერი, რომელიც მას გარშემორტყა, ნელ-ნელა ჰქრება ამომავალის მზის შუქზედ... მითხარით ერთი, გეთაყვა, რითი ახსნით თქვენ ამ ნაციონალურს მოძრაობას? ნუ თუ მარტო გარეგანის საქმით, როგორც მაგალითებრ იმით, რომ 1860 წელს დაბრუნდა რუსეთიდამ საქართველოში რამდენიმე ქართველი განათლებული ყმაწვილი-კაცი, რომელნიც სცხოვრობდნენ რუსეთის სატახტო ქალაქში, ამ ქვეყანაში შესანიშნავ მოძრაობის დროს? ნუ თუ იმითი, რომ ამ განათლებულთ ყმაწვილ-კაცთ, აღტაცებულთ მამულის სიყვარულით, დააარსეს ჟურნალ-გაზეთები, გამოსცეს წიგნები და სხვა. ეს ხომ მხოლოდ ფაქტია და არა ახსნა მისი.

ჩემის აზრით მიზეზი სრულიად სხვა არის. წარსულს საუკუნოებიდამვე რუსეთის დაახლოვებას საქართველოსთან, არ შეიძლებოდა არა ჰქონოდა გავლენა ჩვენის ხალხის ცხოვრებაზედ. უწინდელი წარმოების ფორმები გაჰქრნენ, ახლები დაიბადნენ; ძველი ცხოვრების მატერიალური პირობანი შეიცვალნენ. ხალხის მიერ უცნობის პირობებით. თქვენ, რასაკვირველია, უარს არა ჰყოფთ, რომ რუსეთმა ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში ახალი ელემენტი შემოიტანა, რომელიც წინად არ იყო, რისგანაც წარმოებრივნი ურთი-ერთობანი ხალხისა ძლიერ შეიცვალა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში გლეხთა შესახებ რეფორმები მოხდა. ცვლილებამ იწარმოვა და ძველი წესები დაირღვა. და რადგანაც ცვლილება ბევრჯელ ხალხის სასარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღა-

რიბეში ჩავარდა,—ეს ერთი. მეორეს მხრით, ხალხის ეკონომიური ცხოვრების ახალმა წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც, რომელმაც ამ საზოგადო მოძრაობას დასდო თავისი ფერი და სიცხოველე. ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიური პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსთვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და არა მათ დრო. ვგონებ მათის თავ-მოყვარეობის საწყენს არაფერს ვამბობ: ეს ყველგან ასე იყო და ასეც იქნება. მე უარს არ ვყოფ მათს გავლენას ჩვენი ქვეყნის საქმეების მიმდინარეობაზედ. არა, იმათ მისცეს მიმართულება და სახე მოძრაობას. იმათ აუგზნეს ნაციონალური გრძნობა ხალხის დაწინაურებულ წოდებათ, თუმც თვითონ ისინი იყვნენ ეკონომიური ცხოვრების შეცვლის მიზეზნი, მათის მოღვაწეობის წყალობით, მათის დაულალავის და კეთილშობილურის მუშაკობის მეოხებით, მოძრაობას ფერი დაედო, მაგრამ... გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ცოტა არ იყო იმათივე მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთ-გვარი ხასიათი, მეტის-მეტი ნაციონალური, მეტის-მეტი—თუ შეიძლება ასე ვსთქვათ—კულტურული და მხოლოდ მცირედ-ხალხური. მოძრაობის ამისთანა მიმართულებამ არ შეიძლება არ შეაწუხოს და არ დაალონოს ჭეშმარიტი მამულის შვილნი და გულ-წრფელნი მოსურნენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისა.

ზ. მაიაშვილი.

(დასასრული შემდეგს წიგნში).

# მოუმკალი ყანა.

(აზრი რუსულიდგან).

მინდვრათ აღარ ჩანს მომკალი, ლეწვაა გახშირებული,
ნეტა ვისია ეს ყანა: ნათელი, ჩახურებული?
თავ-თავ დახრილი ჩამწვარი, ზედ დაჰხვევია მფრინველი,
გვრიტი, ქედანი, მტრედები, მწყერი, ყურდღელი, ჯინჭველი!..
მარცვალი ყრია მიწაზედ, გასჭირებია ყანასა,
ნეტა ვისია რომ ახდენს ჭინახულს ამისთანასა?!...
—რა ქნას პატრონმა ბედ-კრულმა—ლოგინათ დაცემულია
ხელ-მარტო არის ბეჩავი,—უწუხს ობოლი სულია!...

თ. რაფ. ერისთავი.

# ნახული და გაგონილი.

მიუტევეთ, თუ არა მტერთა ჩვენთა?—მოსულებმა გვაჯობეს.—დედა-ენის საჭიროების მქადაგებელი უცხო ენაზედ.—ღირსეული მოძღვარი უღირს მსმენელების წინ.—ახალი იჯარის ქაღალდი.—ირლანდია ღმერთმა შეარცხვინოს.—სწავლაც გვინდა, აღზდაც.

---

ჩინებულია სახარების სიტყვები: მიუტევეთ მტერთა თქვენთა, რამეთუ მამამან თქვენმან ზეცათამან მოგიტევოთ თქვენაო. ჩინებულია ის გავრცელებული თეორია, რომ არც ერთს ერზედ არ ითქმის საზოგადოდ—ეს ერი ავია, ან კარგიაო, რადგან ყოველს ავს ერში ბევრი კარგი და ღვთისნიერი გამოერევა და კარგს ერში ბევრი ღვთის მტერი ურევიაო.

ჩინებულია ყოველივე ამის ქადაგება, როდესაც კუჭ-მაძღარი და გულ-მხიარული თბილს ოთახში ზიხარ და საზოგადო ჭეშმარიტებისათვის მოგიცლია. მაშინ იქნება იმაზედაც გულ-დაჯერებული იყო, რომ ერთს ყბაში რომ სილა გაგარტყას ვინმე, შენ მეორეს მიუშვერ: მაგრამ, ღმერთო, რა დიდი განსხვავებაა სიტყვასა და საქმეს შუა! კარგია, როდესაც კარგის მოპყრობით მტრის გულის მოგება შეგიძლიან, მაგრამ თუ ამ გულ-ჩვილობას მტერი ავად გიხდის და, რაკი უღონო ჰგონიხარ, თავის მორჯულების მაგივრად უარესს დღეს გაყენებს, როდესაც მეორე მიშვერილ ლოყაზედ იმის-

თანა სილას გარტყავს, რომ «ხუთი თითი დაღსავით ზედ გაჩნდება», როდესაც ჰხედავ რომ რომელიმე ერის წარმომადგენელთ, არა, თითქმის მთლად რომელსამე ერს ობობასბუდესავით ქსელი გაუბავს და ბუზებსავით შიგ ფეხებს გაბმევინებს,—მაშინ, როგორც გინდათ სთქვით, კაი მოთმენაა საჭირო, რომ კიდევ იძახო. მიუტევე მტერთა თქვენთაო და სხვ. ამისთანა მოთმინება სვიმონ მესვეტეს თუ შეუძლიან, ან კიდევ წმინდა მოწამე ქეთევანს, და აბა გულ-წრფელად ვთქვათ, რომელია ჩვენში სვიმონ მესვეტე, ან ქეთევან დედოფალი. უწინ, მართალია, იყვნენ, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლაში გადაშენდნენ და ეხლა ჩვენი ცოდვილი ქვეყანა იმისთანა ცოდვილის ხალხით არის დასახლებული, რომ თუ ვისმეს სილა გაარტყი, მეორე ყბის მოშვერის მაგიერად, ან დუელში გამოგითხოვს, ან ისეთს ლაწი-წუწს აგიყენებს ორივ ყბაზედ, რომ სახარების სიტყვასაც დაგავიწყებს და ფილოსოფოსურ თეორიებსაც.

რომელსაც კი ჩემის პირველ წერილებისათვის თვალ-ყური უდევნებია, გაუკვირდება, რომ ამ «ნახულსა და გაგონილს» ის კილო არა აქვს, რაც უწინა ჰქონდა. მკითხველს იქნება ეგონოს, რომ მოგზაურობის მაგიერად რაღაც თეორიებზედ მოვყვები ლაპარაკს. ღმერთმა გვაშოროს მაგისთანა ძნელად ასატანი საქმე. თუ ეროვნებაზედ და საზოგადოდ ერის სიკეთეზედ და სიავეზედ დავიწყე ლაპარაკი, ეს იმიტომ, რომ სადაც კი მიიხედავ, საითაც კი ყურს მიუგდებ, ერთის სიტყვით, რასაც ნახავ და რასაც გაიგონებ, ყოველივე გეუბნება, რომ თუ ჩვენც სხვებსავით მომჭირნეობა და მუყაითობა არ გამოვიჩინეთ, წმინდათ ჩავიყლაპებით იმ ერისაგან, რომელსაც თავის

ეკონომიური ბადე განზე გადაუშლია და შიგ თევზებსავით მოვუმწყვდევივართ.

გაზეთის კორესპონდენციების გამეორება იქნებოდა, მოვყოლილიყავ იმის ამბავს, რომ ქართველ კაცს ფული დასჭირდება თუ არა, მაშინვე პოლოზ—კარაპეტას უნდა მიმართოს და ერთი სამად აიღოს, რომ ეს ფული ხშირად სამვილი-მვილო ვალად გადადის და სარგებელი ყოველ-წლივ თავნის ოდენი დგება. ამისთანა ამბების გაგონება ყველას მოწყენილი აქვს. მე დღეს სხვა საგანზედ მინდა ჩამოვაგდო ლაპარაკი და ვუჩვენო, რომ ფულის სესხება ერთად-ერთი საშუალება არ არის მეზობლისაგან მეზობლის გაყვლეფისა, რომ ის პირები, რომელთაც ზნეობის ქადაგება აქვთ მინდობილი, ეს ქადაგება მარტო ეროვნობის აღდგენის ქადაგებად გადაუქცევიათ; იმისთანა ეროვნობისა, რომლის უმთავრესი ხასიათი არის მეზობლის გაყვლეფა და დღიური გაცარცვა პოლიციის ნება-დართვით.

სურათი პირველი. ერთს მჭიდროდ დასახლებულ სოფელში, რომელშიაც სამ-გვარნი მცხოვრებნი არიან: ქართველები, სომხები და ებრაელები, სომხის ეკლესიაში წირვა სდგას, შუა საყდარში მიცვალებული ასვენია. ეკლესია გატენილია შავად შემოსილის ქალით თუ კაცით წირვა გამოდის. მახლობელ ქალაქიდამ გამოწვეული «გამოჩენილი მქადაგებელი» სიტყვისათვის კათედრაზედ ადის. ეს არის კარგი წარმოსადეგი, შავ-წვერა ტერტერა, რიხიანის ხმით და უფრო რიხიანის კილოთი. სიტყვას ზეპირად ამბობს და კარგადაც ამბობს. კარგად, რასაკვირველია, ჩვენ გამოუნჯებულ და სიტყვა-ლეჭია მღვდლებთან შედარებით. ჩვენში რომ სულ უგანასწავლელი იეზუიტი მოვიდეს, ამასაც კარგ მქადაგებლად ჩავთვლით. ტერტერასაც ეტყობა,

რომ ქადაგებს იეზუიტების სკოლაში უსწავლია და ცოტა ემ-ლება, როდის უნდა ხელების გაშლა, როდის კილოს მიმოხვრა, როდის ხმის დაწვრილება. «ნუ თუ»-ები და სამღვთო-წერილის ტექსტთან უდროო-დროს შედარება სიტყვაში მრავალია. ერთის სიტყვით ეს არის პატარა ჯერედ გაუწვრთნელი მე-გირდი დიდის იეზუიტებისა.

მაგრამ იმ სოფლისათვის, სადაც ეს ტერტერა ჰქადაგებს, ესეც ბევრია. ქადაგება ქართულს ენაზედ არის. როგორ თუ ქართულს ენაზედ, გაიკვირვებს მკითხველი, რომელსაც კი ახ-სოვს, რომ ამ სამის თვის წინად სომხის კონსისტორიამ გაცხარებული წერილი მოსწერა გორის მაზრის უფროსს, რო-გორ თუ ერთს ყმაწვილ-კაცს სომხის ეკლესიაში ორიოდე სიტყვა ქართულს ენაზედ უთქვამსო. მაგრამ რაც უცხო კაცს არ მიეტევება, მიეტევება ტერტერას, მეტადრე იმისთანას, რო-მელსაც წინ თუმცა სომხის საზოგადოება უდგას, მაგრამ არც ერთმა მათგანმა «ინჩი» არ იცის. ასე რომ ტერტერას შემ-იერუსალიმიდამ მოსულმა არქიმანდრიტმა სომხურად იქადაგა და ტერტერას იმის სიტყვის ქართულად გადმოთარგმნა დას-ჭირდა.

რას ჰქადაგებდა ეს განგებ გამოწვეული მქადაგებელი?

ქრისტიანობის აღდგენას. უცხო-ენის დავიწყებას და დედა-ენის სწავლას. კარგი და პატიოსანი. ასიოდ გვამმა სომეხმა რომ ქართულს ენას თავი დაანებოს, იმ ქართულს ენას რო-მელიც ღვიძლ-ენად გახდომიათ და თავიანთ მამა-პაპის ენას დაუბრუნდენ, ჩვენ არ გვაწყინებს. გვაწყინებს კი არა, იქნება გვიამოს კიდეც, თუ სრულიად გადაივიწყებენ ჩვენს ენას და უმთავრესს იარაღს ჩვენის ყვლეფისას ხელიდამ გააგდებენ. ნე-ბა მათია. თუ სარგებლის თვლას დროს გადაანარჩუნებენ და

დავიწყებულის სომხურის სწავლას მოანდომებენ, შეურცხვეთ დამშლელი. მაგრამ აქ სხვა საგანია უფრო შესანიშნავი: ვინ ისმენდა ტერტერას ქადაგებას? მთელი ეკლესია სავსე იყო იმისთანა ხალხით, რომელსაც მართლა გაუგონია სახარების სიტყვა. არ არის ორის გულის მონა; ერთის მონაა და ერთ-გული მონაც. ეს ერთად-ერთი უფალი, რომელსაც იგი თაყ-ვანსა სცემს სრულის სასოებით არის ფული, და ეკლესიაშიაც იქნება იმიტომ მოსულა, რომ მეზობლის ქალეხში კუჭი გა-ძღოს და იმ დღეს შინ ყაირათი გასწიოს.

აგერ ერთი ატუზულა კუთხეში, რომელსაც ოდესმე ერ-თის გლეხ-კაცისათვის ორი თუმანი უსესხებია და ყოველ-წლივ სარგებელში ართმევს ორ კოკა ტკბილს, ხუთ კოდს პურს და სხვ. და სხვ. აგერ მეორე, რომელსაც მეტის-მეტის ფულის სიყვარულით ცხვირის წვერი ნიკაპამდის ჩამოსვლია. აგერ მე-სამე, რომელიც ვაჭრობაში მგზა არის, თუ დამჯერებელი ეყო-ლება საქონლის ყიდვის დროს თავის-თავი გირვანქად აიწო-ნოს და გაყიდვის დროს კი ას-ფუთიანად იქცეს. აი ამ ხალხს უქადაგებენ ეროვნობის აღდგენას, დედა-ენის სიყვარულს. ვი-მეორებ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ ამ საქმეში, მაგრამ და-ვიჯერო, ამათ რომ სომხური ისწავლონ, ამითი კაცურ-კაცად გადაიქცევიან. მქადაგებელს იქნება სჯეროდა და ჩვენც მეტი გზა არ არის უნდა დავიჯეროთ. თუ ასეა, ღმერთმა ქნას, რომ ამ ხალხს ჩვენი ენა მალე დავიწყებოდეთ და თავიანთი ძველი ენა მოენახოთ. თუნდა ჩვენი მიწა-წყალიც გადაივიწყონ და თავიანთი ძველი მიწა-წყალი მონახონ ერზრუმისა და მუშა-ყარაბაღისაკენ.

მაგრამ, რა ტყუილად გოცხებობთ. ნათქვამია «გიჟი ქორ-წილში შევიდა—ჩემს სახლს აქა სჯობიანო.» სომხები აქამდის

ფულითა გვყრობნიდენ, ახლა მალე, თუ არ გავფთხილდით, მამულითაც გაგვყრობენ. დიაღ, თუ არ გავუფთხილდით, რამწამს ჩვენის ადგილ-მამულის საქმე გამოირკვევა და ყველა მამულის პატრონს ეცოდინება, რა აქვს და რა არა, ჩვენი მამულები ვაჭრების ხელში დაიწყებენ გადასვლას და მაშინ იქნება ჩვენი მებატონეები ვაჭრების ხიზნებად გადაიქცევენ. ეხლა, ჯერ ვაჭარი კაცი ვერა ჰბედავს მამულში შესვლას. სამძღვრები გამოურკვეველია. ბევრი ჩიჩინი და თავში ცემა უნდა გამიჯნავებთან დავაში და ღალისა და კულუხის აკრეფის დროს. როცა კი გამიჯნა გათავდება, მაშინ იჯარით გაცემა შემოვა მოდად და ვაჭარს ვინ აჯობებს მისა იჯარის აღებაში! მაშინ ეხლანდელ მამულის პატრონებს, სულით-ხორცამდე გაფცქვნილებს, ისე შეჰბოჭავს ვაჭარი კაცი, რომ სიტყვა «მამული», რომელიც ძველს დროში წმინდა საგანს შეადგენდა ქართველის კაცისათვის, თუნდა სამშობლოს მნიშვნელობა ჰქონოდა მას, თუნდა ადგილ-მამულისა, მაშინ საზიზღარ სიტყვად გადაიქცევა.

სურათი მეორე. ცხენზე გადალაჯებული მიჩანჩალებს ვაჭარი თავის «იმენიაში.» «იმენია» ერთი უშველებელი ტყეა, ხუთი ათას დღიურამდე. ტყე სულ ჩინებულია, საშენებლის ხეებით სავსე. გზაზედ ვაჭარს ვინც შემოხვდება მდაბლად თავს უკრავს, კნიაზობით ახსენებს. ესეც მედიდურად «გაგიმარჯოს»-ს ეუბნება. ყველა პატივსა სცემს ამ მხარეს. ვაჭარს შეუძლიან ხელი გარეშემო შემოავლოს და ახლა სთქვას: «აისე სულ ჩემია.» ორმოც-და-ათ კომლამდე უსახლია ამ ტყეში.

— ხიზნები იქნებიან? ვკითხე მე სომეხს.

— ხიზნები? როგორ თუ ხიზნები! ხიზანს ტყეში გავატარებ, გიჟი ხომ არა ვარ? ერთიც ვნახოთ დაიძახონ «ხიზანს-

კი გავჰროსო» და ცარიელზე დამსვან. არა, ხიზანი რა სათქმელია, არენდატორები არიან, არენდით გაძლევ. დიაღ, არენდით აძლევს, მაგრამ რა არენდით?! მკითხველის უყურადღებობისა რომ არ მეშინოდეს თავით ბოლომდე ამოვწერდი ამ იჯარის ქაღალდის პირსა, მაგრამ საკმაოა ორიოდ სიტყვით გადმოვცეთ შინაარსი:

სომხის ტყეში დასახლებულ გლეხ-კაცებს თორმეტის წლით ვადა აუღიათ. ამ ვადაში უნდა ტყე მამულად გააკეთონ, თითომ ოც დღიურამდე და ისე ემსახურონ მამულის პატრონ სომეხს, როგორც ყმა. აძლიონ მეოთხედი ყოველ-გვარის მოსავლისა, უზიდონ შეშა, არ ჰქონდეთ ნება შეშის გაყიდვისა და სხვ. ეს ყოველივე ჩვეულებრივი ამბავია და არც არის გასაკვირველი, მაგრამ აი რა არის გასაკვირველი: ერთი მუხლი იჯარის ქაღალდისა ამბობს, თუ თორმეტის წლის შემდეგ ორივე მხარე ხელახლავ არ მორიგდენ მამულის იჯარით გაცემაზე, გლეხ-კაცები ვალდებულნი არიან მამულიდამ აიყარონ და ყოველივე შენობა მათი მამულის პატრონს დარჩეს.

გესმით რა ამბავია? თუ ორივე მხარე არ მორიგდა, ე. ი. თუ მამულის პატრონის უანგარიშო და უზომო თხოვნაზე არ დათანხმდა, თორმეტის წლის შემდეგ გლეხ-კაცი უნდა მამულიდამ აიყაროს და არამც თუ თავისგან გაკეთებული მამული პატრონს ჩააბაროს, სახლი, ბოსელი, კალო-საბძელი, იმასვე უნდა დაუთმოს. ერთის სიტყვით მამულის პატრონს ამ მუხლის ძალით სრული გამორეკვის ნება ეძლევა.

მართლა რომ გასაკვირველია, რა ხელმა მოაწერა ამ გვარი ქაღალდი? სომეხი, რაღა თქმა უნდა, სიხარულით მოაწერდა, მაგრამ გლეხ-კაცები რაღამ გააბრიყვა. არც ეს გაუკვირდება ვინც კი იცის, როგორ შესდგება ხოლმე რომელიმე პი-

რობის წერილი, იმისთანა გლეხ-კაცებთან, რომელთაც არც წერა იციან, არც კითხვა. ერთი გამოცდილი მხარე შეადგენინებს პირობის წერილს თავისავით გამოქნილს ადვოკატს, წაუკითხავს მეორე მხარეს, ჩააფუჩეჩებს იმ ადგილებს, რომელნიც მეტის-მეტად მავნებელნი არიან გლეხ-კაცისათვის, მიიყვანს ნოტარიუსთან და დაამტკიცებინებს. საწყალს გლეხ-კაცებს ჭყიდის თავიანთი უმეცრება და თორმეტის წლის შემდეგ შვილები უნდა სწყევლიდენ მამებს, როდესაც მოვა დრო მამულიდამ გაძევებისა.

ბევრ-გვარია ჩვენში გლეხ-კაცებსა და მებატონეებს შორის დამოკიდებულება. ბევრმა ხიზანმა კაცმა დიდი სიკეთე უყო მებატონეს იმითი, რომ ოხერ-ტიალი მამული დაუსაკუთრა, ჩასდგა შიგა და მებატონეს დოკუმენტსავით გამოადგა და ამის სანაცვლოდ ბევრი მებატონეები დიდს სამსახურს ადებენ კისერზედ ხიზანს, მაგრამ ჯერ არსად გაგვიგონია, რომ ამ გვარი დამოკიდებულება ხიზანსა და მამულის მეპატრონეს შუა იყოს სადმე. მეცხრამეტე საუკუნე ახალ მოგონებათა საუკუნეა და რა გასაკვირველია, რომ ამ გადმოხვეწილმა ხალხმა იმათთვის ახალს საქმეში — მამულის იჯარით გაცემაში — ახალი რამ მოიგონა: ასე გასინჯეთ, ირლანდიის აღელვების მიზეზი ბევრით მცირეა იმაზედ, რაც ამ საკვირველ იჯარის ქაღალდში სწერია.

სურათი მესამე.... მაგრამ ჩვენ რომ ამ გვარს სურათებს მივყვეთ, ვინ იცის იქნება თავის დღეშიაც ვერ გავათავოთ. ან რა საჭიროა კიდევ სურათების წარმოდგენა, როდესაც, ვინც კი დაჰკვირვებია ჩვენს ცხოვრებას, ათი და ოცი ამისთანა სურათი თვალ-წინა აქვს წარმოდგენილი.

რითი ეშველება ამ გვარს ჩვენს გაჭირვებულს მდგომა-

რეობას? რა პატარა კითხვაა და რამოდენა პასუხი უნდა. პასუხი სხვა-და-სხვა გვარი. ერთი იტყვის გზებით, მეორე მამულის გამიჯვნით, მესამე ბანკებით, მეოთხე დეპოებით, მეხუთე სხვას იტყვის, მეექვსე კიდევ სხვას. ყველას კი ავიწყდება, რომ გზე-ბიც, ბანკებიც, გამიჯვნაც ორ-პირი იარაღია: შეიძლება გაჭირ-ვებიდამ დაგვიხსნან, გვიშველონ, მაგრამ სრული დაღუპვაც შე-უძლიანთ. თუ გზები კარგი გაგვიკეთდა და ჩვენ ისევ ისე ტე-ტიებით დავრჩით, სხვანი უფრო ადვილად მივლენ-მოვლენ, საქონელს მიიტან-მოიტანენ და უფრო ადვილად შეიძლებენ ჩვენს გაიცქვნას. ბანკებით სარგებლობაც თუ არ ვისწავლეთ, მალე ბანკებიც და მამულებიც სომხებისა და ურიების ხელში გადავა. აგრეთვე მამულების გამიჯვნაც.

მაშ რა გვარგებს? სწავლაო, წამოიძახებენ ზოგიერთნი ისე, თითქო ქვის ოქროდ გადამქცევი ქვა ვპოვნოთო. ვინ ამბობს, სწავლა-განათლებას ბევრი რამ შეუძლიან, თუ მასთან კარგი აღზრდაც მიჰყვება. მამა-პაპიდამვე ჩანერგილი გვაქვს სე-ნი სიზარმაცისა, დაუდევრობისა, უმიუყაითობისა, ცოტა უო-ყოჩობისაც. ამ სენის მიზეზს ჩვენი ისტორია აგვიხსნის, მაგ-რამ ისტორიამვე უნდა დაგვიხსნას ამ სენისაგან. ისტორია გვეუბნება, რომ მომავალი მომჭირნე, მიუყაითის ხალხისა არის, რომელმაც თვლაც იცის და ანგარიშიცაო. კარგმა აღზრდამ უნ-და შთანერგოს ჩვენში ეს თვისებანი.

მაგრამ მეც როგორღაც ქადაგების კილოთი მოვყევ ლა-პარაკს. ეტყობა დრო არის—გავათავო.

---

# დედაბრის მოთქმა

ნეტა რას ტირი ბებერო, ვისზედ ჩაგიცვამს შავები?
რას მოსთქვამ გულ-ამოსკვნილი, გაგიწეწია კავები?
—«რას მეკითხები, ბატონო, რას აქნევ ჩემს დარდებსა?
შვილი მომიკვდა სიყმისა, დავტირი ჩემსა შავ-ბედსა!...
დავმარხე დედის ერთაი ოც-და-ერთის წლის ბიჭია...
რაღას ვვარგივარ უმისოთ, მოხრილი როგორც ღიჯია?...
დავკარგე ჩემი სესია, კარგი მეურმე, მომკალი!...
თუ გებრალები ღვთიანო, მოდი ჩამქოლე, მომკალი!...
ვინღა მომხედავს ბედ-კრულსა, ვიღა მომაწვდის მე ჯერსა,
ვინღა დამარჩენს უძლურსა, გადაურუებულს ბებერსა?...
ვეღარც ვმუშაობ, ვკანკალებ, ნეტა ვის შავებრალები,
ვეღარც დავართამ ჯვარასა,—ცრემლმა ამომწვა თვალები!...
ნუ მეკითხები ღვთიანო, რას აქნევ ჩემსა დარდებსა,
შვილი მომიკვდა სიყმისა,—დავტირი ჩემსა შავ-ბედსა!...»

თ. რაფ. ერისთავი.

# შინაური მიმოხილვა.

რა ქნას ხანდისხან შინაურმა მიმომხილველმა—კიდევ მიწა და გუთანი—მიწისა და გუთნის ძალი—ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული—კაცობრიობის წარმატების მესვეურნი—შედეგი უმიწოდ ყოფნისა და უგუთნოდ—ვაჭრობა—მისი მნიშვნელობა—მისი ცუდი და კარგი—ვაჭარი უცხო თესლისა—რის მოვალეა—საფთხილო და საშიში—ტყუილ უბრალო გულის ფხანა და ენის ქავილი—მიწად მოქმედების წარმატება—სამ-გვარი გზა—ხვნა, მკა და ლეწვა—ნახული მაგალითები.

---

ვერაფერი ხელობაა ჩვენში ხელობა შინაურის მიმომხილველისა. თვალები ცქერით უნდა გაიწყალოს კაცმა, რომ ყოველ თვე-და-თვე საგანი რამ იპოვოს საზოგადო მნიშვნელობისა და მაშასადამე ლიტერატურის ღირსისა. ცხოვრება ჩვენი მეტად შინ შეკეტილია, მეტად მიმალულია თვალთაგან, საერთოდ უხმაურად მოძრავია, მეტად მდოვრად მიდის, დღე-დღესა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადსა. ერთ-სახობა, ერთ-ნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას. რა ქნას ამ ყოფაში და ამისთანა ქვეყანაში მოარულმა შინაურმა მიმომხილველმა? ამ არარაობის ხუნდი კისრად იდოს და დადუმდეს, თუ მაინც და მაინც იმისთანა საქმეზედ მიაქციოს მკითხველის თვალი, რომელიც თუ ბევრით არა, ცოტათი მაინც ღირსია ყურადღებისა? ჩვენ ამ ჟამად უკანასკნელი ვირ-

ჩიეთ და თუ ჩვენი არჩეული არავის მოეწონოს, ნუ გვიკიჟინებს.

კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე—მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავ-მოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოთაც და სამერმისოთაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება სამირკვლად, და ვერც ერთის ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ქვეყანა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა—ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შემლებისამებრ, თანასწორად მორიგებული ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ უფაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაილს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მოუღო ბოლო.

ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის—იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, სადაც მეტია, იქ, სადაც უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბო-

ნაზედ არ აყენებს კაცს; სადაც გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ამისთანანი არიან ებრაელნი და სხვანი, მარტო ვაჭრობაზედ დანდობილნი და მიჩემებულნი. ამისთანა ერს აუცილებელ ბედათ ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი დონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელ-ცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ-რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა. მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, სადაც ნაკლებია და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც, საიდამაც გადააქვს და იქიდამაც, სადაც მიაქვს. ამ სახით ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გამრავლებაში არის თვით-მომქმედი მონაწილე, მაშასადამე იგი როგორც საპოლიტიკო ისეც საეკონომიო საქმეებში მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილ-დღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიც. სადაც ამ დონეზედ ვაჭარი არ დამდგარა, სადაც გულში ჩაუდვია მარტო თავისი გამდიდრება იმ გზით, რომ ერი გააღარიბოს, იქ ვაჭარი თვალში ეკლად უჩანთ. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა. სტუმარმა მასპინძელს არას-

ოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის პატრონობა მე მინდაო. შეიძლება სტუმარი ძმათ მიითვისოს კაცმა, მაგრამ მის ბა-ტონად გახდომას კი მოკვდება და არ იკადრებს.

ადამიანსა ცალკედ ჲ ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწყეული იყოს, კიდრე პირში სული უდგას ჯიგართან იმისთანა ძაფე-ბი აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად სა-ფთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული უნდა ერი-დოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას. ამისთანა რჩევას ამაო დიდ-გულობა კი არ იძლევა, არამედ ძმური გრძნობა და სიყვარული. ყველამ იქაური ქუდი უნდა დაისუროს, საცა შე-ეხიზნება, იქაური ჭირი და ლხინი გაიზიაროს, იქაურებთან ერთად ჩაებას ცხოვრების მძიმე უღელში და საერთო კეთი-ლისათვის იღვაწოს. სხვა გზა, სხვა ფარ-ხმალი ტყუილ-უბ-რალო გულის ფხანაა და მცონარე ენის ქავილია. სხვა რაღა-ცაების მოიმედე ტყუილად ატყუებს თავის-თავსაც და სხვასა-ცა. მის იმედებს დიდი მანძილი არა აქვს და არც თავის დღე-ში ექმნება.

ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უპყრია. თავ-და-პირველი შე-მოქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავ-განწირვას ეს ორი ძვირ-ფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ-წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს.

მიწისა და გუთნის შესახები წარმატება სამის სხვა-და-

სხვა გზით შესაძლებელია. ერთი იმ გზით, როცა მეცადინეობა მიქცეულია მასზედ, რომ მიწა იმოდენად შეკეთდეს, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს მშრომელსა. მეორე იმ გზით, რომ თუმცა მიწის გამოსავალი იმავე ზომით იყოს, მხოლოდ მისის შემუშავების ხარჯი, რაც შეიძლება შემოკლდეს. მესამე იმ გზით, რომ ეს ორივე ღონე ერთად მიქცეული იყოს მიწის სამოქმედად. ყველაზედ სრული მიწათ-მოქმედება ამ უკანასკნელ გზაზედ დგას. ამისი მაგალითი ბელგიაა, ინგლისი და ამერიკის ჩრდილოეთის შტატები. ჩვენში პირველის გზით ჯერ არავინ დაიარება, მხოლოდ მეორე გზაზედ კი ზოგიერთი მემამულე ამ მოკლე ხანში დადგა და მესამის გზისა კი ჯერ სრულებით ვიწრო ბილიკიც არ არის გატარებული.

ჩვენ დღეს გვინდა ამ მეორე გზაზედ დამდგარს მიწათ-მომქმედებს თვალი ავადევნოთ და ამისათვის სახეში გვაქვს იმისთანა მაგალითები, რომელნიც ჩვენის საკუთარის თვალით ნახულია ერთს მამულში ქალაქის ახლო. დიდი ხარჯი საკუთრივ მიწათ-მოქმედებისა სამ-გვარია: ერთი ხვნისა, მეორე მკისა და მესამე ლეწვისა. ჯერ ვიანგარიშოთ ყოველივე ეს რა უჯდება მიწის მომქმედს. თუ მამა-პაპურ წესზედ წავიდა საქმე იმ მამულში, სადაც ჩვენ ამ საგნისათვის თვალი გვიდევნებია, ერთს დღიურს მიწის მოხვნას, ესე იგი, 1200 ოთხ-კუთხე საჟენს უნდება არა ნაკლებ რვა უღელი ხარ-კამბეჩი. ესეც მაშინ, როცა ხარ-კამბეჩი კარგს ჯანზეა, თუ არა და ათი უღელი უნდა. ამას სჭირდება ერთი გუთნის-დედა და ოთხიდამ ხუთ კაცამდე მეხრე.

ახლა იფიქრეთ რამოდენა ხარჯის შემოკლება იქნება, რომ ერთი დღიური მიწა მოიხნას ორისა და სამის უღლით;

რომელსაც ბევრი-ბევრი ერთი გუთნის-დედა მოუნდეს და ერთი თუ ორი მეხრე. ერთი სუთად ხარჯი შემოკლებული იქნება საქონელზედ და ერთი სამად მაინც კაცზედ. რომ ეს ასე მოხდეს, რასაკვირველია, სხვა-გვარი გუთანი უნდა შემოღებულ იქმნას, იმისთანა გუთანი, რომელმაც ჩვენის მიწის შესაფერი სამსახური გაგვიწიოს, არც ძალიან ძვირი იყოს და არც ისეთი რთული, რომ გატეხისა და მოშლის შემდეგ, ძნელად გაკეთდეს და გაიმართოს. ამისთანა გუთანი ანგლო-ბოლგარული გუთანია გოვარდისა № 2, ღირს ქალაქში 52 მანათად და იყიდება არწრუნის ქარვასლაში. ეს გუთანი ვნახეთ ზემოხსენებულ მამულში მუშაობის დროს. გუთნის-დედა ქართველი უბრალო გლეხ-კაცი იყო. ამან რა წამსაც დაჰხედა გუთანს, მაშინვე მიხვდა რა ნაჭერი გუთნისა რას მოასწავებდა, აი ეს, ბატონო, დასაკლებელი უნდა იყოსო, აი ეს უსათუოდ ღრმად დასაშვები იქნებაო, აი ეს ბელტის კარგად გადაბრუნებისათვისო და სხვა ამ გვარი. სწორედ ისეც გამოდგა. შეაბეს ჯერ ორი უღელი კამეჩი და მოუკიდეს გუთანი ძალიან დაგოლვილს მიწას, ქვით-კირისავით მაგარს, მაგრამ არა ქვიანს და უმეძვ-ჯაგოს. ორმა უღელმა ადვილად დასძრა მოკიდებული გუთანი. მაგრამ თვითონ გუთანი როგორღაც აქეთ იქით აწყდებოდა და ღრმათ არ მოეკიდა. გუთნის-დედამ იმედი არ დაჰკარგა და ჰსთქვა: ამასაც წამალი ექმნებაო. შეაყენა გუთანი, ბარი მირს დაუშვა, საკვეთი შესაფერად მოუწყო და თავში ერთის მხრიდამ სოლი მიჰსცა საკვეთს. გუთანი ღრმად მოეკიდა, სწორედ დადგა, აღარ მიაწყდა აქეთ-იქით, მაგრამ ორს უღელს კამეჩს დაუმძიმდა გუთნის ტარება. ერთი უღელი ხარი კიდევ ჩაუბეს, გუთანი დიდის შაღაჯთით წავიდა, საქონელი სულ მსუბუქად ეწევოდა. მაგრამ გუთნის დედამ შენიშნა,

რომ ვიწრო ბელტსა ჰსჭრის და კარგად ვერ აბრუნებს. პირ-კელისათვის წინადამ დაუკელა და მეორისათვის უკან, საცა სხე-ლის მოსაჭიდი სახელურები აქვს, იქ გაურილ რკინას მოუშვა, სახელურები ერთმანერთზედ განზედ დადგნენ, ფრთა უფრო ხერხიანად გაიმართა და გუთანმა ისე მშვენივრად ხნა დაიწ-ყო, რომ უკეთესი ძნელად თუ იქნება. ერთის სიტყვით გუ-თანი გამოდგა. მემამულემ ღმერთს მადლობა შეჰსწირა, რომ რვა და ათ ულიანს გუთანს გადურჩა. ორიოდე უცხო გლე-ხიც იყო გასასინჯავად და იმათაც ძალიან მოიწონეს გუთანი. მხოლოდ ჰსთქვეს ჩვენებურად ღრმად ვერა ხნავსო. ჩვენის ფიქრით, ეგ გუთანი ჩვენში ყველგან გამოდგება, არ ვიცით ქვიანში რასა იქს, თორემ წმიდა მიწაში კი ძალიან კარგი ყო-ფილა, რაც უნდა ჟამირი მიწა იყოს. სიღრმით ჩვენებურ გუ-თანზედ იქნება ცოტა ნაკლებ ხნავდეს. გამარჯვებით გახარე-ბულმა მებატონემ განიზრახა ორის კიდევ ამისთანა გუთნის სყიდვა.

ამავე მემამულეს მოუტანინებია სამკალი მაშინა ოც-და-ჩვიდმეტ თუმნად, მაშინა ბუკეის სისტემისაა. წელს იმითი დამ-კო თავისი ყანები და სხვასაც უმკო. ჯერ გლეხებმა შორს დაიჭირეს მაშინით მკა, ეგ ყანას როგორ მომკისო. მერე რო-ცა მემამულემ თავის ყანებს მკა დაუწყო, მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, ზედ დაედო საყურებლად. ჩვენის თვალით ვნახეთ ეს სამკალი მაშინა მუშაობაში. მკის მშვენივრად, დაბ-ლა თუ მაღლა ოთხ ვერშოკამდე, როგორც გნებავთ, ერთს თავ-თავს არ გაუშვებს მოუმკალს, ისე ჰპარსავს, როგორც სა-მართებელი. მაშინას ატარებს ორი უღელი ხარი და ორი უღელიც მარქაფათა ჰყავანდა მემამულეს საცვლელად. ცხენე-ბით ჰსცადა ჯერ, მაგრამ ცხენები ვერ მოიხმარეს მოჯამა-

გირჩევნიათ მით უფრო, რომ ცხენები ფრთხებოდნენ მაშინის ხმაზედ და ფოცხების ტრიალის გამო. მემამულეს იმედი აქვს, რომ სამერმისოდ ცხენებს მოამზადებს. მაშინამ, როგორც მოგახსენეთ, მშვენივრად მომკო კაი მოზდილი ხოდაბუნი-ოც და-ერთის დღისა და ნახევრისა ორ დღე-ნახევარში. მკის გარდა, ხელეურებს, თუ მთელს ძნას, როგორც გნებავთ, მაშინა ისე ფთხილად და კარგად აწყობს, რომ კაცი ხელით ვერ დააწყობს. ერთის სიტყვით, სამკალად უკეთესი არა უნდა-რა, რაც ის მაშინა არის. იმისი წუნი ის არის, რომ პირველი მძამეა, მეორე—გამოვლაში ხელეურებს, თუ აგრეფილი არ არის, მაშინის თვალი და საქონლის ფეხი ხვდება. ეს ასე არ იქნებოდა, თუ რომ ხარის მაგიერად ცხენები ებმულიყო, იმიტომ რომ ცხენი ვიწროთ იბმის ვიდრე ხარი და მაშასადამე ფეხს ვერ მოახვედრებს მომკილს ხელეურსა. გარდა ამისა ცხენი ხარზედ უფრო ადვილი მოსახმარებელია და ამის გამო სამკალს მთელს სვეს გაატარებს კაცი და მაშინ მაშინისათვის იმოდენა გზა დარჩებოდა, რომ მაშინის თვალი არ მიეკარებოდა ხელეურს. ათი-თორმეტი ძალიან მარჯვე ბიჭი უნდა, რომ ამ მაშინას ძნა შეუკრას, ისიც თუ ულო წინადვე მომზადებული აქვს. ხარით დღეში მკას შვიდ დღიურადამ რვა დღიურამდე, ცხენით, რასაკვირველია, მეტს მომკის.

რაკი გლეხებმა ნახეს მაშინა, მოაწყდნენ მემამულეს ხვეწნით, არა მე მომიმკე, არა მე. დღიურზედ მუშები ხუთს და ათს შაურიდამ ექვს მანეთამდე იღებდნენ მომკაში იმ არე-მარეში. მემამულემ სამსა და ათს შაურზედ დაუწყო მაშინით მკა და გლეხებს ძალიან გაუხარდათ. პირველი რომ ორ მანათად ნაკლებ უმკიდა, მეორე რომ მუშის ჯამა-სმა თითქმის ერთი-სამად ნაკლებ უჯდებოდათ, იმიტომ-რომ თერთმეტის თუ თორ-

მეტის კაცით ერთს დღეს უმკიდა შკიდს დღიურს, მაშინ როდესაც მაგოდენა ყანას ოც-და-რვა კაციდამ ოც-და-ხუთმეტ კაცამდე ხელით მომკალი მოუნდებოდა. თუ გლეხები იმდურებოდენ რასმეს, მარტო იმაზედ, რომ მქნეურები კარგად ვერა ჰკვრენ ძნასაო, ცუდ-უბრალოდ ჰფანტვენო. სამერმისოდ, მემამულის რჩევით პირობა დასდეს, რომ ოღონდ მაშინით გვიმკეთო და ძნის შესაკვრელად ნაცვალგარდობას გავაჩენთ ერთმანერთშიაო. მემამულის ანგარიშით მაშინ დრიური შეიძლება მანათ-ნახევრად ანუ სულ ბევრი-ბევრი ორ მანათად მოიმკოსო, ყანის პატრონს კი დღიურზედ ერთი კაცი და ერთის კაცის სარჯი შეხვდება ნაცვალგარდობაშიო. მაშინამ რაც თვითონ მომკო იმ არე-მარეში და ახლო-მახლო სოფლებში, ხომ მომკო და რაც არა, ერო-მეუშას, იმ სოფლებში მოდებულს და მამა-სისხლად სამკალად ყანების ამღებს, ისე გაუხადა საქმე, რომ ხუთ და ექვს მანათამდე ასული დღიურის მომკა სამს მანათად ჩამოახტუნა. ბევრი წყევლა და ქოლვა შემოუთვალეს იმ წურბელა ეროებმა მაშინის მომგონსა.

რასაკვირველია, სამკალი მაშინა სწორე მიწის ყანას კარგათა მკის, მაგრამ არც გვერდაზედ მკის ნაკლებ, ოღონდ მსხვილი ლოდი ქვა არ იყოს და ჯაგი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამკალი მაშინა უქმია. არა გვგონია, რომ წაქცეული ყანაც მომკოს. მაინც-და-მაინც ღირს რომ კაცმა ეს მაშინა იქონიოს. უსათუოდ ერთი-სამად იაფად დაისვამს მკასა, გარდა ამისა ჩქარა მომკავს კაცი, და მუშის უშოვარობაზე აღარ დაღონდება და შეწუხდება. ამბობენ, ვთქვათ, ვიქონიოთ მაგისთანა მაშინაო, რომ გატყდეს და მოიშალოს, რა ვუყოთო. მოშლით არა უშავს რა, იმიტომ-რომ მაშინას პატარა გულის-ყური რომ ადევნოს კაცმა, მალე მიხვდება, სად რის

ჩქლის შეწყობა უნდა და მალე გამართავს. საქმე გატეხაა. ამ ბუკის სისტემის მაშინაზედ უნდა ვსთქვათ, რომ მეტად მკვიდრია, ნამეტნავად ის ნაჭრები მაშინისა, რომელნიც ძვირია და ძნელად საკეთები. თუ უფუჭდება რამე მაშინას, წვრილმანი რამ უფუჭდება და ეგ წვრილმანი რომ კაცმა წინდაწინვე ოდესიდამ დაიბაროს და მზათა ჰქონდეს გატეხილის და წამხდარის გამოსაცვლელად ადგილი საქმეც არის და არც ბევრი რამ დაჯდება. ყოველს ნაჭერს თავისი ნუმერი აქვს. ვისგანაც მაშინას იყიდით, იმას რომ მისწეროთ ამა და ამ ნომრის ნაჭრები გამომიგზავნეთ, შვიდ-რვა დღეზედ მოგივათ. რასაკვირველია, ეს თადარიგი წინადვე უნდა დაიჭიროს მემამულემ, მინამ მკა და მუშაობა დაიწყობა, თორემ მერე გვიანღა იქნება. გარდა ამისა, ეხლა ქალაქში ყველაფერს აკეთებენ, თუმცა ძვირად კი ასე, რომ ისევ ადგილიდამ დაბარება სჯობია. ყველაგან ვისაც მაგ გვარი მაშინა აქვს ისე იქცევიან, რომ დადგება იანვარი თუ არა, გასინჯვენ მაშინასა და რაც აკლია ნომრებით აღნუსხვენ და იბარებენ ერთისას ორ-ორ და სამ-სამ ნიმუშს ყოველ შემთხვევისათვის.

ერთის სიტყვით, სამკალი მაშინაც გამოდგა, თუმცა ზემოხსენებულ მემამულეს გამოუცდელობით საქმე ისე ვერ მოეწყო, როგორც რიგია და თუმცა მაშინას მაშინისტიც აჰყოლა. მემამულე ეხლა გულ-დაჯერებულია, რომ სამეორისოდ გამოუცდელობას ადგილი აღარ ექნება და სამკალი მაშინა თავის დანიშნულებას უნაკლულოდ აასრულებს. ეს იმედი ამ მაშინის წყალობით ისე ძლიერად ჩაესახა გულში, რომ საგულდავოდ აპირობს ორისა თუ სამის მაშინის დაბარებას სხვა-და-სხვა სისტემისას. მეც ჩემს ხარჯს გამოვალო, ამბობს და ხალხსაც რამოდენადაც შესაძლო იქნება გავუიოლებო მკასა, ამ ცხარე

და გასაჭირს მუშაობას, რომელსაც მიწათ-მოქმედის ჯიბიდამ კაი მოზდილი და საგრძნობელი ლუკმა მიაქვსო და რომელსაც ზოგჯერ მუშასაც ვერ უშოვის ხოლმე თავის დროზედ.

ერთი უდიდესი ხარჯი, ძლიერი ჯაფა საქონლისა და კაცისათვის ჩვენში ლეწვაა. ზემოხსენებულმა მებატონემ გვითხრა, ყველაფერი ვიანგარიშეო დაწვრილებით ევროპიულადაო და გამოდისო, რომ მებატონეს თვითო კოდის გალეწვა უჯდება ერთი მანათი და ოც-და-რვა კაპეიკი, გლეხსა—ოთხ აბაზ-უზალთუნი და რვა კაპეიკიო, დროს დაკარგვას, საქონლისა და კაცის დაუძლურებას კი აღარ ვანგარიშობო. გლეხს იმიტომ უჯდება მებატონეზედ იეფადაო, რომ თავის საქმეს თვითონ დაჰსტრიალებს ფეხ-მოუცვლელადაო და მებატონე კი მოჯამაგირის ანაბარათ არისო უფრო ხშირად. ეხლა იმ ზემოხსენებულს მემამულეს დაუბარებია სალეწი მაშინა, ას ორმოც-და-ათ თუმნამდე უჯდება. ამასთანავე ადგილიდამვე მემაშინეც მოუწვევია და დღე-დღეზედ მოელის ერთსაც და მეორესაც. მაშინა ლეწს თურმე ათის საათის განმავალობაში 450—ათეულს, ანიავებს პურს, აცხავებს, არჩევს, ტომრებში აწყობს და ტომრები კიდევ თვითონვე გადააქვს ახლო მიტანილს ურემზედ. უნდება თურმე რვა ცხენი და თექვსმეტი მარჯვე მუშა. მაშინა ისეა თურმე მოწყობილი, რომ საცა გნებავთ, იქ წაიღებთ ხარებით, თუ ცხენებით და ალეწვინებთ. ერთი დიდი წუნი მაშინისა ის არის, რომ ბზეს არ აკეთებს. მემაშინე, რომელიც ეხლა მემამულესა ჰყავს, იმედოვნებს, რომ ბზის საკეთებელიც გაუკეთდებაო, მხოლოდ იმის შიში აქვს, რომ კაი თუ რვა ცხენმა ვეღარ ამუშავოსო და მეტი მოუნდესო. გლეხები იძახიან, კარგი იქნებოდა, რომ ბზეც გაეკეთებინაო, მაგრამ უმაგისობასაც შევიფერებთო, ოღონდ ისე მალე ლეწოს, როგორც

ამბობენო, პური განიავებული და გარჩეული გამოიყვანოს და ნამჯას არ გადააყოლოსო. ნამჯას საბზევეთ ჩვენ თვითონ გავლეწავთო. ამ შემთხვევაში რაკი კალოზედ შეგვა, განიავება, გაცხავება საჭირო აღარ იქნებაო, და მარტო საბზევედ გალეწვაზედ მიდგება საქმე, ადვილად გავუძლებითო. გლეხებმა ჰსთქვეს, რომ ათის თავს სიხარულით მივცემთო, თუ მართლა მაშინა ეგეთი გამოდგებაო. ამ სახით იმ მებატონის ანგარიშით კოდი პურის გალეწვა სამ შაურად დაუჯდება გლეხსაო· თუ ყოველივე ეს გამართლდა, დიდი შეღავათია; სად თითქმის მანათი და სად სამი შაური? მთელს იმ არე-მარეს, სადაც ის მემამულეა, ოთხ-ხუთ თვეზედ გაულეწს მოსავალსა, იმიტომრომ მაშინა ზამთარ ზაფხულს თურმე დაუყოვნებლივ მუშაობს. საოფლები გარშამო ახლო აქვს, მაშინის გადატან-გადმოტანაში ბევრი დრო არ მოუნდება. წელს კი რაღა იქნებაო, ამბობს მემამულე, და სამემრისოდ მაშინას ერთს შუა-გულს ადგილას დავდგამო, რომ ვისაც უნდა, როგორც წისქვილში საფქვავი ისე ძნა მოიტანოსო, იქავ გავულეწ და ჩავაბარებო. თუმართლა ათის საათის განმავალობაში ოთხას ორმოც-და-ათს ათეულს ლეწავსო, ამბობს მემამულე, მაშინ იმედი მაქვს, უფრო იეფად დავუწყო ლეწვაო.

ღმერთმა ქნას ეს გზა მიწათ-მოქმედობის წარმატებისა კარგად გაიჭრას და კარგად გაიკვალოს. გლეხები ამბობენ, რომ მკა და ლეწვა რომ ეგრე გაადვილდეს, დიდ-ძალი ხალხი ხელს მოჰკიდებს ხვნასაო და ვინც აქამომდე ერთს დღიურს ხნამდაო, ის ერთი-ორად, ერთი-სამად მოხნავსო, რადგანაც ამ წყეულ კალოს და მკასა იმოდენა ხარჯსა და დროს აღარ მოანდომებსო. მართალია, მიწები დაძვირდებაო, მაგრამ ეგეთი გაადვილებული მკა და ლეწვა მიწის სიძვირეს ადვილად

აზვატაინებისო. ერთი-ორად რომ მეტი მიწა შემუშავდეს მაინც ჩვენს ქვეყანაში პურისა და სხვა ამ გვარის მოსაყვანად, მაშინ ჩვენი ქვეყანა არამც თუ პურს და ქერს სხვიდამ მოიტანს, არამედ თვითონ უწილადებს სხვასაცა.

# უსლარი და იმისი თხზულება

## «უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე.»

(დასასრული მეორე წერილისა.)

### I

უკანასკნელს სტატიაში ჩვენ განვიხილეთ თქმულებანი ებრაელთა, ირანელთა და ინდუსებისა მათ პირველ-სამშობლოზედ და დავასკვენით, რომ იგი სამშობლო უნდა ყოფილიყო აზიის შუა-გულ, იქ, სადაც ბოლურ-ტაგის ქედი გადასჭრის ჯვარედინად გინდუკუშის ქედს და სადაც არის სათავე ოქსუსისა (ამუ დარია) და იქსარტესისა (სირ-დარია). ამ აზრსავე დავასკვნით, რომ გავარჩიეთ ჩვენამდე მოხწეული წერილობითი ნაშთი სხვა-და-სხვა ისტორიულ ხალხთა და სხვათა-შორის კლასიკურ მწერალთა ნაწერებიც შესახებ ქუშის მოდგმის ხალხებისაც. ამ განხილვით დავინახამდით, რომ ქუშის მოდგმის პირველი სამშობლოც იქვე, აზიის შუა-გულ ყოფილა, რომ იქიდამ იგი დაშვებულა ირანისკენ დასავლეთად, ჯერ პირველადვე ფეხი მოუკიდნია მესოპოტამიაში, მაგრამ აქ დიდხანს ვერ გაჩერებულა—უვლია ამავე მიმართულებით და აწინდელს ეგვიპტეში მდ. ნილოსის აქეთ-იქით ნაპირებზედ დამყარებულა. აქ ჩვენ ვიცით, რა განათლება და კულტურაც შე-

ქმნა ამ მოდგმის უძველესმა ხალხთაგანმა, ეგვიპტელებმა. ასე შორაც რომ არ წავიდეთ, საკმარისი იქმნებოდა ამ დედა-აზრის მტკიცედ აღიარებისათვის გაგვეჩხრია თქმულებანი ძველ აღმოსავლეთის და კლასიკურ მწერლებისა და აგრეთვე ჩინეთის მატიანეთა სკვითეთზედ და სკვითელებზედ... აღმოჩნდებოდა, რომ სკვითნი, რომელთაც ისტორია შეხვდება მხოლოდ მაშინ, როცა მათ კავკასიის ჩრდილო მხარე უჭირავთ, ერთს ხალხს არ წარმოადგენენ, არამედ სხვა-და-სხვა ხალხთა საერთო სახელ-წოდებას. აღმოჩნდებოდა, რომ ეს სხვა-და-სხვა ხალხი იქიდამ, იმ აზიის შუა-გულიდამვე გამოსულა, გამომგზავრებულა თურანის ვაკე-ველზე, მოუხვევია კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილისათვის და შესულა ევროპაში ურალო-კასპიის კარით, შორს, დასავლეთ ევროპისკენ წასასვლელად. აქ საჭიროა მოვიხსენოთ, რომ მგზავრობა პირველ-ქმნილ და ველურ ხალხებისა, ანუ უკეთ ვთქვათ, გაფანტვა მათი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხის დასასახლებლად, არ წააგავს არც ნამდვილ მგზავრობას, არც რომელსამე მებრძოლთა და მტარვალთა ურდოს მოძრაობას, რომელიც ცარცვა-რბევისათვის გასდგომია შორს გზასა. პირველ-ხალხთა გაფანტვა დედა-მიწის დასასახლებლად სწარმოებდა საშინლად ნელ-ნელა, თან-და-თანობით და ემორჩილებოდა ანუ ექვემდებარებოდა ბუნებისგან განწესებულს კანონებს, რომლებზედაც ქვემოდ ვრცლად მოვილაპარაკებთ. ხალხი იმ დროს იცვლიდა ერთგან დადებულს ბინას, იმიტომ რომ მხოლოდ საქონელი ჰყავდა გაჩენილი თავის დასარჩენად, ფარები და ჯოგები ჰყავდა საქონლისა და მათთვის საძოვარი და ალაგი სჭირდებოდა. ერთგან გამოლევდა საძოვარს, მეორე ალაგს მიდიოდა და ასე ნელ-ნელა მიიწევდა წინ-წინ მთელის თავის ოჯახობით, სახლობით და სარჩო-საბადებლით.

მეურნეობა და ხვნა-მთესველობა, რასაკვირველია, მაშინ მცირედ იყო და ამისათვის არაფერი არ უშლიდა ერთი ალაგი დაეტოვებინა და წინ წასულიყო, სხვა კარგ იალაღს და საძოვრებს ეპოვნიდა. თუნდაც რომ ხვნა-მთესველობა ჰქონოდა და არც ძალიან ნაკლებად და მცირედ, მაინც ზოგან, ზოგ გამოვანტყველს ხალხს, არ დაუშლიდა ეს გარემოება ხსენებულს მოგზაურობას. მაგ. სკვითნი, რომელთა ნაწილი წინ მიიწევდა, დასავლეთისკენ ურალიდამ, მრავლად ხვდებოდნენ გზაზედ თითქმის სულ ტყეებს, რომელთაც სჩეხდნენ, სწვამდვენ დ ასოებად აკეთებდნენ. ხოლო ამას დიდი ჯაფა და შრომა არ უნდა, ისეთი მაგ., როგორიც არის არხისა და წყლის გაყვანა მიწის მოსარწყავად და მამულის გასანაყოფიერებლად. მეორეც, ახოთ გაჩეხილი ალაგი ტყეში მალე ჰკარგავს ნაყოფიერებას და იმის თავ-დანებება სრულიად დასანანებელი არ იქნებოდა ევროპიელთა ველურ წინაპართათვის. რამდენსაც წინ წაიწევდა, ხალხი იმდენს ახალს ახოს გაჩეხამდა და მეტს მოსავალს მიიღებდა, ასე რომ ეს გარემოებაც არ შეადგენდა მისთვის დამაბრკოლებელს მიზეზს, გარდასახლების დროს ევროპის დასავლეთის ნაწილის დასასახლებლად. ჩვენ ვიცით, რომ ამ გვარად მოგზაურობდნენ თითქმის ებრაელთ წინაპარნი ალდეიდამ ხარანისა და ქანანესსაკენ. აბრაამი და მის შთამომავალი მემცხვარე და მეჯოგე იყო. ირანელთ თქმულებანი და ინდუსების მითებიც ამასვე გვეტყვიან და დაგვარწმუნებენ, რომ ყოველი პირველ-დროის ხალხი, ვიდრე მხვნელ-მთესველი გახდებოდა, იყო მხოლოდ საქონლის მომშენებელი და მეჯოგეობის მიმდევარი.

დიდი დრო და ჟამი უნდა გასულიყო, ვიდრე ხალხი მიეჩვევოდა არამც თუ ხვნასა და თესვასა, არამედ თუნდ მე-

ცხვარეობასა და მეჯოგობასაც. პირუტყვების მოშინაურობას დიდი ჭკუა და მოხერხება უნდოდა და ამისათვის ასე ადვილად ვერ მოაშინაურებდა პირველ-ქმნილი ხალხი. იყო დრო, როდესაც კაცს ორი და სამი ცხოველის მეტი არა ჰყავდა მოშინაურებული, არ იცოდა ცეცხლის ხმარება, რკინისა და რვალის გამოყენება. ხმარობდა მხოლოდ ქვის იარაღებს და იკვებებოდა ხეების და მცენარეების ფესვითა, როგორც ეხლა ზოგიერთა ველურთა ტომნი. ეს დრო იყო უუძველესი დრო კაცისათვის, რომელსაც ქვის დრო ჰქვიან. ეხლა თითქმის ყველგან ევროპაში და ჩვენშიც მრავლად პოულობენ ქვის იარაღებს (обсидіанъ): ჩაქუჩებს, ცულებს, შვილდ-ისრის წვერს, ქვისაგან გაკეთებულს. ამ დროის კაცის ძვლები ქვის იარაღებთან ერთად აღმოაჩინა თანამედროვე მეცნიერებამ სხვა-და-სხვა ალაგას. მასთან ერთად იპოვეს მამონტისა, მარტორქის და ჩრდილოეთის ირემის ძვლები საფრანგეთში და ხმელთა-შუა-ზღვის ნაპირებზე. ცხადია მაშინ სხვა ჰავა იქმნებოდა ევროპაში და სხვა გარეგანი სახეც უნდა ჰქონოდა მას, თუ მამონტი და მარტორქა იპოვებოდა იქ. ამ დროს შემდეგ მეორე დრო დგება პირველის კაცის ცხოვრებაში, როცა ის ეჩვევა ბრონძის და რვალის ხმარებას. ამ დროს რვალის დროს ეძახიან. მაშინ ყველა კაცისთვის საჭირო იარაღი რვალისგან კეთდებოდა. ხოლო ბოლოს დროს, როცა კაცის ჭკუა მომეტებულად განვითარდა და რკინის ხმარება ისწავლა კაცმა, დადგა მისთვის დრო რკინის ხმარებისა.

ამ წერილში ჩვენ არა ვფიქრობთ ის საგანი გამოვიკვლიოთ, თუ რა ხალხისაგან იყო დასახლებული სულ პირველად ევროპა ან აზიის დასავლეთი და აფრიკის ჩრდილო მხარე ქვეყანაზე ხალხი გაჩნდა და მოსახლობდა ბევრით ადრე

ვიდრე ისტორიულ მოგმის ტომნი გამოვიდნენ სააშპარეზოდ, ის ტომნი რომელთ შესახებ ჩვენ უფრო გარკვეული წყაროე-ბი და წერილობითი სახსოვარნი დაგვრჩენია.

მრავალი გარემოება ამტკიცებს, რომ, როცა ევროპიელნი არიელნი მივიდნენ ევროპაში, იგი უკვე დასახლებული ჰპოვეს სხვა-და-სხვა მოდგმის ხალხით. თავი დავანებოთ თუნდ იმას, რომ ყოველს ევროპიულს ენაში მრავალი სიტყვებია სრულე-ბით გაუგებარი, რომელნიც უსათუოდ გადაშენებულ ენებიდამ უნდა იყვეს მათში შერეული; მივაქციოთ ყურადღება იმ გა-რემოებას, რომ უძველესნი მცხოვრებნი ევროპისა სხვაფრივ კვალ-წმინდად არ გადაშენებულან. მათის არსებობის კვალი შეი-ნიშნება მრავლად გათხრილი საფლავების და გორაკების შემწე-ობით. თავის ქალანი კაცისა, მრავლათ ნაპოვნი ძველ საფლა-ვებში, ევროპის სხვა-და-სხვა ადგილას, დიდად განირჩე-ვიან ერთმანერთისაგან; ამ სახით, ადვილად საფიქრებელია, რომ ევროპა უძველესად დასახლებული იყო სხვა-და-სხვა მოდგმის ხალხით სხვა-და-სხვა დროს, რიგ-რიგად. ეხლაც არსებობს წმინდად დაცული ხალხი, უსათუოდ იმ ძველი ევ-როპის მცხოვრებთაგანი, სახელდობრ ბასკები, რომელთ ენასაც არავითარი კავშირი და მონათესაობა არა აქვს არიულ ენებ-თან, ხოლო გრამატიკულის სისტემით დიდს მსგავსებას იჩენს ამერიკის წითელ-კანიან ინდიელების ენებთან. ასეთივე უძველესი მცხოვრებნი იყვნენ ევროპისა ეტრუსკები და ილირიე-ლები. ასეთივე იყვნენ და არიან აგრეთვე ფინნები რუსეთში.

რასაკვირველია, საფიქრებელი არ არის, რომ ეს ხალხნი სრულებით გაწყვეტილ იქმნენ, ან და განდევნილ უკანასკნელს კაცამდე ახლად მისულ არიელთაგან. უფრო ჭკუაზე ახლოა გვიფიქროთ, რომ იგინი შეერივნენ არიის მოდგმის ხალხს და

ამ გარემოების გამო დაჰკარგეს მათ თავიანთი განსაკუთრებული თვისებანი და გადაგვარდნენ. ამ გვარი გადაგვარება ხალხისა ეხლაც სწარმოებს რუსეთში, სადაც ფინების ტომი, უსლარის მოწმობით, ჰკარგავს თავის ენას და ხმარობს რუსულს—ოჯახობაში (გვერ. 227): ახალი თაობა ბავშვობითვე ეჩვევა რუსულს ენას, წინაპართ ენას ივიწყებს და სთვლის მას თავის დედა-ენად. ასე რუსდებიან ფინნები და სთვლიან თავიანთ თავს რუსებად. სწორედ ამ გვარადვე იქმნებოდნენ გადაგვარებულნი და ჩაყლაპულნი არიის ერთა მიერ ევროპის უძველესნი მცხოვრებნი, მათთვის უცხონი და მათზედ უფრო სუსტნი.

უკანასკნელს წერილშივე ჩვენ გამოვიკვლიეთ, საიდ გამგზავრდა არიის მოდგმის ორი ხალხთაგანი თავის პირველ-სამშობლოს დატოვების შემდეგ: ინდუსები და ირანელნი. აგრეთვე ვუჩვენეთ მკითხველს დაბადების შესაბამის ტექსტების გარჩევით, რომ ებრაელნიც იმ ისტორიულთ ტომთ პირველ სამშობლოდამ უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი და ქალდეაში დაბინადრებულნი. ამ უკანასკნელს აზრს ჩვენ ეხლა ისიც შეგვიძლიან დავუმატოთ, რომ სხვა ხალხნიც სემიტის მოდგმისანი ამ გზით იმოგზაურებდნენ, ქალდეამდე მივიდოდნენ და შემდეგ ებრაელებსავით სამხრეთად და სამხრეთ-დასავლეთად მიუხვევდენ ქანანეასა და თვით ეგვიპტესაკენაც. მართლაც, ეხლა დამტკიცებულია, რომ ფინიკიელნი, დამკვიდრებულნი ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედ, იყვნენ სემიტის მოდგმისანი ამ მოგზაურობის დროს ახლად ბინის აჩენისა და ახალ სამშობლოს გამოძებნისათვის, სემიტელნი შეხვდებოდნენ, რასაკვირველია, ქუშის მოდგმის ხალხებს გზაზე, რომელნიც, როგორც მრავალი გარემოება და ისტორიულნი ფაქტები გვიმტკიცებენ, ყველაზე ადრე გამოსულან თავიანთ საერთო

პირველ-სამშობლოდამ და ყველაზე უწინ დაუწყვიათ კიდეც ისტორიული ასპარეზობა და არსებობა. მართლაც სუყველაზე შორს, დასავლეთად წასულნი და წაწეულნი არიან ეგვიპტელნი, რომელთა ქუშის მოდგმობას ეჭვი არა აქვს. ეს უკანასკნელნი, როგორც ვიცით და როგორც ამ უკანასკნელს დროს გამოკვლეულიც არის ეგვიპტოლოგებისაგან, უკვე ასპარეზობენ 2000 წლის წინად და კიდევ ადრე ქრისტეს დაბადებამდე; აგრეთვე ასსირო-ბაბილონელნი, თუმცა წმინდა ქუშის მოდგმის ხალხს არ წარმოადგენენ და არეულნი არიან სემიტებთან, მაგრამ მაინც ცხადათ სჩანს ასსიროლოგების გამოკვლევათაგან, რომ ესენიც ადრე გამოსულან იმ საერთო სამშობლოდამ და უკვე დაუსრულებიათ თავის ისტორიული ასპარეზობა, მაშინ როდესაც ის ის არის ახლად იწყის თავს ჯერ ისევ ნორჩის და ახალის მოდგმის ხალხი—სემიტნი, მხოლოდ ოდნავ შერეულნი ასსირო-ბაბილონელებთან. ჩვენ ამ მგზავრობის უკანასკნელს სურათს ანუ მოქმედებას ცხადათ გვისახავს დაბადება, როდესაც იგი მოგვითხრობს თარრისა და აბრაამის გარდასახლებაზედ. ეს ამბავი ისტორიის თვალ წინ მოხდა და დაბადებაში დაწვრილებით არის აწერილი. აქედგან ცხადია, რომ ებრაელნი სემიტის მოდგმის ხალხთა შორის ყველაზედ უკანასკნელად გამოსულან საერთო სამშობლოდამ: ჯერ ისევ პირვანდელ მდგომარეობაში არიან, მხოლოდ მწყემსობა და საქონლის მოშენებას იციან და საშინლად ერიდებიან ბავშვებივით უკვე განათლებულთ და გარყვნილთ ასსირო-ბაბილონელთ ცივილიზაციას.

შემდეგ ქუშისა და სიმის მოდგმის ხალხთა, სტოვებს მთიან მთა-ველს (იმავე პირველ-სამშობლოს) არიის მოდგმა, რომლის ხალხთაგან, როგორც წინედაც არა ერთხელ მოვიხსენეთ, ინდუსები სამხრეთად გამგზავრდნენ ინდო-

სტანის ნახევარს კუნძულზედ დასასახლებლად, სადაც მათ დახვდათ მათზე წინად იქ მისული ქუშის მოდგმის ტომნი დრავიდიისა, ანუ როგორც კიდევ მათ საერთოთ ერქვათ ქაუშიგა; ეს სიტყვა შემდეგ გადაკეთდა მისულ არიელთა მიერ ქშუდრაგად ანუ შუდრად და სუდრად (მეოთხე კასტაა ინდოეთში სამ პირველ კასტების მოსამსახურეთ თვით ღმერთისაგან განწესებული და შავი კანის მქონე დღესაც.) ხოლო ირანელნი გაემგზავრენ სამხრეთად და დასახლეს ირანის დიდი მთა-ველი. შემდეგ, რავდენათაც ვხედავთ ძველ მწერალთა ნაწერების გარჩევით, მთელი ტოტი არიის მოდგმის ხალხისა სწყდება საერთო სამშობლოს და მომთაბარობს ტურანს ვაკე-მინდვრებზედ, სრულიად ველურად სცხოვრობს და მისდევს საქონლის ყოლას და მეჯოგობას. სხვა-და-სხვა ელებად იყოფება, სხვა-და-სხვა სახელი მიეთვისება მომეტებულს ნაწილად ამ ძველ მწერალთაგან, თუმცა კი იშვიათად ერთის საზოგადო შემკრებელობითის სახელითაც ისსენიებენ, ე. ი. სკვითების ხალხებად. აი ეს სკვითნი და კელტო-სკვითნი, მესამე შტო არიის მოგმის ხალხთა, მიიწევენ ნელ-ნელა კასპიის ჩრდილო მხრიდამ, ანუ ურალო კასპიის ვრცელის კარით ევროპისაკენ დიად უძველეს დროდგანვე დაწყობილი. მათ იქ შეხვდებათ ხალხნი, რომელთა ანტროპოლოგიური შენობა, თავის ქალას მოყვანილობა და სხვა თვისებანი, შემეცნებული ეხლანდელი სწავლულების მიერ არხეოლოგიურ მიების წყალობით, არა რომელს ისტორიულს მოდგმის ხალხთა არ ეკუთვნიან და წარმოადგენენ ასეთ თუ ისეთს მსგავსებას უფრო ამერიკის ეხლანდელ ველურ ინდიელებთან. პირველი რიგი მისულთა, უფრო ყველაზე ადრე, ვიდრე სხვა არიელნი, ბინას სდებს მდ. დუნაის ახლო-მახლო. შემდეგ აქედამ უახლოვდება ბალკანებს და ადრიატიკულს

ზღვას, რომლის აქეთ-იქით ნაპირებზე მკვიდრდება. ეს გა-
ხლავან ბერძნები და რომაელნი. ერთნი ბალკანის ნახევარ კუნ-
ძულს ასახლებენ და მეორენი — აპენინისას. მათ შემდეგ მო-
ყოლილი რიგი მათ აიძულებდა, ზღვის ნაპირი მოეძებნათ და
ან ევროპის დასავლეთის კიდურზედ გამაგრებულიყვნენ, რომლის
იქით ოკეანე არ გაუშვებდა, ან სამხრეთად უნდა დაშვებულ-
იყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ ზღვაში შესულ ნახევარ კუნძუ-
ლებზედ და აქ უნდა დაეცვათ თავისი თავი მაგრად მათ უკან
მომყოლ მეორე და მესამე რიგის მოგზაურთაგან, რომელნიც
ამ გვარად მთელს ევროპას დაასახლებდნენ. ცხადია, რომ ამ
რიგით ქვეყნის დასახლების დროს, ვინც მეხვეური იქნებოდა,
მოწინავე, ის ყველაზე შორს წავიდოდა. ეს აზრი ჯერ მტკი-
ცე ჭეშმარიტებად არ არის ცნობილი, თუმცა ბევრი სხვა-და-
სხვა გვარი მოსაზრება აფიქრებინებს კაცს მის სინამდვილეს.
მაინც გაურკვეველი სიბნელე, შეუშფოთებელი მდუმარება ჰფა-
რავს ჩვენგან იმ დროს, როდესაც არიის მოდგმის ხალხნი
უნდა გაფანტულიყვნენ ევროპის დასასახლებლად და ემოგ-
ზაურნათ იაქსარტიდამ და ოქსუსიდამ ჩრდილოეთ არალისა, კას-
პიისა, კავკასიისა და ევქსინოსის პონტოისა. ცამეტის საუკუნის
წინად ქრ. დაბადებამდე ჩვენ ვპოულობთ წერილობით თქმუ-
ლებათა შესახებ იმისა, თუ როგორ სცხოვრობდენ სხვა-და-სხვა
ხალხნი შორს ჩრდილოეთად, სადაც მუდამ ცივა და ღამეა.
შემდეგ მე-V საუკუნეში ქრ. დაბადებამდე ჰეროდოტე უფრო
ცხადათ მოგვითხრობს ამ ჩრდილოეთის ხალხებზე. მის დროს
არიელნი გამოჩნდებიან მდ. დუნაის ბოლოს, მაგრამ რამდენი
საუკუნე იყო საჭირო, რომ ამ ხალხთ გაევლოთ ვრცელი
მანძილი დუნაის და ოქსუსის შორის! რამდენს საუკუნეს უნ-
და გაევლო ჰეროდოტამდე, ვიდრე თითქმის ყველასგან მივი-

წუბულმა ხალხმა ინდო-ევროპიულ მოდგმისამ მიაღწია ევროპის შუა-გულს და ადრიატიკის ზღვასთან გაიყო ორს მონათესავე მტოდ, რომელთაგანაც ერთი იყო იტალიური ტომი, ხოლო მეორე—ბერძენთა შთამამავალი. სხვა ევროპის დამსახლებელთა შორის პირველნი კელტნი მივიდნენ და როგორც მოვიხსენიეთ, ამ პირველ მისულებმა ევროპის დასავლეთი დაასახლეს მეორედ—გერმანელნი და მესამედ—სლავიანები. ეს უკანასკნელნი ყველაზე გვიან, ყველაზე უკან მოგზაურობენ და ისტორიასაც მათ მიერ ევროპის დასახლებაზე მეტი ცნობანი შეუნახავს. მათი დასახლება ევროპაში წარმოადგენს უკანასკნელს აქტს დიდის ხალხთ-გადასახლებისას, რომლის პირველი მოქმედებანი მხოლოდ ბინდ-ბუნდათ გვაქვს წარმოდგენილნი.

მაგრამ ხალხთ-გადასახლება კი ნამდვილ მოხდა. ამას შედარებითი ფილოლოგია ისევე უეჭველად ამტკიცებს, როგორც გეოლოგია ჰმოწმობს დედა მიწის სახის ცვლილებას, ჯერ ისევ მაშინვე, როცა კაცი არც კი იყო ქვეყანაზე, როცა ერთი მომსწრე და მოწამე არ გაჩენილიყო მისი. ვიდრე გეოლოგიური კანონების უმეცარია კაცი, მას ჰგონია, რომ დედა-მიწაზე მომხდარი გეოლოგიური ცვლილებანი და ზოდები უბრალო შემთხვევის საქმეა. ასევე ხალხთ-გადასახლების და გაფანტვის საქმეა დედა-მიწის ზურგზე. რადგან ამაებზედ ისტორია მდუმარებს, კაცს ჰგონია, რომ ეს მოვლენანი შემთხვევას ექვემდებარებიან, ხოლო რა შემთხვევანი იყვნენ ეს შემთხვევანი — არც ვიცით და ვერც გავიგებთო. მაგრამ ისტორიის ესე გვარნი დიდნი მოვლენანი შემთხვევით ვერ წარმოსდგებიან და მიზეზთა გარეშე შეუძლებელნი არიან. ცხადია, რომ ხალხთა-გაფანტვას მიმართულება მიეცემოდა დედა-მიწის ზედა-პირის

მოწყობილობის მიხედვით. ეს დედა-მიწის გარეგანი მოწყობილობა, რასაკვირველია, თუ მაშინაც ისეთი არ იყო, როგორც კაცის გაჩენის დროსვე, მაინც დიდად არაფრად შეიცვლებოდა. ამ სახით ჩვენ ესლაც თვალ წინ გვიდევს ის ფიზიკური ვითარება დედა-მიწის ზედა-პირის გარეგანის მოყვანილობისა, რომელიც მისცემდა აუცილებლად ხალხთ პირველ გადასახლებას შესაბამს მიმართულებას და იმოქმედებდა აგრეთვე ინდო-ევროპიულ მოდგმის ხალხთა გარდასახლებაზედაც ევროპაში აზიის შუა გულიდამ; ამასთანავე, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რაც ხალხი უფრო დაბალ ხარისხზედ სდგას და განუვითარებულია, მით მეტად ემლევა ფიზიკურის ბუნების ზედ-მოქმედებას. ხოლო ცხადია რომ ხალხთა-გარდასახლების და გაფანტვის დროს კაცი მეტად ნაკლებ იყო განვითარებული და ამიტომ უფრო მეტად ექვემდებარებოდა ფიზიკურ კანონების ზედ-მოქმედებას. კაცი მაშინ აღარ ემონება ფიზიკურს ბუნებას და ყველგან ბატონობს მასზედ, რა ბუნებაშიც გინდა აცხოვრო, როცა განვითარებულია და ეხლანდელ ევროპიელსავით განათლებული, სინამდე კი იგი მოკლებულია ამ გვარს კოსმოპოლიტურს ნიჭს. აი ამისათვის ჩვენ გვსურს გადავავლოთ თვალი აზიის და ევროპის და საზოგადოდ მთლად ცნობილის მატერიკის გარეგანს ფიზიკურს მოწყობილობას და ვითარებას, რომ იქნება მასში მოვძებნოთ ერთის მხრით ახსნა საზოგადოდ ხალხთ-გარდასახლების კანონებისა, და მეორეს მხრით — თვით ჩვენი კავკასიის დასახლების გარემოებათა.

## II

კაცმა რომ თვალი გადაავლოს ძველად ცნობილს მატერიკს ქ. ი. აზიის ვრცელს და მომეტებულს ნაწილს და ევროპას რამდენსამე მტკიცედ განკერძოებულს და განსაზღვრულს ტიპად გაჰყოფს. ამ განყოფის საფუძვლად მიიღება არა მარტო გარეგანი მოწყობილება დედა მიწის ზედა-პირისა, არამედ თვით ფიზიკურის ბუნებისა და მის ვითარების სხვა-და-სხვაობა. უმეტ-ნაკლებოდ შეიძლება ეს ძველად ცნობილი ნაწილი დედა მიწისა ოთხ ტიპად გაიყოს. ერთს წარმოადგენს დიდი და ვრცელი ვაკე-მინდორი თურანისა, რომელიც აზიის მთიან შუა-გულიდამ იწყობა, მისდევს კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილისკენ, შეიცავს არალის ზღვას და გაჰყვება კავკასიის ჩრდილოეთად გოლანდიამდე; მეორე ამ გვარივე ვაკე-მინდორი, იმ საერთო ცენტრიდამვე დაწყებული, მიდის სამხრეთად და ჰქმნის დიდი ინდოსტანის ვაკე-მინდორი; მესამე არის დიდი მთა-ველი ირანისა, დასავლეთისკენ მიმართული, არხიპელაგამდე და იქიდამ კიდევ ევროპაში გადასული ტავრისა და კავკასიის ქედის შემწეობით. ეს ტიპი თავდება საფრანგეთში ვოგეზებით და ესპანიაში პირინეებით. მეოთხე ტიპს წარმოადგენს ამ გვარივე დიდი მთა-ველი მონგოლიისა, აღმოსავლეთად და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთად მიმართული.

ყოველი ამ ტიპთაგანი დედა-მიწის გარეგანის მოწყობილობისა და ფიზიკურის ბუნების ვითარებისა ბევრ-ნაირად განირჩევა სხვა ტიპებთაგან. ჰავა და ბუნების ვითარება თურანისა სხვა არის. აგრეთვე სხვა არის ჰავა და ბუნება ირანისა. პირველი ერთგვარად მოქმედობს კაცზე, ხოლო მეორე სხვა

გვარად. ძველი ხალხიცა გრძნობდა ამ ტიპების სხვა-და-სხვაობას იცოდა, რომ არსებობს ერთი ქვეყანა, მათი პირველი სამშობლო, რომელიც საშუალო ქვეყანას წარმოადგენს ამ ტიპების შესახებ, რომელშიაც ერთად თავს იყრიან უკიდურესი ტიპები და რომელიც მასთანავე არც ერთს მათგანს არ წარმოადგენს. ეს ქვეყანა, სადაც საერთო წყალთ-დასაბამია მათის აზრით, და სადაც დასაწყისი ეძლევა როგორც თურანის და ინდოსტანის ველ-მინდორს, ისე ირანს და მონღოლიის პლატოს, არ არის არც თურანი, არც ჩინი (ჩინეთი), არც ირანი და არც ინდოსტანი, მაგრამ მასთანავე ისიც არის და ისიც. მართლაც, მრავალი გარემოება, რომელიც უკვე მოვიყვანეთ საბუთად და, რომელიც კიდევ შეგვიძლია მოგვყვანა, ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა კვანძია სხვა-და-სხვა ტიპების ქვეყნებისა და რომ აქედამ გამოვიდნენ ისტორიული ტომნი. შუა-გული აზიისა ისეთი ქვეყანაა, რომელიც ინდიფერენციალურ ქვეყნად ჩაითვლება, ანუ ნეიტრალურ ქვეყნად შესახებ უკიდურესი იმისა, რაც გაარჩევს ერთს ხალხს მეორისაგან, ერთს ქვეყანას და ქვეყნის ტიპს, მეორე ქვეყანასა და ქვეყნის ტიპისაგან. აი ამ ქვეყნიდამ, როგორც ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, გამოვიდნენ ისტორიული ხალხნი ოთხსავე მხრივ.

ეს ოთხივე ტიპი დიდს და ვრცელს ზოლებისავით გზებს წარმოადგენენ, თვით ბუნებისაგან გაკვალულს, და მათ გაუდგა ხალხიც თავის გაფანტვის დროს. ირანის პლატოს და ზოლს გაყოლილი ხალხი არა გრძნობდა დიდს შევიწროებას თავის მოგზაურობის დროს, რადგან არც დიდს ჯავის სხვა-და-სხვაობას ექვემდებარებოდა, არც სხვა-და-სხვა-გვარ ბუნების კონტრასტების ზედ-მოქმედებას ეძლეოდა. სრულიად მოგზაურობის დროს ერთსა და იმავე ბუნების და ფიზიკურ ვითარებათა გავლენის

ქვეშ იმყოფებოდა, ისე რომ, რაც უნდა წინ წაწყეულიყო, მაინც ვერ იგრძნობდა, რომ სულ სხვა ბუნებასა და ჰავასა ვხედავთ, სულ სხვა უცხო ალაგს ჩავარდით. ხოლო ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთ გაფანტვის დროს. კაცის ბუნება ისეთია, რომ ძლიერს კონტრასტებს ერიდება და პირველ შეჩვეულ ჭირს, უცნობ და შეუჩვევარს ლხინზე არ შესცვლის. მომავალი და აწმყო მისთვის უნდა წარსულის გაგრძელებას შეადგენდეს, ისე ძვირია მისთვის მოგონება წარსულისა. ახალ ქვეყანას მაშინ შევეჩვევით და არ ვიუცხოვებთ, როდესაც იგი გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენგან დატოვებულს სამშობლოისას, როდესაც იგი ამ უკანასკნელს გვაგონებს მაშინ ჩვენ გვეჩვენება, რომ ჩვენ ისევ საჩვენოში ვართ და მას არ მოვშორებივართ. ხალხი ადვილად ასახლებს მდინარის გაყოლებას, ღელეს, ან ხეობას სიგძლივ, სადაც მის წინაპარი დაბადებულა და მამა-პაპას უცხოვრია.

აქედან სჩანს, რომ მთებისა და მდინარების მიმართულებას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა თვით პირვანდელ-გაცობრიობის გარდასახლების მიმართულებაზედაც. ცხადია აგრეთვე, რომ დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა იმასაც, თუ საით და რომელ მხრით მიიმართებოდა გარდასახლება. თუ ეს გარდასახლების ხაზი სამხრეთიდამ ჩრდილოეთისკენ მიიმართებოდა მერიდიონალურად, მაშინ ხალხს მოუხდებოდა სხვა-და-სხვა ჰავის გამოცვლა, ცხელისა, ზომიერისა და ცივისა. ასეთი გარდასახლება საშინელი ძნელი იქმნებოდა პირვანდელი ხალხისათვის და მით უფრო ძნელი, რაც ნაკლებ გახსნილი და გონება-განვითარებული იქმნებოდა იგი. ეს გარემოება ფრიად შეაფერხებდა და გაამძნელებდა გარდასახლებას. მაინც უკეთუ წარმოვიდგენთ, რომ ამ გვარი სხვა-და-სხვა ჰავის მექონე ქვეყანა

დასახლებულა ერთის რომელისამე მოდგმის ხალხით, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ერთიანობა მოდგმისა ჩქარა განჰქრება ამ ხალხისათვის. შინაგანი შემაერთებელი კავშირი მალე დაირღვევა და ხალხი, დანაწილებული და კერძო ჯგუფებად დაყოფილი, მალე მიეცემა დაცემას და დაძაბუნებას. აქ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ კაცს მართალია ყოველ გვარ ქვეყანაში შეუძლიან იცხოვროს რანაირიც უნდა იყოს იგი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გვარს კოსმოპოლიტურს ნიჭს ის მაშინ გამოიჩენს, როცა დიდად განვითარებულია და უმაღლეს ხარისხზედ სდგას კულტურისა.

ამ გვარი საქმე დაემართათ ინდუსებს, რომელთაც მერიდიონალურად მოუხდათ მოგზაურობა და ცივი ქვეყნიდამ სამხრეთად ცხელ-ქვეყანაში დაეშვნენ. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ინდუსების ცივილიზაცია მალე ჩაჰქრა და მალეც მოსწყდა საერთო, საკაცობრივო განვითარებას და მიიღო ცალ-მხრივი განკერძოებული და დამახინჯებული მიმართულება. ეს საქმე არ მოსვლიათ არც არიელ ირანელებს, რომელნიც აღმოსავლეთიდგან სამხრეთად მიემგზავრებოდნენ და არც ევროპიელ არიელებს, რომელნიც თუმცა ჩრდილო-დასავლეთისკენ გაემგზავრენ თურანის ვაკე-მინდვრით, მაგრამ ძლიერ არ გაუბრუნდებიათ თავიანთ გარდასახლების ხაზი და ჩრდილოეთისკენ ძრიელ არ აუწევიათ.

მაგრამ ჩვენ აქ უნდა პატარა ხანს შევჩერდეთ და გავარკვიოთ ის აზრი, რომელიც არსებობს ევროპის დასახლების შესახებ და რომელიც ეწინააღმდეგება ზემოდ მოხსენებულს აზრს, ე. ი. ზოგიერთნი მეცნიერნი ჰფიქრობენ, რომ ევროპა დასახლდა არა ურალო-კასპიის კარით და თურანის ვაკე-მინდვრიდამ, არამედ ერთის მხრით არხიპელაგიდამ და ხმელთა-

შუა ზღვიდამ, საიდამაც ვითომ ევროპიელნი არიელნი ირანის გზით მოგზაურობდნენ და მეორეს მხრით აწინდელ საქართველოდამ კავკასიის ქედის გადასვლით.

ვსთქვათ, რომ მართლა ევროპიელი არიელნი პირდაპირ დასავლეთისაკენ გაემგზავრნენ ირანის პლატოს ჩრდილოეთად და კასპიის ზღვას სამხრეთად მოუსვიეს. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ევროპაში მისასვლელად ანუ კავკასიის ქედზედ უნდა გადასულიყვნენ შავს ზღვასა და კასპიის ზღვას შუა, ანუ კიდევ შორს უნდა წასულიყვნენ, გაევლოთ სომხეთის მაღლობი მთა-ველი და შემდეგ ანატოლიის ნახევარ კუნძული, რომელიც ზოგიერთთა ჭეშმარიტის თქმით, ხიდს წააგავს ევროპისა და აზიის შუა გადადებულს. სულ უბრალო დაკვირვება და გაცნობა კავკასიის ყელის (перешейкъ) მრავალ-გვარ ფიზიკურ ვითარებისა დაარწმუნებს კაცს, რომ სრულებით ჭკუაში მოსასვლელი არ არის ის გავრცელებული აზრი, ვითომ კავკასიის ყელი იყო გზად გარდასახლებისა ევროპიელ არიელთათვის. ირანის მაღლობიდამ ჩამოსულნი არიელნი მოგზაურნი უნდა დაშვებულიყვნენ მრავალ-გვაროვანობითა და სხვა-და-სხვაობით სავსე ხეობებში არაქსისა, მტკვრისა და რიონისა, სადაც იგინი მიეცემოდნენ ფრიად მკაცრს და სასტიკს ზედ-მოქმედებას ადგილობრივ ვითარებისას. ეს გარემოება სულ შესცვლიდა მათს ყოფა-ცხოვრებას და ჩვეულებას; მომთაბარეთაგან უსათუოდ გარდააქცევდა მკვიდრ და ნიადაგზე მტკიცედ დადგრომილს ხალხად. ხოლო ეს მკვიდრნი გზას შეჰკრავდენ შემდეგი გადასახლებისათვის და აღარავის გაუშვებდენ საქართველოზე. ვსთქვათ, თუნდაც რომ ამ მკვიდრთ მოერივნენ დანარჩენნი მოგზაურნი და, მეოტნი თავიანთ ადგილებიდამ, კავკასიის მთის სამხრეთ ღელეებში შეიხიზნენ იგინი (ამ

გვარნი მოვლენანი არ ახსოვს ადგილობრივს ისტორიას), მაშინ მაინც აქ ისე მკვიდრად დამკვიდრდებოდნენ. რომ ჯოჯოხეთიც ვერ დასძრამდა მათ იქიდამ და ყოველ მოსულთ და კავკასიის ქედის იქით გარდასახლების მოსურნეთ პასუხს მისცემდნენ და არ გაუშვებდენ. უფრო ადვილი საფიქრებელია, რომ იგინი ყველანი გასწყდებოდენ მკაცრ ფიზიკურ ვითარებათა გამო, ვიდრე გარდავიდოდნენ თოვლით მოსილს ქედს თავის ოჯახობით და სარჩო-სამზადებელით. თუნდაც რომ ვსთქვათ გადავიდნენ მთასაო, მაინცა და მაინც იმდენს გაჭირვებას გამოივლიდნენ ამ გარდასვლით, ისე დაეცემოდნენ და დაძაბუნდებოდნენ ათას გაჭირვებისა გამო, რომ შემდეგ ვეღარ შეიქნებოდნენ წინაპარად მძლეთა-მძლევის და სიცოცხლით სავსე ევროპაულ ხალხებისა. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი გზა, რომლითაც შეიძლება გარდასახლება მომხდარიყო კავკასიის მთის იქით: ეს გზა დაღესტანის და კასპიის ზღვის შუა ვიწრო კარია, დარუბანდის კარი. მაგრამ ეს გზაც გადაჭრილია ათასი მთის წყლებით და ხეობებით და ზოგან ისე ვიწროვდება, რომ პირველ გარდამსახლებელთაგან მალე იქნებოდა დახშული. აქ კიდევ ვიტყვით ერთხელ, რომ ხალხთ-გარდასახლება სულ სხვა კანონებს ექვემდებარება, ვიდრე ურდოთ მოძრაობა. საცა გაივლის ურდო, იქ ვერ შესძლებს ხალხთ გარდასახლება გზის გაკვლევას. ხოლო ჩვენ უკვე ვთქვით, რომ არიელნი ევროპაში ისე არ მისულან, როგორც მტაცებელთ ურდო. მეორე მოსაზრება, რომლის ძალითაც შეიძლება კაცმა უარ-ჰყოს ჩვეულებრივი აზრი, ვითომ კავკასიის ყელი გზა იყო ხალხთ-გარდასახლებისათ, ის არის, რომ ადგილობრივი ნიადაგი რამე კვალს დაიმჩნევდა, თუ მასზედ ოდესმე ევროპიელ არიელთ ფეხი დაედგათ. ყოველთვის ადგილი თავის ბეჭედს დაასვამს ხალხს, ისე რო-

გორც ხალხი კვალს სტოვებს ადგილზე და ნიადაგზე, სადაც ხალხს უცხოვრია. ამ თვისებით საქართველოს და საზოგადოთ კავკასიის ნიადაგი მეტად არის შესანიშნავი. საზოგადოთ მთიანი ქვეყანა მტკიცედ იზიდავს ხალხს და ზედ ისე იმაგრებს, რომ ძნელი ხდება ხალხისაგან მთიანის ქვეყნის დატოვება. რასაც მთა ერთხელვე მიიღებს, ხელიდამ აღარ უშვებს, წინააღმდეგ ზღვისა და ვრცელ ვაკე-მინდორთა, რომელთ თვისებაა გაჰფანტოს დ ზედ არ დაიყენოს, რაც ერთხელ მის მცხოვრები ან სტუმარი გამხდარა. ამიტომ ჰგავს თურანი ცეცხლ-მქშინავს მთას, რომელიც მუდამ ისროდა თავის გულიდამ ათას-გვარ ხალხთა ურდოს. ასეთივეა როლი ხმელთა შუა-ზღვისა, რომელმაც შეატაკა ათინა და ფინიკია, ერთმანეთს მიაჯახა რომი და კართაგენი, საბერძნეთი და სპარსეთი და ამით მისცა დასაბამი გაცხარებულს მათ შორის მსვლელობას, ვაჭრობის აგებას, განათლებასაც თუ გნებავთ და სხვა-და-სხვ.

თუ ევროპიელ არიელთ ჩვენს კავკასიაზე ემოგზაურათ, მეცნიერების ცდა, რომელმაც ვერავითარი კავშირი ვერ აღმოაჩინა აწინდელ მის მცხოვრებთა და ევროპიელთა შორის, არ დარჩებოდა უნაყოფო. აქამდის ოსები, რომელნიც თავიანთ თავს Iრონებს ეძახიან, ეგონა მეცნიერებას შემაერთებელ კავშირად კავკასიის ხალხსა და ევროპიელთა შორის. მაგრამ შეგრენი, რომელმაც განკერძოებით ოსები და მათი ენა შეისწავლა, ბოლოს დროს დარწმუნდა, რომ თუმცა ოსები ირონებს ეძახიან თავიანთ თავს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგინი არიის მოდგმის ირანის შტოს ეკუთვნოდენენო. თუ რამე კავშირი არსებობს კავკასიელთა და ევროპიელთა შორის, ამის ახსნა უნდა მოიძებნოს ისევ აზიის შუა-გულ, საიდამაც ერთნიც და მეორენიც გამოეგზავრებოდნენ სხვა-და-სხვა გზით, სხვა-და-სხვა

ალაგის დასასახლებლად. საერთოს რასაც აღმოაჩენს მეცნიერება მათ შორის, ამის დასაბამი იქ უნდა მოიძებნოს ისევ.

მაგრამ იქნება არიელნი მოგზაურნი ირანის მთა-ველიდამ დასავლეთისაკენ თავისუფლად გაუდგნენ გზას, გაიარეს სომხეთი, მცირე აზია, მივიდნენ არხიპელაგთან, მერე გელესპონტთან და შემდეგ მიადგნენ ბოსფორსაც, საიდამაც, თუნდ ხელითაც გადასწვდები ევროპას და ისე გადაბიჯებ მას ზედა? თუმც ეს ადვილად გვეჩვენება ჩვენ, მაგრამ ასე ადვილი არ იყო იმ ხალხისათვის რომელიც უმეცარი იყო ზღვაზე ცურაობისა და ნავსანდალთ შენებისა, რომელიც მასთან დედა-ბუდიანათ მიემგზავრებოდა. ზღვა არც კი ენახებოდათ პირველ არიელებს თავის სამშობლოს ახლო-მახლო და რას უნდა შეეჩვია იგინი ზღვაზე ცურაობას. ნუ თუ არალის ტბა, კასპის ზღვა და შავი ზღვა მიიზიდამდა მათ და ასწავლიდა ხელობას ზღვაზე ცურვისას. ცხადია, რომ სველეთით ვერ დაასახლებდა არიელთ ინდო-ევროპიული შტო ევროპას, არამედ ეს დასახლება სწარმოობდა ხმელეთით, იმ გზით, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ.

დავანებოთ თუნდ ამ საბუთს თავი, რომელიც ზოგს არ ეჩვენება საკმარისად ღონიერ საბუთად. მივაქციოთ ყურადღება იმ უფრო ღონიერს საბუთებს, რომელსაც ხელში გვაძლევს ენათა-ცოდნისა და შედარების მეცნიერება, ფილოლოგია. აი ეს საბუთებიც: ლათინურსა და ბერძნულს ენებს შორის არსებობს ნათესავური კავშირი და ისეთი მჭიდრო მსგავსება, რომ ეს მოვლენა მარტო ამ ენების საერთო ინდო-გერმანიულ შთამომავლობით ვერ აიხსნება. მეორე მხრით კიდევ ორთავე ენას ერთ-გვარი ნიშნები და კვალი ატყვია სიძველისა. ერთი მეორეზე არც უძველესი და არც უმცროსი სჩანს. ამ მხრივ

ლათინურს უფრო მეტი სიძველეც ეტყობა, ზოგიერთა ნიშნებს თუ დააკვირდა კაცი. ყოველს შემთხვევაში, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ენები ერთი მეორესაგან წარმოსდგება, არამედ ცხადათ ეტყობა, რომ ერთიც და მეორეც ერთის საერთო ენისაგან წარმოიშობება, რომლითაც, უეჭველია, ლაპარაკობდენ საერთო წინაპარნი ბერძნებისა და ლათინებისა, ანუ რომაელებისა. თუ რომ ეს საერთო წინაპარნი ევროპაში მისულიყვნენ ჰელესპონტით, დარდანელით და არხიპელაგით, მაშინ, ცხადია, ყველაზე ადრე საბერძნეთს დაასახლებდნენ და შემდეგ მხოლოდ საუკუნოების განმავლობაში დასავლეთისკენაც გავრცელდებოდნენ და აპენინის ნახევარს კუნძულსაც დაასახლებდნენ ან ხმელეთით ან სველეთით. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მოხდებოდა .ჩვეულებრივი ფილოლოგიური მოვლენა. ლათინურს ცხადათ შეემჩნეოდა და დაეტყობოდა, რომ იგი წარმომდგარა უძველესის ენისაგან, სახელდობრ ბერძნულისაგან. ასეც ფიქრობდნენ უწინდელი ფილოლოგები: omnem latinam linguam puberis naturis Graeciae puberam filiam esse. მაგრამ ესე გვარი ფიქრი უკვე უარყოფილია და ცნობილია შემცდარ და უსაფუძვლო აზრად. (Erch und Gruber Encyclopaedie).

ამ გვარად საჭიროდ რჩება მივიღოთ ის აზრი, რომ ბერძნებისა და ლათინების საერთო წინაპართ არ უნახავთ არც საბერძნეთი, არც იტალია და მაშასადამე, არც მცირე აზიით მისულან იგინი ევროპაში. ამ სახით, ხელში გვრჩება მხოლოდ ერთი აზრი, რომელიც ჭეშმარიტებად უნდა ვცნათ, სახელდობრ ისა, რომ ადრიატიკის ზღვის ორთავ ნაპირები მათ დაასახლეს ევროპის შუაგულიდამ, ე, ი. ჩრდილოეთიდამ, იტალიისა და საბერძნეთის მდებარეობის მიხედვით რომ ვი-

ანგარიშოთ. ხოლო ამ შუაგულს ევროპის მატერიკისას, როგორც ამ სტატიის თავშივე მოვიხსენეთ, მიაღწიეს მათ აღმოსავლით, აწინდელის რუსეთის სამხრეთის მინდვრების გამოვლით, რომელზედაც გამოეფინნენ ურალო-კასპიის კარის შემწეობით. ამ კარებში იგინი შემოსტყორცნა თურანის მინდორ ველმა, რომლის თვისებაც იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა მიითვისებს და მიიღებს სხვა-და-სხვა ერსა და ხალხსა, მაგრამ, შემდეგ ისევ მალე გაჰფანტავს აქეთ იქით. თურანის ამ თვისების გარეშეც, მათ ანდამატივით მიიზიდავდა, როგორც მომთაბარე ხალხს და საქონლის მოშენებით მცხოვრებს, თვით მინდორი ევროპიულ-რუსეთისა, გაჭიმული სამხრეთ აღმოსალეთად და კავკასიის ქედის გადაღმა. ის მხარე, რომელსაც ვოლგა რწყავს და რომელსაც ჰსაზღვრავს ურალის მთის ბოლო, კავკასიის ქედი და კასპის ზღვა, რიტტერის ფიქრით, იყო ათასის და ათი-ათასის წლის განმავლობაში დიდ ალაყაფის კარად ხალხთა მიგრაციისა აზიიდამ ევროპაში (Землевѣдѣніе Азіи Риттера, часть пер.).

## III

თუ მაშ შესაწყნარებელი არ არის დიდათ გავრცელებული აზრი, რომ ევროპა დასახლდა კავკასიის ყელით, თუ ჭეშმარიტებაა, რომ კავკასიის ყელი გზას არ წარმოადგენდა ხალხთგარდასახლების დროს, და დასასრულ თუ არიელნი და სხვა მოგზაურნი არა სტოვებდნენ მთებში თავის გარდასვლის დროს კავკასიის ქედს იქით, თავის ტომის ცოტაოდენს ნაწილს, მაშინ ჩვენთვის დიდათ საინტერესო უნდა იყოს შე-

იტყოთ, როგორ გაჩნდა კავკასიაში ამდენი სხვა-და-სხვა გვა-რი ხალხი, საიდამ გაჩნდნენ, ვამბობთ, ჩვენს მთებში ამდენ გვარნი სხვა-და-სხვა ტომნი უცნაურ და სხვა-და-სხვა ხალხთა, რამ გაამრავალ-ენოვანა კავკასია, რისთვისაც არაბები მას „ენათა მთას“ ეძახდნენ?

ჩვენ აქ ჯერ არ განვიხილავთ ერთს მთავარს და ჩვენ-თვის მეტად საყურადღებო საგანს შესახებ საქართველოს ტე-რიტორიის და ადგილ-მამულის დასახლებისას. ამას ჩვენ მე-სამე და უკანასკნელ წერილის ბოლოს გამოვიკვლევთ და, რაც შეიძლება, ვრცლადაც. აგრეთვე ახლა, ამ სტატიაში არ გამო-ვეკიდებით იმასაც, თუ საზოგადოთ, რა როლს თამაშობდა კავკასია ევროპისა და აზიის შესახებ და რა შთაბეჭდილებას ახდენდა იგი ერთზედაც და მეორეზედაც. ჩვენ შემდეგაც გვექნება შემთხვევა, რომ დაწვრილებითის კერძოობით მივა-ქციოთ ყურადღება ამ საგანს. ეხლა მხოლოდ ჩვენ ავხსნით უსლარის თხზულების შემწეობით, იმ საგანს, თუ როგორ დასახლდა მთიური კავკასია, როგორ გაჩნდა კავკასიის მთებში მრავალი ტომი და ნათესავი, მრავალი ენა და საუბარი.

უკეთუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კავკასიის ქედი გაუ-ვალი იყო ხალხთათვის გარდასახლების დროს და ისეთსავე დაბრკოლებას წარმოადგენდა, როგორც ზღვა და ზღვის სრუ-ტენი, მაშინ ადვილად შეიძლება ავხსნათ და განვმარტოთ ის მიზეზი, რა მიზეზითაც დასახლდებოდა ჩრდილო ნაწილი კავკასიის მთათა-სავანეებისა. ჩვენ ვსთქვით, რომ უეჭველად, დიდ ხანს გაგრძელდა ევროპიელთ გარდასახლება და დიდის თან და თანობით სწარმოვობდა. ის ნაწილი ხალხებისა, რო-მელიც ევროპის ჩრდილო-დასავლეთისკენ გაემგზავრებოდა, კი-დე თავისუფლად ივლიდა და არავითარს დაბრკოლებას არ

შეხვდებოდა ატლანტიკის ოკეანემდე. მაგრამ, რომელიც ცოტა სამხრეთად მოუხვევდა, ისე ადვილად, დაუბრკოლებლად ვეღარ წაიწევდა წინ. აქ შეხვდებოდა მას ნახევარ-კუნძულები, რომელნიც მიიზიდავდა ადვილად და მერე, როგორც უფრო მთიანი ადგილები, აღარსად გაუშვებდა. ამ გვარი ნახევარ-კუნძულები, თუ კუნძულები ევროპის სამხრეთ ნაწილში არიან შემდეგნი: პირინეისა, აპენინისა, ბალკანისა და ყირიმისა. ამ გვარსავე ნახევარ კუნძულს წარმოადგენს ევროპიულ რუსეთის სამხრეთი ნაწილი აზოვის და კასპის ზღვის შუა, თუმცა სამხრეთი სამზღვარი ზღვა არ არის, არამედ გაუვალი მთაგრეხილია. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ნახევრობით ველური ტომი გავრცელებული მდ. დონიდამ დაწყობილი ყუბანის მდინარემდე და ამ სამზღვრებში მომთაბარობს. ვსთქვათ კიდევ, რომ აღმოსავლეთიდამ მოაწვა ამ ალაგს სხვა ახალი მოსული ხალხი, ადვილად შესაძლებელია რომ ის პირველი ხალხი ორ ნაწილად გაიყოს. მდ. დონთან რაც ნაწილი იყო, ის წავიდეს წინ დასავლეთისაკენ და ამ სახით გზა გაუკვლიოს ახალ-მოსულ ხალხს, ხოლო მეორე ნაწილი, უფრო კავკასიის მთებისაკენ შეიწევდეს, მერე შიგ მთებშიც შეიხიზნოს, სალის კლდეებში დაბინადრდეს და ან გაჭირვებით ამოიხოცოს, ან დაიცვას თავისი არსებობა და იბრძოლოს თავისუფლებისათვის, რომ სხვა ამ გვარადვე მისულ დაუპატიჟებელ სტუმართაგან არ იქმნეს დამონავებული. ამ გვარად შეიძლებოდა ერთის რომელიმე ხალხის ნაგლეჯი ჩარჩენილიყო მთებში, მერე მეორისა, მესამისა და ასე ამ რიგად წარმომდგარიყო როგორც გასაკვირველი მრავალ-ტომობა, ისე მრავალ-ენოვანება კავკასიისა. ამ გვარად ხსნის ამ გარემოებას უსლარი, ამ გვა-

რადგე ხსნიდა მას პროფ. მილლერი არხეოლოგიურ შეკრებილებაში.

მაგრამ ამით მაინც გამოურკვეველი რჩება, რა მოდგმას, რა ტომს, რა ხალხს ეკუთვნიან მთიულნი; რომელ აწინდელს ანუ აწ უკვე გამქრალს ენათა ჯგუფს ეკუთვნის სხვა-და-სხვა მთიულთა ენა? ამ კითხვების ბეჯითი პასუხი ჯერ შეუძლებელია. მთიულთა ენები, რომლებზედაც არც მწერლობა და არც ლიტერატურა არსებობს, ჯერ კარგად არ არის გამორკვეული და შესწავლილი; ჯერ-ჯერობით რიგიანად შესწავლილი იქმნა მხოლოდ ოსური, ქართული და სომხური ენა, რომელთა ნათესაობას ინდო-ევროპიულ ენებთან საეჭვოდ აღარა სთვლიან, არამედ მტკიცედ ამტკიცებენ. მაგრამ მათ შორის შემჩნეული მონათესაობა და მსგავსება არაფერს არ ამტკიცებს. ოსური ქართულს იმდენად ჰგავს, ან ერთი მეორესგან იმდენად განირჩევა, რამდენადაც სლავიანურისაგან, ან გოთურისაგან. თითქმის ესევე შეიძლება ითქვას სომხურისა და ქართულის ენის ურთიერთობაზე. მაინცა და მაინც ჩვენ საბუთი არა გვაქვს უარ-ვყოთ ნათესავური კავშირი მთიულ ენებისა ამ სამ კარგად შესწავლილ ენებთან და მაშასადამე ვერც იმაზე ვიტყვით უარს, რომ მთიულნი ინდო-ევროპიულ ხალხთა მოდგმას არ ეკუთვნიანო. ჯერ ამის საბუთი არა გვაქვს ხელში. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზოგიერთა ფილოლოგნი უარს ჰყოფდენ ქართულისა და სომხურის ენის მონათესაობას ინდო-ევროპიულ ენებთან, მაგრამ ეს დღეს უკვე დამტკიცებულია.

თუმცა ასე ცოტა ცოდნა გვაქვს მთიულთა შთამამავლობაზე, რის გამოც საზოგადო აზრის დასკვნა და წარმოთქმა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ამას კი მაინც ვერ უარ-ვყოფთ,

რომ ზოგიერთა ნიშნებია შენიშნული, რომელიც ამტკიცებს მთიურთა მონათესაობას ჩრდილო ვაკე-მინდვრის მცხოვრებლებთან, კავკასიიდამ მალიან შორს დასახლებულებთან. ოსების ენა, ეჭვი არ არის, რომ ინდო-ევროპიულის ფესვის ენაა, ადიღესა და ნახჩეს ენებში ფინური ელემენტები მოიძებნება. ყოველივე ზემოდ მოხსენებულის შემდეგ, არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ კავკასიის მთები დასახლდნენ დაბლობ ადგილებიდგან, მინდორ-ველიდგან და მომეტებულად ჩრდილოეთით: პირველად მისულნი მთებში, უძველესნი მოსახლენი კავკასიისა, უსათუოდ, იქმნებოდნენ ისტორიაზე უწინარესი დროის ევროპის მკვიდრნი (аборигены), აწ უკვე გამქრალნი და გადაშენებულნი ევროპის დაბლობ ადგილებიდამ. შემდეგ მოვიდოდნენ არიის მოდგმის ისტორიულნი ხალხნი, რომელნიც ეხლა ევროპაში არსებობენ. ამათთანავე ერთად მოვიდოდნენ აქ, უთუოდ ფინნის ტომნი; უფრო გვიან დაკები და გეტები, რომელთ საერთო სახელ-წოდება იყო სკვითნი. ასე ვარაუდით ლაპარაკობს უსლარი და ბოლოს ამბობს, რომ ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ უსათუოდ ასე უნდა მომხდარიყო კავკასიის ჩრდილო-კერძოს დასახლება ისტორიის უწინარეს დროსვე, ჩვენ მხოლოდ გვგონია ასე და მით უფრო გვგონია, რომ სწორედ ამ გვარი ანალოგიური მოვლენა კავკასიის დასახლებისა სწარმოებდა სრულიად საშუალო და ახალის ისტორიის განმავლობაშიო. ერთხელაც არ შენიშნულა ამ დროს განმავლობაში, განაგრძობს უსლარი, რომ რომელიმე ხალხი საქართველოდგან, ანუ ამიერ კავკასიიდგან დაძრულიყოს, გადაევლოს კავკასიის ქედი, გზაზე მთებში დაეტოვებინოს თუნდ რამდენიმე მოსახლე კაცი და თავათ დასახლებულიყოს მდ. დონსა და ვოლგას

შუა. პირ-იქით ამავე დროს განმამავლობაში, არც ერთი ხალხი არ დაძრულა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ, დიდის ხალხთა-გარდასახლების გზით აზიიდამ ევროპაში, რომ ცოტაოდენი ნაწილი მოსახლეთა არ დაეტოვებინოს და მარცხნივ არ ჩამორჩენოდეს კავკასიის მთებისკენ. ვინც უნდა ყოფილიყვნენ: ჰუნნები თუ ალანები, ავარელნი თუ მადიარელნი, ოსმალო თუ მონგოლი — არ მომხდარა, რომ ყოველს მათგანს ცოტად მაინც არ გაეხვია კავკასიის მთებისკენ, სადაც იქნება დროებით, ზამთრის განმამავლობაში, შეაფარებდნენ ხოლმე თავს. აქ სწყდებოდა ვაჟმიერი ხალხის მთავარ ნაწილისა, რომელიც დასავლეთისკენ მიემართებოდა, იმ მცირე ნაწილთან, რომელიც სამხრეთად მიუხვევდა ხოლმე. მალე ამ უკანასკნელს ნაწილს სრულიად ესპობოდა გზა, რომ უკანვე დაბრუნებულიყო და მთავარს ნაწილთან შეერთებულიყო, რადგან ეს გზა დახშული დახვდებოდათ ხოლმე აღმოსავლეთით სხვა ახალ მომდინარე ხალხთაგან. მთავარი ნაწილი უფრო შორდებოდა მოწყვეტილს თავის ნაწილს, რადგან ზურგ-ქარივით სხვა ხალხები აწვებოდა უკანიდგან. ეს სხვა ხალხებიც აგრეთვე მცირე თავის ნაწილს სტოვებდნენ იმავე დონისა და ვოლგას შუა, რომელიც (ნაწილი) თავის მხრით აწვებოდა წინანდელის მოგლეჯილს ნაწილს და აიძულებდა მთებში უფრო-და-უფრო ღრმად შეხიზნულიყო. მერე ამასაც პირველის საქმე ემართებოდა შემდეგის სხვა უცხო ტომის ხალხთაგან და ასე ამ გვარად მრავლდებოდა კავკასიის მთებში სხვა-და-სხვა ტომის ნაწყვეტი და ნაგლეჯი, სხვა-და-სხვა ეთნიკური სტიქიონები. კავკასიაც თავის მხრით, ერთხელ მიღებულ ხალხს მაგრად უჭერდა კლანჭებს და აღარსად უშვებდა.»

ამ სახით ჩვენ შევიტყეთ, როგორ დასახლდა მთიური

კავკასია და როგორ შესდგა ათასი ენა და საუბარი, საოცარი მკვლევართაც და ეხლაც მრავალ-გვაროვანობა მთების მოსახლეთა. ჩვენის ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნება საჭირო იყვეს, შევიტყოთ, სახელდობრ, რა ტომნი სახლობდენ ამ მთებში, რომელნიც ძველადვე არიან ცნობილნი. მაგრამ ამაზედ ლაპარაკს ჩვენ ეხლა გადავსდებთ და სრულიადაც ავიცილებთ თავიდამ, თუ საჭირო არ შეიქმნა ამ საგნის გარკვევა მთავარის ჩვენის სურვილის შესრულებისათვის, ე. ი. თვით ჩვენის ქვეყნის უძველესის ისტორიის გამოკვლევისათვის.

ჩვენ აქ ვათავებთ მეორე წერილს და შემდეგს წიგნში დავიწყობთ მესამე და უკანასკნელ წერილს, რომლის საგნად იქმნება საკუთრად ძველი საქართველოს გამოკვლევა. ჩვენ განვიხილავთ განკერძოებით და, რაც შეიძლება ვრცლად, შემდეგს საგნებს: 1) რად ჰქონდა დიდი მნიშვნელობა კავკასიას და საქართველოს ძველ დროის აზიის და ევროპისათვის და რად ახდენდა ერთიც და მეორეც დიდს, აღმოუშლელს შთაბეჭდილებას ძველად ცნობილს ხალხებზე, როგორც აზიაში ისე ევროპაში. 2) რა თქმულებანი და ცოტად თუ ბევრად გარკვეული ცნობანი დაგვიტოვეს მათ საქართველოზე და კავკასიაზე. გარკვევა ამ თქმულებათა და ახსნა მითებისა შესახებ კავკასიისა და საქართველოსი. 3) ამ თქმულებათა გარკვევა ჰფენს ნათელს, როგორც ჩვენის ქვეყნის დასახლების ისტორიას, ისე ჩვენს შთამამავლობას.

# პოლიტიკური მიმოხილვა.

კვლავ გამოვიდა საასპარეზოდ პოლიტიკურს სცენაზე ქსრედ-წოდებული «აღმოსავლეთის საქმე». კვლავ აინთო ომის ცეცხლი ამ უშველებელს კერაზედ და აი ამ ხუთისა და ექვსის თვის განმავლობაში მთლად ევროპის ყურადღება შთანთქმულია ამ სადავიდარაბო საქმით. აღმოსავლეთის საქმის სიმძიმე და ცენტრო დღეს გადატანილია ეგვიპტეში. მდ ნილოსის ნაპირებზე და იქ იზომება ეხლა მისი სიღრმე და სიგანე.

მკითხველს მოეხსენება, რასაკვირველია, რაში მდგომარეობს აღმოსავლეთის საქმე საზოგადოდ და რა შუაშიც არის აქ ეგვიპტე კერძოდ. ერთი და იგივე ჭახრაკები ატრიალებენ მუდამ ამ საქმეს და გარეგნობით თუ შეიცვლება ხოლმე მისი მსვლელობა, თორემ შინაგანი მისი ხასიათი, მისი ნამდვილი შინაარსი ერთი დ იგივეა. ყოველი ევროპის მთავარი სახელმწიფოთაგანი აღმოსავლეთისკენ აწვდენს ხელს, იქ ეძებს აუარებელი განძი, რომელიც მისცემს მას სიმდიდრეს, გაუვსებს ჯიბეს; იქ და მარტო იქით გაწევით ჰფიქრობს იგი შესძლვნას თავის-თავს ახალი და ბუნებით მდიდარი ადგილმამული და სავაჭრო ადგილები, სადაც გასაღებს თავის ნაწარმოებს და ამით გააძლიერებს აღებ-მიცემობასაც და თავის ხაზინის სიმდიდრესაც.

ანგარიშიანი ევროპა, რასაკვირველია, არცა სტყუვდება. ერთი სახელმწიფო სჭიდებს მაგრად ხელს ინდოეთს და აუარებელ სიმდიდრეს ეზიდება იქიდამ, მეორე ტუნისსა და ალჟირს ამრობს ტყავს დ მესამე კიდევ საცოდავ თექქლებს სულ ზურგზე ბოლს ადენს. ვსთქვათ კიდევ, რომ ეს თექქლები აწუხებდენ რუსეთის სამზღვრებს და მათ, ერთის მხრით ასალაგმავად და მე-

ორეს მხრით, განსანათლებლად საჭირო იყო ექსპედიცია გამართულიყო თეთრის გენერალის მხედართ-მთავრობით. მაგრამ ტუნისმა და ალჟირმა რაღა დაუშავა საფრანგეთს, ამათაც ხომ საფრანგეთის სამზღვრები არ შეუწუხებიათ ცარცვა-რბევით. იტყვიან, მათ განსანათლებლად შეიტანა თავისი ხელმწიფება საფრანგეთმაო. მაგრამ ეს ხომ ძალად მაცხონობა გამოდის. ან და ცეცხლით და ზარბაზნით ვის გაუგონია ცივილიზაციის შეტანა რომელსამე ქვეყანაში ქვეყანა ეხვეწება, ემუდარება, ოღონდ თავი დაგვანებე, შენი არა გვინდა-რაო, რას ჩაგვციებიხარო, შენი განათლების შემოტანა ჩვენ ბოლოს გვიღებს, გვაღატაკებს, ლამის გადაგვაშენოს და სრულიად აღგვავოს დედა-მიწის ზურგიდამაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! იმის აჯას და მუდარებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. გადაშენდები და გადაშენდიო, რახან ჩვენი ცივილიზაცია შენ ბოლოს გიღებსო. უნდა იცხოვროს იმან, ვინც ჩვენსავით განათლებულია, მთელი ქვეყანა რჩეულ ერმა უნდა დაიჭიროსო.

სწორედ ამ გვარ მდგომარეობაშივე ჩავარდა ეგვიპტეც, ვიდრე არაბი-ფაშა გამოვიდოდა სცენაზე, როგორც მოთავე და ბელადი ეგვიპტელთ ეროვნულის დასისა, წინააღმდეგ ევროპიელების ოინებისა. ევროპის ვერც ერთმა სახელმწიფოთაგანმა ვერ ჩაიგდო სრულად თავის ხელში ფარაონების ქვეყანა, თუმცა ბევრჯელ ეცადა. ეგვიპტე თავსაც კარგად იყო დაცული ეროვნულის მმართებლობის შემწეობით, რომლის მოთავენი იწოდებოდნენ ქედივებად და ოსმალოს ხვანთქარიც შველოდა მას, რადგან მის ზეობას აღიარებდა და დღესაც აღიარებს, არამც თუ ეგვიპტე, არამედ სირიაც, და ყოველნი მართლ-მორწმუნენი მუსულმანნიც. მეორეს მხრით, თვით ევროპის მთავარი სახელმწიფონი ხელს შეუშლიდნენ და წინააღმდეგობს დაუწყობდნენ ერთმანერთს, უკეთუ ეგვიპტეს დამონავებას მოინდომებდა რომელიმე მათგანი და ინდოისკენ გზას მარტო თვითონ ჩაიგდებდა ხელში.

ეგვიპტის დამონავების სურვილი არ ასვენებდა საფრან-

გეთს იმ თავიდამვე, მაგრამ ეს სურვილი უფრო ძლიერ მაშინ გაუცხოველდა, გულის-თქმად უფრო მაშინ გადაექცა, როდესაც ლესეპსის პროექტის შესრულება სუეზის არხის გაყვანის შესახებ ხორც-შესხმულ ფაქტად შეიქმნა. ინდოეთისაკენ გაიხსნა პირდაპირი გზა და ახლა არამც თუ მარტო საფრანგეთს, ინგლისსაც აღეძრა გულის თქმანი. მაგრამ ინგლისმა უფრო პრაქტიკულად განსაჯა საქმე. მივიმხრობ საფრანგეთსაც, განიზრახა ინგლისმა, და დავიპყრობ ეგვიპტეს პოლიტიკურად კი არა, ეკონომიურადაო. ისე შევბოჭავ ისე გაუჭირ ქანჩს, რომ სიოტობა აღარ ჰქონდესო. ინგლისი ლორდ პალმერსტონივით ფიქრობდა ამ შემთხვევაში: რად მინდა, ამბობდა ეს ხელმწიფეთი კაცი, რომ ლონდონიდგან ჩემს მამულამდე გზაში უსათუოდ საკუთარი სასტუმრო მქონდეს. მე ფული ბევრი მაქვს, მე მოსვენებით მოგზაურობა მინდა ჩემს სოფლის მამულამდე. ოღონდ კი სასტუმრო იყვეს გზაში, თორემ ვისიც უნდა იყოს ის სასტუმრო ჩემის მოთხოვნილების და სურვილის დამაკმაყოფილებელი იქმნებაო. და აი მართლაც ინგლისი და საფრანგეთი შეერთდა, შეადგინა საფინანსო კამისია და მიუშვა ნებასა ეგვიპტეში. მტერი დაიჩაგროს ისე, როგორც ამ საფინანსო კამისიამ ეგვიპტე დაჩაგრა ეკონომიურად და, თუმცა მართლა და მშვენიერ სასტუმროდ და დასასვენებელ ადგილად გადაიქცია ინგლის-საფრანგეთისათვის, მაგრამ მთელი ეგვიპტეც ამ სასტუმროს ყმა და მოსამსახურე გახდა. ეგვიპტის ერთი ქალაქთაგანი, ალექსანდრია, სამოთხედ გადაიქცა. მოიფინა ბაღებით და ბილიკებით, შეიმკო უშველებელ ლამაზი სახლებით, განათდა გაზით და სხვ. და სხვ. მაგრამ თვით ეგვიპტეს ხალხი კი გაღარიბდა და გაღატაკდა. ადგილობრივი მმართველობა დამაბუნდა და ქედივი ევროპიელთ ხელში სათამაშო ბურთად გადაიქცა. ამ დროს გამოჩნდა ერთი ენერგიული კაცი — არაბი-ფაშა, რომელმაც სამხედრო მინისტრობა ჩაიგდო ხელში, მიიმხრო ჯარი და ცხადათ დაუწყო წინააღმდეგობა ინგლისისა და საფრანგეთის საფინანსო კამისიას. ეგ კი არა, ქედივსაც ემუქრებოდა, თუ გულ-ჩვილო-

ბას თავი არ დაანებე, ტასტიდგას ჩამოგაბძანებ ეგვიპტის ნაციონალურის პარტიის შემწეობით, რომლის მოთავედ მე ვითვლებით. ქედივი შეშინდა და მიემხრო ევროპიელებს, რომელთაც აღარ იცოდნენ, რა სასტიკი სასჯელი მიეყენებინათ არაბი-ფაშისათვის. ბევრი აღარ იფიქრეს ინგლისელებმა და ფრანცუზებმა. აფრინეს ეგვიპტესკენ ჯავშნიანი ხომალდები, მძიმედ დამარაგებულნი ყუმბარებით და ზარბაზნებით და მოითხოვეს კონფერენციის შედგენა კონსტანტინეპოლში ეგვიპტის უწესოების მოსასპობლად და statu quo'-ს დასაცველად. ვიდრე კონფერენცია შედგებოდა და მოაგვარებდა რამეს, არაბი-ფაშამ თავის საქმეს მხნედ შეუდგა: გაამაგრა ალექსანდრია, გაამხნევა ნაციონალური დასი და აღძრა ხალხში ფანატიზმი და მძულვარება ევროპიელთან მიმართ. ბევრს ხანს აღარ გაუვლია, რომ ხალხი მოთმინებიდამ გამოსული, რელიგიურ ფანატიზმით აღგზნებული და აღბორგებული, მოედო ალექსანდრიის ქუჩებს და დაუწყო ჟლეტა ევროპიელებს.

მოგეხსენებათ, რომ ამის პასუხად, კონფერენციის დაუკითხველად, ინგლისის ადმირალმა სეიმურმა დაუშინა ყუმბარები ალექსანდრიას და 24 საათის განმავლობაში აქცია მტვრად და ტრამლად. მხოლოდ არაბი-ფაშამ თავის ჯარით გაასწრო ქალაქიდამ და დაბანაკდა ახლოვე კაფრდოვარში, საცა გადასწყვიტა, სასიკვდილოდ შეებას დაუპატიჟებელს სტუმრებს და სხვის მიწა-წყალზედ გაბატონებულებს. «ეგვიპტე ეგვიპტელთათვის», ამბობს ახლა არაბი-ფაშა, რომელიც ვერ შეაშინა ინგლისის ყუმბარებმა და ზარბაზნოსნებმა მოქმედებამ ალექსანდრის დარღვევის დროს გარეშე ყოველივე ტრაქტატებისა, გარეშე კონფერენციის თანხმობის და პოლიტიკურის თავაზიანობისა. თითქმის მთლად ევროპა შეკრწუნდა ინგლისის ამ საზიზღარის საქციელით და უძახდა მას სულ-სწრაფს და ხარბს.

რაც შეეხება კონფერენციას, იგი ყურებ-ჩამოყრილი და თვალებ დაჭყეტილი დარჩა, როცა დაინახა, რომ არც მის ბჭობას აქცევენ ყურადღებას, არც მის პროტოკოლებს. ევროპის მწერლობას სასცილოდ არა ჰყოფნიდა ეს სამასხარო კონ-

ფერენცია, როცა ხედავდა, რომ ის სტამბოლში ღრმა დიპლომატიურ ბჭობაში იყო გართული და ინგლისი კი ყოვლის დაუკითხველად საქმეს აკეთებდა. ალექსანდრია ხომ დაარღვია, ჩადგა შიგ და ფეხი მოიმაგრა სამხედრო ოპერაციისათვის. სუეზის არხიც ხელში ჩაიგდო. ევროპა თავის მწერლების პირით ყვირის და დაღადებს ცად მიმართ (კონფერენციისა აღარა სჭირა-რა) ამ უკანონობაზედ, თავ-წასულობაზედ ინგლისისა. საწყალი ლესეპსი სცოდავად დასტრიალებდა თავის ღვიძლ-შვილს—სუეზის არხს და არწმუნებდა ინგლისელებს, რომ არაბი-ფაშა ხელს არ ახლებს სუეზსაო და თავი დაანებეთ ამ ხალხთა შორის გზასაო. მაგრამ შენი ლესეპსი კინაღამ თავის სახლში არ გაისტუმრეს. ხუმრობა საქმეა, ბატონებო, 100 სავაჭრო ხომალდში 80 ინგლისისა დადის ამ არხზე და მხოლოდ ათი — სხვა ევროპის სახელმწიფოების. კარგია კიდევ, რომ საფრანგეთმა ხელი დაიბანა და არ გაერია ინგლისის ბარბაროსულ მოქმედებაში. «ეგვიპტეს უფლება აქვს დაუმოკიდებლად და თავისუფლად სცხოვრობდეს», ამბობენ ზოგიერთა საფრანგეთის პოლიტიკურ დასთა წარმომადგენელნი. თვით ინგლისშიც კი ისმოდა ამ გვარი ხმა, საცა მომატებული რიცხვი გაზეთობისა და თვით სამინისტროც გატაცებულია ომით. მაგრამ მნელი ყოფილა მშვიდობიანობის და პატიოსნების დაცვა იქ და მაშინ, საცა და როცა ჯიბე საგრძნობლად იბერტყება. მშვიდობის მოყვარე გლადსტონი, ბიკონსფილდის მოკამათე ამ მხრივ, მიმშარა აქნობამდე, დღეს აღგზნებულია ომის სურვილით და ლამის მთელი ინგლისი სამხედრო ბანაკად გადააქციოს და ეგვიპტე სისხლით მორწყას.

ოსმალეთი პირველი გამოვიდა მოთმინებიდამ ამ ურიგო მოქმედობის გამო ინგლისის მიერ და ეწინააღმდეგებოდა, როგორც კონფერენციას, ისე მის ჩარევას ეგვიპტის საქმეში. „ეგვიპტე ჩემს დიდებულობას ექვემდებარება, ჩემს ზეობას აღიარებს, ამბობდა ხვანთქარი, და ინგლისი ჩემს უფლებას არღვევს, როცა ჩემს დაუკითხველად ჩემს სამფლობელოში შედის". ხვანთქარმა კიდეც დააჯილდოვა არაბი ფაშა მეჯიდიეს

ორდენით პატრიოტულ მოღვაწეობისათვის. მაშ შენ აღადგინე მშვიდობიანობა ეგვიპტეში, შენ აღადგინე Statu quo ante, ის წეს-წყობილება, რომელიც არაბის დიქტატორობამდე სუფევდა ეგვიპტეშიო, შეეხმიანა ინგლისი ოსმალეთს. ოსმალეთმა ჯერ წინადვე გაგზავნა თავის კამისარი დერვიშ-ფაშა წესიერების აღდგენისათვის და მშვიდობიანობის დამყარებისათვის. დერვიშ-ფაშამ მართლაც შეასრულა თავის მოვალეობა და მოარიგა არაბი-ფაშა ქედივთან. კანონიერმა მმართებლობამ კანონიერად დაიწყო მოქმედება, მაგრამ ინგლისმა ეს არ იპრიანა, ჩვენი და საფრანგეთის საფინანსო კამისია მოარიგეთ მმართებლობასთანაო, ე. ი. თქვენის ხელით ნარი მოგვიგლიჯეთო.

ოსმალეთმა, რასაკვირველია, შორს დაიჭირა ეს საქმე. დაფაცურდა დიპლომატია ინგლისისა და კონფერენციამ იცნო საჭიროდ ჯარების გაგზავნა ხვანთქრის მიერ ეგვიპტეში სრულის მშვიდობიანობის აღდგენისათვის, ე. ი. ისევ იმ Status quo ante'-ს დამყარებისათვის.

ოსმალეთი დათანხმდა ჯარების გაგზავნაზე და ამით ჩააბა მახეში ინგლისი, რომელიც ღრმად ჩაფიქრდა, კაი თუ ოსმალომ ჯარი კი გაგზავნოს, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ჩვენს ჯარებთან ერთად აბრძოლოს არაბის პირის-პირ, იქნებ მას შეუერთოს ჩვენ წინააღმდეგაო. ვინ იცის, ოსმალოს დიპლომატიური კუდი თავის დღეში არ გასწორდებაო. ინგლისის საქმე ძალიან საჭოჭმანოდ დატრიალდა, მაგრამ მაინც კლანჭ-გამოსადები იპოვა რაღაცა-რაღაცაები ჩამოაგდო ლაპარაკი პირობებზედ და ხელ-შეკრულობაზედ, რომელთ შეუსრულებლად არ შეიძლება ეგვიპტეში ოსმალოს ჯარების გაგზავნაო. ეს პირობები ანუ კონვენცია ინგლისსა და ოსმალოს შორის დღესაც არ შეკრულა. მის უმთავრეს მუხლად, როგორც გაზეთებიდამ ეხსომება მკითხველს, პროკლამაციის გამოცემაა ხონთქარის მიერ, რომლითაც არაბი აღიარებული უნდა იყვეს მოღალატედ და მეამბოხედ, ის არაბი, რომელიც ქაირში ნაციონალურმა შეკრებილებამ უკვე აღიარა სამშობლოს დამცვე-

ლად და პატრიოტად ხოლო ქედივი ტევფიკი — ყოველივე მუსულმანობის კანონების წინააღმდეგად და ისლამის მტრების მომხრედ. მეორე მუხლად კონვენციისა უნდა იყოს, ინგლისის ფიქრით, ეგვიპტეში გაგზავნილის ჯარების მოქმედება ინგლისის ლაშქრის მხედართ მთავრის ბრძანებლობისა მებრ აი ტელეგრამები მოდის და ჯერ ოსმალეთის გადაწყვეტილი პასუხი აღარ ვიცით, რა არის. ჯერ როგორც ვსთქვით, არც კონვენციაა შეკრული და არც პროკლამაციაა საჯაროდ გამოცხადებული. ოსმალო ვერ ჰბედავს, ვერც ერთს და ვერც მეორეს, რადგან ინგლისთან ერთად მოქმედება ეგვიპტის დამცველის წინააღმდეგ შეასუსტებს ხონთქრის გავლენას აფრიკის მუსულმანობაში და მის სახელს ძლიან დასცემს. ამბობენ, რომ ხონთქარს თავის ხონთქრობა იქ უნდა, აღმოსავლეთის მუსულმანობაშიო. ევროპაში კი, რაც ადგილი ეჭირა, ავსტრია-გერმანიისთვის მზადდებაო. და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ნემეცნი თავისუფლად სუნთქავდეს და მოძრაობდესო. ამბობენ, ვითომც აწინდელი ევროპის არეულობის და ამღვრევის მიზეზი — ბისმარკის რკინის ხელიაო და მის მიერ ბერლინიდგან გაბმული რკინის მართულების დიპლომატიური ქსელიო. მაგრამ ამისი ჩვენ არა ვიცით რა. იქნება ნამდვილ ასეც იყოს, მაგრამ ბისმარკის გარეშეც ისეთი თავი და თავი საგნებია ამღვრეულობის სამიზეზოდ წამოყენებული, რომ იქნება ბისმარკს უბრალოდაც ჰსწამებენ ამ საქმეში. იქნებ მგელს მგლობა ჰქვიან და ტურამ კი ლამის ქვეყანა ამოაგდოს. მაინც, უფროთ ერთად, მკითხველო და ვნახოთ, რაც გამოვა რისაგანა.

გნელობა—მისი ცუდი და კარგი—გაჭარი უცხო თესლისა
რის მოვალეა—საფთხილო და საშიში — ტყუილ-უბრალო
—გულის ფხანა და ენის ქავილი—მიწად-მოქმედების წარ-
მატება—სამ გვარი გზა — ხვნა, მკა და ლეწვა—ნახული
მაგალითები. . . . . . . . . . . . . . 178

X უსლარი და იმისი თხზულება, «უძველესნი თქმუ-
ლებანი კავკასიაზე» . . . . . . . . . 191

XI პოლიტიკური მიმოხილვა . . . . . . . 218

XII განცხადებანი.

ი 383
1882

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲖᲔᲓ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*
*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ და Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ.